644 /2
2011

13

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარკე

სამხატვრო
საერთაშორისო
ჟურნალი

2011 2

გენერალური დირექტორი და გამომცემელი
სერგი კაკალაშვილი

მთავარი რედაქტორი
ზაურ კალანდია

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ელზა მეტრეველი

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების
ხელმძღვანელი
ელგუჯა მარღია

პოეზიის განყოფილების გამგე
ბაღათერ არაბული

მხატვარი
გიორგი წერეთელი

საკონსულტაციო საბჭო
რატი ამაღლობელი
ჭაბუა ამირეჯიბი
ნიკუშა ანთაძე
მაყვალა გონაშვილი
ნუგზარ ერგემლიძე
დავით თედორაძე
ოტია იოსელიანი
გენო კალანდია
ზვიად კვარაცხელია
მიხო მოსულიშვილი
დათო ტურაშვილი
თემურ ჩალაბაშვილი
ჯანსუღ ჩარკვიანი
რეზო ჭეიშვილი
მარიამ წიკლაური

დამკაბადონებელი
თამუნა ტყაბლაძე

კორექტორები
ირაკლი კალანდია
ნანი ჭულუხაძე

2011 / 2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველო
საერთაშორისო
ქრონიკა

ბერკი

გარეკანზე ალექსანდრე
ბანძელაძე. კომპოზიცია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ბანძელაძე. კომპოზიცია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ბანძელაძე. კომპოზიცია

სარჩევი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

სამხატვრო
საინფორმაციო
ჟურნალი

2011/2

პოეზია

ია ჯინჭარაძე	2
რენე კალანდია	27
მამუკა წიკლაური	61
ია სულაბერიძე	72
მარი თინაშვილი	77
თამთა დოლიძე	96

პროზა

ირაკლი სამსონაძე	9
გურამ დოჩანაშვილი	36
ლეილა მესხი	81

ახალი თარგმანები

იოჰან ვოლფგანგ გოეთე თარგმნა **დავით წერედიანმა**	102
უილიამ ფოკლნერი თარგმნა **გია სართანიამ**	116
ანატოლ ფრანსი თარგმნა **გიორგი ანთელავამ**	121

წერილები

მაია ჯალიაშვილი	127
კახა ქეცბაია	135
პედრო ალმადოვარი	137

ლიტერატურული სიახლენი 140

დაარსებულია 1852 წელს
აღდგენილია 1957 წელს
განახლებულია 2010 წელს

გამოდის თვეში ერთხელ
იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები

© „ცისკარი“, თბილისი, 2010

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1
ტელ.: 98-36-43, 98-47-62
emciskari@gmail.com
www.jurnaliciskari.ge

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ქორო, თვალები დამიბრუნე.
გზას დაავიწყდა დასასრული.
მე ვზივარ – მგზავრი
და დალაი ჩავლილ აჩრდილებს.
დალაი, ჩემო მონადირევ, ჩემზე მუხთალო.
დალაი ღამეს ტანმოხატულს, დალაი დილას.
წყალს ჩაილურის, მზე რომ ახსოვს.
დალაი თვალებს.
მთები დგანან და მდუმარებენ, მდინარეს მოაქვს
და ნაპირებზე კენჭებივით გარიყულ გვამებს
აღარაფერი ენაღვლებათ.
საუკუნეა, არ მიგრძვნია მლაშე წყლის გემო,
საუკუნეა, რაც ქვასავით გამიტყდა გული,
ნადირთ ქალღმერთი მოიკვეცავს თმას და მომაყრის,
მე კი არ ვიცი, სად იწყება ცის უფსკრულები.

●

ტრადიციაა, თქვენ დაბრძანდით, მე წყალს მოგართმევთ
და გულისგარეთ ვისაუბრებ ცაზე, ამინდზე,
ტროა დაეცა, ილიონი და ნიაგარა,
რომ მეჩვენება, ზოგჯერ შიგნით რაღაც იმსხვრევა.

ია ჯინჯარაძე

ერთხელაც მინდა მოვატყუო თვალი და თვლემა
და ვარსკვლავები, ვით რიცხვები, ურიცხვი ვთვალო,
მე გამომრიყა ჩემმა ხალხმა, ჯოგმა თუ თემმა.

კაენი ამბობს: სუფთა არის გული უფლისა,

ახლა ცის ბანზე გადმომდგარი ხელებს რომ გვიქნევს,
იქნებ ეს ნიშნავს მისალმებას, მისი ნებაა,
სხედან მისნები და მისნობენ ისევ და ისევ,
მე კი კარებზე ვაკაკუნებ...
ქარით და ქვიშით გათელილი უდაბნო მიტევს,
ოაზისები — დაწყვეტილი მარგალიტები,
არაფრით ვგავარ ანგელოზებს, სამოთხის გვრიტებს,

კაენი ამბობს: ჩემი თავი მე გავიმეტე.

●

მე რა ვაჩუქო დანაელებს?
მკვდარი თევზებით მოფენილა ცრუ სანაპირო.
თავს ზევით ძალა, მზე არ დარჩა.
დე, ზღვამ აკრიფოს მოქცევისას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჩიელმა თქვა: ბედი გითხრა, მოდი, ლამაზო,
მარჩიელმა თქვა: თუ გაყვები მდინარეს ვერცხლის,
ჩიტად იქცევი, ცას იხილავ კლანჭით გაკაწრულს...
თვალი ვაქციე, დამადევნა წყევლის ქარცეცხლი.
თევზის ქერცლებით სავსე სული, თევზის ქერცლებით,
გავთელე ჩემი სიამაყე, როგორც ძეძვ-ხლართი,
და ამ ხრიოკზე, სადაც მხოლოდ ეკლები მოჩანს,
მე ვარდებს დავრგავ და შროშანებს და გავიხარებ.
შორს დარჩა შიში შამანების, რად გაგაბრუნე?
დაბრუნდი, ქარო, და დაადნე თვალების თოვლი.
მე რა ვაჩუქო დანაელებს?

●

ჰკითხე მავრს,
მზეს ჩამავალს რომ აკვირდება,
თავს თუ გრძნობს უცხოდ ამ ქალაქში,
ამ ტბის ნაპირას?
ჰკითხე ბიჭუნას, სამ ენაზე მოლაპარაკეს —
იცის, სადაა მისი სამშობლო?
ის გაოცებით შემოგხედავთ
და შემოსეულ მტრედების გუნდს ხელებს აუქნევს.
თქვენ, ქალბატონო, ილიმებით ნიშნად დაცინვის,
მე შევიცვალე,
არ ბრწყინავენ ჩემი თვალები.
არა დაცემა, მტკივნეული წამოდგომაა,
როცა გგონია, საკუთარ ძვლებს ძვრას ვეღარ უზამ
და, როცა გინდა დაიძინო,
სხვა არაფერი.
ჰკითხე მგზავრს,
წამით შეყოვნებულს, გადარჩა ძალა,
ფეხი აუწყოს წვიმის ხმას და მზე ზიდოს ზურგით?
ჩვენ, ვინც გავიგნეთ გზა, გვეგონა ხელებგაშლილი
შემოგვხვდებოდნენ, გვკითხე,
რა დაგვრჩა ბნელ მიწაზე,
რისთვის დავბრუნდით?

●

მე გადამფრენი ფრინველი ვარ.
მე ვიცი, საფრთხე ახლოსაა, ვით ცა და მიწა.
მე ვიცი, ზოგჯერ შეიძლება რომ გაწყდეს სიმი,
რომლითაც შენ გრძნობ, რომ შორსა ვარ, რომ ვახლოვდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლითაც მე ვგრძნობ, როგორ გიჭირს, ხელით გიჭირავს
გული და იმედს ჰაერივით ებღაუჭები.
მითხრა: — ყველაზე მთავარია, გიყვარდეს ფრენა,
მითხრა: — ნურაფრის გეშინია, გაშალე ფრთები.
ახლა საბრალო დედაჩემი მზის გულზე თბება,
ჩამოყრილ მხრებს და უმწეობას უჩუმრად ითმენს.
იქნებ არც ახსოვს, მიეჯაჭვა თვალებით მიწას,
იქნებ მეც ვცდები, როცა ვამბობ, რომ ცას მიენდე,
იქნებ ჩვენს შვილებს ლურჯ მინდორზე მეტად დაიცავს
ეს ბუდე-მიწა დაბინდული. მე აღარ მინდა
ამღვრეული ჩემი სიმღერა.
მე ცისარტყელას ყველა ფერი, ყველა ამინდი
გამოვიარე. შენ კი შორს ხარ.

ნაწყვეტები

ვარ ასე ჩემთვის,
არშობილ შვილს ხელთათმანს ვუქსოვ,
აქ მუდამ ცივა და ჭაობიც გვიახლოვდება,
სინესტის სუნით გაჟღენთილი სუსტი თითები
და ჩემი ფერი მოყვითალო დედას აშინებს.
ბავშვობის აკვანს ვარწევ და ვმღერი:

როცა ყველაფერს დაერქმევა
თავის სახელი,
თავის გზით წავა გზა და წყალი,
მზე — დასავლეთით,
დაფარავს ჯანღი მოგონებას,
როგორც ფარაჯას მტვერი,
და ვიცი, რომ გავიხსენებ,
ვით იავნანას მივიწყებულს —
მე აქ ვიწყები,
ამ საფლავთან, ამ ვაშლის ხესთან.
ჩემი არ არის ზეთისხილის
მწვანე ბაღები, არც ეს სასახლე,
სადაც ვცხოვრობ თუ გამომკეტეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი სიზმრები – ბლანტი და მწვანე,
სულ სხვა სიცივით ივსება სული
თოჯინასავით მკლავებზე ვიწვენ
საკუთარ წარსულს, ქარის ხმას ვუსმენ,
ქარი კი მღერის:

ჩემია ყველა ღია კარი თუ ნასახლარი,
ჩემია ყველა უდაბნო და მზერას ვუგრილებ
მზეს და მეყრდნობა ზოგჯერ ზურგით
დაღლილი მგზავრი,
თუ მსურს, ავუვლი გვერდს გულგრილად,
მსურს, დავიტირებ მკვდარს მიტოვებულს,
გადატეხილ ყვავილის ღეროს.

ახლა დავეძებ
ჩემი ტვინის ხვეულებში დაკარგულ წარსულს.
მძიმედ ვახველებ და ჩავყმუი პირქუშ ხეობებს
და ვხვდები ცოცხლებს,
მხვდებიან სხვებიც ...

ვინ გამახსენებს,
რისთვის ვდგავარ გზაჯვარედინზე?

●

მოწყენილი ვარ,
ვაწკრიალებ ყინვის ლოლუებს
და კრიალოსნის ვაგროვებ მარცვლებს.
ალილუია...
დაილია მზე და წაგვლეკა
ადიდებულმა ცხენისწყალმა – ამბობს დიდედა,
სიზმარში ბევრად ახალგაზრდა და დარდიანი.
ალილუია...
საფლავივით მიგვატოვებენ,
დავიწყება ხომ, როგორც ჭირი, გადამდებია.
ჩვენი არყოფნით არაფერი არ შეიცვლება –
ცა, ვარსკვლავები, ტოტებს შორის მთვარე – ტოტემი.
საკუთარ თავში, ვით ჭაობში, უფრო ვეფლობი,
გახუნდა ჩემი თვალის ფერი, ფიქრი ხუნდებად,
და ვეძებ, ვეძებ არა კლდეს და კლდეზე კიდობანს,
არა უდაბნოს ოაზისით, ლალს და იაგუნდს,
უბრალო სოროს, სად შევალ და მოვიკუნტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სულ პირველად სიცოცხლეში არ შემშურდება
ცად მიმავალი წეროების თეთრი გუნდის და
ალილუია...
უცნაური ლოცვების ბოლოს.

●

როცა მდინარეები დიდდებიან,
ისინი მოდიან ჩემთან სტუმრად
და მიაქვთ მთელი ჩემი სიმდიდრე.
მე კი ვზივარ თავს დამხობილ ცასთან
და ვარსკვლავებს ქვიშაში ვურევ
და ვერცხლს – წყალში
და წყალს – ცეცხლში.
შენ, ვინც სილაზე წერ და შლი,
ვისაც თვალებით დაგაქვს სიმშვიდე...
მეც მესმის ზოგჯერ,
იმეორებს შენს სახელს ქარი,
როცა ქრის...
და ვერ ვივიწყებ,
რაც დავთესე, რაც დამიკარგავს.
ჩემმა მპოვნელმა
მარგალიტით ამივსო პეშვი,
ჩემმა მპოვნელმა
გამიშენა ვარდების ბაღი.
აღარ ვტირი, აღარ ვიცინი.

მიცვალებულთა წიგნიდან

როგორც მენაღმე, დაატარებ ჩემს ტანზე ხელებს.
ჩვენი მინდვრები, აღარ მინდა უკვე აქ ყოფნა.
ჩემი ქალაქი მემფისია,
მზე – ფარაონის
და მოზეიმე ჩემი ღმერთი,
წყვდიადსაც ფარავს.
ფასი აღარ აქვს საიდუმლოს
ძვირფას ქვასავით,
ფასი აღარ აქვს მდუმარებას,
ძილს და სიმთვრალეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობ – თვალების სარკეებში მარტო წყალი ჩანს,
შენ გართობს მასში ჩაძირვა და
ვამბობ – სიმძიმე.
თეთრი ჩამაცვეს, შემაცურეს თეთრ მდინარეში,
ახლა ლოტოსის ყვავილი ვარ,
წყალზე ვტივტივებ.
შელოცვის გჯერა?
ვარსკვლავები – ეზოს ძაღლებად.
ტკივილის გჯერა?
დაგაწყდება სულზე ძარღვები.

●

სად დამემალე, მთვარის ქალო?
შორით მოვსულვარ ნამზეური,
ვიცანი შენი თვალის ფერი –
ღამე უფსკერო და უვარსკვლავო.
წყალი მოგიტანე მზის ნაბანი,
სხივი და სული ლაგამივით
და ჩემი გონება არეული,
ოღონდ არ დამწყევლო, მთვარის ქალო,
მითხრეს – არ სწყალობსო მთვარეულებს.
მე ხომ ჩიტივით ფრენისათვის
გავჩნდი, უფსკრულებზე ვხეტიალობ.

ირაკლი სამსონაძე

გადაფრენა

ნაწყვეტი რომანიდან

სიტკბო ბურთულასავით გაეხირა ყელში. გაუკვირდა, პირველად არ ესიამოვნა კაკაო. ტელევიზორის პულტს მისწვდა. ტელევიზორმა რევოლუციონერი ხელოვანი, თეფო შესთავაზა. ამ კაცს ხან ოპოზიციაში ხედავდა, ხან ხელისუფლებაში, ვერ გაერკვია, ვისი იყო და ამიტომაც ძალიან ჭკვიან ვინმედ მიაჩნდა. თეფო ხალხის მზარდ უკმაყოფილებაზე და მომავალ მიტინგზე ლაპარაკობდა.

– „ცუღლუტი," – იფიქრა მეძავმა, შემდეგ ეს აზრი უარყო და სხვაგვარად შეაფასა თეფო, – „ცუღლუტი არა, გაქნილი;" – ჰო, გაქნილი უფრო მიესადაგებოდა, ალბათ, თეფოს, რადგან მეძავისთვის გაქნილი მეტად გულისხმობდა ჭკუას, ვიდრე ცუღლუტი.

მანია მოიხსენიებდა ხოლმე ტელევიზორის ეკრანზე ხშირ-ხშირად გამოჩენილ პატიოსან გვამებს „ცელილუტად," „გაქნილად," „ყველაფრის მკადრებლად," „ხიხოდ" თუ „ჩანჩურად;" თუმცა, მეძავისგან განსხვავებით, მანია კარგად იცნობდა მათ, იმდენად კარგად, რომ წინასწარ ხვდებოდა, რას იტყოდნენ ანდა როგორ მოიქცეოდნენ ისინი.

– „ახლა იხუმრებს, მერე გაიღიმებს," – ჩაილაპარაკებდა ტელევიზორს მიცქერილი მანია და, მართლაც, გეგონება, მანიას გაუწია ანგარიშიო, ჯერ იხუმრებდა პატიოსანი გვამი, მერე ფართოდ გახსნიდა ბაგეს.

– „ახლა კათედრაზე დაჰკრავს ხელს," – წინადადება არ ჰქონდა დასრულებული ბინის პატრონს, რომ პატიოსანი გვამი სახალხოდ, ყველას დასანახად და გასაგონად გამოხატავდა თავის უკიდურეს გაწიწმატებას და გამოხატავდა, სწორედაც რომ, კათედრაზე ხელის ჩამორტყმით.

– როგორ მიხვდი, მანია დეიდა? – კითხა რამდენჯერმე მეძავმა.

– ჰა? – მძიმედ გამოერკვეოდა ფიქრიდან მანია.

– როგორ გამოიცანი-მეთქი?

– აა, ისა?! რა გამოცნობა მაგას უნდა, საქმეს ჭირდებოდა ასე! – მუდამ ერთსა და იმავე პასუხს იღებდა მსუქანი მეძავი.

მერე აღარც ეკითხებოდა, შეეჩვია. თუმცა ეს იქამდე იყო, სანამ მანია და სახლი ერთდროულად და ერთბაშად არ დაიწყებდნენ დაბერებას.

მაშინ მანიას მნიშვნელოვან ქალად იცნობდნენ; – ხმელი იყო, თხელნაკვთიანი; ასაკს არ იმჩნევდა; სწორ შარვალს, მაღალქუსლიან ფეხსაცმელსა და უნატიფესად ნაქარგ ჟაკეტებსა თუ სვიტერებს იცვამდა, მზის ლამაზფორმიან სათვალეს ატარებდა, ხელებსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახეს ძვირფასი ფერ-უმარილით იზელდა, კეფაზე კი ფრანგული სუნამოს სურნელი ასდიოდა. მაშინ ბინაც სხვაგვარად იყო მოვლილი და არც მდგმურები დაბორიალებდნენ ქურთი გოზალას დალაგებულ-დაწკრიალებულ ოთახებში.

მეძავი დააბნია ამდენმა უცხოურმა თუ ძველებურმა ნივთმა და ავეჯმა, მანიას საწოლი ოთახის გვერდით მოთავსებულმა, ვარდისფერი კაფელით გაწყობილმა სააბაზანომ, წითელი ხის მაგიდამ, რომელზეც თორმეტი ერთიმეორეზე პატარა თეთრი სპილო და ძველებური ყაიდის ტელეფონი იყო შემოდგმული, რბილმა სავარძლებმა, ჭაღმა, წითელი ხისავე საწოლმა, ტუალეტის მაგიდამ და დაბალმა რბილმა სკამმა მაგიდასთან, დააბნია და მონუსხა საწოლის მოპირდაპირე კედელზე გაკრულმა, მინაში ჩასმულმა ფოტომ, საიდანაც ულვაშგადაგრეხილი, ძალიან მომხიბვლელი და ძალიან ჯიშიანი ოფიცერი იცქირებოდა.

ახლა რომ ნესტი ალპობდა, ის მისაღები ოთახი იყო ადრე, თუმცა ხანდახან საწოლ ოთახშიც იღებდა მნახველებს მანია; რაც შეეხება დანარჩენ ოთახებს, ალბათ სტუმრებისთვის ჰქონდა განკუთვნილი, რადგან მდგმურები არ ჰყავდა მაშინ. არც სჭირდებოდა, ვაჭრით დაწყებული მილიციელით, დამთავრებული, უამრავი შეწუხებული და თვალგაფაციცებული მთხოვნელი აკითხავდა შინ.

მაშინ მანია ტელეფონითაც აგვარებდა საქმეებს:

– „მანია ვარ, ჩემო კეთილო," – ლბილად ჩაილაპარაკებდა ტელეფონის ყურმილს ჩაღიმებული მანია, მცირე პაუზას დაიჭერდა და კეთილგანწყობილი ნიშნის მოგებით იკითხავდა: – ხომ გახსოვარ?

მანია ახსოვდათ.

ტელეფონზე საუბრის შემდეგ მანია სასოებით მოცქერილ მთხოვნელს გადმოხედავდა და გამოცდილი ექიმივით მოკლედ, მოჭრილად სვამდა დიაგნოზს:

– ეს გამკეთებელიაო – იტყოდა, ანდა – გაგაწვალებს, საქმეს კი არ გაგიკეთებსო, გააფრთხილებდა, ან, სულაც, მთხოვნელს დაარიგებდა ჭკუას, – იცი რა, ჩემო კეთილო, მეტის გაღება მოგიწევს და გამოვა ეგ საქმეო.

გამოსულიყო ის საქმე როგორმე და ვინ ეტყოდა უარს; კიო, უეჭველადო, თქვენ შემოგევლეთო და – ჰოო, – როგორღაც თვალსა და ხელს შუა დასევდიანდებოდა მანია, – საქმეს სჭირდება ასე, ჩემო კეთილოო...

მართალია, ყველა საქმეს ერთნაირი წარმატებით ვერ ართმევდა თავს, მაგრამ საყვედურით არავის მოუმართავს. არ აფერისტობდა და იმიტომ; თუ არ იყო გამკეთებელი, ამასაც პირდაპირ, დაუფარავად ეუბნებოდა მთხოვნელს. ალბათ, ეს აძლევდა იმას უფლებას, რომ დამშვიდობებისას გულღიად, შინაურულად მიემართა:

– ძალიან სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, ხომ გემახსოვრებით? დავრჩეთ მეგობრებად.

მაშინ მანია მანიობდა, რჩებოდნენ მანიას მეგობრებად, მის სახელსაც არ ივიწყებდნენ.

მეძავს კარგად დაამახსოვრდა მათი პირველი შეხვედრა. ჯერ კიდევ საავადმყოფოში იწვა, აქოთქოთებულმა დედა-დეიდამ რომ ახარეს: შენ არაფერზე ინაღვლო, მანიამ უკვე დაურეკა, ვისაც საჭიროა და მოგხედავენ როგორც რომ საჭიროა, და ცივ ნიავს არ მოგაკარებენ და ოღონდ შენ არ ინაღვლოო, არაო, – მერე ექიმს ელაპარაკებოდნენ ხმამაღლა, გულდასმით შერჩეული სიტყვებით: მანიამ რომ გთხოვათ, ისინი ვართ ჩვენ, ზუსტად ისინი, ჩვენმა მანიამ რომ გთხოვათ და აბა, თქვენ იცით ახლა, სხვაში არ შეგეშალოთ, მანიამ ისე კარგად დაგახასიათათ, ჰოდა, აქ ვართ ჩვენც, მანიამ რომ გთხოვათ ისინიო, აქ ვართო, თქვენს წინაშეო, წარვსდექითო, ისინიო, მანიამ, რომ...

არ შეშლიათ. უკეთეს პალატაში გადაიყვანეს, მიხედეს. მერე გაწერეს. იმდენად იყო მანიაზე ლაპარაკით გათანგული, რომ შიშმა შეიპყრო, ეგონა, ზებუნებრივ არსებასთან მოუწევდა შეხვედრა.

მანია დაუხვდა; ჯერ კიდევ ის მანია, შარვლითა და უნატიფესად ნაქსოვი სვიტერით.

– აა, მოხვედით?! – ჩაილაპარაკა მანიამ გაფანტულად და ზურგი ანახა სტუმრებს, არც შემოუპატიჟებია.

– მადლობაო და მადლობაო, უღრმესიო და უძვირფასესი მადლობაო და თქვენს მუხლებს შემოვევლეთო და...

– კარგი, – თქვა მანიამ, – ახლა რა ვუყოთ ამას... – და მიაცქერდა.

ამასო, რა ვუყოთო, აი, ამასო? – უპატრონო კნუტზე ლაპარაკობდა თითქოს და თანაც ოდნავ, სულ ოდნავ ასწეოდა ტუჩის კუთხე.

მეძავს მოეჩვენა, რომ სრულიად შიშველი იდგა უცხო ქალის წინაშე და სხეული სიცივის ხორკლით დაეფარა; რადგან მიუღებლობა მისი, მისი სიბეჩავე და გაუთლელობა, თვალშისაცემი ზიზღით კი არა, ოდნავ, სულ ოდნავ სავარაუდო ამრეზით გამოხატა მანიამ და ეს უფრო მტკივნეული და დამამცირებელი იყო იმწამს.

ამათ კი, დედა-დეიდამ ანუ, ახლა უფრო მოუხშირეს: მადლობაო და უღრმესიო და უძვირფასესი მადლობაო და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ჯერ არაფერი გამიკეთებია, – გაეღიმა მანიას, – რატომ მიხდიან მადლობას?!

დაღლილი, ბევრისმთქმელი ეს ღიმილიც მტკივნეული იყო.

– ცოტა ხანი დარჩეს, მოვიფიქრებთ, რაღაცას, – თქვა ბოლოს მანიამ.

– „დედა, დედა, თქვენს მუხლებს ვენა...“

– ქირას მხოლოდ იმიტომ ავიღებ, რომ მდგმურად იგრძნო თავი, – გააწყვეტინა ბინის პატრონმა დებს ქოთქოთი, მეძავს სახეში მიაცქერდა და დაამატა; – ხომ გამიგე, ჩემო კეთილო, საქმეს სჭირდება ასე, თორემ შენგან აღებული ორი შაური ნამდვილად არ ამაშენებს...

– დედა, დედა, რას ბრძანებთო და ოღონდ კი თქვენთან იყოს და აღარაფერს დავეძებთ, თქვენ გენაცვალეთ და თქვენ შემოგევლეთ და...

– იმ ოთახში გაჩერდეს! – თქვა მანიამ.

– ესეც იმ ოთახში? – იკითხა მაშინ ვითომ დედამ და ვითომ დეიდას გადახედა.

– ჰო, – თქვა მანიამ, – მშვენიერი ოთახია, რა უჭირს...

იმ დღის შემდეგ მეძავი ძალაუნებურად აცქერდებოდა მანიას ტუჩებს, რადგან მუდმივად ეშინოდა, ისევ ისე, ოდნავ, სულ ოდნავ არ ამრეზოდა მანიას ტუჩის კუთხე.

წავიდნენ გამზრდელები, დარჩა მანიასთან, თითქოს მხოლოდ ეს ორი არჩევანი გამოიმეტაო მისთვის განგებამ; ან დედა-დეიდასთან, სამტრედიაში, ან მანიასთან, თბილისში არსებობა.

სრულ გაურკვევლობაში აღმოჩნდა. მანიამ თითქოს მიივიწყაო. ხომ უნდა შეეხსენებინა თავი; ამიტომ სახლის დალაგება მოიგონა, თანაც მანიას ფერ-უმარილებითა და სუნამოებით იხიბლებოდა მალულად. მერე იმასაც მიხვდა, ვინ იყო და რას წარმოადგენდა ამხელა ბინაში.

მანიამ მორიგი მთხოვნელი, ვიღაც რაიონიდან ჩამოსული, წინდებში თასმებჩატანებული კაცი მიიღო თავის საძინებელში. ესეც იქ იყო მაშინ, ოთახს ალაგებდა.

მთხოვნელმა თვალით ანიშნა მანიას მისკენ. მანიამ დაიჭირა სტუმრის მზერა, მაგრამ ყურმილისთვის არ გაუშვია ხელი, ისე უპასუხა:

– ეეს? ეს არაფერი...

არაფერი იყო სწორედაც, იყო და არც იყო ანუ, მაშინაც იყო და არც იყო, როცა მანია „ცუღლუტად“ თუ „გაქნილად“ თუ „ყველაფრის მკადრებლად“ მოიხსენიებდა ტელევიზორის ეკრანზე არონინებულ რომელიმე პატიოსან გვამს; ჰო, იყო და არც იყო, რადგან მისგან დასმულ კითხვას ისეთ გაკვირვებულ მზერას ახვედრებდა ბინის პატრონი, თითქოს თავის თავთან ლაპარაკით გართულიყო და ვიღაც უცხოს დაერღვია მისი მყუდროება; ამიტომაც, პირდაპირ კი არ პასუხობდა, ჯერ მძიმედ გამოერკვეოდა ხოლმე და აქეთ მიმართავდა კითხვით:

– ჰა?

ჰაოო, ჰაოო, – ანუ, შენ საიდანო, როგორაო, ვის დაკარგვიხარ საერთოდო?! თანდათან აცნობიერებდა თავის გაურკვეველ მდგომარეობას და ღამით, ლოგინში, წინადადებას წინადადებაზე აწყობდა, როგორ მიემართა ბინის პატრონისთვის. მუდმივი მოლოდინით დაიღალა; ხანდახან სრულიად წარმოუდგენელ ოცნებასაც აჰყვებოდა ხოლმე, რომ ვიღაც კეთილისმყოფელი მანია ზღაპრული სიიოლით, ჯადოსნური ჯოხის ერთი შეხებით დაასახლებდა ამ ქალაქში და მუდმივ, უზრუნველ სარჩოს გაუჩენდა.

არა. მანია დუმდა, მანია ჯიუტად დუმდა და ვერ ამჩნევდა.

მერე, როგორღაც, მარტივად კითხა და თავადაც გაუკვირდა, რა უბრალოდ შესძლებია აზრის გამოხატვა:

– მანია დეიდა, მე რა ვქნა?

რა ღამეების ტეხა უნდოდა ამ წინადადებას.

მანიამ შეამჩნია.

– აა, – თქვა მანიამ, – ხო, შენ... – და ისევ აათვალიერ-ჩაათვალიერა.

მეძავი კი ერთს ფიქრობდა: „ტუჩის კუთხე არ აეწიოს, ოღონდ ტუჩის კუთხე არ აეწიოს...“

მანია ტელეფონზე რეკავდა უკვე.

მერე მისამართი მისცა და, ვითომც არაფერიო, ისე დააყოლა:

– ეცადე, ჰიგიენური ნორმების დაცვით, კარგი?!

– „ბატონო?“ – უნდა ეკითხა, მაგრამ იმდენად გაუხარდა ტუჩის ამრეზის გარეშე გადაწყვეტილი თავისი საქმე, რომ ახლა ის მოჰყვა დედა-დეიდის სამადლობელ სიტყვებს და: მადლობაო, დიდზე დიდი, უღრმესი, უძვირფასესი მადლობაო, და თქვენს მუხლებს ვენაც...

– კარგი, – თქვა მანიამ, – მადლობა მერე იყოს...

მუხიანის დასახლებაში, ერთ კერძო, კეთილმოწყობილ ბინაში დადიოდა გამოძახებით. კვირაში ორ-სამჯერ უწევდა მისვლა. ცოტა ფულიც გაუჩნდა. ქალაქს გაეცნო. თითქოსდა შეაგდო თავის გზაზე ცხოვრებამ, იქნებ არც ისე სახარბიელო გზა იყო და მაინცდამაინც დიდ ბედნიერებას არ პირდებოდა, მაგრამ გაურკვევლობაში დარჩენას ეს ერჩივნა.

ჰო, მაშინ ასე ერჩივნა, მერე კი მანიამ და სახლმა ერთდროულად და ერთბაშად დაიწყეს დაბერება.

მსუქან მეძავს ის დღეც კარგად ახსოვდა.

მანიამ შემოუღო კარი. იმ ტუჩის კუთხეში, ასე რომ აშინებდა აქამდე, ზამთრის ბეღურასავით მოწყენილი ღიმილი აჯდა.

– აღარ ჩანან, – თქვა მანიამ, – სულ დაიკარგნენ, სულ! – და გატრიალდა.

– ვინ, მანია დეიდა? – ძლივს დააწია სიტყვა დაბნეულმა მეძავმა.

მანიას არაფერი უპასუხია. ახლა მან გააკითხა საძინებელ ოთახში. ტელევიზორს მდუმარედ მიცქერილი იხილა. მანიამ თითი გაიშვირა ეკრანისკენ და ისევ თქვა: – სულ დაიკარგნენ, სულ... ნაძირალები დაიკარგნენ...

მეძავს მოეჩვენა, რომ ბინის პატრონი სახელდახელოდ გაგიჟდა. შეეშინდა, აქედან გაქცევის სურვილმა შეიპყრო, მაგრამ მანიამ მალე მოიბრუნა სული, ტელევიზორი გამორთო და ძალიან საქმიანად მიმართა მეძავს:

– მოდი, ფოტოები გამაკვრევინე კედელზე.

ულვაშგადაგრეხილი ოფიცრის გვერდით სკამზე ჩამომსხდარი, კალთაზე ხელებდაწყობილი მღვდლები, მხრებზე დაფუშფუშებულკოფთიანი ქალბატონები, ბლანჟიანი სამოქალაქო პირები, ჩიხტიკოპიანი ქალი და ჩოხიანი ბატონები განლაგდნენ. შეყვითლებული ფოტოებიდან წარსულის პატარა კუნძული მოიქარგა მანიას საწოლის მოპირდაპირე კედელზე.

ტელევიზორის ნაცვლად ახლა ეს კედელი დაიჩემა ბინის პატრონმა. ჩამოჯდებოდა ხოლმე საწოლზე, პირს მიიქცევდა კედლისკენ და საათობით უცქერდა ფოტოებს.

დაიკარგნენ ეგზომ შეწუხებული, მანიაზე სასოებით მაცქერალი მთხოვნელები, დავიწყებას მიეცა ფერ-უმარულისა და ფრანგული სუნამოს სურნელი. ვარდისფერი კაფელი დაიბზარა, ალაგ-ალაგ კი დატყდა და ჩამოცვივდა. დღითი დღე საგრძნობი ხდებოდა ნესტის ქოთი, გამოჩნდნენ პირველი მდგმურები, ვისაც მანია თითო შაურზე და თითო გადაცდენილ დღეზე ეკაპასებოდა. მერე ესეც დაიზარა და მიჰყვა დღეთა მოსაწყენ დინებას, სახლიც და მანიაც საბრალობლად აჭრიალდნენ, ხოლო ბინის პატრონის ცვილისფერ სახეს შემზარავ ბუჩქებად, აქა-იქ დაასხდა თეთრი წვერი; სულ მუდამ ერთი, საშინაო ხალათით გამოილანდებოდა ხოლმე დერეფანში, თვეში ერთხელ კი ჩაჟანგებულ, ან უკვე ჩაყვითლებულკაფელიან აბაზანაში გაიყოლიებდა მეძავს და თავს აბანინებდა.

რამდენიმე მომკითხავიღა შერჩა: ხანშიშესული ქალბატონი, რომელიც სანახევროდ ქართულად, სანახევროდ კი რუსულად ლაპარაკობდა; სოფლური იერის სხვა ქალი, ვინც ბიცოლათი მიმართავდა მანიას და ორმოცი-ორმოცდახუთი წლის ვინმე ბიჭოლა.

მეტისმეტად გაქათქათებული მამაკაცი იყო ეს ბიჭოლა. შემელოტებული თავიც კი სხვაგვარად ულაპლაპებდა. იფიქრებდი, ვიღაც დასდევს მალულად და ჯიბის სარკით დაჭერილ მზის სხივს მისი შევარდისფერებული შუბლისკენ მართავსო. დაკვირვებული, ცოცხალი თვალები და ზომიერად კეხიანი ცხვირი ჰქონდა, მხიარული ფერებით მორთულ შარფს ინასკვავდა კოხტად, ხანაც ჰალსტუხითა და მუქი ლურჯი, აკადემიური კოსტიუმით შემოირბენდა მოხუცთან. მეძავმა შეამჩნია, რომ მანიას დანახვისთანავე ბიჭოლა ხელების ფშვნეტას მოჰყვებოდა ხოლმე და, როგორც წესი, რაღაც სახუმაროს შესძახებდა მჟღერი, ხალისიანი ხმით:

– დღეს ყოჩაღად გამოიყურები, მამიდა, გათხოვებას ხომ არ აპირებ, ჰა?! – და გაიცინებდა კიდეც, მიმოიხედავდა თანაც, ხოლო, თუ ვინმეს შენიშნავდა ახლომახლო, თვალს ჩაუკრავდა უეჭველად, რამეთუ ვიხუმროთო, სხვა რა შეგვრჩებაო, აბაო...

ამ ხნის განმავლობაში კარგად გაიცნო მანია, იმასაც ატყობდა, რომ მოხუცს არაფრად ეპიტნავებოდა ბიჭოლას უკბილო ხუმრობა, მაგრამ ხმამაღლა არ გამოხატავდა უკმაყოფილებას – ალბათ, ასე უფრო საცოდავი და მიხრწნილი გამოჩნდებოდა და ამიტომაც. მიუხედავად ფიზიკური სიძაბუნისა, მანიას ჯერ კიდევ შერჩენოდა ჭკუა-გონება.

სიტყვა „ფასეულობებმა“ მიაქცევინა ყურადღება ტელევიზორისკენ. კვლავ ხელოვანი თეფო ლაპარაკობდა. სხვა არხზე არ გადაურთავს, პულტს დააჭირა თითი, ტელევიზორი გამორთო.

ერთჯერადი ცხვირსახოცის გახსნილი პაკეტიდან ტკბილი სუნი მოდიოდა, ნესტოებში უძვრებოდა, იქიდან აღწევდა ყელამდე, კაკაოს ბურთულას ლორწოვან გარსად ეკვროდა და მსუბუქი გულისრევის შეგრძნებას უტოვებდა.

რაღაც ვერ იყო რიგზე. ბავშვობიდან გამოიყოლა ტკბილეულის სიყვარული, მაგრამ დღეს პირველად არ ესიამოვნა კაკაო. გუმანიც არ შეხმიანებია დილას და, რაც მთავარია, ჩიტი, მკვდარი მწყერი თავის ფეხებთან.

იქნებ ნიშანი იყო რამ, ან იქნებ უბრალოდ დაემთხვა, რომ შუა ქალაქში, იაფფასიანი მეძავების ბირჟასთან დაეცა მკვდარი ჩიტი და დაეცა სწორედ მაშინ, როცა ის იდგა ორ ჭადარს შორის, ასეა თუ ისე, უჩვეულო მოვლენა თავს ახსენებდა და შფოთს უსახლებდა სხეულში.

გრაფინს მისწვდა, წყალი ჩამოისხა, მოსვა, ჭიქა მაგიდაზე დადგა, საწოლს გადახედა და: უიმე, უი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეო, – ელდასავით უცაბედად გამოუსხლტა თვალწინ კარგად აღსაქმელი, თუმც მოკლე კადრი; შემდეგ, თითქოს იმის შიშით, მოხელთებული სურათი არსად გამექცესო, იმეორებდა და იმეორებდა: უიმე, უიმე, უიმე, კი, კი, ნამდვილად აქ, ამ ოთახში, სწორედაც ამ საწოლზე ვარ ჩასახული, აქამდე სად ვეგდე, სად ვიყავი, რამ დამაბრმავა და დამაყრუა მე სასიკვდილეო.

ოთახი მოათვალიერა. ერთ მოგონებას მეორე ცვლიდა, მეორეს – მესამე. მკაფიოდ, ცხადად, ზუსტი ინტონაციით ესმოდა წარსულიდან ამოგლეჯილი, ნაწყვეტი ფრაზები: – პლეხანოვის წაკლაო, – უკიოდა ვითომ დედა ვითომ დეიდას. – რატომ პლეხანოვის და არა რომელიმე სხვა უბნის, ესე იგი, აქ ედო ჩემს ნამდვილ დედას ბინა, ჰოდა, რა გასაკვირია, რომ მეც ამ ოთახში ვცხოვრობ, თუ ამას ცხოვრება ქვია, ვცხოვრობ კი არა, მთელი ეს ხანი ჭურში ვიჯექი თურმეო. ისიც გაიხსენა, მანიას რომ კითხა ვითომ დედამ: ესეც აქო? ჰოო – მანიამაც. მშვენიერი ოთახია, რა უჭირსო. რას ნიშნავდა „ესეც აქ?," თუ არა იმას, რომ თავისი ნამდვილი დედა იწვა ამ საწოლზე, ჰოდა, რადგან იწვა, ისიც სავარაუდოა, რომ სწორედ აქ, ამ საწოლში გორაობდა მის ნამდვილ მამასთან.

უცნაურია, აქამდე რატომ არ გასჩენია ეს მარტივი კითხვები, რატომ არ დაინტერესებულა, რა აკავშირებდათ დედა-დეიდას მანიასთან; მოყვარეა ჩვენიო, – დიდის ამბით რომ ქოთქოთებდნენ; – სადაური მოყვრობის წესია ბინის ქირაზე ლაპარაკი და იმის ხაზგასმა, რომ მაინცდამაინც მდგმურად უნდა ეგრძნო თავი. ხელისგულზე ედო ეს კითხვები, კითხვები თავად კითხულობდნენ, ალბათ, რამ გამოაშტერა ეს სულელი, რატომ ვერ გვამჩნევს, რა დავუშავეთო და კრთებოდნენ, ეტყობა, მისი უმეტყველო სახის დანახვისას და ხელისგულზევე ილეოდნენ პატარა, უცაბედი ფიფქებივით, მაგრამ ვერა და ვერა, ვერ მიიპყრეს მისი მზერა ამ დღემდე. ახლა კი მოუხშირა, როგორც ჩანს, წვრილმა, ცერად დახრილმა თოვამ, ერთიმეორეზე ბასრი, ცივი ეკლებივით წამოყარა და წამოყარა ოდესღაც არაფრისმთქმელი, უინტერესო სიტყვები, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები თუ კადრებად დაჭრილი სურათები, რომლებიც ამჟამად ყურადღებას აქცევინებდნენ კი არა, აოგნებდნენ კიდეც თავისი სიუხვითა და სრულიად სხვა, მისთვის აქამდე შეუმჩნეველი ჟღერადობით.

დედა-დეიდას ვეღარაფერს გამორჩებოდა: ვითომ დეიდა თორმეტი წლის წინათ გარდაცვლილიყო სიმსივნით; ორი წლის შემდეგ ვითომ დეიდას ვითომ დედა მიჰყვა.

კუბოში ჩასვენებული ცხედრები ამოსწია მოგონებამ. ყველაფერი უცნაური და გაუგებარი მე რომ უნდა გადამხდეს თავს, მე უბედურსო, – გაიფიქრა მეძავმა, თავიც კი გააქნია, გეგონება, გონებაში ამოტივტივებულ, უსიამოვნო სურათს თავის გაქნევით მოიწყვეტდა.

მართლაც გაუგებარია, რატომ დაუწახნაგდა გარდაცვლილ ვითომ დეიდას სახე და რატომ დაემსგავსა თავის დას; ხოლო ის, ვითომ დედა ანუ, პირიქით, გარდაცვალების შემდეგ უმცროსი ტყუპისცალის ალიკვალი იყო. ანდა, გაუგებარიც არაა, კაცმა რომ თქვას, ვითომობაში აცხოვრეს და თავისი სიკვდილითაც ვითომობა აგრძნობინეს; ანუ, ვითომ დედა ვითომ დეიდას ცხედარი იყო და ვითომ დეიდას ცხედარი ვითომ დედა იყო, ვითომ...

აღარ სურდა მათზე ფიქრი, უეცრად გამომსხლტარ აზრს მოსჭიდებოდა, ყოფითი დეტალების მოხელთებას ლამობდა, რათა მამის სახე გაეცოცხლებინა.

ვერა, ვერ გრძნობდა მამას. გაღიზიანდა, გამზრდელებს შეუკურთხა, მაგრამ შეწუხდა იმწამსვე; იცოდა, არ უნდა ეფიქრა მათზე ცუდად. თუმცა ცუდად თუ კარგად ფიქრში კი არ იყო საქმე; საქმე, საერთოდ, ფიქრში იყო, ისევ და ისევ იმ წარსულში, რომელზეც არასდროს დაფიქრებულა, რომელსაც დათვივით გამოეზამთრა ბუნაგში, უხასიათოდ გაღვიძებოდა, შიმშილით ფერდებჩაცვენილი და გაბოროტებული ერთბაშად დასცხრომოდა თავს.

თვითონ ხომ კარგად მიყოლიესო, – მაინც გადასწვდა დედა-დეიდას, – დიახაც, მიყოლიეს, გემოზე გაერთნენ და თავიც დამამარხინეს, მე კი რა ვქნა, მე საბრალომ; მე, უწარსულომ და უმომავლომ; მე, უბედურ დღეზე გაჩენილმაო.

ერთადერთ საშველად წარსულის ის პატარა ნაგლეჯი ესახებოდა, რომლისთვისაც კუდში ჩაევლო ხელი; აქვე ეგულებოდა, ამ ოთახში, მხოლოდ ესაა, გასაღები გადაემალა ვიღაცას, ფეხსაწმენდის ქვეშ შეეჩურთა ან სულაც ისეთ ადგილას დაედო, სადაც, იქნებ, ყოველდღიურად ხედავდა კიდეც, მაგრამ ვერკი ამჩნევდა, შე ეშმაკო, ეშმაკის ფეხოო, – მიმართა იმ ვიღაცას და დაკვირვებული მზერა მიაბჯინა სარკიან კარადას.

სარკიდან ღაბაბდამდგარი, მხრებდაცურებული, ორმოც წელს მიტანებული, მუცლიანი ქალი უცქერდა. წამოდგა. მუცელი შეიზნიქა. ასე უფრო მაღალი გამოჩნდა.

მამაჩემი იქნებოდა ზორბა კაციო, – გაიფიქრა და გაუხარდა, რომ მამამისი სწორედაც ზორბა კაცად წარმოიდგინა. როხროხებდა, ალბათ, როგორც ზორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებს სჩვევიათ, უამრავ საჭმელ-სასმელს ნთქავდა, დანაყრებული კი ხელს იტყაპუნებდა მუცელზეო, – გაიფიქრა ისევ და ძალაუნებურად გაეღიმა. სარკემაც უმალ აირეკლა ღიმილი. მოეწონა თავისი თავი. ბედნიერი და უზრუნველი ქალი უცქერდა სარკიდან, თანაც მამასავით მაღალი და მსუქანი, – ზორბა, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ.

სარკეს თვალი აარიდა, საწოლს მიაცქერდა, მერე მიუახლოვდა, ბალიში წამოსწია, ვერაფერი ნახა (ან რა უნდა ენახა), ახლა ლეიბის კუთხე შეკეცა, გაასწორა, საწოლზე ჩამოჯდა, ბალიშს მიეყრდნო ზურგით და გაირინდა: აქ მამაჩემი წოლილა, აქ მამაჩემი წოლილა და წოლილა და წოლილაო, – ერთი და იგივე აზრი ატრიალა გონებაში, სანამ წარმოსახვა არ გაიღიზიანა: – კი, უეჭველად აქ იწვა მამა, აქ ბურხლაობდა დედასთან, იმ ამბის მერე კი, ნასიამოვნები და დაღლილი დაიძინებდა; ის მამაძაღლი, ის წუწკი, ისა, ის მუსუსი და მექალთანე, ის გაუმაძღარი სიყვარულის საქმეში და ზორბა, ბანჯგვლიანი თანაც და საყვარლად სასაცილოო... რომ გაიღვიძებდა, დედა სუფრას გაუწყობდა, ისიც მიდგებოდა და მუსრს გაავლებდა ხორაგს. კარგად რომ დანაყრდებოდა, დედას მწარედ ჩამოჰკრავდა ტრაკზე ხელს, გადაიროხროხებდა და წასასვლელად აიკრიფებოდა; დედა შეეწიკვინებოდა ქალურად: – დარჩი ბარემ, ჩემთან დარჩი, სადღა მიდიხარო, მაგრამ მამას თავისი საქმეები ექნებოდა, ამიტომაც იუარებდა, განზე გასწევდა დედაჩემს და კარადის სარკეში ქოჩორს გაისწორებდაო.

სავაივიშო კი არა, იქნებ ყველაზე დიადი დღე გაუთენდა მსუქან მეძავს. ხედავდა ამ გოლიათური აღნაგობის, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილო კაცს, ესმოდა მისი როხროხა ლაპარაკი და სიცილი; ისიც ესმოდა, როგორ ჭრიალებდა იატაკი მის ფეხქვეშ. არა, სავაივიშო მართლაც არაფერი ჰქონდა, უიმე, უიმეო, – ერთი ამბავი რომ დააწია თავს. ბოლოს და ბოლოს მის გონებაშიც უნდა გაჩენილიყო კითხვები, მის არსებაში კი კითხვებზე პასუხის გაცემის სურვილი, ჰოდა, ეს დღეც დადგა, ახლა კითხვებთან და პასუხებთან ერთად უნდა ესწავლა ცხოვრება.

ჩამოიჩოჩა, პირი მაგიდისკენ იცვალა, ლოყა დაადო ბალიშს, თვალები მილულა. მამის სუნი ჭირდებოდა, ის უნდა მოეხელთებინა როგორმე, მაგრამ ყელში გახირული კაკაოს ბურთულა და ერთჯერადი, არომატიზებული ცხვირსახოცის ტუალეტისმაგვარი, მოტკბო სუნი უშლიდა ხელს. თვალი არ გაუხელია, კვლავინდებურად ეღიზიანებდა წარმოსახვას და განუწყვეტლივ იმეორებდა და იმეორებდა: ეგ ზორბა და საყვარლად სასაცილოო, ეგ ზორბა, ეგა, ეგ ზორბა და საყვარლად სასაცილოო...

იმ საწოლზე იწვა, სადაც წარსულმა მიუჩინა ბინა; დიახ, ბინა და არა ადგილი, რადგან ეს საწოლი-სახლიც იყო მისთვის და თავშესაფარიც, აქ უნდა მოეძია, თუ რამის მოძიებას აპირებდა; ის კი აპირებდა, მეტიც, ეძებდა უკვე. თვალები მიელულა და ჰაერიდან ცდილობდა მის დაბადებამდე მომხდარის შესუნთქვასა და თავისად ქცევას. არა, ვერა, ზედმეტად ნაცნობი სუნი ჩამდგარიყო ოთახში, ამიტომაც სხვა მამაკაცებს უხმობდა ფიქრში, ვისაც უსიყვარულოდ ეფერებოდა და ვისთანაც დასწავლილად თამაშობდა ორგაზმს; იქნებ რომელიმეს მაინც ჰქონდა ის, რაც ასე მახლობელსა და გასაგებს გახდიდა მამას.

ვერც ამ ხერხმა გასჭრა; პირიქით, უფრო დააშორა მამის სახეს. და აი, მოულოდნელად გაახსენდა, რომ ფიჭვის ხის პატარა, წვერწამახული ნაფოტი გამოიყოლა ერთხელ ხევიდან. არ ახსოვდა და არც იყო მნიშვნელოვანი, ვის მოემსახურა იმ დღეს ხევში. მიწაზე დაგდებული ნაფოტი შენიშნა, ანგარიშმიუცემლად წაატანა ხელი და შინამდე გამოიყოლა. სადღაც მიაგდო, აქვე! სად? სად?! ჰო, კარადაში, მგონი; ჰო, ჰო, ნამდვილად კარადაში.

წამოდგა. კარადა გამოაღო. ჩემოდანი გამოსწია. მერე ზედა თაროზე მოაფათურა ხელი. კი. აქ იყო.

მეძავი გამოტრიალდა. ჯერ ცერა თითი აუსვა ნაფოტს, შემდეგ ორივე ხელით მიიკრა ცხვირთან. გაყუჩდა, რამდენჯერმე ღრმად შეისუნთქა ფიჭვის სურნელი, კარგი იყო, ძალიან კარგი, თავბრუსხვევამდე კარგი იყო. მაინც უშლიდა ხელს რაღაც. სინედლე. ჰო, სინედლე. მართალია, გარედან შემხმარიყო ნაფოტი, მაგრამ სადღაც, მისი წიაღიდან სინედლე იგრძნობოდა და ეს ხელს უშლიდა. ასანთს გაჰკრა, ოდნავ დააცერავა ნაფოტი, წამახულ წვერს შეუნთო ცეცხლი. წვერი შეიმურა, ცეცხლი მოიკიდა და შავი კვამლი გაუშვა. კვამლის თბილი, სასიამოვნო სუნი მისწვდა ნესტოებს. სული შეუბერა, ცეცხლი ჩააქრო, სკამზე ჩამოჯდა, თავისთავად მიენაბა თვალები. სწორედ ამისკენ ილტვოდა, – მამის სუნი. ახლა ბოლომდე გრძნობდა მას; ხედავდა, ესმოდა და ისიც იცოდა, რა სუნი ასდიოდა.

„13 ოქტომბერია“, – გაიფიქრა მეძავმა, თითქოს გარდაცვლილი მამის წლისთავი მოიგონა ან საკუთარი დაბადების დღე გაახსენდაო.

ისევ მისწვდა ასანთის კოლოფს. იგივე მოიმოქმედა, ოღონდ მეტი დაგემოვნებით ირჯებოდა ახლა; დაახლოებით ისე, როგორც ნარკომანი ამზადებს წამალს, – ნელა, საქმის სიყვარულით, დისციპლინირებულად. რამდენჯერმე გაიტარა ცხვირთან აალებული ნაფოტი, ჯიბრი მოაწვა შიგნიდან და ვიღაცას დაემუქრა კიდეც: ახლა შვილსაც ვიყოლიებ, ნახე თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაო; ვის ეჯიბრებოდა თუ ემუქრებოდა, ან როგორ აპირებდა ამ უიმედო საქმის აღსრულებას, ამაზე არ უფიქრია. უეცრად წვეული შეგრძნებებით იყო დარეტიანებული, ჭკუა არც მოეკითხებოდა ალბათ. შეეძლო, ამწამსვე მისულიყო მანიასთან და ზუსტად, ყველა დეტალის ცოდნით აღეწერა მამა. დიახაც, მივიდოდა და პირდაპირ ეტყოდა: მამაჩემი ზორბა კაცი იყო, კარგი მადა ჰქონდა, გამაძღარი და ნასიამოვნები დედაჩემს მწარედ ჩამოჰკრავდა ხოლმე ტრაკზე ხელს, გულიანად გადაიროხროხებდა და თანაც მამას დამწვარი ფიჭვის სუნი ასდიოდაო. – შენ საიდან იცი, ამაზე ხომ არასდროს გვილაპარაკიაო, – გაოგნდებოდა, ალბათ, მანია. ეს კი არაფერს უპასუხებდა, ეგეც შენ, შე მიხრწნილო, ნაჩათლახარო „მამაშაო," – ეტყოდა გულში და უხმოდ გაეცლებოდა, დაე, მანიას ემტვრია მერე თავი.

თუმცა ბაქიბუქობდა. მეტისმეტად იოლად ლანძღავდა მანიას. მიუხედავად იმისა, რომ ახლა აბანავებდა კიდეც მოხუცს, რაც, გარკვეულწილად, შინაური თუ არა, ყოველ შემთხვევაში, უფრო უშუალო ურთიერთობის დამყარებისკენ უბიძგებდა თითქოს, მაინც გამოიყოლა ამ ქალის რიდი. ან, იქნებ, რიდი და გაუცნობიერებელი შიში რომ ჰქონდა მისი, ამიტომაც ლანძღავდა ასე მწარედ; ამიტომაც უჩნდებოდა დაუოკებელი სურვილი, რომ სწორედ იქ, იმ ტუჩის კუთხეში, სადაც ადრე სომბრეროიანი ზღვისპირელი ფოტოგრაფის მხარზე შემოსკუპებული მაიმუნივით შეჩვეულად და მოყუჩებულად დაისვამდა ხოლმე მანია ამრეზას, გაოგნების გამომხატველი რამ შეემჩნია; ის გაოგნებულიყო, ის, მანია, და, რაც მთავარია, მეძავის საქციელს, მიხვედრილობასა თუ პიროვნებას გაეოგნებინა.

ახლაღა შეამჩნია, რომ ბოლთას სცემდა ოთახში და მოხუცთან შესასვლელ საბაბს ეძებდა. შევალ, მოვიკითხავ, მერე სასხვათაშორისოდ ჩამოვუგდებ დედაჩემზე, სიტყვას, ვნახოთ, რას მეტყვის და იმის მიხედვით ავაწყობ საუბარსო, – გადაწყვიტა.

დერეფანში შეყოვნდა; ავიწყდებოდა რაღაც, უმთავრესად მნიშვნელოვანი ავიწყდებოდა და ამას გრძნობდა: „აა, ჰო, მამაჩემის სახელის კითხვა არ დამავიწყდეს," – გაიხსენა მეძავმა, გაუხარდა და, ეტყობა, ამანაც იმოქმედა, რომ კარის შეღებისას მისი ხმა ბუნებრივად და უშუალოდ ჟღერდა:

– მანია დეიდა, მე ვარ!

ექიმბაშების შინაურ წამლებს მიეჩვია მოხუცი, მათ შორის ძვლების გასამაგრებელ წამალსაც ხმარობდა, რომელიც მოტკბოდ ყარდა. ეტყობა, ახლახან წაესვა ნატკენ კოჭთან, ამიტომაც იდგა ოთახში მძიმე სუნი.

მანია საწოლის შუაში, პროსპექტისკენ გამავალი ფანჯრის პირისპირ იჯდა. სანახევროდ მოკეტილი დარაბები ოთახს ორად ჰყოფდა; შუაში, სადაც მანიას გამხდარ ზურგს ხედავდა მეძავი, სინათლის ზოლი იჭრებოდა ქუჩიდან, ოთახის მარჯვენა და მარცხენა კუთხეებში კი საღამოს ბინდი ჩამომდგარიყო.

ქალმა ოდნავ მოატრიალა თავი:

– ჰო! – ხმაში ხრინწი გარეოდა მოხუცს.

– ხომ კარგად ხარ, მანია დეიდა? – კარი მიიხურა მეძავმა.

მანიამ ისევ ფანჯრისკენ იბრუნა პირი:

– კი, – თქვა შემდეგ.

მეძავმა ოთახი გამოიარა, მარცხენა მხრიდან მიუახლოვდა მანიას; თვითონ ბინდში ჩაკარგულიყო, აქედან უცქერდა მოხუცის განათებულ, ცვილისფერ პროფილს. საულვაშის ოდნავ ქვემოთ, ნიკაპთან ახლოს კარგად ჩანდა ბუჩქადწამოზრდილი, თეთრი წვერის რამდენიმე ღერი.

– გინდოდა რამე? – გამოხედა მანიამ.

დაიძაბა. არ ელოდა ასე პირდაპირ დასმულ შეკითხვას. ღრმად ჩამჯდარი ფოსოებიდან მისკენ მომართული თვალების მოჩერებაც აწუხებდა:

– მე არა, არაფერი, – თქვა მეძავმა, – მოვიკითხავ-მეთქი, შენ ხომ არ გჭირდება რამე? – ახლა უცხოდ, ყალბად ჟღერდა მეძავის ხმა, ამას თვითონაც ხვდებოდა.

დუმილი გაჭიანურდა. მანია დიდხანს, დაკვირვებით უცქერდა.

– არა, – თქვა ბოლოს მანიამ, – არაფერი მინდა.

„რატომ არ შემომიპატიჟებს, რატომ, რატომ?!" – რაღაც აკივლდა მეძავის ტვინში. ხომ უსაუბრიათ აქამდე; რაღაც სისულელეზე, არაფერზე, სასხვათაშორისოზე ხომ ულაპარაკიათ ეს ოხერი და რაღა დღეს ჩაიგუბა მანიამ პირში წყალი, რაღა დღეს ირიდებდა თავიდან მოხუცი.

– კარგი, აბა, – თქვა მეძავმა, – წავალ მე.

– გმადლობთ მოკითხვისთვის, – თქვა მანიამ და ფანჯრისკენ იბრუნა პირი.

არაფერი რჩებოდა გატრიალების და აქედან გასვლის გარდა, მაგრამ იცოდა, ჰო, იცოდა, რომ, თუკი რაიმე ამბავს არ გაიტანდა მანიასგან, გული გაუსკდებოდა, ალბათ, თავის ოთახში, ამიტომაც მოუქნელად, გაუაზრებლად, სულელურად ამოთქვა, რასაც რამდენიმე წუთის წინ სხაპასხუპით იმეორებდა გონებაში:

– მამაჩემი ზორბა კაცი იყო, ჭამა-სმა და ქალები უყვარდა თურმე და მამას დამწვარი ფიჭვის სურნელი ასდიოდაო, – და მიხვდა იმწამსვე, რა სასაცილო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უგერგილო ჩანდა ახლა და თავის მართლებასავით დააყოლა: – მე ვიცი...

ისე უცებ, დაზეპირებულად ჩაარაკრაკა ეს სიტყვები, მანიასთვის არც შეუხედავს, ახლა ყველაზე მძიმე წუთი ელოდა, ახლა მანიას უნდა ელაპარაკა, მას მოესმინა და მოხუცის ღრმა ფოსოებიდან მზირალი თვალების მოჩერება აეტანა.

მანია დიდხანს, ძალიან დიდხანს არ გატოკებულა. ვერ გაუძლებდა მოლოდინს, ამიტომაც მოხუცის ბუჩქად დამჯდარ თეთრ წვერს ჩაებღაუჭა მზერით და ძველისძველი შიში ჩირქოვანი მუწუკივით გაუსკდა ტვინში: „ოღონდ ტუჩი არ აიმრიზოს, ოღონდ ტუჩი არ აიმრიზოს, ოღონდ ტუჩი...“

მძიმე დუმილი გახანგრძლივდა, მაგრამ, როცა მოხუცმა კვლავ იბრუნა მისკენ პირი, მეძავი მიხვდა, რომ ახლა მანია ალაპარაკდებოდა და ასე ნაფერებ, ნალოლიავებ ხუხულას თვალსა და ხელს შუა დაუნგრევდა მისი სიმართლე.

მკვეთრად გაიწია, ხელისგული ააფარა პირზე მოხუცს და მუდარა გაურია ხმაში:

– ჩუ, ჩუ, მანია დეიდა, ვიცი, ჩუ! – თქვა მეძავმა, მაგრამ მანიას თვალები მოსჩერებოდნენ ღრმა ფოსოებიდან და ისინი ელაპარაკებოდნენ როგორღაც ცივად და უშეღავათოდ და ეს ძნელი იყო და ამიტომაც მეტად ააკრა ცხვირ-პირზე ხელი და ისევ გაუმეორა: – ჩუ, ჩუ!

მანიას ქვედა ლაშიდან ულონო სისველე ედებოდა ხელისგულზე, ნიკაპთან ბუჩქადშეზრდილ წვერსაც გრძნობდა და ეს აღიზიანებდა, ახლა შეგნებულად არ აძლევდა სუნთქვის საშუალებას. მანიამ ბელურას კლანჭებივით მსუბუქი ხელებით სცადა თავის დაღწევა. არა, ვერა. გაცილებით ღონიერი იყო. მოხუცმა ფეხი შეატოკა და გაყუჩდა, არა, ჯერ არა, ჯერ არა და აი, მიხვდა, იგრძნო, ჰო, ზუსტად იგრძნო, რომ სწორედ ახლა ამოუვიდა მოხუცს სული. ნელა, ძალიან ნელა, მზრუნველი ძიძასავით გადააწვინა ლოგინზე და ოთახში გამეფებულ სიჩუმეს მიაყურადა ერთხანს. მხოლოდ საკუთარი, ნერვული და სწრაფი გულისცემა ესმოდა. მერე უცნაური ფიქრი გაუჩნდა, – თუკი ბნელ ოთახში ნახავენ მანიას, ასე უფრო დაიჯერებენ, ბუნებრივი სიკვდილით რომ გარდაიცვალაო.

ასევე მზრუნველად, ჩუმად მიხურა დარაბები.

ოთახი ფეხაკრეფით გაიარა. კართან შეყოვნდა. დერეფნიდან ხმაური არ ატანდა. მეძავმა ოთახს გამოხედა, მანიას ცხედარი სიბნელეში ჩაძირულიყო. კარი გამოაღო, ოთახიდან გავიდა და შუა დერეფანშიღა მიხვდა, რომ აქაც ფეხაკრეფით დადიოდა.

•

მანიას სიკვდილი ბევრ რამეს ცვლიდა. ბინას ახალი მეპატრონე გამოუჩნდებოდა; – ის, ბიჭოლა; ან რომელიმე მისთვის უცნობი ნათესავი, ანდა სულაც სახელმწიფო, – ამას არსებითი მნიშვნელობა არც კი ჰქონდა მეძავისთვის; აქედან უნდა აბარგებულიყო, თუმცა გაუჩინარებაც არ ივარგებდა, ალბათ, შესაძლოა, ვიღაცას ეჭვი გასჩენოდა. არა, ჩვეულებრივად უნდა მოქცეულიყო, ისიც არ უნდა დაემალა, რომ მოიკითხა მანია, მაგრამ მერედა რა, რომ მოიკითხა? მოიკითხა და თავის გზას ეწია. მორჩა და დამთავრდა. აქამდე არ შესულა მანიას ოთახში თუ თვეში ერთხელ არ აბანავებდა მოხუცს, ვის რა უნდა გაკვირვებოდა?! – გონება გამალებით მუშაობდა: ვითომც არაფერი, ისე უნდა მოვიქცე: ამ ხნის ქალის სიკვდილს ვინ ჩაუკირკიტდება და, რომც გაკვეთონ, მერე რა?! რა და არც არაფერი, დღე-დღეზე მაინც მოკვდებოდა ის უბედური; მთავარია, ვითომც არაფერი, ისე მოვიქცე და, ვითომც არაფერი, ისე გამიკვირდეს, და ვითომც არაფერი, ისე შევიცხადო და ვიტირო ის ქალი. ბოლოს და ბოლოს, გავძარცვე თუ რაო, ხომ არ გამიძარცვავსო, არა? არაო, არაო. განსაკუთრებით ამ გაძარცვა-არგაძარცვას ახსენებდა ხშირ-ხშირად ფიქრში; გეგონება, ის ამართლებდა, რომ არ გაუძარცვავს მანია და მხოლოდ შემოაკვდა. თუმცა ყველაზე მეტად მომავალი შეცხადება და ტირილი აშინებდა. გამზრდელი დედა-დეიდაც კი ვერ დაიტირა, როგორც წესი და რიგია. ორ თუ სამ მოტირალ ქალს შორის იჯდა გაბუტულივით და ხან ხარჯს ანგარიშობდა, ხანაც ზაფხულის ბუზებივით აშლილ მოგონებებს იგერიებდა თავის გაქნევით.

როგორღაც უნდა გამოეძალა თავისთვის ცრემლი, საჭირო სიტყვები მოეხმო და რაც შეიძლება ბუნებრივი სჩვენებოდა ყველას, მერე კი აიბარგებოდა აქედან და ამ ამბავსაც მიივიწყებდა, ალბათ ოდესმე. ბოლოს და ბოლოს რა ახსოვდა მანიასგან კარგი; მხოლოდ დამცირება, ქიდნნარევი ჩაღიმებით მოცქერილი მისი თვალები ანდა სრული მიუღებლობა, ან... უეცრად გააცნობიერა, რომ მანიას გარდა არავინ ჰყავდა ამ სამყაროში და მარცხენა ხელისგულზე შერჩენილი ულონო ნერწყვი აეწვა. ერთჯერადი ცხვირსახოცის პაკეტს მისწვდა, მრავალგზის გაისტერილურა ის ადგილი. ვერ დაკმაყოფილდა. რაფაზე შემოდებულ სასაპნეს წამოავლო ხელი, შიდა ეზოში ჩავიდა, ჯერ ჩეჩმას მიაკითხა, მოშარდა, რათა რომელიმე მალულად მაცქერალ მეზობელს ეჭვი არ აეღო, მერე კი დიდხანს და გულდასმით იბანდა ხელებს ონკანთან.

ხელისგულების დაყნოსვა უნდოდა აქვე და უმალ, მაგრამ თავი მოთოკა და მხოლოდ ოთახში განმარტოების შემდეგ აისრულა გულის წადილი.

ხელებზე საპნისა და ცივი წყლის სუნი ასდიოდა. ამან ცოტათი დაამშვიდა. გადაწყვიტა, ბირჟას დაბრუნებოდა და იქ დაელაგებინა მომავლის გეგმა. კარი გამოიხურა, გადაკეტა, ამჯერად პროსპექტზე გამავალ კიბეს ჩაუყვა. არავინ შეჩეხებია გზად, ეს კარგად ენიშნა, ისიც ამშვიდებდა, რომ ქუჩას შემოდგომის ნელ-თბილი ათინათები ასხდა კოპლებად და ჯერ კიდევ დღე იყო.

მოედანთან მისული მიხვდა, რომ ბირჟაზე წასვლა სისულელეც იყო და დიდი უზნეობაც, ალბათ; უზნეობა იქვე უარყო, უზნეობა კი არა, უბრალოდ, არ შეეძლო ბირჟაზე ტრიალი ამჟამად, რაც შეეხება შეცდომას, ეს მართლაც საფრთხილო და დასაფიქრებელი ამბავი გახლდათ. რომ მკითხონ, ან შინ მობრუნება რა იყო, ან ოცი წუთის მერე ისევ ბირჟაზე გავარდნა რას ნიშნავდა, რა უნდა ვუპასუხოო? რა და, მომეფსა, ბატონო, ყველაფერს ხომ ვერ გეტყვით, გადასარევია პირდაპირ, რანაირი კითხვების დასმა იციან თქვენს უწყებაშიო, – იქვე გაეპასუხა თავის თავს; ამგვარი პასუხიც სულელურად ეჩვენა, რადგან ნებისმიერმა პოლიციელმა იცოდა, რომ მეძავები და პედერასტები ხევის ბოლოში აგვარებდნენ ამ საქმეს.

„ვიყიდი რამეს," – უცებ იაზრა მეძავმა. მარტივი, მრავალმხრივ მომგებიანი გამოსავალი მოძებნა აშკარად. იმის თქმაც კი შეეძლო, მოვბრუნდი ბირჟიდან, მოვწესრიგდი და საყიდლებზე წასვლის წინ შევუარე მოხუცებულ ქალს, ვინძლო, მასაც სჭირდებოდა რამეო. ჰო, კარგი აზრი დაებადა; მოეჩვენა, რომ ახლად შეძენილი ნივთიც მის სასარგებლოდ ილაპარაკებდა და ყველა ეჭვს გაფანტავდა. ოცდარვა ლარი და რაღაც თეთრები ეგულებოდა ხელჩანთაში, შავი დღისთვის გადანახული ცოტაოდენი ფულიც – პირად ანგარიშზე. მოიფიქრებდა რამეს, აი, ამ მოედანს გადაჭრიდა, ჩაივლიდა გამოკოხტავებულ, ლამაზი მაღაზიებით სავსე ქუჩაზე და იქვე გადააწყდებოდა საჭირო ნივთს. ამ ფიქრმა გაახალისა კიდეც; ახლა სჯეროდა, რომ მანიას ამბავი უმტკივნეულოდ ჩაივლიდა და მერე ახალი ცხოვრება დაიწყებოდა; ცხოვრება მანიასა და ამ ძველი, ნესტით გამომპალი სახლის გარეშე. საინტერესოც კი იყო, ღმერთმანი!

იშვიათად უწევდა პროსპექტის იმ მხარეს ყოფნა, სადაც ხარაჩოები აეზიდათ. ერიდებოდა და უფრთხოდა ქუჩის ამ ნაწილს, მაგრამ ახლა მოგზაურობისწინა, სასიამოვნო მოლოდინის შეგრძნება გაუჩნდა. იმით გულმოცემულს, რომ ყველაფერი ჭკვიანურად მოიფიქრა და დაალაგა, აღარაფერი ეჩვენებოდა შეფუდლებლად და მიუღწევლად. მეტიც, თითქოს ბედისწერამ აიძულა, საბოლოოდ ჩამოსცილებოდა ძველს და ახლისკენ აეღო გეზი. აიღო კიდეც; მოედანი აჩქარებული ნაბიჯით გადაჭრა და ერთბაშად ჩაყვინთა ხალასი ფერებით, საღებავის სუნით, მანქანების მოუთმენელი პიპინითა და მოქმედების ჟინით დამუხტულ სამყაროში. აქ ან უკვე გადაეღებათ სახლები, ანდა ახლა ეშურებოდნენ ლურჯად თუ წითლად თუ კრემისფრად გადაღებვას; აქ ხარაჩოები აეზიდათ და აზიდულ ხარაჩოებს ყოჩაღი მუშები შესეოდნენ; აქ ვაჭრობდნენ, აშენებდნენ ანდა ანგრევდნენ, რათა ხელახლა აეშენებინათ. აქ სიცოცხლის სუნი ტრიალებდა და არა ჭაობის. აქ ჭაობს აშრობდნენ, მოკლედ რომ ვთქვათ, და დამშრალ ჭაობზე, ორ-სამსართულიან, ულამაზეს სახლებს ეზიდებოდნენ საიდანღაც, დიახ, ეზიდებოდნენ, ალბათ, რადგან შეუძლებელია, ეს სახლები იგივე შენობები ყოფილიყო, რომლებიც ადრე ახსოვდა. არა, უკვე სხვა ქალაქში ამოეყვინთა, სხვაგვარად მოკოხტავებულ, დავარცხნილ სამყაროში და სწორედ ეს სჭირდებოდა ახლა.

გრძელცხვირა კაცს ღილი სხვა გასაყრელში გაეჩურთა და ამიტომაც ლაბადის ცალი კალთა უფრო ჩამოგრძელებოდა. კეფაზე შერჩენილი, გაზინთული თმა აწეულ საყელოზე გადმოსცდენოდა აქა-იქ; ქუდი გაეწვდინა, არც ქუდს ჩასცქეროდა, არც ამვლელ-ჩამვლელს აქცევდა ყურადღებას, მზერა ერთ წერტილში გაქვავებოდა.

„იქიდან აქ შემოხეტებული," – გული მოუვიდა მეძავს მათხოვარზე. მგონი, ეჭვიანობდა უკვე აქაურობაზე; თუ არადა, გულშემატკივრობდა ამ ქუჩას, აღარ ემეტებოდა მათხოვრებისთვის, ვისაც დაუფიქრებლად უვლიდა გვერდს მანიას სახლთან. ამასაც გასცდა, მაგრამ შემოტრიალდა ისევ, მათხოვარს ოცთეთრიანი ჩაუგდო ქუდში და თავისი საქციელი მოეწონა.

მათხოვარმა წირპლიანი თვალებით გამოხედა და უმისამართოდ ჩაილაპარაკა" – „მადლობა". რაღაცა ეცნო. ცუდად ეცნო. ყვითელი წირპლი და ეს გამოლენჩებული თვალები ეცნო. გამოტრიალდა, მათხოვარი ფიქრიდან განდევნა, სახლების ცქერით გაირთო თავი. ხარაჩოზე შემდგარი მუშა თოკზე მობმულ ვედროს ექაჩებოდა თავისკენ. ვედრო რომ ამოყირავდეს, ამ ხალხს არ გადაესხმევა თავზეო, – გულში გაეღიმა მეძავს.

არაფერი საინტერესო, მუშამ ვედრო ამოზიდა და თავის საქმეს მიუბრუნდა. მეძავმა გზა გააგრძელა, მცირე მანძილი გაიარა და რკინიგზელთა სახლთან მოწყობილ ღია კაფესთან შეჩერდა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშტარი აღარ ეტანებოდა ქუჩაში გამოდგმულ, ლამაზქოლგიან მაგიდებს. ოთხი მაგიდიდან მხოლოდ ერთთან იჯდა ფერფლისფერკოსტიუმიანი, შუახნის მამაკაცი; თუმცა კარგი დარები დაიჭირა ოქტომბრის თვეში და ალბათ ამიტომაც არ ჩქარობდნენ მაგიდების აშლას.

დახლს მიუახლოვდა. უსახელო, შავ ქურთუკზე ლითონის ოქროსფერი ფირფიტა დაემაგრებინა დაბალ გოგონას, ოქროსფერი მილიდან ასხამდა მაღალ კათხაში ლუდს.

– დაბრძანდით, მე თვითონ მოვალ! – კეთილგანწყობილი ღიმილით მიმართა გოგონამ.

– დიახ... – უცებ ძალიან მოუნდა, ყოფილიყო ხაზგასმულად ზრდილობიანი და კიდევ რაღაცნაირი მოუნდა ყოფილიყო; თუნდაც ისეთი, ეს დაბალი გოგონა რომ იყო, – დაკვირვებული და კეთილგანწყობილი, მაღალ შუბლზე გადაწეული თმით, მკერდზე კი ორდენივით თვალშისაცემი ოქროსფერი ფირფიტით და ყოფილიყო თუნდაც დაბალი, მაგრამ ამ გოგოსავით ახალგაზრდა და ყოჩაღი და ემუშავა აქ, და მუშტრებისთვის ღიმილით მიემართა: – „დაბრძანდით, მე თვითონ მოვალ“.

გოგონა ფერფლისფერკოსტიუმიანს მიუახლოვდა, სავსე კათხა მუყაოს მრგვალ ნაჭერზე დაუდგა, გაუღიმა და მისკენ გამოემართა.

– რას მიირთმევთ?

– თქვენ რას შემომთავაზებთ? – აშკარად თამაშობდა, რომელილაც ფილმიდან თუ სერიალიდან ნაცნობ ქალს იმეორებდა, მაგრამ გოგოს არც გაკვირვება გამოუხატავს, არც დაცინვისმაგვარი რამ შეუმჩნევია მის სახეზე, პირიქით, კვლავინდებურად კეთილგანწყობილი ჩანდა, უღიმოდა:

– გამაგრილებელი სასმელები გვაქვს, ყავა, ლუდი!

– ყავა! – თქვა მეძავმა, ტკბილი კაკაო გაახსენდა და უცებ დაამატა, – თუ შეიძლება, ნაკლებშაქრიანი.

– დიახ, რა თქმა უნდა, – თქვა გოგომ და გაეცალა.

რატომ არ მოდიოდა აქ, რატომ გამოიკეტა მანიას ნესტიან ბინაში თავი, – ბირჟა, მანია, ხევი, საუნა, მანია, ბირჟა, საუნა, ხევი, ნესტი, მანია, ბინა, ოთახი, ნესტი, ბირჟა, ხევი, მანია... ერთ წრეზე, ერთ წრეზე, მუდამ ერთ წრეზე ტრიალი; აქ კი, სკამზე დამჯდარიც მოგზაურობდა თითქოს, რადგან მის ირგვლივ სიცოცხლე დუღდა და გადმოდუღდა. „განახლება ხარაჩოების დადგმით იწყება თურმე“, – იფიქრა მეძავმა; მერე მუშები შეესევიან ხარაჩოებს, ძველ ბათქაშს ჩამოფხეკენ, ახლიდან გადაღებავენ შენობას, – კრემისფრად თუ ლურჯად თუ ყვითლად და თვალსა და ხელს შუა აღმოაჩენ, რომ აქაურობა ბავშვის ხელით დახატულ ქალაქს დაემსგავსა, სადაც ძალიან გინდა იცხოვრო.

– ისა, გენაცვალე! – ფერფლისფერკოსტიუმიანი მეძავთან მომავალი გოგოსკენ იშვერდა ხელს. კარტოფილივით შესიებოდა ცხვირი, თვალები ჩასწითლებოდა – ერთიც, რა!.. – კათხაზე მიაკაკუნა თითი და დარდიანი ნაფაზი დაარტყა.

– დიახ, ახლავე! – უპასუხა გოგომ და მეძავის მაგიდაზე ჩამოდგა ფინჯანი.

– გმადლობთ, – თქვა მეძავმა.

– რას ბრძანებთ, – მიუგო გოგომ, შემდეგ დახლისკენ გაემართა.

ჩასისხლიანებულ თვალებს გადააწყდა, მზერა აარიდა. იცნობდა ამ ტიპის კაცებს; როგორც წესი, მათ მამაკაცური პრობლემები ჰქონდათ, ამიტომაც დიდხანს უწევდა ჯახირი. ისინი ერთ დროს ნაცხოვრები კაცები იყვნენ და ძალზე ხშირად იხსენებდნენ წარსულ დროსტარებას. აწმყოში აღარც ჯანი მოსდევდათ, აღარც ფული, მაგრამ მათხოვრებადაც არ ქცეულიყვნენ; სადღაც კიდევ სულდგმულობდნენ, ან სამარშრუტო ტაქსების დისპეტჩერად, ან საკუთარ მანქანას აქირავებდნენ ტაქსად თუ რამდენიმე ტაქსად, ან პატარა სასურსათო მაღაზია ეჭირათ, სადაც მათი მეუღლე ვაჭრობდა, შვილი კი მომმარაგებელი იყო, ან გარეუბნის რომელიმე ავტოსარემონტოში ჰქონდათ წილი, ან რაღაც ამის მსგავსი. ისინი თითქოს იმიტომ ცხოვრობდნენ, რომ ვიღაცასთან სასხვათაშორისოდ ეთქვათ: „გუშინ ბიჭებთან შევუბერე, მერე ბოზებში ვიყავით“. ასეთებს ძირითადად იაფფასიან სასტუმროში ან იაფფასიან საუნაში მიყვებოდა. ხევში სხვა მუშტარს ემსახურებოდა მსუქანი მეძავი, – ბიჭბუჭობას ანდა მოხუცებს, რომლებიც ბოლო კაპიკს „ვიაგრაში“ ხარჯავდნენ. ზოგს მაინც არაფერი გამოსდიოდა ამ საქმიდან. ზოგიერთი ტირილამდეც მიდიოდა, იყვნენ აგრესიულებიც, მაგრამ ახლა არ უნდოდა ამაზე ფიქრი, ახლა ტურისტივით სილაღე და უდარდელობა სურდა, თუმცაღა მამაკაცის მზერას გრძნობდა ისევ და ეს ხელს უშლიდა. გახედა ფერფლისფერკოსტიუმიანს. მართლაც უცქერდა. „წადი, შენი!“ – გულში შეუკურთხა მეძავმა. ამჯერად აღარ აურიდებია თვალი. კაცმა იბრუნა პირი. „ესეც შენ!“ – თავისთვის გაეცინა მეძავს. თითქოს გაიმარჯვაო, რწმენა და ძალა ჩაუსახლდა. აქეთ უნდა გადმობარგებულიყო. ახლა კი არა, კარგა ხნის წინ უნდა ეშველა თავისთვის და მანიას სამყაროს გასცლოდა. „მანია, მანია, მანია, მანია“. – უცნაურია, დაუჯერებელი, – მანია თავისი ხელით მოახრჩო და ვითომც არაფერიო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე წამოსკუპდა ღია კაფეში, არცთუ უშაქრო და არცთუ ცხელ ყავას წრუპავს და ამვლელ-ჩამვლელის ცქერით ერთობა. ჰო, ერთობ უცნაური, დაუჯერებელი ამბავი გადახდა თავს, მაგრამ ყველაზე გასაოცარი თავისი თავშეკავება და ნათელი, დაწმენდილი გონება ეჩვენა. გაახსენდა, – უნდა შეეძინა რამე. რა? ღამის ქოთანიო, – რატომღაც პირველად ეს შესთავაზა თავისმა დაწმენდილმა გონებამ. არა, უარყო ეს აზრი, თუკი აქეთ აპირებდა გადმოსვლას, ალბათ ისეთ ბინას შეარჩევდა, სადაც ტუალეტიც იქნებოდა და აბაზანაც. თანაც ეხამუშა ღამის ქოთანი; უფრო სწორად, ის ეხამუშა, რომ შინიდან გასვლის საბაბად ღამის ქოთანი უნდა ეხსენებინა სახალხოდ, ყველა მეზობლისა თუ უცხოს თანდასწრებით. მაშინ ტორშერიო, – უკარნახა გონებამ. რატომ ტორშერი? ალბათ, იმიტომ, რომ მუდამ უნდოდა ტორშერის ყიდვა და ახალი ბინაც ვერ წარმოედგინა ტორშერის გარეშე. არა. არც ეს აზრი ვარგოდა. არავინ უწყის, რა ხარჯს მოითხოვდა გადაბარგება, ფულს უნდა მოფრთხილებოდა, ტორშერისთვის ჯერ არ ეცალა. „რას ვმარჩიელობ," – გაბრაზდა თავის თავზე მეძავი, – მაღაზიებში გავივლი და იქ გამოჩნდება, რაც უნდა ვიყიდოო.

წამოდგა, თვალის კუთხით შენიშნა, რომ მამაკაცმა მალული მზერა გამოაყოლა; ყურადღება არ მიუქცევია. დანახარჯი გაისტუმრა და ქუჩაზე გაბიჯა. ერთხანს თავისუფლად მიდიოდა, მაგრამ ხარაჩოებისგან შევიწროებულ სავალ გზაზე კი გაუჭირდა სიარული. აქ ერთმანეთს ეხლებოდნენ ამვლელ-ჩამვლელნი, ქუჩიდან კი გამუდმებით ისმოდა მანქანების პიპინი, მერე რა, გააღწევდა, აქედანაც იოლად გააღწევდა, სიამოვნებდა კიდეც, რომ მსვლელობისას ძალისხმევის დახარჯვა უწევდა, ქუჩაზე გამეფებული უწყვეტი მოძრაობის ნაწილად გრძნობდა თავს.

ქსოვილების მაღაზიაში შევიდა პირველად. რა უნდოდა ქსოვილების მაღაზიაში, არც არაფერი. იბორიალა ერთხანს. ათვალიერა ქსოვილები. გამოვიდა. იქვე სასურსათო მაღაზია იყო. ახლა იქ შეაბიჯა. სურსათიც არ სჭირდებოდა, თუმცა საყოფაცხოვრებო ნივთების სექციაც აღმოჩნდა მაღაზიაში. ჩაუარა დახლს, ყავის სადუღარას ვიყიდი და მაგის დედაცო... – იფიქრა, გადმოაღებინა კიდეც გამყიდველს თაროზე შემოდგმული სადუღარა, ერთხანს ატრიალა ხელში, ფასიც იკითხა, თუმცა ამაზეც უარი თქვა ბოლოს. სადუღარას ყიდვას ყოველთვის მოასწრებდა. ჰქონდა თანაც სადუღარა, მართალია, უკვე მოძველებული, მაგრამ ჯერ კიდევ ასრულებდა თავის ფუნქციას. სუნი ეცა რაღაცის. სურვილის სუნი იყო. ხორცის. პირი აუწყლიანდა. სუნს მიჰყვა. ნამცხვრებთან ერთად ხორციან ღვეზელებსაც ყიდდნენ, რიგიც პატარა იყო, მაგრამ მეტი ხორცი მოუნდა. თბილი და გემრიელი ხორცი და სიმყუდროვე სადმე. აქ არა. სადმე. სად? დუქანში, რატომაც არა. სალიანკა. ოსტრი. ხინკალი. ხინკალი არა. ცომი მეტია, ვიდრე ხორცი. ქაბაბი. ჰო, ქაბაბი. ცხელი. საწებლით. თხელ ლავაშში გახვეული ქაბაბი. სად? მარჯანიშვილის მეტროს იქით. წავედი!

წავიდა. გამოაღწია მაღაზიიდან, მაგრამ ისევ ხორცის სუნი ეცა. იქვე, მაღაზიასთან შაურმის ღია დუქანი შენიშნა. ახალგაზრდა, თეთრხალათიანი მედუქნე ნელა, ძალიან ნელა უსვამდა ბასრ დანას მილზე შემოტარებულ ხორცს, მილიც ნელა ტრიალებდა, ძალიან ნელა, ხორცს ცხიმი სდიოდა, თანდათან იბუღებოდა ქურიდან და მადისაღმძვრელ სურნელს აფრქვევდა ქუჩაში.

მუშტარი არ ჩანდა, მაგრამ არა, ქაბაბი ირჩია. ქაბაბი და დუქნის სიმყუდროვე.

კარგა ხანს მოჰყვებოდა ცხიმმდინარე შაურმის სურნელი, თუმცა მინელდა მერე ისიც. ყელში გახირული კაკაოს სიტკბო მწარეს, ცხელს და ხორციანს თხოულობდა, გულის კოვზთან შიმშილი ბღუოდა ცაში გამოკიდებული თვითმფრინავივით. ცხელი. ცხელი. ცხელი. ცხელი. წვნიანი. ცხელი. ხრტილი. თანთალა. ხაში. ხაში. ნივრიანი. ფაშვი. ჩლიქზე ათანთალებული ხორცი. ნივრით და მარილით. ხაში. ცხელი. ანდა ხარჩო. ხორცის ნაჭერი ცხელ ხარჩოში. ანდა ქათამი. შებოლილი ქათამი. ფრთა. ბარკალი. თეთრი ხორცი. ტყემალი. არა. შებოლილს არ უხდება. შემწვარს კი. იყოს, იყოს. სად? დუქანი!

სარდაფში ჩაყურყუმალავებული დუქნის ჩასასვლელთან, გრძელ დაფაზე თეთრი ასოებით ეწერა: – ხინკალი, ქაბაბი, მწვადი, ოსტრი, ხაში, ხარჩო. დუქნის კარი ბოქლომით დაკეტილი დაუხვდა. ძალიან ბინძურად შეიგინა გულში. გამოტრიალდა, მარჯანიშვილის მეტროსკენ დაიძრა. „რა სულელი ვარ," – ფიქრობდა, „რა სულელი ვარ, რაც მთავარია, ის დამავიწყდა – მწვადი. მწვადი. მწვადი". შემწვარი ხორცი. ხორცი. შემწვარი. ტალღად დაჭრილი ხახვი. ბროწეული. მარცვლები. ზედ მარცვლები. წითელი. მჟავე. ხორცზე. შემწვარ ხორცზე. სუნი. სუნი. შემწვარი ხორცის სუნი. არა. მეტროსი.

მეტროს შესასვლელთანაც იგრძნობოდა ლაყე კვერცხისა თუ გოგირდის სპეციფიკური სუნი. ან იქნებ შიმშილმა გაუმძაფრა ყნოსვა ნადირივით. მიმოიხედა. კბილის გასაკრავს ეძებდა ახლომახლო, არა, ვერა. ვერაფერს ჰკიდა თვალი, მაგრამ ის შენიშნა, რისთვისაც წამოვიდა პროსპექტის ამ მხარეს; – ცოცხი! ახალი ცოცხი. თუ რამე სჭირდებოდა, ეს ცოცხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჭირდებოდა, რომელიც დაბალ სკამზე ჩამომჯდარ, თავშლიან ქალს რკინის ბოძთან მიეყუდებინა, დაბალ დახლზე კი მწვანილეული გაეშალა. უეცარმა აღმოჩენამ მოძალებული შიმშილის გრძნობაც კი გაუქრო. თუ რამე არ იყო საეჭვო და საჩოთირო ქალისგან, სწორედაც რომ ცოცხის ყიდვა. თანაც, შინ რომელიც ეგულებოდა, უკვე დაძველებულიყო, მაგრამ იმასაც არ გადააგდებდა, სანამ ყველას თვალნათლივ არ დაუმტკიცებდა, რომ ცოცხი დაუძველდა და ახალი ცოცხის საყიდლად წამოვიდა შინიდან. ასე რომ, მანიას ამბისა არაფერი იცის და არც შეიძლება იცოდეს, რადგან, როცა მოხუცებულ ქალს სული ამოსდიოდა, ის ახალ ცოცხს ეძებდა თავისთვის. ჯერ მოზრდილი პარკი შეიძინა ჯიხურში, მერე ქალსაც მიუბრუნდა:

– რა ღირს, „ბაჯი?" – მიმართა ისე, როგორც დიასახლისებისგან გაეგო ბაზარში. „ბაჯიმ" უპასუხა.

– რა ამბავია, – შეიცხადა მეძავმა, – ლამის ხორცის ფასს ადებ!..

„ბაჯიმ" ლარი დაუკლო.

– კარგი, – თქვა, ხელჩანთა გახსნა, ფული მიაწოდა ქალს, ცოცხი ხელზე შემოკვრით მოსინჯა, მოიწონა, მაგრამ ბოძსაც შემოჰკრა და ბოძზე მიწებებულმა განცხადებამ მიიქცია მისი ყურადღება. თეთრ ფურცელზე ხელით გამოეყვანათ დიდი ასოები – ქირავდება ერთოთახიანი ამა და ამ მისამართზე. ქვემოთ ტელეფონის ნომერიც იყო მითითებული. ოცი-ოცდაათი ნაბიჯის გადადგმა თუ მოუწევდა. კეთილ ნიშნად მიიღო ახალი ცოცხის ყიდვისას აღმოჩენილი განცხადება. გადაწყვიტა, ჯერ ბინა ენახა, შემდეგ კი დამშვიდებულ ვულზე შექცეოდა საჭმელს. ცოცხი შავ პარკში ჩადო ტარით მაღლა. გამოვლილ გზას ჩაუყვა.

„კრემისფერი სახლი – ეს ნომერი", – ნუმერაციასაც და შენობის ფერსაც ერთად აღნიშნავდა ფიქრში მეძავი, – „წითელი სახლი, – ეს ნომერი, ისევ კრემისფერი, ყვითელი, კრემისფერი, ლურჯი, თეთრი..."

მეძავი გახევდა. ღია ვარდისფერ ორსართულიან სახლს პატარა, რკინის ბადით შემოსაზღვრული ეზო ჰქონდა წინ. ეზოში ორი უზურგო, მწვანე სკამი უცქერდა ერთმანეთს. თითო სკამთან თითო ახალი ნერგი ჩაერგოთ. სახლს თეთრი თაღები, თეთრი რაფები და ახალჩასმული ლამაზი ფანჯრები ამშვენებდა. ძალიან კოხტა სახლი იყო, მწვანე მარმარილოს თეთრად დაკოპლილი ფილები ეფინა შესასვლელთან. საახალწლო ნაძვის ხეზე ჩამოკიდებულ სათამაშოს ჰგავდა.

იგრძნო, ახლა ვერ შევიდოდა, მზად არ იყო ჯერ, დამშვიდება სჭირდებოდა. აზრის მოკრება. ერთბაშად ვერ შეაბიჯებდა ოცნებაში, რომელიც თურმე ღია ვარდისფერი ყოფილა, თეთრი რაფებითა და მაღალი, ლამაზი ფანჯრებით, შესასვლელში კი ბნელი, თეთრად დაკოპლილი მარმარილოს ფილები ჰქონია დაგებული. როგორ არ იცოდა აქამდე, რომ მუდამ ასეთ სახლზე ოცნებობდა თურმე. არა. არ იცოდა. ან საიდან უნდა სცოდნოდა უწარსულო და უმომავლო მეძავს, რას ნიშნავს ნამდვილი ოცნება. თუმცა ოცნებაც ფული ღირსო, – იფიქრა და იქვე ისიც იფიქრა: ოცნებაც კი არა, ოცნება ღირს თუ ღირს ფულიო. დაბერებულიყო უკვე, აღარც მუშტარი ჰყავდა, ძირითადად, ბიჭბუჭობა და უფულო მოხუცები მოიკითხავდნენ დროდადრო. საიდან უნდა გადაეხადა ქირა. შეეძლო მობილურზე დაერეკა და ახლავე გაეგო ფასი, მაგრამ დროს წელავდა. ემზადებოდა. სურდა, თავისი თვალით ენახა იქაურობა, დრო თავზე საყრელი ჰქონდა. გაივლიდა ცოტას, დამშვიდდებოდა და მერე მოაკითხავდა ამ კოპწია სახლს. რა გასაკვირია, რომ გული არ მისდიოდა იქით, სადაც მანიას ცხედარი იწყებდა უკვე ხრწნას, სადაც ცხოვრობდნენ „სტაიანშჩიკი" ფრიდონი, ცისფერთვალება დიაკვანი და ის, ონანისტი გარიკა, თქვენობით რომ მიმართავდა მუდამ; სადაც დიდი მერაბა და პატარა მერაბა ცხოვრობდნენ და ქალები, – დიაკვნის შავებით მოსილი ცოლი და ხმაჩახლეჩილი, ჯანიანი მანანა.

რამდენიმე ნაბიჯით ჩასცდა ვარდისფერ სახლს. ანგარიშმიუცემლად მიხეტიალობდა; მაგრამ აქედან იქ არა, აქ უნდა ეხეტიალა, ქალაქის ამ ნაწილში, – ეს მყარად იცოდა.

„ესპანეთში წავალ მომვლელად, ან საბერძნეთში ფორთოხლის საკრეფად, ან ირლანდიაში... რამედ," – იფიქრა მეძავმა. უკვე დარწმუნებული იყო, რომ ცირკთან დგომით ქირის ფულს ვერ შესწვდებოდა. თუმცა, ისიც საკითხავია, თუ ესპანეთში, საბერძნეთში ან ირლანდიაში აპირებდა გამგზავრებას, ეს ვარდისფერი სახლი რაღაში სჭირდებოდა. მაგრამ რომ სჭირდებოდა?! კი. აუცილებლად და სწორედაც ეს სახლი სჭირდებოდა და, ვიღაცას რომ შეეთავაზებინა, მიბრძანდი უცხოეთში და იქიდან აგზავნე ქირის ფულიო, უყოყმანოდ დაეთანხმებოდა, ისე სურდა, მასაც ჰქონოდა ამ სახლში ერთი კუთხე.

ისიც ნიშანდობლივია, რომ თურქეთზე არ გაუფიქრია. ცირკის მეძავებთან ერთად მასაც მოებალახებინა უკვე თურქეთი. პატარა ქალაქის სასტუმროში ეყარნენ. დროს ვეღარ გრძნობდა. დრო კარაქივით გაიდღვიბა იმ სასტუმროში. გადღვებილ კარაქში იხრჩობოდა. გადღვებილი კარაქით ამოგლესილი თვალებიდან ბუნდოვნად არჩევდა, როგორ შემოაბიჯებდნენ ხოლმე სუნიან ნომერში თხაწვერა, ჯოხიანი კაცები, ჯოხს კართან ტოვებდნენ, ხვანჯარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიხსნიდნენ და გადღვებილ კარაქს თავის საწილო გადღვებილ კარაქს დაათესლავდნენ. მერე მიდიოდნენ. მაგრამ სხვები აღებდნენ კარს მათ ნაცვლად. ის კი იქ იწვა, გადღვებილი კარაქის სუნში.

ვითომ რაღაცას გამორჩა თურქეთს, მაგრამ იმის მეოთხედსაც არა, რასაც წარმოსახვა უხატავდა გამგზავრების წინ. რამდენჯერმე ისევ მოუხდა იქით წასვლა, თუმცა ხანგრძლივი დროით აღარ მიდიოდა, რომელიმე მეძავს შეიამხანაგებდა და, მათ ენაზე რომ ვთქვათ, „საბიზნესოდ" აიმგზავრებდა. რასაც ერთ-ორ კვირაში იშოვნიდნენ, საქონლად აქცევდნენ ხოლმე, – ზეწრებად თუ ბალიშისპირებად თუ პირსახოცებად, მერე დეზერტირების ბაზარში იცლიდნენ ხელს. ამ საქმემაც ბევრი ვერაფერი ახეირა. ბოლოს ცირკთან მოძებნა ადგილი. ცირკი უკანასკნელი გაჩერება იყო. შერჩა და შერჩა თავის ჭადრებს. რა უცნაურიც უნდა ჩანდეს, სწორედ უკანასკნელ გაჩერებაზე მოინდომა ლამაზი სახლი. ან იქნებ ბუნებრივიცაა, რომ დამფრთხალი, გაფაციცებული გონება ახლა სთავაზობდა არაერთგზის გაგონილ ესპანეთსა თუ საბერძნეთსა თუ ირლანდიას და ამასთან ერთად მომვლელობასა თუ ძიძობას თუ ფორთოხლის კრეფას; ისევ და ისევ ხეტიალს, მონობის ერთი სახლიდან მონობის სხვა სახლში მიმავალ გზას; რომელზეც ამ ქვეყნის ბევრი, ბევრზე ბევრი ღირსეული თუ უღირსი ქალი შემდგარიყო, შემდგარიყო თითქმის მთელი ქვეყანა, გეგონება, განგების ვალი ემართათ და საკუთარი თავის საკუთარივე ნებით გაყიდვის გარეშე ვერასგზით ვერ ისტუმრებდნენ მევალეს. მასაც ეს უნდოდა ახლა, ეს ეფიქრებოდა ერთადერთ გამოსავლად, მაგრამ თურქეთში, – არა. ესპანეთში ან საბერძნეთში, ან... სადაც... მოკლედ... სხვები... იქ... სადაც... სხვები... ისიც...

შაურმა!

ხორცი! დაბუღულ-შებოლილი ხორცი მილზე. ქონი სდის. ცრემლებად. ცრემლებად, მსუყე ცრემლებად. ქონი. შებოლილი, მათრობელა.

შაურმა!

გუუ – გულის კოვზთან, გუუ – სიცარიელეში, ახლოს ხორცთან, უფრო ახლოს. რიგი. პატრულები რიგში.

თეთრხალათიანი, მკლავდაკაპიწებული მედუქნე ბასრი დანით ზანტად ათლის დატრიალებულ ხორცს პატარ-პატარა ნაჭრებს, სუნი. სუნი. შებოლილის სუნი.

შაურმა! შაურმა?!

– შაურმა თურქული საჭმელია, არა? – კითხულობს მხარბეჭიანი პატრული და ღონივრად გლეჯს ლავაშში გახვეულ ხორცს ლუკმას.

ღმერთო, რამდენი არიან?! შვიდი, ექვსი. რვა. რვა პატრული რიგში. რა უბედურებაა! შუბლი. შუბლზე. ცივი ოფლი. შაქრის ბრალია? არა. ხორცის. არასდროს ნდომებია ასე.

– შეიძლება? იცით, ბავშვი მყავს დატოვებული და... – თვითონ ლაპარაკობს, თვითონ, თვითონ. რომელი ბავშვი? საიდან მოიგონა.

მხარბეჭიანის მზერა.

– დეიდა, ჩვენც გვეჩქარება! არ იცი, რა დღეცაა?

რა დღეა? რა შუაშია დღე? ანდა თურქეთი რა შუაშია. მაგრამ შუაშია. ის ლაპარაკობს. მედუქნე. თურქული აქცენტით ლაპარაკობს. თურქია.

– თურქულია, კი!.. – თავს აქნევს თანაც, ღირსეულად აქნევს. ბასრ დანას ნელა, ზანტად. ხორცზე – ზანტად. ერთი ნაჭერი. ორი ნაჭერი, ჩამოთალა. კიდე ჩამოთალა. მწვანილი. ხახვი. მაიონეზი. ტომატი. ლავაში. ხორცთან ერთად. შეზელილი ერთად. ერთიც გაისტუმრა. რამდენი დარჩა. შვიდი!

– კოკა-კოლაც მომე, რა? – ამბობს ის, ახალმოსტუმრებული. მერე წინ იხრება ოდნავ და შაურმას გლეჯს კბილებით.

უუჰ!

– თურქული თუა, ღორის რატომაა? – კითხულობს ის, მხარბეჭიანი. თან ჭამს. თან ჭამს. ღეჭავს.

– თურქეთში ქათმისას ჭამენ! – პასუხობს ის, მედუქნე. თან თლის. თლის.

ღორის ყოფილა! ქონი. ქონი. მსუყე ცრემლებად ქონი ხორცზე.

ესპანეთს თუ საბერძნეთს თუ ირლანდიას უმიზნებდა. ახლა თურქეთშია. არა. არ არის თურქეთში. თურქეთში ღორის შაურმას არ აკეთებენ. აქ კი სდის ხორცს ქონი. სდის. სდის. ალოკავდა. ოჰ, როგორ ალოკავდა. ოფლი. ცივი ოფლი შუბლზე. წაიქცევა. მხარბეჭიანი ბოლო, ყველაზე გემრიელ ლუკმას პირში და ყბები. ყბები. როგორ მუშაობს ყბა, როცა შებოლილ ხორცს ამუშავებს. უუმ. უუმ. უუმ.

– უჰჰ! – ამოსდის გულგვამიდან ახალმოსტუმრებულს. კოკა-კოლას ბოთლი პირთან. ყლუპ. ყლუპ. ყლუპ.

– ახლავე მოვალ, ხომ შეიძლება?

მხარბეჭიანის მზერა. თავს უქნევს. კიო. კიო. უნდა გაიქცეს. ერთი ლუკმა ხორცი. მაღაზიაში. აქვე. ღვეზელი. ბინდდება? ბინდდება თუ უნდა წაიქცეს. არა, ბინდდება. მაღაზიის კარი. მაღაზიაშიც ბინდია. ხორცს თუ ყიდიან ნეტა აქ? კი. ყიდიან. ხორცი წითელი, სისხლიანი. არა. ღვეზელი. აქაც რიგი. სათვალიანი ქალის უკან. წინ ცილინდრიანი. მერე ქალი ბავშვით. სათვალიანი ქალი და ის, თვითონ. გამყიდველი ყოჩაღად ირჯება. სწრაფად. უცებ. კარგი ქალია. მიდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ორი ნაჭერი ნამცხვარი, აი, ის! – უთითებს ცილინდრიანი.

იის. იის. მიეცი. ასე. ახლა ბავშვიანის ჯერია, მერე სათვალიანი ქალის და მერე თვითონ. თვითონ და ღვეზელი.

– ღვეზელი! – ამბობს ბავშვიანი.

ვაი!

– ხორცის? – გამყიდველი.

– კარტოფილის, თუ შეიძლება, ერთი!

შეიძლება. როგორ არ შეიძლება. ძალიან შეიძლება, სათვალიანი და მერე თვითონ.

– ღვეზელი! – სათვალიანი, – ათი ცალი, ხორცის.

შენი დამსმელი დედის დედა...

– რვა გვაქვს, – გამყიდველი.

– კარტოფილის დამიმატეთ მაშინ, ექვსი ცალი!

უკვე უწყობს, უწყობს. ღვეზელს, ხორციანს. პაკეტში ხორციანს. წავიდა ეს დამპალი. წავიდა ეს...

– როდის იქნება ხორციანი? – ჩავარდნილი ხმით თვითონ.

– ღვეზელი? – გამყიდველი.

„ჰოო, შეჩემისა, ღვეზელი!" – მაგრამ არ ამბობს, მხოლოდ ფიქრობს.

– ღვეზელი! – ეთანხმება.

გამყიდველი მომცრო სარკმლისკენ:

– ხორციანი ღვეზელი იქნება?!

სარკმლიდან კაცის გაბურძგნილი თავი.

– დამთავრდა ხორცი! – და ისევ შეყვინთა.

როგორ დამთავრდა, როცა აქვე, მაღაზიაში, იქ, მაცივარიან დახლში, სისხლიანი, წითელი, ნამდვილი ხორცი, როგორ...

– კარტოფილის, ორი! – ამბობს და არც სჯერა, რომ თვითონ ამბობს, რადგან არ უნდა კარტოფილის და მაინც უნდა, იმიტომ, რომ ახლა ნამდვილად წაიქცევა და ჰა, მის ხელშია კარტოფილის, ორი.

ამ, ამ, ამ, – კამა. ზეთი. კარტოფილი. თვითონ კუთხეში. უცებ. უცებ. ჰო. ცოცხალია. მაგრამ კამა. ზეთი და კამა და კარტოფილი კაკაოს ბურთულაზე ყელში. წყალი. სად, როგორი? ჩვეულებრივი. არა. პატარა ბოთლით ნაბეღლავი.

– შეიძლება? – მისი გაწვდილი თითი ბოთლისკენ.

– შეიძლება.

ყლუპ, ყლუპ, ყლუპ. წვრილი ბუშტუკები სასაზე. ყელშიც წვრილი ბუშტუკები, თვალებშიც. ჰუჰ. გამოიხედა. ახლა შაურმა!

პატრულები აღარ დაუხვდნენ. მათ ნაცვლად სტუდენტებს დაეჭირათ რიგი. ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და ამით მიხვდა, რომ ჯგუფელები უნდა ყოფილიყვნენ. სამი ბიჭი და ორი გოგო.

„თქვენი დედაც... ყველას დედაც..." – ზოგადად სამყაროს შეუკურთხა მეძავმა და იქაურობას გაეცალა.

იქნებ აგრესიის მუხტი სჭირდებოდა, რათა ზედმეტი გულყრებისა და სანტიმენტების გარეშე გადაედგა სახლისკენ ნაბიჯი. თუ ასეა, მიიღო, რაც სჭირდებოდა; ახლა მიზანდასახულად, შეიძლება ითქვას, ერთგვარი გავეშებითაც მიიწევდა; იღლიაში ჩანთაამოჩრილი, მეორე ხელით პარკის სახელურს ჩაჭიდებული (საიდანაც ახალი ცოცხის ტარი მოჩანდა) მნიშვნელოვნად და მასიურად გამოიცქირებოდა ხალხმრავალ ქუჩაზე. ერიდებოდნენ კიდეც, გზას უთმობდნენ, გრძნობდნენ, ალბათ, – რაღაც დუღდა ამ მსუქან ქალში, ლიანდაგსაცდენილი ორთქლმავალივით რომ მოიწევდა და არავინ და არაფერი აინტერესებდა ირგვლივ. მხოლოდღა ის იყო და გზა, გზამ თვითონ იცოდა, სადაც შეაჩერებდა მის მსვლელობას.

ვარდისფერ სახლთან შეჩერდა. მოსაღამოვებულზე კიდევ უფრო მყუდრო, კეთილი, შიგნიდან გამონათებული ეჩვენა შენობა. სული მოიბრუნა. ეზოს ჭიშკარი გამოაღო. ნელა გააბიჯა ფილაქანზე. მწვანე, თეთრად დაკოპლილ მარმარილოზე შედგა. აქედანვე შენიშნა, რომ კიბეც იგივე მარმარილოსი იყო. გაუხარდა. საღებავის მძაფრი სუნი სასიამოვნო თავბრუსხვევას გვრიდა. ტკაპ-ტკუპ, ტკაპ-ტკუპ, – ქუსლების ტკაპატკუპი თითქოს მთელ სახლში დაირხა იდუმალ ბგერებად, ჰო, იდუმალად, მაგრამ საზეიმოდ, თითქოსდა მდიდრულად. ტკაპ! – ჰო, მდიდრულადაც. მარჯვნივ თეთრი კარი, – გამარჯობა! მარცხნივ თეთრი კარი, – გამარჯობა! წინ – კიბე! ტკაპ-ტკუპ-ტკაპ-ტკუპ-ტკაპ. მარჯვენა ფეხი კიბეზე, მარცხენა ხელი კიბის სახელურზე, ხელისგულზე ხის სასიამოვნო სინედლე. ესეც ახალია. სულ ახალია. ფეხი კი უკვე კიბეზე და – გამარჯობა! – ტკაპ! მეორე სართული, ხელმარცხნივ კარი; მეორე სართული, კარი ხელმარცხნივ. ტკაპ-ტკუპ-ტკაპ, ხელმარცხნივ. ტკუპ-ტკაპ. მეორე. სუნი. მოთუშული. ხორცი არა. კომბოსტო. ტკაპ. ხელისგული რკინაზე. ცივი, ცივი. ჭრიალი ფეხქვეშ. ხე. ძველი. ჭრ-ჭრ-ჭრ-ჭრ. ჭრ-ჭრ. აბა ხელმარცხნივ? აბა?! მოშუშული. იქიდან. კომბოსტო. ხელი კარის სახელურს. ჭრრ. ზამბარა კარზე – ჭრრ, გოგო. არა, ქალი. იცნობს. არ იცნობს. ამ ღიმილს იცნობს. მკიდია, – ღიმილი, ბოროტი თანაც, ამრეზილი. მკიდია – თვალები. მოწკეპილი შარვალი. ახალ სახლებში ახალი ბოზები! ახალ სახლებში ახალი ბოზები! ბოზი გზას არ უთმობს, პირიქით, აქეთ გაკრა მხარი, ჩაიარა. ჭრრ-ჭრრ! მიდის. ბოზი. ბოზებს ცნობს, ერთი შეხედვით ხვდება. მოწკეპილი შარვალი ტრაკზე. ჭრრ-ჭრრ. შენი დედაც!.. ჩავიდა. ტკაპ-ტკუპ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვემოდან, ქვემოდან მაღლა ტკაპ-ტკუპ, ტკაპ, ტკაპ, ტკაპ, ტკუპ. წავიდა. გაქრა. წინ დერეფანი. ფეხი ქვემოთ. მარცხნივ შუშაბანდი. ქვემოთ ეზო. ჩეჩმა. ონკანი. სკამი ონკანთან. ყრუ კედელი ჩეჩმასთან. ანდა ჩეჩმა ყრუ კედელთან. ფეხბურთის კარი კედელზე. ჩვენთან მწვანე საღებავით, აქ თეთრით! თეთრი. თეთრი. თეთრი, რა მნიშვნელობა აქვს; მწვანე თუ თეთრი. მარჯვნივ კარი. კარები. რამდენი გამოიარა? ერთი, ორი, სამი, ჰო, აქ. კარი. ნაცნობი. კაკ-კუკ-კაკ-კუკ! ჰოო! – სიღრმიდან. ხელი სახელურზე. თავი კარში. სუნი. სუნი. კომბოსტოს სუნში რაღაც ტკბილი. მძიმე. ჰაერი. მძიმე. მისგან ზურგით. დარაბებს მიცქერილი. მარცხნიდან შუქი სცემს, – მანია დეიდა, მე ვარ! ის, მანია. არა, შეუძლებელია. მაგრამ ხრინწი ხმაში და – ჰოო! – ამბობს და მისი ზურგი, გაცვენილი თმა და მისი კეფა და ხალათი მისი და! – კეთილი! კეთილი! ბოდიში! შევცდი! კარის ჯახუნი. იქ დარჩეს, იქ დარჩეს, იქ დარჩეს, იქ! გული ყელთან – დგდგდგდგ. ხმა? საიდან? ბიჭი ველოსიპედით. ველოსიპედი მხარზე. ბიჭი კარს აღებს. ჭრრ-ჭრრ. მიდის. პატარა მერაბა მიდის. წინ – აქედან! სულერთია, ოღონდ წინ! მანია იყო, მანია იყო, მანია იყო, მანია! ქვემოთ ჩეჩმა. ყრუ კედელთან ჩეჩმა. ხელი სახელურს. ჭრრ... ქვემოდან ტკაპ-ტკუპ-ტკაპ! პატარა მერაბა წავიდა. წავიდეს. წავიდეს. წავიდეს. წინ! ჭრ-ჭრ-ჭრ! მანია იყო, მანია იყო, მანია იყო, მანია! არა, არ იყო. არა – იყო! სულერთია – წინ! ხელზე ხის სინედლე! ტკაპ-ტკუპ, ტკაპ-ტკუპ! მიდის. აქედან. სად? წინ! ტკაპტკაპტკაპტკაპ! მანია იყო, მანია იყო, მანია იყო, მანია! თეთრი კარები მარჯვნივ, მარცხნივ. მშვიდობით. ბოდიში. უკაცრავად. ნახვამდის. ქალი ხელჩანთით. ეჯახება. თქვენც ბოდიში. მშვიდობით. სად? წინ. წინ ჰაერი, ეზო, სკამები. მწვანე. ნერგი – ორი. მშვიდობით. წინ! მანია იყო, მანია იყო, მანია იყო, მანია! არა, არ იყო. არა – იყო! წინ, წინ, წინ, წინ, წინ, ოღონდ წინ! ჩუ, მათხოვარი, წირპლი თვალზე. ავი თვალი გამოაყოლა, ავი, ავი, ავი, ავი, ავი! მიუცია! ალბათ, ჰო, ოდესღაც მიუცია. იცნობს. იცის. მინეტი გაუკეთებია. ჰაერი. ჰაერი. ჰაერი. წინ. იქ. სადმე. დგდგდგდგდგდგ, – სდექ! – მოედანი, მოედანი? უკვე მოედანი?! ახლა საით? სდექ! იქ მკვდარი მანია, აქეთ ცოცხალი მანია! აქ მოედანი! დგდგდგდგ – სდექ! დგდგდგდგ – ჩუ! დგ.დგ.დგ.დგ, – ჰო! ჩუ! დგ. დგ. დგ. ასე.

•

ლურჯ ცაზე მკვეთრად გამოისახა თეთრი მთვარე. მთვარეს ცხადად და ალაგ-ალაგ ემჩნეოდა ნაცრისფერი ლაქები. ქვემოთ ბორცვიანი თბილისი გაჩახჩახებულიყო მრავალრიცხოვანი ლამპიონებით. ლამპიონები ხიდზეც გაემწკრივებინათ. ხიდის ქვეშ თავის კალაპოტს მინდობილი მტკვარი მიედინებოდა. დიღმის ტრასაზე მანქანების გრძელი რიგი გაწოლილიყო.

მსუქანი მეძავი მოუყვებოდა ხიდს. ცალ ხელში პარკი ეჭირა, საიდანაც ცოცხის ტარი ამოწვერილიყო. ნელა მოდიოდა, სვენებ-სვენებით. გმირთა მოედნიდან რკინიგზის სადგურისკენ მიმართულ ქუჩაზე უჩვეულო სიჩუმე სუფევდა; არც მანქანები, არც კაცის ჭაჭანება, მხოლოდ მეძავი თავისი პარკით.

ბირჟასთან არავინ დაუხვდა; მოხალული თხილის გაგლეჯილი პაკეტი შეამჩნია მოაჯირთან და ამან მეტად აგრძნობინა ყრუ სიჩუმე.

– „ეტყობა, სამანქანო გზა გადაკეტეს; ჰო, კი". – დაასკვნა მეძავმა.

მოახერხა თავის დამშვიდება. უკვე იცოდა, დარწმუნებულიც იყო, რომ ველოსიპედიან ბიჭს არ ჰქონდა პატარა მერაბას პარტყუნა ყურები, მოხუცი ქალის ოთახიც არ ჰგავდა მანიას ოთახს; შესაბამისად, ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნებოდა ის ქალი მანია. ჰო, შეცდა, ნერვებმა უმტყუნეს. ეს ყველაფერი იცოდა მსუქანმა მეძავმა, უკვე იცოდა, კი, ნამდვილად, მაგრამ ისიც იცოდა, რომ წარსულის სახლის მძიმე, მოტკბო სუნში მანიას უსულო ცხედარი იხრწნებოდა ახლა; – მომავლის სახლში კი ახალგაზრდა, ტუჩამრეზილი მეძავის ადგილი იყო და არა მისი. აწმყოში გახირულიყო, – ესეც იცოდა უკვე. სად წავიდოდა? ისევ აქ, საიდანაც დაიწყო ეს დამღლელი დღე. მწყერი. მწყერთან. ჭადრებთან მწყერი. გაუყვა ჭადრებს. თავის ადგილს მიაკითხა. ქვაფენილს დააცქერდა. არ იყო მწყერი. ფეხი მოატარა ქვაფენილზე. მაინც არ იყო.

– „შეუჭამიათ," – იფიქრა მეძავმა და გულმოწურული, მძიმე სევდა მოებჯინა ყელთან. აწმყოშიც მარტო იყო; აქაც – მარტო, ის შეუჭამიათ უკვე, ის, მწყერი. რატომ, იქნებ გადააგდესო? – ვინმეს რომ ეთქვა, დაბეჯითებით გაუმეორებდა იმავეს: – არა, შეუჭამიათ! სწორედაც რომ შეუჭამიათ. თვითონ კი – აქ, ორ ჭადარს შორის გახირული მარტო ბებერი.

ნაბიჯების ხმა არ გაუგია, ტანით იგრძნო, რომ ვილაც უახლოვდებოდა მარცხნიდან. თავი მიაბრუნა. დაინახა. ორმოცდაათს მიტანებული, ლაბადის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, გამხდარი, წვერმოშვებული კაცი მოდიოდა. მეძავს მოეჩვენა, რომ შორიდანაც არჩევდა მამაკაცის სიცხიან თვალებს.

– „შერეკილია, თავი დაანებე!" – ჩასძახა ყურში გუმანმა.

თვალს არ აშორებდა კაცს.

– „მეც შერეკილი ვარ," – უპასუხა გუმანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– „შინ დაბრუნდი, მანია შეიცხადე, მერე ოთახში შეიკეტე და დაისვენე, კითხვებს უნდა გასცე დამაჯერებელი პასუხი“. – არ შორდებოდა მის ყურს გუმანი.

– „წადი, შენი...“ – შეუკურთხა მეძავმა.

გუმანი გაეცალა. იქვე, ქვის ფილაქანთან ჩაიმუხლა და შორიდან მოაცქერდა.

მეძავი შეეცადა, თავისთვის დაედგინა, ვინ მოაბიჯებდა ქუჩაზე.

– „კეთილები და სამართლიანები,“ – გაუხარდა მეძავს.

– „შერეკილები!“ – მოაძახა შორიდან გუმანმა.

– „არა,“ – თავი გადააქნია მეძავმა, – „დაჩაგრულები!“

– „შერეკილები-მეთქი!“

– „იქნებ ცოტათი შერეკილებიც“, – დათმო მეძავმა, თუმც იქვე სხაპასხუპით დაამატა, – „მაგრამ დაბადებიდანვე ძალიან კეთილები, სამართლიანები და ბედნავსიანებიც ცოტა“.

– „უკბილოები, პროთეზის ფულიც არა აქვთ,“ – გაიმართა წელში გუმანი.

– „სამაგიეროდ, გულიანები და სამართლიანები,“ – არც ახლა მოუშორებია მოახლოებული კაცისთვის თვალი.

მართლაც სიცხიანი, დიდი თვალები ჰქონდა მამაკაცს, იმაზე მაღალი ჩანდა, ვიდრე თავიდან წარმოიდგენდა. ისე მომუჭოდა სახე, მართლაც უკბილო უნდა ყოფილიყო.

– აჰა! – ნიშნის მოგებით მიანიშნა მისკენ გუმანმა.

ყურადღება აღარ მიუქცევია, კაცს აკვირდებოდა. მხოლოდ ერთხელ შეავლო თვალი ჩამვლელმა, შემდეგ კი გასცდა. უფრო გასცდა, ხუთი ნაბიჯით, ექვსით. შვიდით.

– გთხოოოვ! – სხვა, უცხო ხმა ამოსცდა მეძავის ყელს. – გთხოოვ! – ნაბიჯი გადადგა კაცის ზურგისკენ, – გთხ... – მარტოობამ გააწყვეტინა წამით ხავილი. ახრჩობდა მარტოობა. გუდავდა. კაცი შემოტრიალდა. ლაბადიდან არ ამოუღია ხელები. გაკვირვებული სახე ჰქონდა.

– გთხოოოვ! – ნაბიჯი მისკენ, სიმწარე ყელში. ცრემლია? ჰო, ალბათ, იქნებ ცრემლია, მაგრამ: – გთხოოოვ, გთხოოვ, მე ხომ შენ ასე ძალიან გთხოოოვ! კიდევ ნაბიჯი, უფრო მისკენ, კაცის ხელები ლაბადიდან, უფრო მისკენ, ლოყებზე ტუში, მახინჯი ტუში, თვითონ მახინჯი, ტუში ზოლად მის ლოყებზე, მსუქან ლოყებზე, „ჭუჭყიანი ცრემლის კვალი, შავი ცრემლია ტუშისაგან, მახინჯია?! ჰო, მახინჯია, იქნებ, ალბათ, მაგრამ: გთხოოოვ! ძალიან, ძალიან, ძალიან გთხოოოვ! და უფრო მისკენ, ჰა, აქვეა, ხელის ზურგი ცხვირზე, თვალებზე, გაიდღაბნა, სულ გაიდღაბნა, ხელის ზურგიც გაიდღაბნა, სახეც, თვალებიც, მაგრამ ახლოა, ცალ ხელში პარკი, პარკში ცოცხი, ახალი ცოცხი, იღლიიდან ხელჩანთა ქვაფენილზე, პარკიანი ხელით მის სხეულზე, გამხდარ სხეულზე, გალეულ ძვლებზე, სალტედ, სალტედ, მეორე ხელიც სალტედ, სალტედ, მის ჩავარდნილ მკერდზე თავი, გადატეხავდა, სულ იოლად გადატეხავდა, თვითონ იჭერს, თვითონვე აბჯენს თავს მკერდზე, რომ არ იჭერდეს, წაიქცეოდნენ ისიც, ესეც, წაიქცეოდნენ?! ალბათ, მართლაც წაიქცეოდნენ, ჰო, იქნებ, მართლაც, ალბათ, მაგრამ; გთხოოვ! გთხოოვ! მე ხომ შენ ასე ძალიან გთხოოოვ! და მერე სწრაფად, სწრაფად, მიყოლებით, იკრავს, ეკრობა, და მის გალეულ მკერდს ჩასძახის, სწრაფად, მიყოლებით, ჩასძახის, ჩასძახის, – გთხოვ, გთხოვ, გთხოვ, გთხოვ, ძალიან, ძალიან გთხოვ, გთხოვ ძალიან, ძალიან, ძალიან, ძალიან გთხოვ!

კაცის ხმა სადღაც მაღლიდან:

– ჰო, მაგრამ რას მთხოვ?

და რომ არ წავიდეს, რომ არ გაეცალოს, რომ არ დატოვოს ისევ მარტო, ხავილით, ხავილით, ისევ ხავილით, სხვა, უცხო ხმით, რომ არ დატოვოს, არ წავიდეს, ისევ ხავილით: – გთხოოოვ! გთხოოოვ, მე ხომ შენ ასე ძალიან გთხოოოვ!

კაცის ხმა სადღაც მაღლიდან, ერთობ როყიოდ.

– მიტინგია, უნდა წავიდე!

მან ახსენა – „უნდა წავიდე!“ არა, არა, არა; გეხვეწები გეხვეწები გეხვეწები, გთხოვ გთხოვ გთხოვ ძალიან ძალიან ძალიან გთხოვ! ახლა არ მითხრას „მაპატიე,“ ოღონდ არ მითხრას „მაპატიე,“ „მაპატიე“ ნიშნავს გაცლას, გარიდებას, მარტო დარჩენას ნიშნავს „მაპატიე“. ოღონდ არ მითხრას „მაპატიე,“ ახლა არ მითხრას „მაპატიე.“

– მაპატიე! – ხმა ზემოდან, – უნდა წავიდე!

რატომ, რატომ, რატომ, მითხარი რატომ, როცა ასე გთხოვ, მითხარი რატომ, მომიტინგე ხარ? მომიტინგე? მერე იყავი. მომიტინგე, ჰო, ალბათ, დიახ, გეთანხმები, – დაე, იყავი მომიტინგე, მაგრამ მე ხომ გთხოოოვ, გთხოოოვ, მე შენ ძალიან, ძალიან გთხოოოვ!!!

კაცის ხმას ელის, კაცის ხმას ელის, ელის, ელის, ელის და გთხოო...

ხმა, კაცის:

– არა, არა ვარ მომიტინგე. მე...

ოოოვ! გთხოვ, გთხოო...

– ჟამთა აღმწერელი ვარ, მაპატიე!

და გაუცხოვდა. მისი სხეული გაუცხოვდა. სხვაგანაა, ის სხვაგანაა, ის ახლა ისე სხვაგანაა, იცის, იცის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობს, რომ კაცი სხვაგან იცქირება და ეცლება მას და მართლაც, – კაცი მოედანს, მოედნის მხარეს, იქ, მოედნისკენ, და მხოლოდ იქით მისი თვალები, და მომუჭულ მის სახეზე წვერი, წვერი უგრძელებს ოდნავ სახეს, და თვალები, სიცხიანი მისი თვალები მხოლოდ იქით, მოედანზე, მოედნისკენ, მოედნის მხარეს...

ხელჩანთა ქვაფენილზე. იხრება. იღებს. ხელჩანთა იღლიაში. ხმები მოედნიდან.

ჯოოს! ჯოოს! გაუმარ-ჯოოს! და კიდევ ხმები, სადღაც ხევიდან, გადაძახილი – ატატატა! მზერა ხევისკენ:

ხევიდან თორმეტი-ცამეტი წლის ბიჭმა ჩამოირბინა, ხელში პარკი ეჭირა, მაღლა იცქირებოდა.

„რა ხდება?" – იფიქრა მეძავმა.

მოედნიდან უკვე საგრძნობლად აღწევდა ხალხის ხმა: გაუ-მარ-ჯოოს! გაუ-მარ-ჯოოს! გაუ-გაუ-გაუ-ჯოოოს!

ბიჭს ცქვიტი დედაბერი შეუერთდა. კედები ეცვა. მასაც პარკი ეჭირა ცალ ხელში, მეორეში ბადმინტონის ჩოგანი. ისიც მაღლა იცქირებოდა, გაჩახჩახებული ლამპიონებისკენ, დროდადრო ფეხის წვერებზე აიწეოდა ხოლმე, მოუთმენლობას ამჟღავნებდა, ცქმუტავდა ერთ ადგილას. მერე სხვებიც გამოჩნდნენ ხევიდან, – ღიპიანი ქალი კალათით და ძალიან ჩია, ულვაშიანი კაცი.

მეძავს გაახსენდა, რომ უცნობ მამაკაცს ჩაკვროდა ცოტა ხნის წინ. თავის ზურგზე შემოწყობილი მისი მშვიდი ხელებიც გაახსენდა და ხევიდან ჩამორბენილებს თვალი აარიდა.

ლაბადიანი უცნობი მოედნისკენ მიაბიჯებდა, პირდაპირ სამანქანო გზაზე მიდიოდა. როგორც ჩანს, მომიტინგეებისკენ ეჭირა გეზი.

გთხოოვ! – უღონოდ, ინერციით გაიმეორა მეძავის გულმა.

– აკი დაბადებიდან კეთილებიო! – გამოსძახა გუმანმა.

– მოიცა ერთი, რაღაც ხდება, ვერ ატყობ? – თქვა მეძავმა და სავსე, თეთრ, ალაგ-ალაგ დალაქავებულ მთვარეს მიაცქერდა.

– გამარჯობა შენი, თურმე რაღაც ხდებაო, – მისკენ დაიძრა გუმანი.

– გაგიმარჯოს!.. – გაფანტულად გამოეპასუხა მეძავი და გუმანი უკან დაიბრუნა.

– აგე! აგე! – ბიჭი მაღლა, ლამპიონისკენ იშვერდა თითს.

დედაბერმა ჩოგანი გაუქნია რაღაცას, თუმცა ააცილა და ცერად წაფარფატდა მცირე, მანძილზე.

– აგე, რამდენი! – დაიძახა ბიჭმა და გაისმა კიდეც შეჯახების ხმა, – ერთი შეჯახების, ორის, სამის, ბევრის, პანტაპუნტად ბევრის და ერთი, ორი, სამი, ბევრი, პანტაპუნტად ბევრი მწყერი მაღლიდან დაბლა, ხოშკაკლებად დაყრილი ქვაფენილზე.

იქვე, მეძავის ფეხებთან სულ ახლოსაც დაეცა მწყერი, ბიჭი მივარდა, წამისწამში დააკვრევინა ქვაფენილზე თავი, შემდეგ პარკში ჩაუძახა და სხვა, დარეტიანებული მწყრისკენ გაიქცა.

ულვაშიანი, ჩია კაცი ღიპიანი ქალის კალათაში ყრიდა მკვდარ ფრინველებს. მათ შორის დაცუხცუხებდა ცქვიტი დედაბერიც, ისიც ბიჭივით ირჯებოდა, დააკვრევინებდა ქვაფენილზე თავს პაწია ჩიტს, მერე პოლიეთილენის პარკში ჩაუძახებდა; ღიპიან ქალს დახრა უჭირდა, მაგრამ ისიც ასრულებდა თავის ფუნქციას, ცდილობდა, ჩია, ულვაშიან კაცს არ ჩამორჩენოდა.

დედაბერმა ბადმინტონის ჯოხი გაიქნია და გახარებულმა შესძახა: ატატატა! შემდეგ ბადეში გაჩხირული თავი იქვე, ხელის ერთი გაქნევით წააწყვიტა ჩიტს და მხოლოდ ტანი ჩააგდო ამჯერად პარკში.

ქვაფენილზე სისხლი დაიქცა.

„დაგეშილები," – გაიფიქრა მეძავმა, – „მწყრებზე დაგეშილები".

– აგე! აგე! – ახლა რკინიგზის სადგურის მიმართულებით იშვერდა თითს ბიჭი.

დედაბერმა ხმალივით მიმართა სადგურისკენ ჩოგანი და მოკლე, აჩქარებული ნაბიჯით გაცუხცუხდა. ჩია, ულვაშიანმა კაცმა გადაასწრო დედაბერს, ყველაზე წინ ბიჭი მორბოდა, ბოლოში ღიპიანი ქალი მოექცა, გზადაგზა თავისუფალ ხელს სწევდა მაღლა;

– დამიცადეთო, მეც დამიცადეთო!

არავინ უცდიდა, მწყრების გუნდს მისდევდნენ.

მომიტინგეთა პირველი რიგი თითქმის გაუთანაბრდა მეძავს. იდგა. უცქერდა.

– გაუ-მარ-ჯოს! გაუ-მარ-ჯოს! – ორჯერ გაისმა კაცის ხმნე, დამაჯერებელი ბარიტონი, მერე აყვნენ: – გაუ-გაუ-გაუ-ჯოოს! ჯოს-ჯოს-ჯოს-გაუ-მარ-ჯოოს!

– რას გაუმარჯოს? – დაეკითხა მეძავი გუმანს.

– ხეტიალს! – უპასუხა გუმანმა.

– რატომ? – გაუკვირდა მეძავს.

– აწმყოში გახირულთა ხეტიალს, – დააზუსტა გუმანმა.

– ააა, – მიხვდა მეძავი, – კი ბატონო, გაუმარჯოს! – ერთხანს იყუჩა, მერე ისევ დაეკითხა გუმანს, – მიტინგია თუ მწყრებს მივდევთ?

– შენ რას მისდევ, ერთ ადგილას დგახარ, – შესცინა გუმანმა.

– ჰო, მართლა... – დაიბნა თუ შერცხვა მეძავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირში მუნდშტუკგაჩრილმა თეთრულვაშა, სვანურქუდიანმა კაცმა რაჭულ კილოზე, ერთდროულად მხიარულადაც და სერიოზულადაც ჩაილაპარაკა:

– ცეცხლი, ბაბულიკა, ცეცხლი!

ცეცხლი მომიტინგეთა თავებს გადაღმა, სადგურისკენ მიმავალ ქუჩაზეც ჩანდა.

– „ალბათ, მწყრებს ჭამენ," – გაიფიქრა მეძავმა და ფეხი ჩადგა ბორდიურიდან.

ცხვირშეჭყლეტილი, შუბლშეკრული კაცის გვერდით აღმოჩნდა. კაცმა გადმოხედა. მეძავს გაახსენდა კარტოფილისცხვირიანი, ღია კაფეში რომ ნახა. „ალბათ, ისიც აქაა," – რატომღაც იფიქრა მეძავმა, მერე ვიღაცის პარტყუნა ყური მოხვდა თვალში. არა. არ იყო მერაბა. თუმცა, ალბათ, აქ იყო სადმე. ჰო, ისიც, გარიკაც, „სტაიანშჩიკიც," დიაკვანიც, წირპლიანი მათხოვარიც და ყველა – ბევრი, უამრავი, ხალხი.

– ცეცხლი, ბაბულიკა, ცეცხლი! – მოისმა სადღაც წინიდან.

– გამაგებინე, მწყრებს მივდევთ თუ მიტინგია? – შეეხმიანა გუმანს.

– გაუ, – წამოიწყო ბარიტონმა, – მაარ, – გააგრძელა ბარიტონმა, – ჯოოს, აჰყვა ხალხი, გაუ-მარ-ჯოოს! აბა, ერთხელაც! გაუ-მარ-ჯოოს! კარგია!

გუმანი დუმდა. ან იქნებ გასცა კიდეც პასუხი, მაგრამ ამდენ ხალხში, გადაძახილ-გადმოძახილსა და ომახიან „გაუ-მარ-ჯოოში" ვერაფერი გაიგო. მიდიოდა. დინებას მიჰყვებოდა. დინებამ რკინიგზის სადგურისკენ გაიყოლა. ხიდზე გადადიოდნენ – უკვე. ხიდის ქვეშ თავის კალაპოტს მინდობილი მტკვარი მიედინებოდა. მოაჯირთან მწევარივით გაწლიკული ბიჭი შენიშნა, მის გვერდით საყელოაწეული, მდუმარე კაცი. ბიჭს მთვარისკენ გაეშვირა თითი, პირველაღმომჩენის დაუფარავი, ცხოველი სიხარულით შეპყრობილი ლამობდა საყელოაწეული კაცის გამოცოცხლებას: აი, აი, მამა, შეხედე! მთვარის თვალები, ცხვირი და პირი მთვარისა; შეხედე, რა, მამა, შეხედე, ეგე თვალები, ეგე ცხვირი და პირი მთვარისაო.

გაცდა ამათაც.

– „ვინ იცის, იქნებ მთვარეზეც მივდივართ," – გაიფიქრა მეძავმა. გულში გაეცინა, რადგან ისევ მოჰკრა პარტყუნა ყურს თვალი და მერაბა წარმოიდგინა მთვარეზე. არა. არ იყო მერაბა. სხვა იყო ვიღაც. ნაცნობს ვერავის ხედავდა. მხოლოდ დეტალებს არჩევდა, – ვიღაცის მორღვეულ პირს, ფლუსით გასიებულ ლოყას, პარტყუნა ყურს, შეჭყლეტილ ცხვირსა თუ მშიერ, ნერწყვიან თვალებს. დეენემის უჯრედივით ჩაიკარგა მათში, უკვე იქ იყო, – აწმყოში გახირულთა ხეტიალში. დილით პური, საღამოს ხორცი! დილით პური, საღამოს ხორცი! გაუ-გაუ-გაუ-ჯოოოს!

ქალაქის თავზე დიდი, თეთრი მთვარე ეკიდა. გრძელი, სწორი ქუჩა ხალხით გაჭედილიყო. მართლაც ჭირდა ვიღაცის გარჩევა. ის ბიჭიც აღარსად ჩანდა, შორეულ, ცივ მთვარეშიც ადამიანის ამოცნობას რომ ლამობდა.



ტენე კალანდია

ქრისტეშობის ჭირნახული

ქრისტეშობა: შვიდი ლექსი,
შვიდი სევდის ანაბანა...
შვიდი ცრემლის კვნესა მესმის:
უკან მრჩება ეს ქვეყანა...
რადგან სული დაიღალა,
თუმცა სხეული ლექსის კალოს
ლეწავს, მიმტვრევს წყეულ კალამს
ცა – მერმისის სამოსახლო...
აჰა, მრჩება შვიდი ლექსი,
შვიდი სევდის ანაბანა...
ახლა უკვე შვიდგზის ვკვნესი:
– ნეტავ, აქ რამ მომიყვანა?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარათი მამისეული სახლიდან: ქუთაისის ქუჩა №62

წმინდა ხარ, როგორც პოეტის სევდა

გენო კალანდია

მე, რა თქმა უნდა, დავბერდი, მაგრამ
ხან ვსვამ, ხან დილან თომასს ვკითხულობ –
„ყველაზე დიდ ლოთს“,* ხოლო ჩემს ნაგრამს,
შორიდან ვუმზერ, როგორც ქვითხურო...
უკვე არც ვიცი, რა არის ლექსი –
მეტი სევდა თუ ტკივილის განცდა:
მე იმ ისრებით დაჭრილი ვკვნესი,
რაც წმინდა სებასტიანეს აცდა...
ყოველ წამს მზად ვარ აღსასრულისთვის,
გულწრფელად ვამბობ: გმადლობ, უფალო,
პოეზიისთვის, სიყვარულისთვის
რომ შემქმენ ჩიტი – თავისუფალი!..

დეპრესია და დეკემბრის სირჩა

ზაზა თვარაძის ხსოვნას

ის ჩემზე უბედური იყო...

(ფედერიკო ფელინი ინგმარ ბერგმანის შესახებ)

ჩემზე უბედურს ამ საწუთროში
იმ ქვეყნად ვუძღვნი სევდიან სალამს
ამ მწარე სირჩით, რამეთუ უფრო
ადრე დასცალა ჟამის სამსალა...
მეც მალე წავალ: ბობოქრობს მკერდი
ბებერი ლოთის თუ მეზღვაურის:
გასვენების დღეს მოვლენ თვით მკვდრებიც,
რომელთაც ჩემი ხარხარ-ხმაურიც
ახსოვთ: სხეულში ვერ ეტეოდა
მშფოთვარე სული, ბახუსის ბრჭყალებს
თუ გავურბოდი, ცრემლი მტკიოდა
და ასფოდელი** მიწვავდა თვალებს...
დამპალ საწუთროს სდიოდა დორბლი
და ბოღმა... ჟამი ისე დიოდა,
შენი „სიტყვების“ – ცრემლი და ოფლი –
მკერდზე, ვით ტალღა გადამდიოდა...
სულ სამად სამი შეხვედრა გვქონდა:
ბიჭო, მიწისთვის არ მემეტები!..
მამულში ბილწი ქარები ქროდნენ,
ქრიან; მარტოკა დავეხეტები...

---

* მე ყველაზე ლოთი კაცი ვარ მსოფლიოში – დილან თომასი.

** ასფოლედი – ჰომეროსის „ოდისეაში“ ნახსენები ყვავილია /ავტ./.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მართლების მცირე მცდელობა

ციკლიდან: ოვიდიუსი კასკეთიერში

წყალნი წარვლენ და წამოვლენ,
ქვიშანი დარჩებიანო...

ხალხური

ვფიქრობ: არაა ეგ ჩემი ბრალი,
ჯერაც არ ესმის ერსაც და ბერსაც:
ტანჯულ პოეტთა ქვიშა თუ წყალი
უძლებს ზღვის ხარხარს და უფლის კვნესას...

პოეტი ელის დაბადებიდან
სიტყვას და შუბლზე ჯვარდასახული
გრძნობს: სამშობლოში რისთვის კვდებიან,
ცად ატყორცნილი რაა მამული –

უწყის, როცა ბორცვს მიეახლება
და სიზმრად ხედავს ციცქნა კესანეს,
ჭაბუკებს ეტყვის: დარჩით ახლებად,
შეაღეთ ბჭენი სამოთხისანი...

ხმამაღალი ვედრება

ერთადერთს გვედრი, უფალო,
მართალი დავრჩე ცამდე –
ჩემს ხალხთან... ვიჯდე უფულო –
სახლში... მსურს, მარად მწამდეს,
რაც მწამდა... ლექსს შევეწირო,
როგორც სანთელი წყვდიადს...
მხოლოდ ქართულად ვიყვირო,
რასაც სიმართლე ჰქვია...
დამპალ სიბილწეს მივაგო
აუცილებლად თვისი –
ჩემი სიტყვით და ვივარგო
ამ ბატონკაცურ ნისლში,
ვიყო ქართველი პოეტი –
ბრმა ცხადში, ხილულ – ძილში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტურ განმარტოებას
სდევდეს მუდმივი ქიში:
მარად თავდასხმას ველოდე –
ვიყო, მიყვარდეს, მწამდეს,
როგორც სიზიფე დიდ ლოდებს
მივაგორებდე მთამდე...

მკითხველისადმი, №3

ავტობიოგრაფიის ვარიანტი

ირაკლი კალანდიას

განვლილი წლები: ღამეები – წერით ჩავლილი,
დღეები – თარგმნა, ლოთობა თუ მშფოთვარე ლექსი...
უკან დამდევდა კორექტურა ბოზი ქალივით,
ვერ მოვიშორე ეგ რვაფეხა – უსაძაგლესი –
ჩამყვება ხინჯად, როცა მწუხრში აღვესრულები,
მკითხველო, შენი იმედი მაქვს, მიხვდები თავად:
შენი პოეტი – კალანდია რენე – სრულებით
არ ისქელებდა წიგნებით გავას...

გვიანი სამადლოგელი სიტყვა

ილიკო ფერაძეს

იქნებ, დავძლიო ანკანაკება*
და აწ გაქცეულ ცის მწვერვალებში
ვიხილო სხივი – გზა – ანბანთქება,
რომ გავისტუმრო თუნდაც ვალები
ადამიანთა, რაც რომ სიკეთის
შემდეგ შემორჩა ბრუჟიან სახეს:
ზეშთაგონების ტალღაა მკვეთრი,
წყეული ნიჭი მთავაზობს სახრეს...
და მე არც ვიცი, რით დამთავრდება
ჭიქების აწევ-გამოწევანი:
შემოინახეს ჟამის კადრებმა
პოეზია და მწიფე მტევანი...

---

* ანკანაკება – ზედიზედ ნადიმი /საბა/.

ცისკარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტეშობის შემდეგ

ექსმე ზღვაურის ლექსი

ამ ქალაქში ტვინად თუმცა
ღორის ქონი უდევს მრავალს
თავში... ამ მიწაში ვდრუცავ
მელოტ თავს და ვერსად წავალ...

აი, ჩემი ბედისწერა,
სამოთხე და ჯოჯოხეთი,
თუმცა შორი ზღვების მჯერა,
მაინც ჩხოუშიას* ვერთვი...

ახირებული კატის სიბერე, ანუ ვირთაგვის ყოფილი მჭლეტის მონოლოგი

ბაჩანა ბრეგვაძეს

კატა მიდის გრემს და ხერთვისს
„დონ კიხოტის“ წასაკითხად...
არც უკითხავს ხანძარს ჩემთვის,
რა მიჰქონდა, რა მეკითხა...
მე ხომ სახლში ჩამოვედი? –
ჭერზე თუ ბუდობდა ვირთხა
რა ვიცოდი? – ეგ ვედრება
თუკი ესმის ჩემს განმკითხავს?..
ასე არის ეგ სოფელი:
ქვა აღმართზეც მოგაკითხავს,
რომ ვარამმა უცოდველიც
გაცოდვილოს ისე დიდხანს,
ყველაფერი შეგაჯავროს,
რაც გიყვარდა, ის წაგართვას,
ბოღმამ – უსახელო ჯავრმა
შეგატოვოს ფიქრის აფთარს –
დასაგლეჯად, დასაფლეთად,
ხოლო, როცა დაეცემი:
განიკითხავს დღეთა შენთა
ჯოჯოხეთი ან ედემი...

---

*ჩხოუშია – მდინარე ზუგდიდში

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

არყით დაჭმუჭნილ სიფათით
ვიყავი, მაინც ვწერდი –
პოეტი – უმარიფათო,
აწ ჩაწიხლული მკერდით
ვრჩები: არ მმართებს იმათი,
არც ამათი და გვედრი:
უფალო, სანამ მინათებ,
შემიმსუბუქე ხვედრი...

სევდიანი რეალობა

ვგრძნობ, მაშასადამე ვარსებობ!
მიგელ დე უნამუნო

ვგრძნობ, რომ გაცივდა მშობელთა კერა
და თბილისს შევრჩი ლუტი დეკნილი:
დამვიწყებია ლექსების წერაც,
ვზივარ უმწეო, თვალდაშრეტილი...

ვინც წერს, უკურთხოს ღმერთმა კალამი,
და, ვინც კითხულობს, უბოძოს გონი –
ყოვლისმხედველი: ჩემი ალამი
უკვე დაეშვა: დავთვერი, მგონი...

სამადლობელი

მაკა გოგუაძეს

თომა ხომ ნაღდი, ჭეშმარიტი კუპიდონია –
ბრძანეთ, ამიტომ ორივენი წმინდაც, ნეტარიც
ხართ, დაია, და, საწუთროში რაც დამრჩენია,
წამია – ისრის გასროლა და კალმის მკვნეტავი
აღარ ვიქნები... მარტოოდენ უფალმა უწყის
და ბელზებელმაც კარგად იცის: როდის მოვიდეს,
ვინ მოაწეროს ხელი ლომის სიკვდილის უწყისს,
ჯერჯერობით კი სტრიქონებით აგივსებთ გიდელს...
ბებერს სიმაღლის შიში მზაფრავს, მაინც ავედი
თხმელის თხემზე და მეგრული თუ გურულ ადესით
სავსეა ჩემი აღსასრული, თუმცა დავბერდი,
წინაა ჟამი გარდასვლისა – უდიადესი...

ცისკარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფე მტევნებად იჭყლიტება ჩემი სიცოცხლე,
ან მელოდება ბიბლიური მწარე და იწრო:
კურთხეულ იყოს თქვენი ზეცა! მე გავყვები წყლებს –
მარადიულს და „საფერავთან“ არ დამივიწყოთ!..

„ქართული“ სასამართლო: ივლისი – 2006

სანდრო გირგვლიანის ხსოვნას

მოწმეები ზურგით დგანან
ანუ ჩვენკენ – უკანალით...
საით მიდის ეს ქვეყანა –
დაჭედილი ჯორის ნალით?!

ერო, ბერო, გაიღვიძე,
ბორგავს ჟამი სიმართლისა,
სულს კარგავ და ღაბაბს იძენ? –
კვნესენ ძვლები წინაპრისა!

●

დაე ნურასოდეს მიმატოვებს ღმერთი
(ბლეზ პასკალის უკანასკნელი სიტყვები)

როცა სიკვდილი გადაერკალა
სიცოცხლეს, მწუხრში: მწირი, დევნილი
მე დავუბრუნდი ბავშვობის ქალაქს
ლუმპენპოეტი – გულდაწყვეტილი...

მწამდა, მეწადა: ვერ გავარღვიე
მარადისი წრე – ისევ მწარეა
პოეტის ბედი, ცრემლთა თარიღიც
სივრცეში მხოლოდ უფლის მხარეა –
გაურკვევლობა: მარჯვნივ თუ მარცხნივ,
რადგანაც სულში იწვოდა კალა:*
გავიმარჯვე თუ ვიწვნიე მარცხი
უწყის უფალმა და სიტყვის ძალამ...

---

* კალა – მარადიული დრო /სანსკრ./.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი „მრისხანების მტევნები“

არ გვეშველება თუ ერთ დროს
სისხლად არ იქეც, მელანო

ვაჟა-ფშაველა

ეს ვინ დამწყევლა? – არ გამეგონა
დაიმონის ხმა – ქარაფებს ქვემო-
დან ამედევნა: ქონა-არქონად?
უფალო, იყავ ძალიან ზემოთ
და ლოცვა ჩემი – ლექსის სტრიქონი –
ვერ მოგაწვდინე – ეთერში ჩარჩა
და მკერდს მეხლება ზღვა – სტიქიონი –
მრისხანებისა, რაც ციდან არ ჩანს...
თუმცაღა ვიცი: ეს დღეც მოკვდება,
სხვა თუ არსებობს? როცა ნაცარი
ცვივა ჩემს თავზე, რაღაცა ხდება:
ბრწყინავს საწუთროს გზაგასაყარი...

დაგვიანებული, მაგრამ გულწრფელი დატირება

ვალერიან საღლიანის ხსოვნას

დაბერდნენ ლომები... ან მეფობენ მწერები:
– ვაი, მიშგვა ლირდეს, ვალერიან!..*
ქუთაისის ქუჩაზე არაყს ვეფერებით,
ცრემლიან არაყს ვსვამთ მე და არღვლიანი
ედისონ – ჩვენი ძმა ცხუმარელი
და სანახევროდ ზუგდიდელი...
– ვალიკო, სტუმრად ხომ არ გველი?
რატომ ხარ ასე ნაღვლიანი?
– სი ჯაკუმა ჰარაყ?**
რატომ ხარ ასე საყვარელი?..

შენ იყავ სვანეთის დევი და მგელი,
თამადა, პოეტი, მამულის ზვარაკი,

---

* ვაი, მიშგვა ლირდეს – ვაი, ჩემს ყოფას /სვან./.
** სი ჯაკუმა ჰარაყ? – შენ გინდა არაყი? /სვან./.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენს ძმათა ხსოვნას ანათებს სანთელი –
წმინდა და საარაკო...
დიდებულ ვაჟასთან ახლოს მეგულები –
კაი ყმა, სვანეთის უბადლო მახვში:
მაპატიე, გვიანი სიტყვა ერთგულების,
ხშირია მწუხარება კალანდიების სახლში:
– ვალიკო, სტუმრად ხომ არ გველი?
რატომ ხარ ასე ნაღვლიანი?
– სი ჯაკუმა ჰარაყ?
რატომ ხარ ასე საყვარელი?

ხატები აკლდება საძმოს გალერეას;
ცოცხალი ხატების შესახებ ვამბობ:
ქუთაისის ქუჩაზე მე და არღვლიანი
ვსვამთ მწარე არაყს და პურს ცრემლით ვალბობთ:
– ვაი, მიშგვა ლირდეს, ვალერიან!..



ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი, სახელად ნოე

(რომანი)

თავი II

ჯერაც ცოცხალი ლამექისა ქალაქად, _ იმ...

ყოვლადმძვინვარე, ჯერ კაცისა და ზედაც ქაბუკის ნეტავი თუ მართლა მომკვლელი, ხოლო თანაქალაქელთათვის როგო-ძალიან-დიდებული ლამექ თუმცა აფთრისა ტყავებდაგებულ ტახტრევანზედ ჯდა და აფთრისავე ტყავ-ტყავებზედ დაებჯინავა ისეთი ფეხები მას რომ ჰქონდა და სულაც არაა მისი ფეხების აღწერა საჭირო ხოლო ყოფილი აფთარ-აფთრები დრუნჩებილებდაკრეჭილნი ამოსცქეროდნენ, იქავ-მარჯვნივ და იქავ-მარცხნივ იწვნენ ცოლები მისი ყადა და ცილა ხოლო პირდაპირ ვიღაც სუქანი იმათი ცდა რომ არ დასჭირვებოდა ატლანტიდის-თავს სრულიად ლამექს რომელიც ახლა კერპებისადმი შეწირულ ძღვენთაგან ზოგსაც-ზოგიერთთ იმა-ტაძრიდან გადმოღუნულს გულდასმითა და ბეჯითურ თვალ-თავდადებულობით ათვალიერებდა კარგაკმაყოფილი, მაგრამ, ბოლომდე დაკმაყოფილებული მაინც ვერ იყო რადგან ვრცელ-დიდებულებისადა მიუხედავად სხვადასხვა გვარ-რჯულის მკბენარი იმდღეს განსაკუთრებით აწუხებდა და თანაც რამოდენიმე გვარ-სახეობისა – მკბენარი აბა რას დაგიდევთ საკბენი უბრალოა თუ ქალაქისთავი, – და ტილებისა გამოძებნა თუ ცოტათი ძნელი იყო ხოლო კოღოებისა კი ტაშისცემით მოკვლა – შეუძლებელი, იმ შტერ და მუქად მბზინვარე ბაღლინჯოებზე კი, გაგიხარია დიადი ლამექ ისე მშვენივრად იყრიდა ჯავრს – ჯერ ცერა-თითის ფრჩხილზე ფრთხილადა დაისომდა და მერე მეორე ცერათითის ფრჩხილი,ით? –

„ტკაც!“ –

მძვინვარი, იყო.

კერპთადმი ძღვენს რომ ისაკუთრებდა, სუარ რცხვენოდა – კერპი არ იყო ისიც, თავათ? რაღა არ გინდა, რომ ჰკლებოდა, არარა აკლდა – სასმელ-საჭმელი, პატივისაცემულობანა, სიმებიანი ბარბითი და მებარბითენი და ბუკ-ნაღარები და იმათში მძლავრად ჩამბერავები, ტანის სამოსი, ტყავები, რამე, ქალები, რუმე... და ხოლო ჩუმათ-ჩუმჩუმელურად? – ხორცებსაც შჭამდა, რა – რითი იყო კერპებზე ნაკლულ-ნაკლები, ხოლო თავისსა მთავარსა მრჩეველს ისე-უბრა-

დასაწყისი „ცისკარი“ №1.2011.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუნამ დიჩანაშვილი

ლოდ კი არ იხმობდა, – არაა, კაცო, გაგიგონია? – თვით წყლებმრავლად-ნაგემ პოსეიდონის წამხედურობით? – სამთითი ედო იქვე, ფერხთით და, იმა ჩანგლურ-სამთითასა რომ რომელიღაცა რაღაცა კარგქვისა იატაკზედ, ქალებიანსზეც, სამჯერ დაჰკრავდა? – მაშინვე იქვე იყო ანიჩქა, ის მერე რა რომ ცოტა ბლუ იყო და ენაბრგვილი, უფრო სწორად კი – რა არასწორად თანხმოვნებიან-ხიწვებიანად მოლაპარაკე, მოლაილაიე პატრონ-განმგებელს მუდამ თვალებში შესციცინებდა, რჩევები ჰქონდა? – თვით სიჭკუვაიანემდე უკიდურესი. როგორც, ვთქვათ, ახლა, როდესაც ჰკითხეს:

– სადაა, ნოე. დავუძახო?

– ან ჰხო, ანდ არა.

– დავუძახო თუ არა, კაცო.

ანიჩქამ კარგა იფიქრა და, თქვა:

– ანგრე აჯობებს.

– დაუძახე, მაშ.

– კარგქლი.

არავინ იცოდა, თვითონაც კი, საიდან იყო, თ.

ალბათ შეთისა ჩამომავალი თუ იქნებოდა რადგან კაენიტური კაუჭად ბასრი კარგა გრძელცხვირი იმას არ ჰქონდა, არამედ მომცრო, ოდნავ-სულ-ოდნავ გამობუშტულივით ნესტოები მსუბუქად ეჯდა საულვაშეზე. როცა მოვიდა, ჯერაც ყმაწვილი იყო მთლიანად-ისე, რომ, სუ დიდიდიდი? – ასე ასოც წელს თუ იქნებოდა მიტანებული, და, გაჭიმ-გამოჭიმე და ასოცდაათზე მეტს ხო სულ ვერა და ვერ მისცემდი.

მაგრამ მოვიდა კი არა, – არა, – მოიტანეს, ბაც სახედარზე გადაკიდული, ძლიერ მორჩილმა და თვინიერმა სახედარმა ატლანტიდაში ზურგით მოზიდა გონნართმეული,თ; ნაგვემი იყო, ნაცემი იყო, მშიერ-მწყურვალი თუ რაღაცა უცხო სნებაშეყრილი? – ვერ გაიგებდი.

სახედარმა რომ, გადახრილმა, ფრთხილად დაუშვა თივის ბულულზე, ისე ძალიან დააჩერდნენ ლამექისები, რომ, იმ სახედრისა გაუჩინარების სულ ვერ გაიგეს სუვერაფერი, ვერ მოიძიეს ვერავითარი ავანჩავანი, –

დასკვნებისათვის.

კი.

ხოლო როდესაც დავრდომილმა თვალები აღიხილა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიაჩერდა შემოკრებილებს, თავზედ დამცქერებს, კერძოდ კი ჯერ სწორედ თავისსაკბილას, ჯერაც ცოცხალ-დიდედოიანსა, ნოეს, უყურა; და იკითხა, ასე:

– ატლანტისაა, ქალაქი ეს, ვითომ და ვითო?

– ვინთოს და ავთოს და ვინთუას მონღგცემ ხჰმე ღშენ! – ძაან იწყინა იმადაგვარი შეკითხვა-ესი მრჩეველ – ანიჩქამ, – ლამექისგარდასულსუყველასთან გოროზი, იყო, ანუ ინყო. ძლიერ შორითი შთამომავალისა, ლეიტენანტის ნავოლესი ფრიად-წინაპარს, ჩავიდინოთ ეკონომია და ჩავიდეთ ჰეკონომიასა და ანიჩქა-ს ნაცვლად მოდით მხოლოდღა „ჩქა" ვუწოდოთ და დავუძახოთ შინაურულათ – დიდ-დიდ კაცთათა ახლობლობა და შინაურობ-შეშინაურება არ დაგვეკარგება, – თან შინაურ-იყო რა იყო აბა თვით ლამექისა შინაურ საქმეთ-განმგებელი ის მერე რა რომ დიქცია ნღცოტა ვერ უვარგოდა, ღ-ტყ-იანი;

– რა ნგქვია, ბიღჭო.

– თ.

...

– და

ეროვნული ბიბლიოთეკა

„არა"-ო, ნოემ. და ნოესმა-მ, გასჭრა.

რაცგინდა ბალღი ყოფილიყო, მაინც მემკვიდრე იყო და გახლდათ თვით ლამექისა. –

მაგრამ შორიშორს რათ არ ჰკიოდნენ?

ნეტაი ხომსუ მშვიდობა იყო...

– რითი შევმოსოთ. – ასე, წერტილად იკითხა ნოემ.

– იხვის კუდები მაქვს კარგაბლომათ, – თქვა კოჭებფრთიანი აპოლონისაც წინაპარმა, კიტრიკიკომ-მან, – წავუსვათ ფისი და, მივაწებოთ და ჩავურჭოთ ასე იხვის კუდები. აბა დაკრონი და ინგლისური ტრიკოები ჩემთვისაც კიერ მიშოვია.

– ნძალიან ნღშვცკარქი, ღქ. – თანხმობას გარდა, დაყაბულდა იხვიკუდებსა ლამექისისა, ჩქა, – საჭიროა, ცმი (– ანუღა,: ჩაცმა).

– რა?

– ჩაცმაი, რაღა. – მუადგილემა, – უჩაცმულოთ რა, – დედაკაცი და ტურფაცასული ხვარაა, კაცო. ისეე, იხვისა ფარშავანგი-ფრთაც მეტია ამისთვის.

– აბა? – გამოუკეთდა, დროებითად, ლაპარაკი, ჩქას... ეგებ იმან, რო –

სიტუაციით, ამ: – ახლო-მყოფობაში მარტივ თ-სა და უ-ბრალო ნოე-თი.

ხოლო კიდენა-კიდე ამა ჩქა-ს კიდევ? – თვით-თითთითება ბაბკენა-პარტნოის მარჯვე თითთაგან შაკერილი შარვალ-ფინჯაკი, ეცო.

– წამოდი, ჩემთან. – უთხრა თს, ნოემ. – გაჭმევ ფხალსა და, გასმევ მუდამ წყალს, ფხალიც მაქვს, ჭაც მაქვს.

– გმადლობას კი-ვარ, მაგრამ არ მინდა.

– რატომ...

თმ უხერხულად გაიღიმა, თქვა:

– არა მჭირდება. სასმელ-საჭმელი.

...

– სულ არასოდეს?

– არასოდეს.

... –

უცნაურ-იყო; – მთლად არაფრისა უსმელობა და უჭმელობა; არადა, სრული სიმართლე, თქო.

ვინა და, –

თმ.

– და, შენს დიდედოს ხომ გამაცნობ. უფრო.

– კი. – თქვა ამაყად, ორმაგმა ნოემ.

– კარგი ქალია.

..... – სიდამ იცოდა! და, საერთოდაც, დიდედოსი რამ-არსებობისა ნეტავი საიდან რა-რა იცოდა, ნეტავი, თმ.

– საიდან იცი...

– ვიცი. –

იცოდა.

ის დღე იყო და, დაძმობილდნენ, ნოე და ის; თ.

და,

მეტიც უფრო, დაძმობილებაზე, რადგან საკვირველება ჩამოუვარდათ და დაეფუძნათ ძალიან, ერთი.

ამაზე, შემდგომ.

●

მიზიდულობის ქალი, ნაყამა, სასიამუვნე როგორ ძალიან ნამეტურობით, თანაც, – ანუ სუქანზე სუქანი როგორ, საკერპთ-ძალიან-თაყვანისცემად, ემზადებოდა.

და ამისათვის სამოსაწოდო ისეც-ძალუმი თავისი ხმისა განსამტკიცებლად სანამ ინდაურისა კვერცხთა გულებს, საჭმლად-აკრძალულებს ატლანტიდურა ზედაპირული კანსტიტუციით ყლაპსა-უზამდა, კი, შეყლუმპამდა რომ როგორცა რო მოწონებული, მისაზიდობის ჰატრიბუტებს ჯერ ძლიერ ბეჯითად ითვალიერებდა, ძაან გულდასმით, –

კი.

იმასაც ჰყავდა რაღა თქმაღ უნდა სასიამოვნოებების გაცემისათვის დამრიგებელი, ნაყამურ-ტანის პირადი მრჩეველი რომელიც იქვე, სიმბოლიურსა-სამფეხა სკამზედ, (– პოსეიდონის სამთითათი) ნაკლულად იჯდა – ისე-ისეთი გამხდარი რომ, როო, ახლა, ნამდვილად ბებერს, 920-სას, ცხვირში, ყურებში, ჩაცვივნულ ღაწვთშიც კი სუსტი სინათლე გასდიოდა მძლავრ მაშხალისაგან, – კი; ხოლო სახელად ქალ-წულობიდან შემორჩენილი სახელი, – ქა, – ძალიან ერქვა, –

– ქაა, აბა ერთი ის ლახუსტაკიც მომაწოდე, ქა, – მხარუკულმა უთხრა ნაყამამ, ვინაც მისი კერპისა უძღებ ტაძარში ძლიერზე ძალიან ყოფილიყოო უნდა მიმზიდველობითური მომხიბვლელობით, და ამიტომაც

სახე-თმის გარდაც სხვადასხვა ფერის ათასფრულათე ჭრელ ლახუსტაკებს თავის მთავარსა იარაღზედ, ყოვლად უფოთლოც ძაან ქონიან-ქონებიან ნაქონებარრა ტანზე ისომდა, და მარტო აბა რას გახდებოდა და ამიტომაც იქვე, ფერხთით, ქალი-რამ ესო, დედაბერი, სახელადა ქა, ახლა ქა-ღ-სასაღ ეძახდნენ, მხოლოდ, ჯერ ქალწულსა და ქალსა მერე და მერე როგორს – გრძელრიგებიანს, კი, აკი, კიკი, და სანამ ქა-სი დახმარებით დიდად ნაყროვან ზურგისა და ზურგისა კი დიდად-პოხიერ დაბლითურაულ ქვეითობების მოხატვ-შაღებვას შაუდგებოდა ნატვირთ მკერდზედა ისვამდა ფერადოვნებებს, ნაყამა, კიდევაც მეტი-მისაზიდობის ფერთშესაძენად, და სისუქნეზე კიდევაც მეტად მოსართველად თავის თავისაც და, კაცთათვისაც, რომელ ათთ და ასთ აღარ გაუძლებდა, სუყველას იქით გადაღლიდა, და, გადასაქანცთათვის ნეპტუნის მაღალ კვარცხლბეკისა ნაცვლად ჯერ თავის გრძლურა ტახტ-ტახტრევანზედა ცალ ფეხზე-ღ იდგა, მეორე ცალფეხს კი, ხელშემოუწვდენელს მუხლსაზემოთ აკი მთლად სულ-სუ რახსი ფერებით როგორ შავ-წითლად იჭახჭახებდა, ალაგ-ალაგ თუ შეირევდა ლურჯსა და ყვითელს ხოლოკი მწვანეს? – აჰ არა, არა, აპაპაპაპა – ბუნებისა ფერს რა უნდოდა კერპის ტაძარში, თან სამსხვერპლოზე, ხოლოკი კონსულტანტურად მოწვეული ქა-ლაქ-მაესტრო, ქა,ღ, ყოფილი ქალი და ქალიშვილიც კი და ასე შემდეგ ქალბატონი? – პრინციპით-იმ რომ – „ბებერი ძროხის რქანიც იწველიანო", რჩევებს აძლევდა? – მისწრება იყო ჩემობატონო პირდაპირ, კი, კი: „ცოტა ღაჟღაჟაც დაამატე, მარცხნიდან გაჰყევ... ჰოო", „მოიყირმიზე, ულეღვობანა... ჰოო, კარქი ხარ", „მუცელი უფრო მოიჭარხლე, ცოტა განდაგან მოივარაყე, კარგია, კარგი, შენ საღოლ, საღოლ, ახალივით ხარ, ბარრა შენ, ბარრა"..., „მუქ-გვერდწითელურა გახდი უფრო..., დაისვი შავიც", „ეგრე, კარგია, მთლად ბადახში ხარ რიქშად იშაკავ", თავისთავს თავის სალამზე და თვითვე კი, კიი, ექალამანებოდა ამა-რიქშათი, ხოლო მერე კი უფროდაც მეტად შეიპასუხისმგებლებოდა რადგან ზურგს თვითონ უხატავდა, სუსტი და ჩხინკი და გადამხმარი კიიყო მაგრამ ჭრელურა ცალხელაურო სამუშაოთვი მეორე ხელით თან თავისსა წელისა ადგილს – გამხმარ ტოტივით იყო მთლადაც, წელი სად ჰქონდა – იმაგრებდა, ხოლო ვეშაპებთ სადასატაკოს და უფრო აქეთ-უფრო გადმომტაკებელს დიდის გულდასმით უელვარებდა ზურგსქვემოთისებსც, ჯანიანთ როგო, და, უკანატანს რომ მოუხატავდა, ოდითგან შეგირდს კიც-კმაყოფილი შაჰხედამდა და, ეტყოდა, სიმხნეს:

– ეხლაა, კარგი ხარ, ყელით ბოლომდე, აბა ტყუილა ხუარ გღზრდიდი, გამორჩეულო, შენ ჩემო ერთო, შე-ჩემანალავ.

სიამოვნობდა, სტაჟ-მქონიანის ესა სიტყვები ქონიანას, კი, მოქმედს როგორა, გამსასიამოვნებელს.

– ახლაა, პირ-სახე შენითღა უნდა აღიჭრელჭრელო, მუზაზედ უნდა დადგე გოგონივ, ჩემოშე ჩემის ცხრაასის-წლისა სასახელოვ. –

იკლებდა, ცოტას... 920-სა, იყო.

და, ამ სიჭრელეთი მომხიბვლელური მისაზიდობის როგორ ძალიან განძლიერებულ, სიამოვნებათ გამცმიმნიჭებელს, სამსხვერპლოურსაც მორიგ ნაყამას, საკერპთ-როგორსა-სამოსამსახუროს, მისწრებასავით პირდაპირ, კი, ტანთდატანთ, კი, კიი, რომელ ჯგროს აღარ დაანაყრებდა უმი ხორცები იმა-თავისი სისუქნეთი, თუმც ქონიან ხორცს ვითო არჭამდენ, აკი ვთქვით (ვთქვი-თ!,ო – ნეტა მეორე ვიღანაა...) უკვე სადღაცას მგონი, კონსტიტუციადამცავები, –

აქ როგოო – ისემც!..

და, ამიტომაც, ამაყი იყო მეხორცთპატრონე შეფპოვარივით (– მზარეულების კაპიტანი). ხოლოკი იქვე, თანაც ცოტათი მიმოწყენილი, ბოღმიანადაც ჰფიქრობდა ასე ცარიალაღა ძვალტყავა ქა:

„ჰოო, იპრანჭ-იპრანჭე, და დღეს რაცგინდა ძაანაც ბევრი იდაგადუგო, დრო მაინც გავა შენ ვერ დაიჭერ იმასა და, ხოხო, ჰხოხოხოოო, და ნახამ როგორც ჩამოგეკიდ-ჩამოგეჭკნება და აგეტირება ეგ ძუძუგული",

ამჯერადა კი, კმაყოფილები იყვნენ ორთავე, ისინაყამა – მომლოდინეი ძრიალურთა პატარახანში უეჭველურა გაცემ-აღებით, ისა ქა კიდეენ, გუვერნანტკაი? – სხვების ხარობა-გახარებით-სიამუვნებანდა-ასე შემდეგ რარიგად ჭროღად მკაფიოვანი წარსულებისა ქვე-გახსენებითაა,

და, ხოლო, იქა, რაცკირამ პოსეიდონისას მოხდებოდა? იქ? ისე ძალიან რომ დაერეოდნენ და გადაიგრიხ-გადაიგრაგნებოდნენ ერთ-მეორეში ატლანტიდელი კაცებ-ქალები აი ისეთსა ღმუილს-ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილკივილში რომ გადამფრთხალი დიდი თუ პატარა წყლისათევზები სულაც ბერმუდის სამკუთხედისაკენ სულ გაჭრა-სწრაფვით დაადებდნენ პოსეიდონისთვის როგორ გემრიელ, თავს, აქა კიდევა?, მერე, და მერე, თითქოსდა თითქმის დანაყრებულთ, ავხორც კაცთ-ქალთათ, გადამაძღარებს, უმის ხორცით და მაინც, კი, კი, მაინც და გინდაც ნელინელ უფროც და უფრო ეღვიძებოდათ ტყიურობისა-შერთულ ოკეანისა ველური მადა, და, მომცრო სამთითებს მთელის იმა-თავისი ხუშტურა და მწკლარტე როგორი, ეშხით ძაან ასობდნენ ურჟოლაშერთული სიამოვნებით თვალებ-დახუჭულნი ერთურთს, სამთითებს, და ერთმანეთის სისხლსა სწოვდნენ თვალებდახშულნი აღტაცებისაგან და ხრიალებდნენ, ნეტარებით-იმ რომ პოსეიდონი ისე სწყალობდათ ისეე ძალიან-წითლად შეღებილ რომ მოშავოც კი, სისხლით და სისხლით, ოკეანური ჯურღ-მულებისასი, მის შავად-ბნელი წიაღებითურთ, – ეგონათ ასე, ახლა კაცებიც გაჰკიოდნენ ღმუილიანა და იღმუვლებოდნენც წივილისას ისე ქალები რომ ამას ვერავინ გადმოგცემთა და აღგიწერთ და რაღა თქმა უნდა იმათ შორის მეც,

ხოლოკი, ღმერთი? –

ხოლო თვალიდან გული ძალიან ტკიოდა,

თვით ღმერთს.

●

ნოეს მხოლოდღა სამად სამი ვაჟი ჰყავდა უკვე, სამი პატარა: სემი, ქამი და იაფეთი, და მთლად არც ერთი ქალიშვილი, ასე რომ თვით უფროსიც კი, სემი, ძალიან ძლიერ ვერ აღრევდა მისი ოჯახის და, მოდგ-მისაც კი, სისხლს. მაგრამ ახლობელ ნათესაობას არად დაგიდევდნენ, იგერ არ ჰყავდათ ბიძაშვილები?

მაგრამ ჯერ მთლად ბალღები იყვნენ და ნოეს უყ-ვარდა მათი ყურება-ცქერა, ახლაც უნდოდა და, მიიჩ-ქაროდა, მაგრამ იმათთამდისინ სანამ მივიდოდა, გზად შემოხვდა თ, და რატომღაც არ შეჰღიმილა, უთხრა:

– ლამექი დაგიბარებს, დღეს.

ნოე უკვეღა შეჩვეულ-იყო თს გამუდმივებულსა წინასწარ-მეტყველებებს, ხოლო თავისი უნებურული წინასწარ-განჭვრეტანი, უკუგდებული, ჰქონდა.

თს აბუეტად თვლიდა ყველა; სულ ფხიზლად იყო, მთლად: – თაფლუჭსა და ქერის ცხელ ნაყენს როგორ-ღაც ბლანტე შეზარხოშებისათვის ის არა სვამდა, ის კი არა და ნოეს ერთხელაც არ ენახა თუ რომელი შესაჭმელით საზრდოობდა თ, და ნოეს სახლშიც არ დამდგარა, მაინცდამაინც იმ ხეებისაკენ მიდიოდა და იძინებდა კიდეც იმათსა შუა, გარშემორტყმული, მათით, იმ-იმათით ნოე ისე-ძაან რომ ერიდებოდა – უზარმაზარსა, ურთხელებში.

თ სულელ-ბრიყვად მიაჩნდა ყველას, ნოესი გარდა; თ არასოდეს შედიოდა ატლანტელების ისე ძალიან აჭრილებფერება რომ როგორღაც მაინც რუხსა ტა-ძარში, მაგრამ პატიობდნენ ამას რადგან ჯერ ეგ ერთი იმიტომ რომ შტერადა რაცხდნენ და თან ნოესი დოს-ტი-ვით იყო, ბევრჯერ უნახავთ განმარტოებულები ოღონდ შორიდან და მაგრამ თუ რაზე საუბრობდნენ არავინ იცოდა, ხოლო მშვიდობიანი ნოესი ხათრი თუ არა, რაღაცნაირი მორიდება მაინცა ჰქონდათ ერთგვა-რული რადგანაც ლამექ მას ცოდვებისა გამომსყიდვე-ლად, რაცხდა, და ეს ისევ და ისევ იმიტომ, რომ – :

„ეს გვანუგეშებს ჩვენს შრომასა და ჯაფაში ამ მიწაზე, რომელიც დასწყევლა უფალმა“, – რა იცი, რაღა არ ხდებოდა და ეგებ მართლაც იყო ღმერთი, ფიქრობდა ლამექ ასე და ასეც თქვა ამიტომაც თა-ვისდამზღვევმა ლამექმა ჯერ კიდევ მაშინ მხოლოდ ას ორმოცდაორი წლისა (– ჰარიფი!) რომ გახდა და იყო, და ნოე ერთხანს კი-შედიოდა დიდ რუხ ტაძარში მაგრამ ქალებს არ ეკარებოდა იქ და არც მომცრო სამთითი შეჰქონდა იქა რაღა თქმა უნდა, და ამისა-თვის ატლანტელ ხალხს სულაც არა-ეპიტნავებოდა გარიყულივით კაცი, ნოე, და თვით კიტრიკიკომ თვიით ლამექთანაც დააბეზღა და აღუხილა ნოესსა ამა საქ-ციელზედ თვალები ლამექს რადგანაც ლამექ სიამო-ვნებისაგან თვალებ-რამაგრა დახუჭული იმა ტაძარში თავისას გარდა ვერას ამჩნევდა, მაგრამ ლამექმა ჯერ იფიქრა და, სანამ კუშტად გრეხილი ტვინი გადაეღლე-ბოდა, მოასწრო და თქვა:

– გაუში (– „გაუშვი“?!) დე იყოს აგრე. უდედაკა-ცოდ. ერთიც ეყოფა. რადგან უფრო მეტს იშრომებს იმ მიწაზე, რომელიც დასწყევლა უფალმა.

და, თუმც ხმამაღლა არ უთქვამს ეს, საშუალოთი ხმითა თქვათქვა, მაგრამაც, ერთხელ, თაფლუჭებ-ბლო-მამიღებულს, ხან ხმადაბლა და ხანაც ხმამაღლა, დასცდა:

– ქალების ნაცვლად დაე მიწა აუპატიუროს! და ამისათვის ურტყას და ურტყას დიდი წერაქვი!!, და თოხიც უჩაკუნოს..., და ღონივრად ჩასცეს ძალაყინი!!!, და ასე გამოულრუტნოს კლდეთ-ლოდიანი შიგანი..., და კლდოვანება მისი დაბზაროს!, და დაამაკოს..., ქერით და პურით და ზოგ-დედაკაცის თმასავითა ფოჩიან-სიმინდით..., მაგრამ მე ხმელი თმა უფრო მირჩევნიან!!, რადგან თითებში ტყდება და ხახვ-ნიორით, და გოგრებ-და-საზამთროებივით დაამაკოს!!, და ათასგვარი ბალახბულახით რითაც დღემუდამ ვიკვებებით აბა ხორცი რას მიქვიან!!, სუკის მწვადებო ჯიგრები ხართ როგორაც თვითან ჯიგრიყაურმა, ეე... რაღაცას ვამბობდი... ჰო, ბალახბულახით თუ შაგვიძლიან მხოლოდღა სუნთქვა ვეგეტერტერატარიანელებსა, ჩვენ!, და ამისათვის მადლობას ვუხდით, ვისაც საჭიროა იმას, ბარრა! – თქვა ლამექმა და შუბლზე მიიდო ხელისგული და მოიხარა და არ გამართულა ოთხზე დამდგარი მაშინათვე ბურვაკის უმი ბარკლისა შაჭმად შავიდა ხვაშიადურად მიფარებულსა კარავში და იქა დააცხრა კვლავ ოთხზემდგარი მუცლი-მასალას და, ეგულებოდა კიდე სხვა რამც, შესასუსნი? – რადგან პატარა ხანში, ბურვაკის ხორცით ძალღონმიცემულმა, დაიძახავა:

– რა კარქი იყო მხალი-მხული, ცილაა, ახლავე გამოახოხე მაგშენი ტანის ყველაფერი მეკი შენშენი სუყველაფერი და ხმა არ გავიგო შენი, კრინტი!

დაა, პატარა ხანში კი?, ისევაა, დატენილ-პირით:

– ყადაა, მოიქეც აქა და ეგა უჰაზრო ტანისამოსი გზაშივე დადე და რამ გაგახდუნა ამბოლო დროს შეჩემის მშრალათ კინკილეიკა!, დაა, ჰო, მაგიორში კაიჩანგლები აიღე და წამოიღე წამოიღევი აუცილებლად მგონია ყელში სადღაცას კურტუმის ძვალი გამეჭედა ოღონდ ქათმისა ისგოთურ... –

მაგრამაც, დროზედ გაიკმინდა, ხმა... კურტუმთნაჭამზედ, ხმა... – საზრიანი იყო.

ქალაქისათვის.

ხოლოკი ნოე, თავის იმ შრომაში რომელი შრომაც რომ „დამშვიდების, ნუგეშის სახით", იყო, უყვარდა თვით ღმერთს, – „სათნო ეყო მას" და მაგრამ რატომღაც ძალიან ადრე შეუძინა ცოლიც, შვილებიც. – „90 წლისა იყო ნოე, როცა შვა სემი, ქამი და იაფეთი".

და, ატლანტისა რუხ-რუხ ქალაქში, მიმოხედვაზე, დაბნეულობას, თანაც ძალიან-ს, იყო ნოე და მაგრამ მერე როგორულ შვებად შეიძმობილა თ. ბყარ ნითელხისა კაცი თუ ვინ იცის ეგებ თავად სულის ნაწილაკი-რამ, რადგანაც ერთხელ თუმცკი შორიდან შეხედა ნოემ მაგრამ მკაფიოდ დაინახა რომ თ სამ დიდსა ურთხელს როგორ ძალიან ეფერებოდა შელბილებული ხელისგულებით – ისა-მწირი და ვითო ეული, თ: ლოყასაც ადებდა მათ წითელსა და შვებად გრილ მერქანს, ხელისგულებით ზევიდან ქვევით, ფესვებისაკენ ეფერებოდა, ერთხელ კი ისე ჩაეკრა ხეს, საამბოროდ? – გადანცვიფრებავ! – ხეში შევიდა, აღარა ჩანდა, ხოლო როდესაც დიდედო მშვიდად მიიცვალა, თმ დაუხუჭა თვალები და იმ სამი ხიდან ჩამოცვენილი ფოთლები დაადო ორმაგულ გულზე, ხოლო დაწვამდე – მიცვალებულებს ძალიან წვავდნენ კაენიტები, მიწის მჩიჩქნელად ნოეც კმაროდა... არა, თვითონაც მუშაობდნენ მაგრამ კვტრისათვის? – მეტი საქმე არ ჰქონდათ, კიკი, – და თუმც დიდედომ, ნოესთან, ადრე როგორ ინატრა, თანაც ორჯერ რომ მიწა ვიყავ და როგორ მინდა მიწადვე, ვიქცე,ო, მაგრამაც ლამექ ამას კონსტიტუციისა და საზოგადოებრივი აზრის დარღვევად მიიჩნევდა ალბათ ანუ მათი კანონის წინააღმდეგ ამხედრებად და, დასწვეს, მაინც, ნოესი მღზრდელი – ხოლო დაწვამდე ისი ფოთლები ააცალა თმ და ისევ იქ დადო საიდანაც რომ წამოიღო და ხოლო ადრე, გაკვირვებული ნოესი-თქმაზე:

„ხეების ასე მოფერება არ გამიგია" –

უთხრა:

– ესა ურთხელი მამა-ღვთისაა, მის სახელზე დგას, ეს მეორე კი – მისი ძისა, ერთადერთისა, ესი კი კიდევ? – წმიდა სულია,

დაიბნა, ნოე, – რაისი ძე და, რის წმიდა სული, დიდედოსაგან სმენოდა მხოლოდღა მაღალი ღმერთი, და, იქვე უთხრა კიდევაც თმ, – მის აზრებს ჭვრეტდა?:

– შენ თუმც არ იცი თუ ვინ არიან მაგრამ ესენი გადაგარჩენენ, შენ კი მიიტან სწორედ ამათ, ამ ურთხელებს შენ, შენს მოდგმათაგან შენს მოდგმებამდე, და სწორედ შენით იხილავენ, შეიგრძნობენ ამათსას, ნოე, დიდი ხნის შემდეგ, უკეთესები,

მთლად დაბნეული უსმენდა, ნოე,

მაგრამ სჯეროდა როგორღაც თან ძალიან და თან შორეულად, თავისი თსი,

აი იქამდე რომ ხანდისხანობით ეგონა კიდეც რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესა-ეს თ მისი მგრძნობადი იყო, სული, ოღონდ საღწევი, მისაღწევი, რთულად უბინო სული,

თვითონ კი, ნოე,

სუნთქავდა,

მხოლოდ,

და, ოღონდ თავად, ატლანტელებში სულაც არაფერს აშავებდა, ამით,

ახლა კი, ლამექისაკენ წასვლამდე, თმ, უთხრა:

– გზად ნუ დააწყობ სიტყვიერ გეგმებს, მხოლოდ ამ სამ ხეს, მიადე რიდით ხელისგული,

– რატომ!, – ძლიერ ხმამაღლა, როგორღაც დიად ყაბულსა მყოფმა, და მაინც რატომ-თავჩაქინდრულმა იკითხა ნოემ, –

– მოიქეც, ასე. –

მოიქცა, ასეც, და ურთხმნარიდან გამოვიდა თუ არა? წამსვე? მაშინვე იქავ აღმოუცენდა სარეველასავით, კიტრიკიკო და, უთხრა,

– თვით თავად ლამექ გიბარებს, პრინცო.

პრინცი არა, ის... რა პრინცი იყო, თუმც როგორ მარად მიწას თოხნიდა და ბარავდა... – მიწყივიც, პრინცი!

ხოლო ლამექმა, თავისსა ძალუმ წარმოსახვებში დიდად უყურა-რა მხოლოდღა ერთხნობით გამასაიამოვნებულს საყადაო და საცილაო ალაგს და სხვა ალაგებისაკენაც გააპარა წელთამდე სავსე წარმოდგენებში უძღები თვალი, და, იმა ალაგებთაგან ძლივას თვალმოწყვეტილმა, უთხრა მერე ასე:

– ჩემს შემდეგ პადრედ შენ იქნები. ქალაქის თავად. დღესვე ვაყვირებ ჩქას მე ამ ამბავს.

და, დააყოლაც, მოისაცოდავა თავი:

– მაგრამ რა ვუყო რომ ხალხზე ზრუნვით აიასეთი გადაღლილი რომ მაინც უკვდავი ვარ თვით კაენივით, შენი ქალაქის-თავკაცობა ეს ისე, ძაან ყოველი შემთხვევისათვის, გითხარ.

და, დააყოლაც:

– ჩქას და კიტრიკიკოს არ დაუჯერო. გოთურნებია.

და, დააყოლა ასედაც, მერე, –

გაუგებრობა, ყოვლად:

– შეაფრინე და გინდ ააფრინე ალალიო რაც არ არი იქნებაო ჩიტი-გვრიტი მოფრინავდა მე კენგურუ მეგონაო ისა კიდენა ტურა ჰყოფილა მაგრამ აღმოჩნდა რო (თ)ეთრი რითინა ეთრ რთვილლზედ, – და, მიაყოლავაც:

– როგორ თუ მოვკვდე, მე რო მოვკვდე? – ბრიდამ ყველას!

ხოლო რადგანაც ქალებსა და ხორციჭამაში ძაანაც ძლიერ იხარჯებოდ-და-იფიტებოდა? –

„სრული ხანი ლამექისა იყო 777 წელი, და მოკვდა". გადაბრუნდა და უფრო სწორად? – „მოკუდა"... კუდა...

ჭარმაგ-მოხუციც კი ვერ იყო, ჯერ.

თავი III

ისევე, როგორც ყოფილადსხარტი ლამექისა, დროს... ოღონდაც, თ-თი

პოსეიდონის ერთიც ვითოშვილის, ატლანტის ქალაქი წივის („წივა – მსხვილფეხა, რქოსანი პირუტყვის ნეხვი. კვერებად ან ბრიკეტებად გამხმარი. უტყეო მხარეში საწვავადაც ხმარობენ – ქართ. ენის განმ. ლექს". – ეეეჰ, რაღა ლექს...) უნებურულ და ბუნებრივად ძლიერ უბრალო ღრჯუღრჯუ ქოხებით იყო შემოსალტული. მდაბიოები ეწოდებოდათ იქ მაცხოვრებლებს და უუნაროებად ითვლებოდნენ რადგან ვერ (და არა „არ") ძალუძდათ თვალნათლივაც წაერთმიათ ანდ წაეგლიჯათ ანდაც ჩუმათე დაეთრიათ სხვებისგან რაიმ-გამოსარჩენი, ერთმანეთს თუ გამოსტაცებდნენ დღისით-მზისით ან ღამით-მთვარით კომბოსტოსა თუ ფხალს, ხოლო სკოლები დავუშვათა და რომ არსებულ-და-ყოფილიყო ატლანტიდაში, და ასე 55-60 წლის მოსწავლე ახალგაზრდობ-ნორჩებისათვის რომკი დაესვა მწვრთნელ-დამრიგებელს ასეთი კითხვა: „აბაა, ბავშვებო, ვინ მიპასუხებს რაას გვაძლეეევს ნდზროხა (– არა, დედიძმიშვილი კი არ იყო დიდ-ანიჩქასი არამედ ძროხას აზვიადებდა)?" – „ყველს... დოს... რეს... – დო, რე... (– იუბალ, სადღა არ დაპოტინობ...) ხაჭოს, ეე – ... რძეს... რე-ს... ფა დიეზს (იუბალმეთქი!)..." „კიდე, კიდენა?", „ეე... ჰო – გამონტყავებულ (აქ კი – იობალ!, მენახირევ...) ტყავს (– და „ტყავს"ვს კიდე რა უშავდა ატლანტიდაში ისეთ-ისეთებს გაიძახოდნენ...)... ხოლო დიადი პოსეიდონისათვის – ხორცს!" – უპასუხებდნენ მდიდართშვილები, და ხოლო მაინც ისევც კვლავაც-კითხვაზე: „დაა, კიიდეე, რააას?.. მოდითდამიდით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგა დაჰფიქრდით თქვე ბეჩავ-პატარგოთურნებო!“, – მდიდრებისანნი, სდუმდნენ, დუმდუმებ დუმ-დნენ ნაყამას მოჭრილ თუ, იქით-ალესილ ჩასაფრებული ფრჩხილივით, აქა, ხოლო ღარიბებისი შვილებთაგან რომელიმე-ვინმ ისე ძალიან გამხდარი რომ საკვირ-ველ-იყო პირდაპირ ჩემობატონო თუ როგორ იდგა ჯოხისებრ ფერხთზე, მოიქექავდა გამხდარსავე თავს, და იტყოდა, კი: „და კიდევ სახლს. და კიდევ შეშას“. „სწორიიაა, სწორიი“, – მოსაშუალო თავს დაუქნევდა შეკითხვათ-მსმელი თაფლუჭიანი პედაგოგიურ-მასწა-ვლებელი, და, გაამხნევებდა,ც, – „კაარგიაა, კაარგი, ჰა-შენ, სტაფილო“, – და ნამდვილადაც სწორი პასუხ-გაცემა იყო ეს, ქერნაყენიანსაც მასწავლ-მასწავლებ-ლელისასასადმი რადგანაც სასა რა იყო არამედ ძროხა? ხართან ერთად ტყაპ-ტყუპ დუეტში ძაანც ტყუპურად-ტყლუმპ!-იურად აძლევდათ, ნაკელს, რომლისაგანაც რომ ყოვლად უფასო მზეზე ხმობა-გახმობით მშრალ-მშრალ ბრიკეტებს ამზადებდნენ და იშენებდნენ მოქუ-ფრულ ქოხებს, და სითბოსათვის ანთებდნენ, თანაც, ასე ნაკლებად-უფრო სციოდათ, კი, და თუ არ ჰყა-ვდათ მსხვილფეხოსნები მაშინ მდიდრების კარ-მიდა-მოდან სულაც პეშვობით ძაან ციმციმ გამოიზიდებინე-ბოდნენ ჯერ კიდევ თბილ-თბილ... რასა და, რაღა-არ გინდა, სულო და გულო: ნეხვი, ნაკელი, ფუნა და წივა, სკორე, ტურტლი და ჩინჩორიკი, თვით კუჭთ-მომრევ-თაგან გამონავალი და, ორთავე მხარე მოგებას იყო, გამხდარი ხელი სუქანხელს ბანდა და თან პირიქით: ქოხის მასალა და რაღაც-რუღაც სახელმძღვანელოები უგროვდებოდათ საბრიკეტოებად მდაბიოურსა ღარიბ-ღატაკებს, ხოლო მდიდრებს კი?, რაცგინდაც-ვინმე-ვინმ ჰყოფილიყვნენ და მომავალი იეღოველები და არასამთავრობო-მითამ ავის-უფლების ჰინსტიტუტისა წარმომადგენლები ადამიანები იყვნენ მაინც ბოლოს და სულ ბოლოს ბოლო-ბოლო მაინც თუმცა როგორი კაენიტურად კაენიტები და ბუნდოვნად აკი სულაც ვერ-ვერა ჰსიამოვნებდათ ზოგზოგი სუნი, ხოლოკი ცუდი ისა იყო ნაკელის-ამფხეკ გაფხეკილებისათვის რომ ასე ნანინანატრად გამომზადებულ ვუპხ-ბრიკე-ტებსა მთლად ძმადნაფიციც მეზობლები ჰპარავდ-ნენ ხოლმე ერთიმეორეს, „უფრო აქონ, კი, პოსეი-დონი და მეტი ემსახურონ მდიდრებს და ეთაყვანონ ხელისუფლებს“აო, ამბობდა თ,

ხოლო მერე და მერე ატლანტიდაში, ზევით და ზე-ვით წიფლის, წნორების, მუხის სახლები ედგათ უფრო ვინემ წივისა, ხოლო წრეხაზულ შუაგულში, პოსეიდო-ნის სამსხვერპლოს ირგვლივ – მარმარილოსი, საი-დანაც რომ იმა სახლების საკვამურებიდან ერთთა-ვად კვამლი ამოდიოდა, ხოლო სტუმრებს კი, გარდა პირ-ხახადაბჩენილად მისული ლამექისა და აიიმისი ანიჩქასი და კიტრიკიკოს გარდა აბა ვინ ვისა შეასუ-ნინებდა იქ, ვითომდაც ჭინჭებს სწვამდნენ იქა, ღმერ-თების მთავარ დირექტორის – მეხებებმოსილ თავად ზევსისადმი ჭინჭებისა კვამლს რომ აეტანა მათი თხო-ვნა და სხვადასხვაგვარი ავანჩავანი, ზოგი კარგ სატე-ვრისა შოვნას-ან-პოვნასა სთხოვდა, ზოგი – ბარაქას, ზოგი მეტმატყლსა და ზოგიც – რაიმე სქელგავიანს, ა, წარმოიდგინეთ უმართლებდათც, ხანდისხან, კი, კი, განსაკუთრებით – კარგსა-გავებსში, ოთხფეხისა იქნე-ბოდა ეს თუ სხვარამ რომელიმე ორფეხსულიერის... სუსტსქესოვნები არ იყვნენ მაშვინ, სხვა თუ არარა კიოდენ ისე რომ ბელურები სულაც ვერ იყვნენ ატ-ლანტიდაში, ტყეებში ფრენდნენ მიმინოთათვის, და იყო აბა რა – რა, არა იყო გავათ როგორი უნაკლოთმ-ცოდნე, ზევსი? და ამავ საქმეშიც წარჩინებული ზევ-სისა როგორ ასპირანტ-ბაკალავრი პო-სეი-დონნა ბე-ვრაწყლებია, პო-სეი-დონურად ზევსური დიდ-დიდებ წყალთა, ზღვევსი?

იყვნენ, კი.

დასტურ.

მაგრამაც აი იმა სახლებში მართლა ჭინჭებსა კი არ სწვამდნენ, არამედ იმას, რაზედაც რომ ლამექ შორი-დანვ გაივლებდა ხოლმე: „ვაჰხ რაკარგია, ხორცის სუნი მცემს“ და კრაველისა ბოხოხიან ლამექისა სტუმრო-ბით დიდად გახარებულ ანუ დასაწინაურებელ ჭინჭე-ბის-დამწომსა მასპინძელსა-მხიარულსა რომელსაც აგრეთვე თავი ქუდ-კეპკაში ჰქონდა – ანანიმკებსა იმი-სა თავზედ თუ დაუწერამდნენ, ისევ ლამექთან არ მი-ვიდოდა საბოლოოდ? ჰა? თან წერა-კითხვა მაშინ მგო-ნია სულაც არ იყო ვიღაცმოცლილით გამოგონილი, და ჯორისა ტაჭკით შინაურულათ რო მიადგებოდა ლამექ, ჭინჭთასა? –: „მეცკი შევაწევ მეხთმტყორცნელლს, ორსა-ღერ ჭინჭურ-სიტყვასა“აო, და – ჭამდნენდაჭამ-დენ შამწვარ-ჩაშუშულ-მოხრაკულებს და რამდენ-დარამდენ თაფლუჭებსა სომდენდასომდნენ ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ძაან გაუტკბებოდათ პირიღრუ? – მაშინ ქერისა ცხელ-ცხელსა ნაყენ-ძალიან-ანადუღარსას აყოლებდნენ, კიი, ვინ რა იცოდა ამისა და კი არა და, იცოდა, ეს, თმ; და, ამიტომაც, იცოდა ნოემც, და უბირებისაც კი ბავშვებიც-კი ბავშვურის გულით თითქოს ცოტათი ხვდებოდნენ ამას რადგანაც ლამექს მოშიმშილეებისათვის (ოღონდაც არა-პროტესტულად) დამათრობელი და მიმზიდველი სუნ-ოხშივარი ამოსდიოდა კუჭიდგანა, ამაღლებულსაც სიგრძითათა სამსხვერპლოშიაც როგორ რახშირად იგრძნობოდა ეს, წივებ-რახშირად გამოვლილთათვის, რადგანაც ლამექ მთლად განუწყვეტლივ ნაყვარებ-ძლიერძაან-ჰყვარობდა ოღონდაც მასპინძლის გარდა ჩუმჩუმელურათ როგორც ხორცისა შამწვარ-მოხრაკულ-დაბასთურმებულსაც ხოლო აშკარადა კი? – ატლანტიდელი დედაკაცების მთლად უმსაც ხორცსა როგოჰყვარობდა მაგრამ ხმამაღლა მაინც ვერავინ გაუსვამდა ამასა ხაზსა – აბა სად ხმა და სად ხაზი, რადგანაც, კაცოო, დამიჯერევი – შავსა სიაშიანიჩქათი შეტანისა ძალიან ძრიალ ეშინოდათ თუმცა მაშინა ჯერა ვერა იყო წერაკითხვაი მაგრამაც შავი სიები? – იყო, ხოლო აგრეთვე თუმც სულაც არცაც ოდნავც ვერ იყო წივებისა და მარმარილოს კერპკერძთ ქალაქში სკოლები მაგრამც სკოლები რაღად უნდოდათ ისედაც ესვათ მინის(შ)ტერულათე (ყველა შტერია, გეჰენიისათვის ვინცკი რო ილვწის) როგორაც ვინცხა, ალიმენტური, რაში არგოდათ სკოლები და უმაღლესური ინსტიტუტები და უნივერსიტეტიანიანები და ამისთანები – თავად ცხოვრება იყო შკოლა, მერე როგორი... – წივებიანიც; სუნნელოვანიც,:

– მეტი ემონონ, – ამბობდა თ. ოღონდ ხმადაბლა. მარტო თუ იყო.

მაგრამ შფოთისაკენ მთლად-სულ-არავის მოუწოდებდა, არც თავის ნოეს, ვისაც ერთადერთს უმჟღავნებდა გულნაკლულობებს; ერთადერთიღა,ც, მზერა სჩვეოდა, სასაყვედურო – რომელიმე-ვინმ თანაქალაქელს (თანა-ქალაქელი გახდა, და როგორღაც იყო, ც, მაინც იმათი, ატლანტელებისა) რაიმ იმათსა პირობაზეც კი ზღვარგადასულ სიუხიაკეს, ზედმეტურსაც-კი თვით ატლანტიდელებისათვის, თუ შეამჩნევდა? თვალით ძრახავდა, მაგრამ ისინი ვერას უმჩნევდნენ, ვერასოდეს, მხოლოდღა გასამასხარაოდ ასაგდებიად ე-გულ-ებოდათ და ამისათვის მიმოწყენილობისას მიმოიძებნიდნენ, მხოლოდ, და, ეკითხებოდნენ, ვითომ გულდასმით:

– აბაა, ბიჭო თ, აბა როგორი და როგორი და რანაირი და რამფერი უნდა იყოს ადამიანი, თ-ფუ?

– კარგი, კეთილი. – იტყოდა თ.

აქ, ატყდებოდა ერთი „ვაჰხახახა" და ერთი „ჰხიხიხიხიხი!..",

– და, ბიჭობიჭო თ,ფუ, ადამიანი კარგი თუ გინდა რომრო იყოს, შენაც ხო თითონ კარგი და კეთილია თუ სათნოო თუ ჩემიფეხები თუ რას ეძახიან უნდა თითონაც ხოუნდა იყო, ჰა?

– კი. – ცოტათი მორცხვადც ამბობდა თ.

– ჰხოდა ამიტომ, ნუ დაიზარებ შენსა გაზრდას და, გაგვახარე. დროს მეტი რა გვაქვს, შვილი შენ სულაც არ გიჭყავის და ძირი და ძროხა, მიდი და მოდი გაგვახარე,

– რით... – უილაჯოდ იტყოდა თ.

– რითა დაა, გაგვაცინევი და ამით გაგვახარე.

– გაგაცინოთ, რით.

– აი, თუნდაც იცეკვე, იპამპულავე ოღონდ, და ისე...

დაფიქრდებოდა, თ,

და, მერე:

– ეგ გახარება თქვენთვის სიკეთე კი არ იქნება...

– ვითომ და, რათა!

– რად და იმიტომ რომ თქვენ დაცინვა გინდათ ჩემი, ხოლო დაცინვა არაა კარგი.

შემოჯარვოდნენ, ლამექს თ-სათვის სადა სცხელოდა, ღორის ქონებსა უმადაც შჭამდა. ახრამუნებდა, ინდაურის თავსც. თან, ისუნთქავდა სუნნელოვნურობებს თავიდან და ცოტათი თუ გადანაყრდებოდა ჯერ და რაღაც მოშორეულო ღებინებისადამაგვარს ჯერა თუნდ მკრთალად თუ შეიმჩნევდა თავით და ყრონტით ყანყრატოულსა შიგნიშიგნურა გულბოყვიას, ში,

– იცეკვე, თორეე... – თვალებდამჭყეტად წარბებისა ისემაღლა აწევით და ამისაცა-მეშვეობით უფროცმძვინვარი იტყოდა ხოლმე კინტრიკიკოი ასე და მწარე მათრახზე მთლად არაორაზროვნულად დაიდებდა, ხელს.

ხელი ისედაც მწვავე ჰქონდა.

ხოლო თს მათრახისა და ამისთანების თუმც მაინცდამაინც არ ეშინოდა, მაგრამ ნოესი ერიდებოდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ-სთვის მათრახის გადაჭერა იყო და, ეფლითებოდა მაშინვე კანი, ნოეს. მართლა.

ოღონდ მალავდნენ, ამას.

– ვიცეკვებ, კარგით.

...

– რაღას უყურებ!

– გაგეხარდებათ?

– შენ რა, ბეჭები აგექავა? – მათრახისა ტარს ახლა მთლადცხარე თითებით ბღუჯავდა თვით თანაშემწე – ლამექისა თანაშემწისა ანიჩქასი, კინტრიკიკო,ი.

ხოლოკი ლამექს თ-სათვის აბა სად ემცხეთებოდა – ღორიქონებსა უმადაც ჰსშჭამდა. თან, ნელსაცხებლებით გამალებული ისუნინებოდა და თანაც უფრო და უმფრო მეტად და ძლიერ.

თ კი მთელი თავისი ძაანაც მწირი შესაძლებლობებით ცეკვას იწყებდა: ხტოდა განდაგან, ფეხისწვერებზე შედგომას ლამობდა, ბუქნავდა კიდეც შიგადაშიგ, ხან უილაჯო-ციბრუტივით ბზრიალს ცდილობდა, წელში მთლად ორად იკაკვებოდნენ გადაღტაცებული ატლანტელები, სიცილით როგორ ჩაბჟირებულები იმთავიანთ სულს ძლივას ითქვამდნენ და სულ ვაივაიჰს გაიძახოდენ ნეტარებისაგან,

ნოე შორიდან მიჩერებოდა აგნიასებულ ხალხს, როგორ ბოროტად გახარებულთ და გადახარებულებს, ათახთახებულ ავზნე-ჯამაათს და გული ტკიოდა, რა ხდებოდა ეს, ვერა ხვდებოდა რადგან მისი გონება სულ ვერ იყო თ, თ უფრო გული, თავად გული-ანატკივარი იყო ნოესი, ეგებ, და ძველ, ნაცად ხერხს მიმართავდა, გაჭირვებისას ისერიგ ძაან, ძალიან ძლიერ რომკი შველოდა:

ამოესმოდა თუ თავად თხზავდა ეს ვერ იცოდა მაგრამაც ეს რა ხმა და ბგერები იყო, კი, კი! –

ვისი, ვისი და, დიდედოსი, როგორ მკაფიოდ ამოესმოდა:

– ნოეე, თოვლს...

ხუჭავდა, თვალებს, ძალიან მაგრად და ამითი კი რაც კი ენახა იმაზე უფრო მაგრა და მაგრად? – თოვდა და თოვდა, ძალიან თოვლდა, შვა-ივლისშიც კი, თვალებძალიანმოკუმულისათვის ეს ალბათ მეტი და სწორი სიტყვა იყო: „თოვ-ლ-ს“,..,

ხოლოკი ლამექ უფრო და უფრო სჭამდა და შჭამდა

აი იქამდე რომ ძაან გულაღმა გადაწვებოდა ყადაციცილაზე, ხოლო მესამეს თუ მეოთხესა სუსტსა ვანსა?:

– მიდი ერთი და კარქი ბოლოკი მომიტანე შენსა გაზრდა-გახარება და გასუქებასა.

მაგრამ აბა რომელი გაზრდ-გასუქება იმას უნდოდა, ისედაც ესა ქალი-მესამე-თუ-მეოთხეცკი დაახლოვებით იყო ისეთი როო, ررررر? – მთლადაც ვეშაპად ბეჰემოთი,

ბოლოკმა კიდე? – მუცლიდანა, კი, ზედმეტ ჰაერის ამობოყინებვაი იცოდა ხოლმე და ფარდობითი სიცარიელით ტორიჩელისა თუ ვინღაცასით შვება მოჰქონდა, ასე სჩვეოდა ბოლოკსაც, ლამექსც, და თუმც თავიდან თვით მამა-ღმერთით 120 წელი სიცოცხლისა, განესაზღვრა, ადამიანებს, მერე კი, მოლბა ღმერთი და იმ იმედით ეგება ჭკვაში ჩავარდნენო, ეგებ ჭკუვაში ამოჰყონ თავი, ო, და ცხრაას უგრძეს წელიწადამდე განუხანგრძლივა ადამის მოდგმას, სიცოცხლე-ისი, ბოლომდე მაინც ვერ მოსახელთი სწორად, წუთისოფელი, ის, ეს, ხოლოკი ლამექ, ვისსა დროსაც და დროებაში რომ რიგითი ხალხი არ იკვებებოდა ლეშით და მძორით და არცაც მდიდრებს არ უნდა ეგემნათ, ის, ეს,

ჯერ ნება-ნება იციცქნებოდა, მიფარებულში, წიწილისთავებს, მერეკი მადა ჭამაში მოდიოდა, მერეკი, უფრო, და, ჭამდა და სჭამდა და შჭამდა – რამთლად უმებ-ხორცებს, და, ეშხში შესულს მაგრამ გულისრევისა შესაჩერებლად ბოლოკი რადგან ვერა ჰყოფნიდა სიამისათვის ნელსაცხებლებსა ისომდა ტანზე და ამო სუნნელთ მთელის ცხვირ-პირით ხარბად ყნოსავდა, სუნთქულობდა, მით, და ხოლო ერთხელ, ერთხელაც როცა მრავლად ისუნთქა ამო და ამმო და ჰაამონნო ტკპილნი სუნნელნი და ძლიერ ძალზე ძაან გადაძღა, იგრძნო აშკარად რომ მის სასუსნავს და გადასაყლაპავს რაღაც რომ აკლდა მთელსა მისსა წუთისოფელში, და მუცელაღმა იწვა ცოლებზე, გონდაბინდული, და მაინც მთელის იმათავისი ღორულ-არსებით მაინც მკაფიოდ-როგორ გრძნობდა რომ სხვა რაღაცაც უნდოდა კიდევ, ღორებსზე მეტი, იმათ სუკებსა და ჯიგრებზე მეტი და მეტი, და,

– მიდი და ნახე, როგორ მოკვდება, მამად გეკუთვნის თუმც სულ არაა შენი მამა თვით ხორცითაც კი თუმც იმან შეგქმნა, – უთხრა თ-მ, წყნარად,

და ნოე როცა შევიდა მის მისსისებსა ყადა-ცილაიან საწოლს-ოთახში სასაფხიზლოში ერთდროს როგორ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჯანმრთელად ავარვარებული რაფრად ახლა კი მთლად და სრულიად გადალურჯებული იხილა იგი, ავანგარდისტი ერთგვარად, ლამექ, შემოჯარვოდა ურიცხვი ხალხი ოღონდაც „ხალხი“ და მით უმეტეს „ჯამაათი“ სიტყვები არი როგორი პირობითი, ახლა კი მათსას სულთმობრძავ პადრეს ძალიან რიდით დასცქეროდნენ, ერთგვარის წიწით თავიანთისაც მომავალისანი, ერთს-ღას ანიჩქას ჯიბეში ედო ნაცადი ხელი რაღა თქმა უნდა თითებიანა და თვალდახუჭული გულმოდგინეურ გამწარებითა თავისკაცურებს იფხანდა და თუმცა ეს არ შეუნიშნავს თავის არცთუ სასურველ გზაზედ დამდგარ სრულიად-ლამექს მაგრამ როგორღაც გამოვიდა ისე რომ „უზრდელობა აგრე არ უნდა“,ო, თავად ლამექმა და, როგორც იქნა, იმდენი ნელსაცხებლისა და შემწვარ-ჩაშუშულ-მოხრაკულების თუ როგორა და თურომ რითი გამანეიტრალიზაციებას როგორ ძალიან გახარებული, როგორც იქნა და, მიხვდა:

– ო როგორა გთხოვთ სულიერნო შვილნებო ჩემნო სუცოტა-მაინც იის მომიტანეთ.

– რა ის... – იკითხა კინტრიკიკომ, და დაიხარა, მოიხარა ჯერაც ცოცხალი პადრესადმი,

– როგორ თუ რა ის... იის მომიტანეთ.

– რა-ჰ!.

– როგორ თუ რა რა-ჰ, რა და, ქ-ქი (– ანუ „იის“ – სომხ.)

ჯერ გაკვირვებით გადახედეს ერთი-მეორემ-ოცდამეშვიდეს, შეკრებილებმა, ხოლო ლამექმა როცაც გინდაც ჩურჩულით და მაგრამ კილოთი მაინც მძლავრადა-დიდად, იჭექასავით:

– ვის ვეუბნევი!

ქ-ქს კი არა და, გაუჩინარსაც გაუჩენდნენ და, ქ-ქს რაღ-უნდოდა – ხშირი იყო და მუდამდღიური, ოღონდ ეს მხოლოდ სიცოცხლეში და, სუ-მარმარილოს დიდლანგარითა მიუციმციმეს მცირედი-რამ „ის“, თან უმაღლესი ხარისხისა – ადამიანის, რომელიცა-„ის“ ლამექმა დიდის სიამისგანა სულაცა თვალმოკუმულმა ჯერ იყნოს-ისუნთქა იმითითა და, ნეტარებით, იგემაც, მერე, და, ტკბობისაგან თვალებმილულულმა, დანანებით თქვა:

– ეს როგორ მალე თავდება. ჰაფსუს.

და, დააყოლა,

– აბა ტყუილა კი არაა მთლად გემრიელი სიცოცხლესავით, თვით.

და, იფიქრა-რა, და, თქვა ლამექმა აფორიზმი:

„რაცრამ კარგია, ცხოვრებასავით, თავდება ბრრა-ფათ“, –

გაოცებულები კი-შეჰყურებდნენ, მაგრამ ერთსული ჰქონდა ყველას ძალიან კენტად განმარტოებულიყვნენ, სასახორცეებში. მთლადაც რომ მართლაც ახალთახალი-ხილისათვისაც, კი, მაგრამ, ლამექმა;

– რაღას უდგიხართ თქვე ფუთლუხებო (– ?!), ჰათ-მამიტანეთ დაბავკაი სანამ მავმკვდარვარ მომიტანევით თქვენ გენარსვალეთ (– !!)!

და, მხოლოდღა 777 წლისა მიიცვალა ავტოსიცოცხლით ადაპტირებული – ეს კი, მაგრამ ჯერაც ვერაჭარმაღად ხნოვანი ლამექ, და, ისეთი გახდა? – ვეღარც დახუჭა გაუმაძღარი, თვალი, მაგრამ ანიჩქა იქ არ იყო? მოეშვა, საფხანთ, მცირეოდენ-ხნით, და, დაწვით კი დასწვეს მაგრამ რას-დასწვეეს მაგრამ ზეპირ-ანდერძით? ხმელსა შეშაზედ კი არა და, სულ წივა-წივის ბრიკეტებზე, აიმ სუბოლო სიამვისაგან დაიბარა, ეს, წივისა გრძელ სქელ ბრიკეტებზე დასწვეს, მიცვალებულობამდისინა კი, სიამ,ვ, ძაანნარევი, ხოლო იქა კი, რაც ელოდა იიქ? – მხოლოდღა თ-მღა იცოდა ეს ისე შეხედა ნაღდ ძმობილს, ნოეს, ხოლო იმავსვე საღამოსვე ახალი პადრე უნდ-აერჩიათ, ასეთი იყო კონფიდენციალურულ-სრულიადური კონსტიტუც-წესი.

პადრედ კი, ნოე დაიბარა, იცოდა ყველამ.

თავი IV

მთლად გაპადრებად ინაუგურაციაო თუ რას ეძახიან, ბეჩავ-ნოესი...

იმავეე ღამით, უდიადესი პოსეიდონის დიდსავ ტაძარში? –

ინაუგუარაციაო თუ რას უსახელწოდებებენ, შედგა ნოესი.

მთელს და ჩრდილებდამბზარავს მაშხალებისა მტოკავი ცეცხლით დიდსა ტაძარში (ტაძარი არა... რადგან „ტაძარი – სახლი საუფლო“) ყველანი მეტადაც ტურფად გატრუნულიყვნენ იმ სამსხვერპლოში რადგანაც ზედ ხომ არა-ეცვათ-რა ნუდისტებსა რომ ისე ჰგონიათ რომ ისინია ჰავანგარდისტები, მაშხალები კი ძაან ზედმეტად-ისე როკავდნენ რომ მჭრელ-

ჭრელ ფერებით შეღებილი მწ-ნწუ-ც ხომკი რომ ჩაედინა ვინმეს ვინმესადმი იმ მწ-ნწუსადმი სულაც არა-მოშიში სიამუვნების ნაყამასაგან არა ახსოვდათ სხვა ვერაფერი რადგან ნაყამა იმ გამორჩეული სამეუ-ლისაგან სიტყვებწარმოთქმითი ყოველი წინადადების შემდეგ როგორ ერთგვარი თავდავიწყებით, ხან ძლიერ ტეხილად და ხანაც ელვისდარ-სწრაფად იგრიხებოდა ისე ძაან რომ მაშხალების უნდო ჩრდილები – ხან წელვადები და თან წამიწამ იჩქითად-გადატეხ-გადმო-ტეხილი ჩრდილები მუნჯად მაგრამ დიდითა ცეცხლ-გულმიცემით სწრაფ-მბოდიალედ იკლაკნებოდნენ ვითოტაძრისა კედლებზე, გრეხვული ცეკვით დიდად ნამეტურ ღრეკ-იღრიკებოდნენ იქანე, იქა, იქ დიდი ბუღაც, დიდ-ყასაბისა ანიჩქათი გატყავებული იწვოდა სწრაფად მბრუნავ პირბასრსა შუბზე, და ბუღა თუმც კიიყო საგულდაგულოდ ტყავგამძვრალი მაგრამ მისი ყოფილ-დიდების შესანარჩუნებლად და დამასადას-ტურებლად რქებიცა ადგა რქებზედ კი ბუღასი დიდი თვალები ჩამოეცვათ და ჩლიქებიცა ესხა ადგილზე, შესატრუსი, და ორი მართლაც ბუმბერაზი ძალიან სწრაფად ატრიალებდა შუბისათვის უჩვეულო წყვილ სახელურსა მიმაგრებულებს რქებ-და-ჩლიქებთან,ა, იწვოდა, ხორცი, სუნი იდგა რომ, ტვინშისაცემად მა-დისაღმძვრელი და მძიმე კვამლიც სქლად ტივტივებდა – რისი ტაძარი! – სამსხვერპლოში ისე ძლიერ რომ ცი-ვცივ კედლებზე ჩრდილების როგორ სწრაფვულა ბო-გინს თვალითმზერისთვის ხელს უშლიდა, და, ბუმბე-რაზთაგან ორთავემ რომ მიანიშნა მაინცდამაინც ამოდ ვერ-მეტყველ ყოფილ ლამექის ყოფილს თანაშემწეს – შემწვარია,ო, იმანაც მყისვე – ზეასწია როგორებქალე-ბმრავლადნანახდაგამოვლილი ხელისგული და, უცებ სიჩუმე ჩამოვარდა იმ ხორხოცსა და ჟრიამულში-იმ, და უძრაობაც კი ჩამოწვა, წარმოიდგინეთ; ერთი კვამლიღა ულენთდა ბუღას ხორცს ხოლო ხორცს კიდე? – ხო-მაც რომ დიდად შვენოდა და უხდებოდა შეჟღენთილი კვამლი და ბოლი კარგად იცოდ-უწყოდა ანიჩქამ ეს, დ, სამნი წარსდგნენ პირისახით ატლანტელების წი-ნაშე და, ნოეს აქეთდაიქითურა ორმა მათგანმა, ანიჩ-ქამა და კინტრიკიკომ კონსტიტუციურს-საინაუგუარა-ციოთო თუ რას უძახდენ და ეძახიან, მყის დაიჩოქეს – ანიჩქას უნდა წარმოეთქო კონსტიტუციის მთავარი მუხლი, პირით, გაემეორებინა, უნდა, ნოეს, კინტრი-კიკოს კი რეზიუმედ უნდ-ჩამოეყალიბებინა აგრეთვე პირით, და მთელმა ხალხმაც დაიჩოქა დამუშავებულ-გამზადებული კონსტიტუციის მოლოდინში ნოესი გარდა რომელიც იდგა, – ასეთი იყო, წესი, და ხოლო ნოეს გამორჩეულად ფეხზე დგომისა? – რცხვენოდა.

აქა ანიჩქამ ერთიც ვნახოთ და წამოიწყო სადასა-დასტურულო ფიცის სიტყვები:

– ნდძღვირფასო ნთანაქალაქეღლლებო ვიწყებთ უვღ, ეე უკვდავ ნოესი ინღ... ღღ... ეე, ურა�ა, ციას!

და ატყდა მაგრამ რას ატყდა დიდი ხუნტრუცი და თანგვა და ღრეკა, და დროებითად ზეწამოიჭრა მშო-ბლიური ძალიან (ისემც) ნოესი ატლანტიდ-ხალხი, მერე ანიჩქამ ხელისგულისა ხაზგასმითური გამოაშ-კარავებით შესწყვიტა მათი აღტყინება და, კვლავაც მუხლებზე დაეშვა ყველა ნოესი გარდა, თავად ანიჩ-ქაც კიტრიკიკოთი, და აქა-კია ანიჩქამ კვლა,ვ,დ – წამოიწყო:

– ვმნვფიცავარ გამჩენნ დიდ პოსეიდონს ნწყა-ლუხვავსა და იმისსა ნღვიძლსა შვილსა ჭაჭებიანა, ატლანტიკოსა,

– ვფიცავ გამჩენ პოსეიდონს და იმის ღვიძლსა შვილს, ატლანტს, – გაიმეორა ნოემ, როგორ რცხვე-ნოდა და სცხელოდა,

– ფიცავარს გამჩენსა ესინოე წყლებებ-ძაანურს პოსეიდონს და იმის ჭაჭებიანა ღვიძლსა შვილსა ჩვენ-ზედ ზღვის წიაღებიდანაც გადაყოლილად როგორ მზრუნველსა ატლანტიდოჩკას, – დაარეზიუმეიავა კინტრიკიკომ და გაიტრუნა, რადგანაც აქა პლენუმისა ძველი და მაინც მარადახალი სცენარითა თავის ფეხე-ბზე წამოხტა-დადგა ო როგორ მრავლად პერსონალუ-რი ნაყამა და მაშხალებს ძალიან მძიმე ციმციმით ციმ-ციმ ჩამოუარა და მთელი ხალხი, როგორ უკლებლივ დედიშობილები გარდა ნოესი ზეწამოიჭრა და ემ-ნაყა-მას სუყველასათვის პირშიმთქმელ პა(საცეკვაო ილე-თი)ებს იმეორებდნენ რამდენადაც და როგორცა-კი კი-შეეძლოთ სუბიექტურად ესა მაგრამ ნაყამას სადღა ასწვდებოდნენ – სუ დიდიდიდი ეგებ ვერცაცკი მხო-ლოდ წელამდე, – და, განერთხნენ ისევ მარმარილოზე – მთლად სიცივემდე, ცივი იყო ის, მარმარილო, რუხი ფერისა, ახლა კი, კვამლში, მოშავოდ ჩანდა,

– ნდა ნდაე დიდათ ნდღენგრღეელი იყვოს ისედაცტყ მარრადუნკვდავი პოსსეიდონი ნვილკებიანი და, პუსეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონ-ა(მიეფერასავით), – მომჩანგვლელი და მისი ღ, ღ, ტყშვილი ატლანტი ღღ და ერთი მაგათი კიარა და ერი-მათი, ჩჩვენ... – წარმოსთქვა ასე ანიჩქამა და, რაღა თქმა უნდა ისევ მუხლებზე ჩაჩოქილი ხალხი (სიტყვაა აკი პირობითი – „ხალხი“) კი მარმარილოზე შუბლ-ცხვირდამხობილნი მუხლებ-მუცლებზედც, დადგა,

– და დაე დიდად სლავნი იყოს მარადუკვდავი პოსეიდონი ჩანგალიანი და მისი შვილი ატლანტი და ერთი მაგათი ერი მათი, ჩვენ... – გაიმეორა, ნოემ,

და, კინტრიკიკომ, რა ჩიტი იყო? – არ დაახანა, თანაც მა-ინტერპრეტაციაორი როგორ, იყო იგი, და ცქვიტი:

– და დაე დიდად წყლებგრძელ-იყოს ისედაც როგორ მარადუკვდავი პოსეიდონი რაგამოცდილი ბასრ-ჩანგალისტი და მისი ორთავჭაჭებიანა-ღვიძლი შვილი დაბადებისა არატრიკიან-მეტრიკიანი ატლანტი ჩვენი-ეს მაინც როგორი ეგაჩვენნი პოსეიდონოვიჩი და ერი მათი ერთი იმათი ეე, ანუ სოიუზნი ჩვენ, ჩვენე, – მხნურად დასძახა მაჯამებელმა კინტირიკიკომ და ნაყამამაც, სად ჰქონდა ნეტა ანდა რაში აქამდისინა შემალული, რადგან ვერ უჩნდა ახლა კიდე როგორ აშკარ-და-გამოაშკარავებულად შავფრთებმიმაგრებული მკლავები მძლავრულა-მძლავრად დაიქნია და ხან რომელსა მაშხალასთან ატეხდა ძლიერ შავფრთებიანი მკლავების როკვას და ხალხიც, ძგერდა, შავფრთებ-ნანახი, კვამლ-მინადენნი კიდევაც უფრო, გემოსიმცოდნი, ამით, შიგ სამსხვერპლოში ხომ მხოლოდ მდიდრებს უშვებდნენ იქა, ხოლო კიტრიკიკო რომ ხან კინტრიკიკოდ და კინტირიკიკოდაც იწოდება ხოლო ატლანტელები ატლანტიდელებად ხოლო მომავალში კი როგორი წმინდა სახელი, იოვანე, – (ვ)ანი(ა)ჩქათი და ეს კიდე არაფერი ეს იმიტორო აბა სად იყვო მაშინ გრამატიკა და ამისთანები და ამისთანაებ-შეზღუდვები ხოლო რიქშა-იშაკას უწმიდურ სახელს მერე სა-ც და შაშა-ცაც დაემატებოდა ხოლო ახლა კი რიქშა-იშაკა ყველაზედ მეტად განიცდიდა ინაუგურაციასაო თუ რა დაურქმევიანთა რადგანაც ისი ნოეს-შემდგომი შვილი იყო ლამექისა და ესინოე როარ გაჩენილიყო მაშინ ხომ იმას აირჩევდნენ ატლანტიდასი მსხვილთავ-პადრედ და ემტკივნეულებოდა ძალიან, ძლიერ ნოესი წინ-წინ გაპადრება, ეს, და თუმც კაენის წამხედურობად ჩაეთვლებოდა ძმისა-ნოესი მოკვდინება და თანაც აკი მამაიმათიც აკი თითქოსდა ტრაბახობდასავით: „ჰო, მოვკალი კაცი ჩემდა სატკივრად და ყმაწვილი ჩემდა ჭირად“ – ამ წუხილისა-ვითო სიტყვებთან – „სატკივრად“, „ჭირად“-ით ჰსწუხდა ვითო და, აყოლებდა,ც: „თუ შვიდგზის მიეზღვევათ კაენის მოკვლის გამო, ლამექის გამო სამოც-და-შვიდ-მეტი გზის მიეზღვევათ“, – და თავი ქუდში ჰქონდა ვითომ და იმიტომაც ვითომდაც კოხტად არ დაიარებოდნენ ამტან მიწაზედ კაენიტები, ხოლო ღმერთი კი, დუმდა, ხოლოკ რიქშა-იშაკას ღმერთისა კი, ღვთის ისე ძალიან სულაც არ ეშინოდა როგორც შიშითპყრობილი გახლდათ წყლებიან ნეპტუნისა, ერიდებოდა ძალიან-უფრო მისი რადგან აკი ნეპტუნსშემდგარმა ლამექმა ისურვა მემკვიდრედ-პადრედ ნოე რომელიც მიწაზე შრომით გამოისყიდიდა ღვთის მოსალოდნელ რისხვას და რიქშა-იშაკას სპორტებიდან გამორჩეულად უყვარდა ბნელ ანუ მოთვინიერებულ ნათელთევზაზე გამობმულად სრიალობა და ქალებში სიარულობა-გულგულაობა და სპასატელნი ტიკით მცურავობა და ვაითუ ნეპტუნს იმა თავისი წვეტ-წვეტიანება სამთითა-რამით ამოეჩხვლიტა სიღრმეებიდან ტიკისთვინა და დაეჩუტა, სადღ მიდიოდა მაშინ რიქშა-იშაკა რომელ ფსკერისკენ ანდაცა რომელ აკიას დაჩასაკენ რომელ რიქშა-და-იშაკამაც გარკვეული დროისა შემდგომ გაპადრებისას უფროც მეტისა ვითომდაც მეტი ნაროდნიკობისა-და-მაჯერებლობისათვის რიქშა-იშაკას საშაშა-ც დაუმატა და ასეც შეირქვა-ირქვა, ხოლო კინტირიკიკოი ორიოდ-ღერ ბგერით თუ ანცობდა ამან კი ჯერჯეროებითა მთელი „საშაშა“ დაიმატა და,

მოკლეეთ, მხნეურად კიცდასძახა კინტრიკიკომა ესი „ჩვენე“-ო და ნაყამამაც აცეკვებამდე აატორტმანა შავ-ფრთებით, ხალხი, ხოლო როდესაც დროებითულად ისევ ჩასცხრნენ, კვლავც მარმარილოს იატაკზედ მუხლებ-შუბლ-მუცლებდადებულნი-შეიქნენ, ანიჩქამა? – თქო:

– და ნღღ, მეე ინმდენათღ ვიზრუნვილეფ ამაებ-ჩემი-ამჩემისა შობელტყ-ხალხისათვისა რომა რომ რო სულნ-ყოველმაღ ასე ნთქოს გულითა რომა ნნოეე, ტყოჩაღ შენა, შე ბემურაზო, ეე არამედ გულის მურაზო, შენაშენაო... შეჩვენისაო,

შერცხვა აქ-ც ნოეს, თავდახრილმა, თქვა:

– და მე იმდენად ვიზრუნვებ ხალხზე რომ სუყველამ თქვას გულით ნოე, სწორად გვექცევი...

კიტრიკიკომ კი, კინტრიკიკომ, კინტირიკიკოიმა?:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– და მე იმდენად ბესპეჩენებსფსფს (– უზრუნველყოფილეფსაო, – სლავ.) გავხდი ამჩემებისა და ჩემანალაების ხალხსა ისე ერთგულათ სულაც პირდაპირ შობელძაღლივითეე არამედ კაიძაღლივით ერთგული რადგან რახან ვიქნები მეკიიმათი ისე რომარომ მზე მაღლა იყოსდაიქნება (– ვაჰ, სიმართლეცა?) და როსულ-სუყოველმა გოთურანმაცკი თქვას გულითსულით და კანეჩნა ენითაც რო აიი, ასე – ნოე. გალუბჩიკჩიკ, შეჩემო მაი დარლინგ (– ინგლ.-ამერიკ.) მალადეეც (– რუს.) შენო, ოკეი (– თანამედროვე ჰავლაბარ.), ო, ვო...

და, წამოიჭრა კიდენ და კვლავაც ნაყამა და ვერც გაარჩევდი იმა-რამსუყე კვამლში თუ რომელნი უფრო როკავდნენ იქა – მაშხალებისა მიმოწრიალე-დიდად ჩრდილები ეგრეთწოდებულ-ტაძრის კედლებზე თუ მარმარილოზე ატლანტელები რომლებიცა-რომ ისე ძალიან ჰქუხდ-იძახოდ-და-გაიძახოდენ წინასწარულა-ავანსურადა: „ნოევ მალადეეეც, საღოლშენ პადრეე!", –

და, ანიჩქამაც, რაღაცა ძალით და მაქმანებით და მანქანებებით (– „მრავალ სახე ხერხის ქცევა") სწორად გამოთქო:

– იკურთხე, პადრედ, შეჩვენო ნოევ და ბნელის მაშხალავ ეე, ანუ ბნელისაცაკი განმანათლებელო! („ბნელითმაშხალა" მაინცა ეთქო) – და, ოქროს დიდი დიადემა, სულ ლურჯ-წითელქვებით მოოჭვილი, დაადგ-დაადო თავზე, და თანაც როგორი წახალისებითაც-ამ:

– ურაა, სალუუტ, შენ სანდა საღოლ ვივა-ვივაჩენოეე ო-კეი-ურადაა, და ხაი ჟივე (– უკრ.) და ვივატ ტი-მოშკა (– ვეჰ!, ტი მოშკაო? თანაც, სლავურად? რადგანაც მოშკა ქინქლს, მუმლსა ჰნიშნავს სლავიანურის ენითა და, როგო გავიგოთ მაინც ესა, – მუმლიო, მჟგარ-მუხასაო, თუ გარს ეხვეოდაო? და მუხაცაო, ჩასიძებულათ წარმტაციო, აიისიცა უხვ-ანაყამავებდააოო? – რას გავიგებთ ამა თქმებისას, ჩვენ, ჭურებში ვზივართ, თუმცა მაშინ კი ვაზი ჯერ სულ არ იყო, ნაწყალობევი, ღვთით, და ამიტომაც სვამდნენ თაფლუჭს, – ფუტკარი, იყო, იყო კრაზანაც, ენოტი, რამე), და ვივატ ეეე აკადემიაა და ვივატც პრაფისიფისისორეეს ავოეეე ატლანტიდურიიი!"ო, – და,

ამეებსა მზგავსებსაც, კი, სჩქეფდა მთლად ხალხი,

ხოლო როდესაც ბუღის შემწვარი დიდი თვალები ძაან იგგემეს რადგანაც თითოეულად ღეჭეს და ღეჭეს ნეტარებისაგან მთლად თვალებმილულულებმა ანიჩქამა და კინტრიკიკომა, კონსტიტუციით ნოეს ებოძა საშუალება რომ აერჩია სწორედ ისა ნაწილი შამწვარ ბუღასი რასაც რომ იგი ისურვებდა და მოეპრიანებოდა და მოუნდებოდ-მოეგუნებებოდა მას, რაც, რა კარქი იყო კანსტიტუცია, კი, და ბუღასი გულთან გამზადებულსა ხელდანიანსა კინტირიკიკოსა ძაანაც დიდად და გრძლადაცა გაუკვირდა რომ ნოემ, ბუღასი? – იმის თვალების როგორ-ღეჭვით თანაშემწეებისაგან, გულს ისე ძლიერ აზიდებდა რომ ამისა შესაკავებლად ირჩია მხოლოდ ცალ-ჩლიქი, ერთი,

და ხოლო მერე იმ იმა დიდ-დიდსა, გულისწამღებად უუდიადეს ღრიანცელში, ხალხი რომ კვამლ-ბოლებ როგორ გამჯდარ-გაჟღენთილ ბუღას ხორცხორცებს როო ათივე თითით გლეჯდა და შჭამდა – მაშინ და იმხნად სახალხოდ მხოლოდ ნეპტუნისადმი შეწირული ხორცისა ჭამა დაიშვებოდა ხოლო ფლეთა და ჭამა ერთიღ გინდაც, დიიდ ექს-ბუუღისაასი იმოდონა ხალხს რას ეყოფოდა და ჯამაათისა გრძელი რიგი კი ოჩერედულად ვითოტაძრისა გარეთაც კარგა-ძალიან გრძლურ-გრძლურადა გრძელდებოდა და ღატაკები და გაფხეკილები და გაღლეტილები სულმთლად ამაოდ მიიწევდნენ სამსხვერპლოსაკენ მაგრამ იქ იმათ ვინ შეუშვებდათ, ვერ ჰქონდათ საშვად ძვირფასი თვალი რაცა ანიჩქას მილიცანერ-პოლიცანერებისა მახვილთვალს აბა როგო გამაეპარებოდა და ხელკეტებით უღობავდნენ გზას, და ერთიღ ის ჰქონდათ ნუგეშური გამორჩენისათვის ღატაკებსა და ასე შემდეგ რომ, ერთიმეორეს, ტყვილ-რიგად მდგარნი, წელქვეით კბენდნენ,

და, ისედაც ექსა-ბუღასაგან ბუნდღაცა რომა სულაც არარა აღარ დარჩა-რა, ნოეს უნდა წარმოეთქვა თვით მამაღმერთის სიტყვები ოღონდ ატლანტელებისაგან რა უკუღმართად გაგებული, და მაინც უნდა ეთქვა, ეთქვა,

ხოლო იქავ კი, შორიახლოს, ბინდურ ჭალაკში, ნედლ ხეებს შორის იდგა კამეჩი, და, გამაფრთხილებლად რომ შეიძახა:

„ნოეე, ნოეე",

მაგრამკი ნოეს უნდა ეთქვა ამ ხალხისათვის მაინც როგორი უსურველი:

„განაყოფიერდით, და იმრავლეთ",

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბუღათი როგორ ისედაც გადაკალორიაებულებს, და ნაყამათი... რომელი სიტყვა... თუნდ, კვამლბოლიანი მთლად არამტკნარი ბუღის ხორცითა ისედაც როგორ შეზარხოშებულებს – „შეზარხოშებული"-ს თუმცა მსგავსი მაგრამაც მძაფრი რამდენად, სიტყვა როგორ გაკადროთ, და, ნაყამამაც რომ წარმოუდგინათ როკვით რამდენჯერ დაგდებული და დადებულიც-კი მთლად ხორციელი ზე-ილეთები, იხუვლა ხალხმა და იმ აკვამლებულსა ბინდში დაერიენ და მაგრამ რას დაერივნენ ერთიმეორეს – ვისაც კი თუვინ-ვინ მოხვდებოდა, და მხოლოდღა ნოე აკვროდა, კედელს, ეგება აქა მთლადაც პირველად მოხვედრილი და უცნაური ჭიდილებისაგან ფერდაკარგული, გაოგნებისაგან დაფერფლილი, მათი შემყურე,

და ხოლო ისევ იქავ კი, ნედლსა ქალაკში, ჯერაც უმწიფარ ხეებშუა იდგა კამეჩი, თავ-აღწვდილი და იმ ყურთაგლეჯაში როგორმე ტაძრად რომ მიეღწვდინა ის ხმა-თავისი, აყვირდა ძლიერ, და ბღავილიცა გაირია, –

„ნოეე, ნოეე",

მაგრამ,

გახდებოდა რას,

იმ კივილწივილით და ღხვნეშა-ქშენით შეზარხოშებულ კი არა და, ახურუშებულს როგორად, ხალხს, რას შეასმენდა თუნდაც „ნოეე"თი,

და მაინც იძახა ბევრი, დიდბღავილიანმაც, ეს ერთიღ სიტყვა, ისიც სახელი, სამბგერა „ნოე", – ვერ ყუჩდებოდა, ატრიალებდა მაღლა-ცისაკენ სწორედ იმ თვალებს ცხოველებში რომ ყველაზე მეტად დარდინაღველი რომ უდგათ თვალში, ზაქ-კამეჩური, ჰყვიროდა ძლიერ, ბჰლავილშერთული, და, კიდევ კარგი

მივიდა მასთან ძლიერ საბრალოდ გამხდარი მაგრამ თავად თვით თ და, მძლავრ-ძლიერ ქედზე მოჰხვია ხელი.

და, ჩაშოშმინდა ძლიერ, კამეჩი, დიდ-თვალებითაც ძალიან, დუმდა,

კისრის ძარღვები ჩაჩუტოდა, დაუცხრა როგორ, ბალახი იყო რაღაც, იქვე, დაუწყო ძოვა,

ნოე კი, იმა ეგრეთ-წოდებული თავისი ხალხის ძლიერ შემყურე და კედელს აკრული ჩლიქს გამწარებით ასობდა კბილებს მაგრამ სულ ვერას ხდებოდა-რა? – ისიცა, დუმდა, და, კიდევ კარგი ძალიან მაგრად, შვებისეულ გამწარებამდე დახუჭა თვალები

რადგან ხანდახან, ადრე, ყრმობისას, როგორ ძალიან ბედნიერებად... –

ხანდისხანობით, რა კარგად, თოვლდა.

შერჩენილ-ჰქონდა, დიდედოსოობა, მაინც; თუმცაღ შორს, შორ-შორს, და შორ-სადღაცას, ოღონდაც, მაგრამ, – ძალიან გულში.

თავი V

ასეთი ნოე, და, _ ატლანტელების, პაღრე!?. მაგრამ პირველი გაკვეთილები; მოწოდებულნი მომწოდებელთაგან, განსწავლანნი.....

ნოეს ქალაქად უნდა ეარა, ყოველდღე თითო საათის მაინც სიარულის-ქმნით უნდა შემოევლო დიადემით თავზე მაგრამ ამას თავზე სიარული ერჩივნა თუმცა ფეხები სიასამურის ბეწვისმიერი ფოსტლებით შეუმოსეს თუმც ის ჩვეული თავისი გაბანდული ქალამანები, ბანდვითშექმნილი ჯღანნი ერჩივნა, ნოეს.

მდიდრულ-ნოხებით კედლებ-მთლადაც აფარებულსა, პალატში იჯდა, და შორიახლო განემწესებინათ მისი ცოლ-შვილი, ერთიღ ქალი და სამი ვაჟი, რომლებიც 120 წლისას კი არ შეეძინა ნოეს როგორც ეს-მემ სულსწრაფმა, მოგახსენეთ, არამედ „500 წლის იყო ნოე, როცა შვა სემი, ქამი და იაფეტი" და, გამოჩენილი ღვთისმეტყველის, ანდრეი ლოპუხინის ახსნით ეს იმიტომ, რომ,

„ნოემ თავისი სიცოცხლის უდიდესი ნაწილი იცხოვრა წარღვნამდელ პერიოდში და მისი დასასრულისათვის მას ჰყავდა 3 ვაჟი; თუმცა მათი ყოფა და საქმიანობა განეკუთვნება უკვე წარღვნის შემდგომ ეპოქას, რაზედაც ბიბლიური ამბავი უფრო მოგვიანებით მოგვითხრობს და ჩვენც მაშინ ვისაუბრებთ ამ საკითხზე. რაც შეეხება იმას, რომ სხვა პატრიარქებთან შედარებით ნოეს ასე გვიან ეყოლა შვილები (ნოე უკვე 500 წლის იყო), ამის საუკეთესო პასუხს წარმოადგენს ის ვარაუდი, რომ ეს მოხდა იმიტომ, რომ ნოეს შვილებს – წარღვნამდე თავად არ მოესწროთ მშობლებად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახდომა, ან იმდენად არ გადაგვარებულიყვნენ და არ გახრწნილიყვნენ, რომ პირველყოფილი მსოფლიოს ბედი მათაც გაეზიარებინათ“, –

და ხუთასს გადაბიჯებულ ნოეს რაცგინდა ყოფილიყო მაინც მშობლიურ ქალაქად გასვლისა დიადემათითავიანს თუმც ძალიანკი ეხამუშებოდა მაგრამ ნეპტუნის წეს-ადათ-კანონებს აბა ვინ-ვინღა შებედავდა, რომელი ჭკვაზედ-ვერამყოფი, ერთი თ-ღ იყო თავისთვის რომ იყო ყოვლად უნეპტუნოდ მაგრამ ის აკი იგი გიჟ-მობენტეროდ-ჩურჩუტი იყო, თან უთვისტომო ძალიან, ალბათ, ხოლო ნოე კი თვითან ლამექის შვილი გახლდათ, და, ზედ ზღურბლთანავე შეეგებნენ ისი-ანიჩქა თავისი-მისი-იმისი კინტრიკიკოთი, ორნიც აშხვართულ-მუსიკოსნიც როგორ ნოყიერ ბუმბერაზებად, ჰყავდათ, ერთს ბუკი ეპყრა, მეორეს – ტყავგადაკრული ნაღარა და ერთმა როგო-გამობერილ წითელლოყებით რომ ჩაჰბერა თავის გრძელ საკრავს მეორემა კი ისე დასცხო და დასცხო და ჩაჰსცხო რომ საკრავი კი არა არამედ ცოლი უფრო გეგონებოდათ მისი, და, ასე დაიძრნენ ჩავარდნებებ-თუ-ამოვარდნებებ-თანხმოვნებითა-მეტყველ-ანიჩქა და ცქნაფი როგორი, კინტრიკიკო და იმათ შუა კი აჭარხლებული როგორ, ნოე, იმათ წინა კი აღნიშნულები იისედაცა ბუკითა როგორ ლოყებ-თურაშაულებად გადატვირთული ერთი მუსიკოსი და მეორე კი – ნაღარისა რტყმევა-ცემა-ტყეპის ისე დიდკუნთა მუსიკოსური მაესტრო რომა ალბათა კალიფორნიის მთელიშტატისა მთლად-გუბერნატორ-დღეინდელურისა-შვარცენეგერისა-ბიცეპსებიანისა წინაპარი, ხოლო ამ გულისაგამპობ მუზიკაზედა მეტად ნოეს უფრო ის გაუკვირდა კინტრიკიკოს რომ ურთხმელის დიდი-რამ გობი, ძვირფასი თვლებით მოოჭვილი დაეჭირნა სადა და ხელებში. თუ, ხელებით-ა? – მაშინ არ იყო გრამატიკა, ეს ახლაა რომ, არის.

და აქ არავითარი, „ისემც“... – თუთ!

ურთხმელს დიდ-რიდით შეაცქერდა ნოე, და, როგორც იქნა და, მოაცილა, თვალი:

– ეს რაღად გინდათ...

– როგორ თუ რაღად! – გადაირია კიღამ კინტირიკიკო, – ეს ორმაგ საქმეს სჩადისა, პადრე,ვ.

– რომელ ორ საქმეს...

– რომელს და რომელს და ჯერ ეს ეგ ერთი დღის ქოთანია, მეორეც ისა რომ, რომ ჩამოვიტანთ, თქვენს ფისიფისის ვინმეს კარებთან გადავაქცევთ და მივუქცევთ და ამისათვის ფულს ჩაგვიდებენ... არ გვეკუთვნის თუ რა!.. და, დაგვაკლებენ და? – ვუტირებთ, ჯიბეს.

ღამის ქოთანი კი-სმენოდა ნოეს, მაგრამ:

– რა დღის ქოთანია...

– აბა იმდენი თაფლუჭის და ქერის ნაყენის ფისის ბუშტითა ტარება არ გინდა?

– რისი თაფლუჭი...

– რისა და, თაფლის აბა თაფლუჭი ბოლოკისა ხოარ იქნება! როგორც მამიშენს ასევე შენც რაღა თქმა უნდა სუყოველ სახლთან მოგართმევენ თაფლუჭს და ქერის ნაყენსაც სხვადასხვაობისთვი – როარ მოგეწყინოს მარტო ტკბილისსმით და გზადაგზაკი ამაში აკეთე იმდენი ფისიფიში რამდენიც მოგეხასიათოს, მერე მივუქცევთ და მივუღვრითთა ვინმეს კარებთან და ამ პატივისცემისათვის ფარა („ფარა – ფული“ – თანამედროვე ქალაქურ-ენის განმ. ლექსიკ.) უნდა გადაგიხადოს, აბაა, პადრე!..,ვ. ფული რაცმეტი გიჭყავა ჯიბაში ის არ ჯობია? პად...

ნოეს კი თაფლი დიდედოთი ძალიან უყვარდა მაგრამ თაფლუჭი იგივ-დიდედოთი არ უყვარდა კი არა, სულაც არ გაჰკარებია.

აქა, „თაფლუჭი ახსენე და გობი მოიმარჯვეო“სი არ იყოს, ერთმაც ატლანტელმა დიდის-ტოლჩითა მოირბინა.

– გვადღეგრძელევი, პადრე.

...

– უამისოდაც, იდღეგრძელებ.

... –

– ვეჰ!

– ნროდესაცღ დიად პადრე-მამინთქვენს ნველარ შეეძღლო თაფლუჭისა ფღფსმა ნჩვენ გვაღლევიევიენებოდა, ნღმაშვინ.

კიცაა ადვილ-მისახვედრი ვინცა ღთქო, ესა.

– რამდენიც გინდა, იმდენი მიირთვით.

– ვაჰ რა კარგი ხარ ახალო პადრე მაგრამ მასხარათ რატო გვიგდებთ... – კინტრიკიკომა.

– როგორ თუ მასხრად...

– როგორ და, თანაშემწეებს მიირთვი-თ!-ობით არ მიმართავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...

– შესვით იმდენი, რამდენიც გნებავთ.

– და არცაც ეგრე..., მამითქვენი ის მამამათუშალახცხონებული, ჩახეთქეთაო თქვე ჩემანალებოვო-ს, გვეუბნევოდა.

– როგორც გენებოთ, ისე ქენით...

– და ეს სადა ვქნათ... სა?..

– სადაც კი გინდათ... ალბათ, პირში.

– ვაჰ, პადრე, პადრე...ვ, ეს რახუმარა ჰყოფილხართ კაცოო, არამეთ მერე სად ვქნათო? – ვითომ სულაცე სხვანაირათ გაიგეთ ესი, საცა გინდათო ვითომაც ესა ფისიფისისეზე გეგონათ, არა?

– რა ფისიფისი...

– რა და, საგობე... კარგით რა, რატო გვათავსიცილებთ! –

აკი არ იყო, გრამატიკავო?..

ხოლო ანიჩქამ ისი-მისი-ფისისითვინა კარქი თაფლუჭი ერთსა ღრმა ჯერზედ რომ რამდენიცა რო სო, სო, ჰსო და ასე-დაახლოებით-17% რომკი დაჰრჩა, გადაუწოდა კინტრიკიკოსა.

იმანა კიდე მხოლოდ ორჯერარადად ჰსო ასე-17% და ამასობაში ჯგროდ შემოეხვივნენ კიდეც ატლანტელები, – „ინებეთ, პადრე, ჩემი მიირთვით"... „ამისი რათ გინდათ ბუზი იქნებოდა ჩავარდნილი"... და, ანიჩქამა კინტირიკიკოიანა ქერის მათთვისწარმტაცი ანადული რო ბლომათა ხსო, ჰსვესეს-რაღა, ახალთახალსა მიუბრუნდა, პადრეს:

– ხოარ მოგინდათ ფიშიფიში, ჩემი გობი და, თქვენი ისა?

ეს „ისა"ც, კაცო, როგორ-ტევადი სიტყვა ყოფილა, „ისემც"სასავით...

...როგორ რამდენად ერჩია ნოეს ახლა თივაზე რომ წოლილიყო, რაც მეტ-დაღლილი? – რამდენად მეტად მართალი, უფრო,

– უღნდა ვიაროთ ნღპატარა ნკიდე, ჩვენო ტყპადრევო, ნჭირიმეღნ ნშენი... პაწა ნმაცალე ნღმოვალ ახლანვე და ტყტყ... – რაღაც საეჭვოდ ათრთოლებდა და უკიდებდა... რასა, კაცო და – საღრამატიკოს აშკარად, ენას.

ვინ და ანიჩქა.

პაწუა ხანში მართლაც დაბრუნდა ოღონდკი ახლა ურევდ-ითრევდა,ცკი, აგრეთვე ფეხს.

დაიძრნენ, დასტურ. და რამდენად უფრო მარმარილოიან სახლს ჩაუვლიდნენ, ნოე დაძაბულ-უთვალისყუროდ ჩაუვლიდა ყელგამოწიწკვნით მხვეწ ატლანტიდელს: – ჩემთან შემოდი პატივ-საღრმადსაცემო, ისეთი მკერდი ააქ როო თანაც ორი, კაიგოგრები გეგონება!, თუკი შემოხვალ ცოლი მყავსაო მეუნდა ვთქვავთქო, ნუგეშისმცემო ქალთა ისეთო როგორამცმელო, თქვენშენ!

რა ხდებოდა, ეს; ნოე თუმცა აქ დაიბადა, აქ გაიზარდა, არა თ-სავით, და მთელი ხუთასი და ცოტაც მეტი წელი იცოცხლა უკვე მაგრამ ამ ქალაქს თურმე ჯერ ვერა სცნობდა საფუძვლიანად, თურმე, სახლი-ყანა და ყანა-სახლი იყო მისი გზა და ასავალ-დასავალი, და მხოლოდ ერთ-ორ-სამჯერკი მხოლოდდამხოლოდ ნახა ვითოტაძარი ანუ სამსხვერპლო... შემწვარ-უმ ხორცის... მაგრამ ჯერ აქა-ამქვეყნადა-ცკი, რა დამალულა და, დაახლოებით კი-იცოდა თუ რაც ხდებოდა მაგრამ თუ ასეთ-ასეთები და, ასე აშკარად?

ვერ იცოდა, ეს, და, ნათლდებოდა:

– შენ შენმამიშენ სუარა ჰგავხარ, ის გოგრებიან ქალებზე-დ, ხვნეშდა? სულაც გოგრისა სემიჭკებიანა (აკი ადრევე მივჰხვდით როგორ რომ გრამატიკაში მოიკოჭლებდნენ)... სუ-სემიჭკებიან ჰხკვნეტამდამეთქი, მთელ ორ რამედა ჰღირდა იმისი ყურება აცხოვნოს ზევსმა ძაღლი მიაკვტნა, ეე, ერთგული ძაღლიც ხომკი დავუწვით, გვერდით, – თვალებ-ცოტათი გაელამებული ამბობდა სათქმელს გასანათლებლად ახალ-პადრესი, კინტრიკიკოი, – ზოგ ჩამოვლისა პარაკადასე ხუთ ყამსაც („პარაკად – უნებურად, გინა გზად". „ყამი – საათი", – აკი სულაცე არა არ იყო, გღრრამატიკკაო?) კი ვუნდებოდით, გააჩნდა იმას თუ როგორ ზეით-ქვეითა გოგრებიანსა თეთრუანებსა შახვდებოდა იცხონებული მიაკვტნა ძაღლი პატივსაცემათ, აი იმ სქელიანსას რო შენ ვარი უთხარ, იმისი უფროცაც სქელი ცოლი სიდედრიან და ზედაც სიდედრ-დაიანა ხო აითვისა და აიიმათი საწოლიც ისე შაითავისა და შაიყვარა რო იქა იღებდა სხვა კლიენტურას და ამათა ხო წამლადაც აღარ დაუტოვა სუ აღარცერთი გვარში გასათხოვარი გინდა თუ თუნდაც გვარში ბევრჯელ განათხოვარი.

...რას ამბობდა... ჰა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ოო, დიდი კაცი იყო ი-მამაშენი, ცოდო არაა ახლა ისა რო ჰაერში იყოს (– ატლანტიდაში?, გვამებს? – სწვავდნენ), როგორი მარჯვედ არშიყი იყო იმდენად მარჯვე რო ლაპარაკი ხო სუარ უნდოდა და არც არა-ფერი, დაიჭერდა და პირდაპირ – მიდიიი, მარტოკინღ საქმე სჩვეოდა იმასა, რა მარჯვე იყო ივირიშვილი... ეე, სახემშვენიერდარი სახედარივითა არამედ დიადზე ვუმფრო ლამისჰადაჰაუკვდავებდისამდინასუნთქუ-ლობაი-შანარჩენილი მეთუშალახაისშვილიდაძედაიაია-როყვა-იანიმეთუშალახიროგო-დიადი კაიჩათლახი იყო, ისიც... სუ პიპეტკები ქონდა ჯიბეზე...

– ანგრე იყოინყვო, ნკიტყ...

„ეს ნეტავი რად... პიპეტკები“ – ფიქრობდა ნოე, დაბნეულიყო...

– და თუკი ვინმე ცოლს დაუმალავდა, არა? და ეტყოდა რომ, წასულია, საქმეზეზედაო, არა? და ლა-მექა რო გაბრაზდებოდა ამაზე, არა? მაშინვე მეტყოდა დაიკოდოსო და მეც მაშინათვე გავასაღებდი და აბა იმას სად ჰქონდა ორი თავი და ორნივე ისა და ცოლს მაშინვე გამოუჩენდა მაშინათვე მაშ ცოლის-ისა არ ერჩივნა ლამექასთვისა და თავისთვისაც, ჰა, აგრე არ არი? ჰა?

„ეს რატომ, რატო, როგორ ეს, კაცო“, – ძლიერ შემკრთალი გაიფიქრებდა სუმთლად ახალი ვითო-პადრე და, მაგრამ აბა რა გამოკითხვა უნდოდა ემ კინტრიკიკოსა, თაფლუჭებ-როგორ-ბლომანასვამს, არიკრიკებდა მუღერმუღერსა სიტყვებს, სულე ჭიკჭი-კით რიკრიკაობდა ოღონდ დუქანი ღია ჰქონდა ანუ ორპირი გაუდიოდა თავის შალვრისა სადარბაზოში,

– რაც მაგის სიტყვით, მაგ ვირისშვილის ბრძანე-ბითა მე ქმრებ-ქმარები დამიკოდნია თუკილა ცოლი მართლა იყო რამე საქმეზედ, გასული გინდ მკერდ-საბურით ანდ გადაცვლილი იყოყეა უმფრო მჭლეზე-და და მაგრამ ღორიხორც-კარგა მოტანილით? ისინი მაინც შოულობდენ ახალ საქმესა, შახვეულები,

„ეს მაინც რომელს“ – გაკვირვებული ფიქრობდა ნოე,

„ნშენ ისა ღთქვ,ი, ნღ-ახალი ნჩჩ-ხერხი-ტყ რომნღ ნღმოიფიქრე“, – თუ ვინა თქვა ეს, არ უნდა ახსნა.

– რომელი ხერხი, ჩემობატონო და, მე იმეების დასაჭრ-მოსაჭრელად დანებს გავცვეთდი რაცგინდ პირბასრად ალესილსა? თან დანითა რომ სანამ ჭრი, ჭრი და ჭრიი, ლამის მკლავები თითებისა თითებია-ნა დაგეღლება, გადაგეღლება და, მოვიფიქრე! – იბე თითქოს-პირველად და სუთავიდან აღფრთოვანდა კინტრიკიკო რომ, ვითომც არ ჰქონდა მოყირჭებული ძველი დაკოდვებით მკოდვური საქმე ახლებურადაც: – ამას, უნდოდა? – ორ-ორნი ბიჭნი ჯანიანები ასე-ასორმოცდაათ-ორასი წლისა რომლებიცა რო ძლიერ ფეხებგადაშლით ჩამოკიდებდენ დასაკოდავსა მსხვილ-სა ტოტზედ და, მე კიდევა, ცალ-ცალსა ხელში თითო აგურით? – ერთი ტყაპ და, იმისიჯანი სუველარ იყო ისი კაცი, დაა, იმისსა მომდევნ-ვაშკაცურობაზე-ხო? – შენც სუ და მეც სუ..., ისეც იცოდა თელმა-ქალაქმა, ხელებს უსომდნენ. გავაზედა.

– აჰ! – შეცბა ნოე, – და არ იყო ეს ძალიან მტკი-ვნეული?..

– როგორ არ იყო, – დათანხმდა მაგრამ ძალიან მშვი-დად კინტირიკიკო, – ცერა თითი თუ მოჰყვებოდა, როგორ არ იყო მტკივნეული. იყო. ისე იყო რო მზე მაღლა იყო.

– ცერს იქ რა უნდა... რა უნდოდა... – ამდენიღ-რამ ხომ, იცოდა ნოემ.

– აბა უცეროდ მრთელსა აგურს როგორ დაიჭერ. ერთხელ ისეთი გავმწარდი როო, ნაყამას ყველაზეკაი და კაია-ებიდან ერთ-ერთ დაქალის მერვე თუ მეცხრე თუ სულაც მეჩვიდმეტე კაცქმარი-გულითვინ!? – მტრისას... ვერ გამოვზომე.

თურმე თავის ცერს, საკუთარსა, გულისხმობდა; კი, მიდიოდნენ თან, კი. –

ქალაქად ჩავლა, საჭირო იყო, – პასუხსაგები. რადგან. – კი.

●

აგრეთვე დიდადვ საჭირო იყო თეორიული მეცა-დინეობები, –

რათა შემდგომ-რო წარმატებით შეესხნათ ხორცი და რბილი და გინდაც ტეხვადი ძვალი კარგა მყარუ-ლი ანტარქტიდა-სი აბა რა იყო და, – მასში მდებარე, პრაქტიკისადმი.

და სწორედ იმავ საღამოთი, ნათაფლუჭარზე ანუ ნაბახუსევსა და ნაქერალზედ კარებ-მჭიდროთე-დახ-შულთათა ერთს საიდუმლო ოთახშია შეიკრიბნენა ახალი პადრე, და თანაშემწე იმისი ანიჩქა და თანა-შემწე თანაშემწესი კინტირიკიკო და ყოველ სახანძრო (ანუ წყნარიც პაჟარნი – ვორონეჟული რუს.) შემთხვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისათვის სამიც მუზიკანტი – მებუკე, მენაღარე და დიპლიპიტოი,ც.

და იმათთაგანი ერთსა-მაინც თუმც თავისი თავი (მაინცა ჰქონდა რადგან ება) კარგამაგრა ტკიოდა, მაგრამ,

სერიოზნულად ეჭირა მაინც,

მნიშვნელოვნურსა,

თათბირითა,

ანიჩქს,

ისთავი,

და,

ხოლო ანიჩქა, იცით ისეც, უჩემოდ, კარგა-კარქი და კაიგოთურანი რო?, – ინყვო.

თანაც ზედ იმდენად-ისე აკადემიურადაც რომ, მთლადაც მაღალსა გოთვერნობამდე?.. – ასე მაგალითად, იყნოსა-რა იმათავისი დაძაბულობისაგან გაფართოებული ნესტოებით რომ ახალ პადრეს ანუ ნოეს, ზევსივით არა მაგრამ ერთგვარად მაინც მამა-ღმერთისა (რომელიც აბა ვის ენახა...) არსებობა-რამ ზედმეტად რომცა სჯეროდა, სულელს; არა – ისე კი ცოტათი უნდა გჯერვებოდა რაღა თქმა უნდა მპატიებელი ყველაფრისა რა იცი ეგებ მამილო-ღვთისა რადგანც რა იცი, ეგება იყოც, მაგრამკი ასე, ნოესავით? რაღადროს ღმერთი და მამა იყო ისე-ისედაც გაკეთდა და აშენდა და გადასუქდა ქალებიანა ქვეყანაეი მისი ატლანტიდასი თანაშემწესით, და ხოლო მაგრამ ანიჩქასისი მახვილ-ყურებს ჰსმენოდათ ყურის შით-ბარაბანში რაღაც-რაღაცები სათუო ღმერთზე, და თავსაც იზღვევდა თუკი როგორცკი რამცკი გაუჭირდებოდა ხოლო ნაღდ-ფაისაღი (– ნაღდი, ნამდვილი, – ჩუღურეთულ-ქართ. ენის განმარტ. ლექს.) ღმერთები კი? – აბატონო, შენ, მეხთ-სნაიპერულადმტყორცნელი ზევსი – აბა მეხები და უბედურობა თავისით კი არ სჭექამენ, ციდან, და აბატონო პოსეიდონი აბა ესი-ზღვა და ოკეანე მართლათავისით კიარ ღელამს, ვაჰ, და თან ერთის მხრივ დიდად საყვარელ ავტო-თავსა რომ განირიდებდა ესიანიჩქა რაიცი-ეგებ მოსალოდნელი რისხვისაგან სათუო ღვთისა – თან ამით ახალ-პადრესთან დასაახლოებლად – კაიბითური თუმცა აღმოჩნდა, ისი; – აბა სადღისა-ქოთნოდ დაიწუნებდა იმი-თ მოქმედი ნებისმიერი ადამიანი უთხმელისა გობს? მოოჭვილს, თანაც... და, თან ჯერ ცალკე მოეთათბირა თანაშემწესა კინტრიკიკოსა და ის (კიტრიკიკო) რომ ლაპარაკნა დაიწყებდა – გაუჭირდებოდა ესა უკანასკნელი (ანუ ლაპარაკი) თუ რა – და კარგად თუკი გამოუვიდოდა? – საიდანა და – პირიდგანა – ეს, – აბა სხვა საიდანა გამოუვიდოდა (ლაპარაკი) – დათქმული ჰქონდათ რომ ანიჩქას ოდნავ დაეღო-უნდა პირი იმათავისი კარქიმოლაპარაკესათვი წასაქეზებლად ხოლოკი კინტირიკიკო მოუკრეფავში თუ შეტოპავდა? ესა ნოესი შემკრთალურითა გამომეტყველებით უნდა შეეცნო ანიჩქასა – და მომუწავდა, პირს... დაა, იმისი პირი იქნებოდა თანაშემწესი თანაშემწისა პირისკომპასი...

და, მოკლე-შესავალით, წამოიწყოც, დასტურ-ანიჩქამ:

– ნდღეს ნრაღაც ემვ-ედეე, ეე, ენას ვუნკიდებ მეენასა და, ნღტყტყ-ნკინტრკიეეღ-კიკოღმმა, ინლაპარაკოს, ნჩემი სინტყვებით, – და, დააყოლაც, განმეორებით, – ნდღეს ნმეე ნფორმაში არ ნვარ (მართლაც, ხომ იყო გადაცმული) და შვ რა იყო ენას ვუნკიდებ ნმე-ტყტყშვრრ... ნრატომღაც.

გამოგვივიდა, ენაბლუობით, დებიუტანტი...

და ხოლო აქა, მედიპლიპიტოემ, ვითარებისა სერიოზნულობის ხაზგასასმელად? – ხელისგულები აუსვ-დაუსვა მისდამი-კუთვნილ დიპლიპიტოურ ტყავებსა, და ააჩურჩულა, დიპლიპიტოი.

და, კინტრიკიკომაც, როგორღაც თავშეკავებული მიშვებ-ცოტათიც-განავარდებით? – წამოიწყო, კი:

– ახლა თქვენ ჩვენი ახალი პადრე ხარდაბრძანდები და იქნები მუდამ და ახლახომ ხარ და ხაარ კაიბუღასი ჯანი მოგცესთ, ეეე, პადრე,ვ, და ნება მოგვეცი რომ ჩვენიქებულ ტრაღდიციისამებრ მოგმართოთ ხან თქვენობითა და ხანცკი შენობითა როგორცაც თითან პოსეიდონას შენობითაცკი ვეძახ-ვებაას-ვესაუბრებ-ვეჭუკჭუკებით რადგან მამაა იგი ჩვენი და შამქმნელია ჩვენიყველასი და სუყველაფერი და თქვენც შენობითაც უნდა დაგიძახოთ რადგან მამა ხარ აგრეთვე ჩვენი აბა ჰასაკში აბა განა რაყრია პაპიშენისა მათუშალახის ასაკობრივსა გოდ-როჟდენია-მისიკვტილებას თუკი არ ჩავთვლით მიბრედილისა („პლეხანოვ"ური ქართ. ენის განმარტ. ლექსიკ.) – და, გახედა, ანიჩქს, სერიოზნულსა, დაეღო იმას მომრგვალო, პირი.

და, გაიხარა, კინტრიკიკომ, – გაიფიქრავა: „საქმე წინ წაგდებული სჯობიან"ო,

– და მამას ჩვენსას როგო მოგმართავთ თუარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენობითც და შენობითაცა რადგან ჩვენი ხარ,თ, თქვენა ჩემი ხარ და მეკი შენ ჩემოჩემო შეჩემანალავ, ეე... ვუჰხ!

ახლა კი პირი მთლად მოემუწა, მომუწვოდა, კი, ანიჩქასასა, პირით განივი იყო ახლა,

და,

გეზი იცვალა კინტრიკიკომაც:

– ჰო. იმას ვამბობდი, რომ ჩვენი ქალაქის კეთილდღეობისა ისეთისათვის რო სულსუ ქუდებს ვისროდეთ მაღალსა ცაში მზე მაღლა იყოს შენ უნდა გვტყვანდეთღვ (ეს – ანიჩქასაგან გადმოედო?!) პირველსა რიგში კეპკებსა და ბოხოხეფსაცა და მერე რა გვიჭირს ჩვენც, შენიანებს, რათ ავიტკიოთ აუტკივარი თავი განა თავისა ქუდებისა სროლა-სროლებ და სროვილობები არა სჯობიან? –

კვლავაც დააღო, ანიჩქამა, ვერმჭევრმეტყველი მაგრამ მომრგვალო მაინც, პირრი,

– ისჩვენი თავი რომელიცა რომ იქნება შენგანა მზრუნველსა ქუდში ბატისფრთიანსა თანაც ქუდისა გარდაც ტვინსში და რბილსა და ძვალში (აჰ, სტილი, სტილი...) და კეფაში და ნიდაყვებში (აქ ნიდაყვებ„სა“ სტილურათ ხოარ აჯობებდა?) და მუცელში და კოჭებში (ელაპარაკე, ამას...) და ჭაჭებში... და, ეე... რაღაც ორგანო გამომრჩა მაგრამ ეგარაფერი... ეე, ჰო! – და ხოლო კიდე ჯანი გავარდეს და, ზურგშიდანდრაქში!.. (ესა ანიჩქა, აკი იჯდა ახლა-მეორედ პირმაგრამომუწული მაგრამ იმისი მისსიმიერი ისისინტყვები მეტთანხმოვნება რაღადღა, ჟღერდა? – ეგებ იმიტომ, როო, ტოო (– ჰავლაბრ. ქართ.) – ხარი ბუღასთან დააბი, ან ფერს იცვლის, ან ზნეს ანდაც სულაც ის-ასიმასაო... ...ეე, დაა, ეე, მთლადაც საჯდომი ხარა და ბრძანდები რახარა აბა, შენ შენსა მარად ერთგულებსა თავზედ გვაზიხარ და საჯდომიკო ეე დასასაჯდომი შენა ხარ პადრე,ვ, ჩვენ კი – ნდრაქები.

აქა ანიჩქამ ვეღარ იცოდა დაეღო პირი, თუ, პირიქით,

ხოლო –

„ეგებ მართალი არი ეკაცი“ – გაიფიქრა აქ იმა-სამთაგან ერთმაც კიდურა მუზიკანტმა.

– ხოლო ანიჩქი-პატივცემული ჩემის პირითა პირობასა სდემბს (– ვაჰხ!), რაც შეიძლება მეტად შეუწყეშეუყოს ხელი, თავი და სხვა რამეებიც აგრეთვეევა თქვენსშენს თავზეით წარმატებულსა შეთქვა საქმეში პადრევ შეჩემო კოხტავ კოხტათავე შეჩემანალა, ხოლო ასეთსა აღმასვლავითურს ბითურს ეე არამეთ ღსვლიურს საქმეში გამოგონებები ღხგმმართებს (– ვეჰხ!) დიდრონი თეთრონი ცხენი მამგვარეს ისე რომა სუ მოფრინავდა მე შროშანი მეგონაო შროშანმაუღხკვდა პატრონი და პატრონ-ტაშები და სააპლოდისმენტ-ბუკ-დიპლიპიტო-ნაღღღარრრრა-ებ-ბრრ (– ვიჰ!) თუ თქვენა ვერა გვეყოლებითა ძრიალ-კარქათა ლამექოვიჩ!, შენითა გვიდგა პირში სული და ამოგვდისა ხშირა-სუშხირი თმებ-თმები სადა და თავსზედ!, და რა...

– ნკარგიაჰ! – ვერ შაიკავა აქა თავი ანიჩქამ და ვეღარ იოკა ენა-ტვირთული,

– და იმას ვამბობდი რო რა კარგი და კარქირამეა ასეთი პადრე რომ მოგვივლინა ერთმამის შვილმა თითანზევსისა პუსეიდუნმა მაოძედუნსა არ გავჰკარ, იმასთან?, და მიდი შენა და შე, ეცი შენა პატივი რამდენადაც კი ამას გასწვდები მაგშენი გრძელის თქვეფეხებითა და ხოლო რო გასწვდე? – ფარა, შიშხათი არი ამისთვისინა განზედ საჭირო...

– რაა საჭირო...

– რა და, რაღაცას ვამბობდი, რაღაცი ვთქვი მე, ჰაზრითა კარქი, ჰა? გრძელი ფეხები? არა, მინამდე... ეე... უიჰო! – შიშხათი არი ამითვინ მეტათ საჭირო და ანიჩქაზე უკეთესათკი აემ საქმეში აბავინა დაგეხმარება...

– ნღნდრკარქი ხარ კარქვიი, კიტრი... ეე... ჰო! – პამინდორიკოვ!!

და, კიტრიკიკომაც, პომიდორ-კიკოდ დაწინაურებულმა, ისარგებლა და ძლიერ ითხოვა, რა და მაღალი მისთვის ნებართვი:

– შაიძლება რო, ცოტა თაფლუჭი ყლუმპვებით, შევსვა? გამიშრა პირი ესგოთუ...

შეიწმინდავა, მერე, თუმც წვრილტუჩები მაგრამ გამძლე, და, განაგრძო კვლავაც:

– ხოლო ფულისი ჯიბეებშია მოსაგდებლად? თან რამდენიმე და როგორ-როგო ნაირ-ნაირინაირობობა არსებობს ხოლო მათგან კი აუარებებელი ზოგიც ზოგზოგი. აი ასე და, მაგალითად, ფულით ფარა ხო ისეც ძალიან კარგია და მით უმეტეს როდესაც სხვისა და სხვისი ვისიცა გინდა იყო გინდა მშობელი და შობელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაღლი და ფულს თუ შეაწერ (– დააკისრებ, დაავალებ, დაუწესებ, დაუადათ-წესებ, – ჩუღურეთული ქართ. – ენისა უკვე აკიღა გადაფურცვლული თუნდ გონებაში-ლექსიკონი – სოლოლაკ-ვერული ახსნა), და ესა ნდრა-ქში ამონარტყამი თუ სულაც ვერა არ ესიამუვნება, არა? და არად დაგიდევს შენსა ბუნებრივ ჯიბეანურად მოჰსურვილებასა ამას, არა? ანიჩქამ იცის ამის წამა-ლი ხუთივ კი არა ოცივ თითითა პანღურამომრტყმელ ფეხებიანა რადგანაც კოხტათ გამაიგონა ისეთი ხერხი? – უცებ, ეგრევე გამაიჭერს თავისის კოხტაბიჭებიანა მარჯვე ჰოპ-სტოპზედ („პლეხანოვ"ური ქართულ.-ენისა უცხო სიტყვათა ქუჩ.-ლექსიკონი რადგანაც სი-ტყვა-სანაკოლკედან – „სტოპ!"), და ჩავლებულსა ხე-ლებს მაღლა ისე ააწეინებენ რო მზე მაღლა იყოს და, გაუჩითამენ (– გასინჯვა-ჩხრეკით, – ნახალოვკური ქართ.-ენის აგრეთვ-გონებაში გადასაფურცვლი ლექ-სიკონი) და ყველაზედ მარჯვე ჭაბუკჯეილსა – ვინმეს სახელად გინდაც მელიტონსა და ახლებურად გინდაც მჭახმჭახედ ექს-მილიციანრად პოლიციანერსა? – იქვე მაჯასთან, სახელოში შემალული ექნება კოხტათ კაიღ-ვიძლისა, ვენაცვალე – ჯეილს კი არა, ღვიძლს – გინდ მოხარშული და გინდაც შამწვარი (– ანუ შემწვარი – კახ.-ენის გონებრიულადა განმარტ. ლექსიკონი) და თუგინდაც სულაც როგორაქორფა უმი ნაჭერი და ჯიბეში რო ჩაუყოფსფს რაღა თქმა უნდა ამასა და დაშვებულად ჩაჰყოფილს, ხელსა? ისა ნაჭერი ხომ ჯიბეშია ჩავარდება რა გზა ექნება აბა სხვა და, ჩვენ-ცაც, წესრიგის დამცველებსა რაგვინდა მეტი, – და თრახ! – და, ამაუღებენ („ამაუღებენ" „შამწვარ"თან ნახე) გაშანშალებულ (შანშალურ-ენის განმ.-ლექსიკო-ნი) იმა ნაჭერსა და, ხორციჭამა-ხო აბა როგორა შეიძ-ლება ცივილიზებულს-კოდექსურსა, ჩვენშია და, აბა-და, მიდიი, და ატლანტიდისა პლეხანოურსა რაიონის ქვე-განყოფილებაშია უკარ თავი და ატლანტიდელო ხელი ოქმსა-იარაღს იკარო, იკაროო და, შაშინებული? – იმასაც ნახამ უკანასკნელი თუ არ გაიღოს რო-დაიძვრინოს როგორიც გინდა ისეთი თავი – რგვალი გინდა თუ წოწოლა გნებამს და სულაც რიჟა,

ხოლო ანიჩქასისი პირის სიმრგვლე-ანც-ირიბულის მდგომარეობა-განლაგებისა აქ არა ვიცით-რა ამანა-მას ხოლოკი, ნოე? – პირდაფჩენილი მიჩერებოდა პირ-ცქვიტ კინტრიკიკოს-ად-პამინდვრიანს, ენის ტრიალი იმას საკუთარ პირშიაც ძალიანკარქა ემარჯვებოდა ქალებისას რომ სულაცრო თავი გავანებოთ მაგრამ აბადა როგორი ენა და თავ-მისანებებელია ხოლო სა-ღღაც კი, იქვე, ატლანტიდისპირა ტყეში, მუხლებზე იდგა ნოესი თ და, უჩვეულოდ უხერხულავსა ამით ძალიან შესახამუშებს ყოფაში იყო ჩავარდნილი ხოლო თუ რას და რასაც თვალს დაძაბული ადევნებდა? –

ღამე იდგა, კი, ატლანტიდაში, და ჯერ ის იყო და თავდახრილად მოარულ თს რაღაც ციაგმა მიუზი-დავა, წაართო მანამდე ისეც-ფრთხილად და ძალიან მეტად მიმომხედვარე, თვალი – რაღაც ციაგი, ყო-ვნისმიერად ხამუშ-ხამუშა კრთომა არამცთუ დაინახა – ჯერ ამოესმა კიდეც, თითქოს... ტყეში შემავალ ბი-ლიკზე იჯდა თურმე ისიარსება და, თს უცდიდა-იყო თუ რა იყო, აფრინდა მყისვე სულ-დგმული რაღაც; თც, ასეთად დიდად ჯერ ვერნანახი ციცინათელათი, მონუსხული, უნებლიეთი ნებსითობით, გაჰყვაც ტყე-ტყედ, მერე წყვეტილად ისი-ნათება კი შედგა, ჰაერში ტივტივებდა, ის ღამის-ის და ისა ტყისა, და თ რომ ძალიან მიუახლოვდა, არ გაფრენილა წინ, დადაბლ-და ოღონდ, დაბლით დაეშვა მიწისაკენ და მაშინ იყო თს რომ აქა ჯერ ამოესმასავით და მხოლოდ მერეღ დააყოლა თმ მორჩილი თვალი და, აქაც იგივ წყვეტი-ლად შუქშუქიანი სუნთქვისა მსგავსი ნათება, ამოკიაფე გინდაც სუსტად, რაღაც უმწეო, მოსახარებლად,ც კი დაინახა, დათრგუნვილი, და, ჩაიჩოქა, თმ, ატანილმა ამ როგორ ლამაზ-მოლურჯოდ მომწვანოს-უფრო და თან სპეტაკიც, დაბინდულივით გამჭვირვალე, სალუ-ქისფერის ხამუშური ამონათებით მისმა დამყურემ თმ რა გაბმულად შეურჟოლებულმა, თან – მთლად ორი იყო ამობუტებაბუტებანი, იგი და ის, დიდდაპატა-რა, მოდიდო-მომცრო, წყვილად, ესი: ერთი თუ თსი ნეკა-თითისა ფრჩხილის ოდენა იქნებოდა, და მხოლო-ღღა ერთი ალაგიდან თუმც სუსტდამკრთალად თინა-თინებდა, ის სხვა-მეორე, მოდიდრონო, როგორღაც შფოთვით სიწყნარეცმხლები – რადგან სათუთად-გლუვად ჩქარჩქარ ბრწყინავდა, როგორ, მორიდე-ბულად და ფორიაქა-მზრუნველურად ჰაეროვნულის დინჯი ტივტივ-წრიალითაც დასტრიალებდა მომცროს, უმცროსს, და ბუუტვა-ბუუტვით ისეთით რომ როგორც შეეძლო და რამდენად მკრთალი სიძლიერით ცდილობ-და როგორსა-უფრო მეტადაც ამომუღავნებას იმისსას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისსას, თავისსას, და ჩაჩოქილმა უნებურად და მეტად, თმ, იმ-მცირესაკენ სახედახრილმა და დაღწვდილმა იმ ერთ-ადგილა კიაფს რომკი ძალიან ძლიერ დააჩერდა, ძალიანურად, – მიხვდა როგორღაც კიარა და თვალ-გულმა უგრძნეს, თავად-ებმა, როგორღაც რომ-რო გამწარების ტკივილიც ახლდა ამ ბინდითაც კი მოკაზ-მულსაც მოციაგეურ მშვენიერებას, სინატიფეს-ამ, და კიდევ უფრო ისე უფრო გადაიხარა ამ ვარსკვლავისა ციცქნურისამიერისაკენ მეტი რომ ვეღარ შეიძლებოდა და, გაარჩია: ლაფსში-რამსშია ეგდო ატლანტიდური ციცინათელა, მცირე რამ ღრმულში, ტახის ნაჩლიქარს წააგავდა მღვრიე წყალჩამდგარს, რომელსაც მოდიდ-ციცინათელა რაცკი შეეძლო და რამდენად, დაჰნათო-და, მას, – და თ-სთვისაც, ალბათ, და მო-ტლაპო-ებულ ფრთებს ვერა შლიდა და ზურგგაჟღენთილს ტალახო-ბით მისუსტებულს-მას, მცირეს როგორს, როგორ ეწა-და გადმობრუნება ძალიან ბეჩავს, ჩანდა, ჩანდა გუ-ლისთვის თსი და თ-ისავე მგრძნობადი თვალითც, ისე ძალიან ეწადა რომ ექვსივე მაღლით ამოშვერილ ფეხს ძალიანზედაც უფრო და მეტად მეტძლიერითა გრეხ-ვით იწვდიდა მაღლა თსაკენ ანუ რომელიც ამა უცხო-რამ მოგრძნეულოდაც მბჟუტავი მწერით – დაბეჩავე-ბულ-უსუსური კრთომანარევიც სილამაზით ძლიერი მაინც ახლა იმისთვის რომ უნებურად თვით ცასაცა-საც უფარავდა თ და ირგვლივა-კი ის დიდზედ დიდი ციცინათელა როგორღაც მყუდრო განგაშით ფრენდა – დატრიალებდა მომცროსაც, თსაც; და ბეჩავად მბ-ჟუტავს ალბათ იმიტომ რომ უფრო გინდაც მთლად-მკრთალი განათებისათვის და ხოლო კი თს, მთლად გამხდარს, გაძვალტყავებულს ძლიერ ეტკინა სავსე გული და, რაღაც შვებად-იმედისა მაძიებელმა ხელის-გულები მოაფათურა ციცქნად პაწია ციცინათელას-პირა მიწაზე, და მოსაძიები წკირი კიდევაც უგრძნო იმ სამმა ყველაზე მთავარმა თითმა რომლებითაც რომ საჭმელს მარილით ზომიერად ჟღენთდა თვითონ ადამი ჯერ კიდევ როდის, და მთლად პატარა მანათო-ბელი როგორი ძალით, ფეხებით გინდაცუწვრილესით და პაწაწკინტელებითი და თანაც როგორ-არაქათგა-მოცლით მაინც რანაირ-ძალით ძალიან მტკიცედ და მაგრა ჩაეჭიდა, აებღაუჭა იმ მაშველ წკირს, თმაც ხომ აკი ძალმოცემულმა ციმციმ ასწია ციაგ-ძალუმად დაძაბვისაგან მთლად მოფართხალე აბრჭყვიალებით ჩაბღაუჭებული ეს ჩხირი მცირე და გადამჩენი, ასე განსაჯეთ, ორთავესათვის, მხსნელი, და მთლად სამი-ვესთვისაც კი – მშველი,: აის მოდიდო, შელხინებული როგორღაც, თითქოს, მეტად, კი, ფრენდა, მიმოდა-ფრენდა, და თმ ის თვალით მცირე მაგრამ დიადი ჩხი-რი, სულდგმულიანა მთლად-მშრალზე დადო ისე რომ ამა მწერისა თუ რა იყო, ზურგი ცისათვის – ის მერე რა რომ თუნდაც ბნელისაკენ – მაინც ცისაკენ შეეშვირა ზურგი ოღონდ წყალობისათვის და არა ზურგშექცე-ვით, და, ხოლოკი ეს თ, მხსნელად ჩოქილი აქამდე, ალ-ბათ უკვეღა გადარჩენილს როგორ ფაქიზად, ამოსიფრ-თხილით უბერავდა, სულს, შთაბერავდა,ც, კი, ხოლო იმა-მოდიდო ციცინათელას ძველური ბჟუტვა კიდევ მეტად გაუძლიერდა, საგულეს ჩადგა, თუნდაც რო-გორი გახარებული რადგანაც მეტად გაიძლიერა იმა-მოდიდომ რაღაც გულისა-სიღრმეების რა იდუმალად ხილული ძალით, და შვებისაგანაც, – კი, იმ კუნაპეტში როგორ მკაფიოდ გახარებული ბდვინვარებდა, – ჰო, – ეგება მამა ან სულაც ეგებ დედაიმისი იყო იმპატარასი რომელ-პატარაც წკირს დაუყვა და მშრალ ბალახზე მოიკიდა ჯერ ერთი ფეხი, მერე, მეექვსე,ც, და,

გზას გაუდგა.

ის მიდიოდა, ექვსი სუსტფეხით მიაბიჯებდა გადარ-ჩენილი, გახარებული, მიდიოდა, კი, თუმც ვინ იცოდა სად, ან საითკენ – ქვეყანა დიდი, დიდი, დიდია თუნდ ატლანტიდა იყოს თუგინდაც, აღზევებული პატარა, თოთო, დაბადებული მთლადაც ახლად თუნდ მწვირე-საგან, და გზაში ალბათ უფრო და უფრო მეტად სცვ-ივიდა შემხმარობისგან მთლად მტვრადქცეული ჭუჭყი და წუწი და წვალებისმიერ-გამოდენილად, ზინზლიც, და მოლხენილად მაგრამ ნელა უფრენდა ირგვლივ ისი-უფროსი, ციცინათელასი მგვანი და მსგავსი, მინამს-გავსი, და იმ ორთავ კი ფეხისწვერებზე ფრთხილად შემდგარი მიუყვებოდა, მათ, სიბნელესი მათით როგორ თუმც მკრთალად მაგრამ საჩინოდ პობილ ჰაერით მოცულ მარტივ, მაგრამაც – გადასარჩენ გზას ნოე-სი თ, ისა პირიქით-შესაშურივით, როგორი გამხდრად უცოდველი თ, კი, ხოლოღა-კია მისთვისც მწერი-ისი მისათვის, მისთვისაც, თსთვის როგორ ძალიან უზარ-მაზარად უხამსს-როგორად რომ გინდაცდა მცირე მა-გრამ გადამღუპველი მწიკვლისაგან გათავისუფლებუ-ლი ისე ძალიან რომ განწმედილი მთლად იქამდე, რომ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცა იყო და, დაიქნევდა, შემშრალებულ ფრთებს ჯერ კი რაც გინდა მიხვეულსადამოხვეულსა და ჭკვიანს, ახლაც, – რადგან ბილიკს, მიუყვებოდნენ რადგანაც გზადბილიკი ხომ, რაცგინდა ვიწროდ მიმოხვეული – ჭკუიანია, კი, ფართო გზას კი არ ჰგავს, და, ჯერ რომ წვალებით გამოჰყო და, დაიქნია კიდევაც, ფრთები, ხოლოკი ნოემ აწრიალებულმა როგორღაც ძალიან იდუმალი, ხელმიუწვდენელ-ჟინით სამიღ სიტყვა, თქვა;

– წავედი. უნდა გავიარო.

აქ კინტრიკიკომ ანიჩქღყს გახედა, იმანაც აღარ დაახანა, ოღონდ ნღწვალებით:

– ღღღყრსად, პადრეს ღსშვილო და ღთვითონაცღ ღპადრე,ვ... ნღამისი ქალი უმფრო კაია რაცგინღდა კარნგასუნქანი იყვოს მაინცღტყ მონგეჩვენება ღრსუნ-ქანი უფრო ტყყ,

– არა, წავედი.

წავიდა, მართლაც.

აქ მენაღარემ ღამისა ქალის ხსენებაზედ დიპლიპი-ტოსა ისე გახედა, რომ? – როგორცა რომ, – რომ. ულ-რენდნენ, ერთურთს, მუზიკოსები, ეტყობა ერთი ქალი უყვარდათ ერთგვარად ძალუმ, მებუკემა კი, სახელად კოლიამ, იცოდა-რა მათი რაყიფ-ობისა, და ამიტომაც, მათშუა მდგარმა, ბუკი მიიდო კოლა-მებუკემ პირზე და, ჩაჰბერა-რა, თავისი თავის მნიშვნელობისა გან-სამტკიცებლად თქვა ასეთი რამ მოსხლეტილი-რამ ანუ ანდაზა:

– თვალებს შუა ცხვირი რომ არ იყოს, ერთმანეთს დასჭამენო.

ხოლო კოლია ოთხმეზურნამა და მეხუზლამა რა იყო არამედ კოლია მებუკემ ეს იმადა თქვა რომ აკი თვითონაც ძაან მოსწომდა ისსსქელი ქალი და იცო-და რომ მისი თანა-მე-ტრიო-ებები აღინთებოდნენ – აბადა შენა როგორ თუ გვამშვიდებო და უფრო მე-ტად დაეძგერებოდნენ და დასჭამდნენ ერთიმეორეს კონსტიტუციით მხოლოდ წელსზეით (– ვითომ?!) დაა იქალი იმას დარჩებოდა, ვინც... მაგრამ მოვლე-ნებს გადავუსწროთ და ისიქალი იმღამ კინტრიკიკოსა დაჰრჩა ხოლო ანიჩქას? – აქ მოსალოდნელი „ჩემი-ფეხები“ კი არა და, მთლადაც ორფუთით კიდოუსქესი.

ასეთებიცაა, – გზა.

და, სხვაც გზებია... –

ღამეულ ტყეში მიაბიჯებდა ერთი დღის პადრე. აქამომდისინ იმა ერთი დღით ბედკრული ნოე, ერთი დღე აბა განა რა იყო იქ-აურობისა-საში და პადრეო-ბა ისედაც ძალიან ნაკლებ-რომ ახსოვდა მთლადაც სრულებით გადაავიწყდა რომ შეაბიჯა ღამეულ ტყე-ში, როგორ ფრთხილად და გემრიელად სასუნთქში, როგორ, მაგრამ უჭირდა მაინც სუნთქვა, აღრჩობდა რაღაც, მცირე ეძახე რადგანაც მხოლოდ ყელისმიე-რი მაგრამ ყელში გორგალი მაინც და მუდამ დიდია, დიდი, მოდიდოა ვინემ გარედან ჩანა ესა და, ბილიკზე შედგა, მიმოიხედა და აირჩია რომელიღაცა უკვალა-ვი გზა, და იქამდე რომ ჯერ ბილიკით რომ იარა ისე ეგონა რომ-გაურკვეველ-მიმართულებით უთავ-უბო-ლოდ მიდიოდა და თუმც ბილიკი როგორც ყოველთვის ჭკვიანი იყოს ხანდისხანობით გადაუხვიო მაინც-უნდა და რატომღაც კი არა არამედ რაღაც სისწორით-ბუნ-დოვანით ძალიან, და, ასე, ამ უცნაური სისწორეთი გადაუხვია ფართო გზიდანა, გინდაც, და თავიდან რომ მისთვის უცხო-რამ ნიადაგზე როგორ ძალიან სხვადასხვაგვარად მიაბიჯებდა რადგან ხან რომ

სილაზე აღმოჩნდებოდა

მერე წელამდე ბალახს მიარღვევდა იმ უჩინარი გველის შიშითაც რომელზედაც რომ ვაითუ დაებიჯე-ბინა, ბრმად დაებიჯნა, და, მაგრამ მაინც

მოსალოდნელი? – ტკივილი იყო უფრო უარესი,

მერე კი იმ ძაან ბნელს დიდად კუნაპეტში მიაბი-ჯებდა მგზავრი ეს დიდად უცნაური, სახელად ნოე, და შედიოდა და შედიოდა მთლად უღრანს, უკუნს ძალიან, ტყეში, და, მაგრამ რაღაც იმედად და მხარდამჭერად იცოდა-გრძნობდა რომ რაღაც-რაღაც სულიერები ცხოვრობდნენ იქა, ჩიტებიც იქა მუდმივ ბუდობდნენ რადგანაც მუდამ ეძინ-ფხიზლობდნენ, და, ბუდეებად შეთხზულ სახლებსა თუ სოროებში ეძინათა თუ ძილ-ღვიძილებდნენ, იქა, რა იყო აბა ეს აბლაბუდა ნოეს ლოყაზე წკირზედ წვრილადაც კი მოდებული, და, ირგვლივ ღამე ისე ძალიან გადალუსკუმდა რომ მეტი აღარ იქნებოდა და დაშინდა, ნოე, და რა და რომელი იქაურობა იქაურობას ერქვა რადგან ბნელოდა ისე, მიმოაავლო, თვალი, და, როგორ შვებად ორი ციაგი, წყვეტილწყვეტილა დაინახა, ერთი – მოდიდო, ერთიც – პატარა, და, როგორ შვებად ჩაუფრინეს და გაუჩი-ნარდნენ და მთლად გაქრობა არ ერქვა ამას რადგა-

ნაც იყვნენ, იყვნენ, კი, სადღაცას იყვნენ და უფრო შეიცნო ცოტათიც უფრო გულმა რომ სხვანიცა-რომ არსებები, ბნელით მკვესავი თვალების გარდა სხეულით როგორ შემალულები ბნელში და მაგრამ მაინც როგორ ნამდვილად ბუდობდნენ იქა რაღა თქმა უნდა, და რაღა თვალი უნდოდა, ამას, თუმცაღ ახლა კი, არცაც არცვისი თვალები ჩანდა თუ იგულისხმის-იყოფებოდა გარდა ერთისა, ერთადერთისა, უზარმაზარულად უუზარმაზარის –

ცის თვალი იყო, ნოეე,ვ, ესა,

და, პირქვე დაემხო, და მხოლოდ შიშით კი არა, ეს, – მიწის სუნითვი, ეეს, იმ მიწის სუნი უნდა ეყნოსა ყველგან რომ იდგა ტყეში კი – უფრო, და თავჩარგული იმა მიწაში, რომლის მათდამი, – ადამიანებისადმი დაწყევლაც თავისი შრომით გამოესყიდა როგორ, უნდა, გაზაფხულ-ზაფხულ-შემოდგომობით და, ხოლო ზამთრობით, დასვენებისა ვითომდაც ჟამს? –

როგორ თოვდა,

და ახლაც კი, –

თოვდა, კი, თოვლდა!,

და

პირქვე იწვა კარგბედა ნოე, ასეთიც შრომით, როგორ ძალიან იღბლიანი, კი, და იქამდისინ იწვებოდა სანამ რიჟრაჟით-მოსალოდნელით და აუცდენელით რაცგინდა ღამე ყოფილიყო ბნელზედა მეტად უფროდაც ბნელი მაგრამ რიჟრაჟით მაინც უკვე ბაცად შემკრთალი მბზარვადი ღამე როგორღაც თითქოს დაბუჟდებოდა და აქაკიკი ყველაზე მეტად გამბედავი, ყოჩაღი ჩიტი ჯერ თითქოს კარგა შეშინებული საკუთარ-ხმითაც? – ერთსა-შესტვენდა გაუბედავად ახლა უკველა სათუო წყვდიადს, ხოლმე, და მერე კიდეე, და თანდისთანობით უფრო კიდე და კიდევ და კიდევა სტვენდა და ფშტვენდა და, პატარა ხანში, მანამდე მასზე ფრთხილი ჩიტები უფროც დიდის ხმით ზოგიერთები რომ აჰყვნენ, აჰყვნენ და, აედევნნენ რა ჟრიამული დადგა მაინც, მთლადგასახარე, სახარებელი, და, იმ სიხარულად-როგორ-შვებაში ნოემ ასწია ქუდბედიანი როგორ, თავი და, შეცბა –

გათენებისას, მძიმედ ამოტივტივდებოდა ხოლმე დიდი, ნაცრისფერი, გლუვი ქალაქი, თვით მარმარილოებითაც კი როგორ ძალიან შებილწული, ატლან.....

გაგრძელება იქნება



მამუკა ჩიკლაური

ძველი სახლის ბინადართა ბალადები

1. აღმოხდების მზე

აღმოხდების მზე – ცას გაეკვრის მიწის ფრინველი,
გაშლილი ფრთებით მთების ნატვრას აიტანს ცაში;
აღმოხდების მზე – შეაერთებს ქვენას ზენასთან,
შეაკავშირებს აწდილსა და ჩამოწვდილ ხელებს;
მზე აღმოხდება, ამაღლდება აღმოსავლეთი,
ისრებს გაისვრის, სიყვარულის ბანგით დაბანგავს
მინდვრებს და ბუდეს გაიკეთებს სალომეს თმებში;
ძოძელი მზეში დაინახავს გეგუჩათ ევას –
ევას გარმონი გაიშლება პეპელასავით,
მისი სიმღერა ამწვანდება, აყვავილდება
და ლოცვასავით წავა ცისკენ ხატის პეპელა;
ჩოხელთ ჩოხელა ცხენს გააფრენს ცისარტყელაზე
და ცაში ასულ ბიჭების სულს შეუერთდება;
მზე გაფოთლავს და ააყვავებს თეო-თეონას;
მზეს შეხვდებიან ათილა და მისი ხარები...
მზე აღმოხდება – აიწევა, აელვარდება,
დაითავისებს ცას და მიწას – შემოხვევს ხელებს
და ივლის, ვიდრე მიადგება ღამის ზღუდეებს,
ვიდრე არ ჩავა, ვიდრე უფსკრულს არ ჩაეწვდება
და დაეცემა, როგორც ძველი სპილენძის ფარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

... მზე კვლავ ამოვა – დაცემული ისევ აღდგება,
მზე აღმოხდება – ავა, ჩავა... მოვა და წავა
და ძველი სახლის ნანგრევები იღაღადებენ,
რომ ამაოა ყოველივე და ქარის დევნა...

2. ჩოხელთ ჩოხელას ბალადა

... უთქვამს ხევისბერს მეომრებისთვის:
– ძალიან ღია, დაუფარავ ადგილზე ვდგავართ,
საფარი არ გვაქვს და ცხვრებივით დაგვხოცავენო,
დავიხიოთ და სიპისკლდესთან ჩავუსაფრდეთო...
– არაო, – პირი შეუბრუნა ჩოხელთ ჩოხელამ, –
თქვენი არ ვიცი, მე აქედან ფეხს არ დავძრავო,
ვერ ვენახვები ჩვენს ხეობას გაქცეულიო!..
... ჩოხელა მარტო დარჩა და მოკლეს.
... ქიდაქის ყელთან, ცეცხლისჯვარის გადასავალთან
უზარმაზარი ლოდი ადევს ჩოხელას საფლავს.
ყოველთვის, როცა ხატიონი გადადის ქედზე,
აქ ჩერდებიან და ჩოხელას საკარგყმოს სვამენ,
ხოლო გაქცეულ მეომრების სახელებზე და
სამარეებზე დროის შამბმა გადაიარა.
... მეც ახლა ყანწი მიჭირავს და ხმამაღლა ვფიქრობ:
– როგორ აჯობა სიმამაცემ ჭკუას და სიბრძნეს?!

3. ბადა ძოძელის ბალადა

სულ მარტო დარჩა ბადა ძოძელი;
უქმე დღეებში კალოს ბანზე აჰქონდა სკამი –
იჯდა, ფიქრობდა, გაჰყურებდა უსასრულობას,
გაიფიქრებდი – იქ ვიღაცას აწვდენს მზერასო.
ერთხელაც ვკითხე: რას უყურებ თვალდაჟინებით,
რა დაინახე მაგ ცარიელ ზეცაში-მეთქი?!
– ცა ცარიელი როგორაა?! – მითხრა ძოძელმა, –
ხედავ? იქ ჩვენი გარდაცვლილი ბიჭები სხედან,
ცას გაჰყურებენ, მზის ამოსვლას ეგებებიან,
მზე აქ რომ ჩადის, იქ ამოდის, მზე საერთოა,
მზე იქაც, აქაც ერთნაირად უნათებს მგზავრებს;
იქაა წყლისგან წაღებული გეგუჩათ ევაც –
გარმონს წელავს და ლექსებს აქსოვს გარმონის ხმაში,
– შენ მანდ რა გინდა, წამოდიო, – მემუდარება...
მოკლედ, ძოძელი ჭკვაზე ცოტა შეჭონჭორიქდა.
ამისთანებზე დანანებით იღიმებიან –
მარტო არაა, „მეგობრები“ ჰყვანან ზევითო...
საწყალი ბადა! „მეგობრები“ გაუჩნდა ცაში,
რაკი მიწაზე აღარავინ დარჩა ისეთი,
ვისაც ეტყოდა – შენ ჩემი ხარ, მე კი შენიო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ბიჩნიგაურის ბალადა

... დაჭრილი იყო. სისხლისდენა ვერ შეიჩერა.
მიხვდა, სიკვდილი დაედევნა და დაეწია.
სუნით შეიგრძნო – მზე კვდებოდა ჭიუხის ყელთან.
ცხენმაც შეიგრძნო, უჩვეულო რამ რო ხდებოდა –
ისე მოდუნდა სადავეზე პატრონის ხელი.
... ვეღარ შეიძლო ცხენზე ჯდომა, ჩამოქვეითდა –
უნაგირიდან ძლივსძლივობით გადმოიტანა
ქვასავით მძიმე და ცეცხლივით მწველი იარა.
ცივი კივილით გამოჰკივლა ღამის ფრინველმა
და ცივი კვნესით უპასუხა ბიჩნიგაურმა –
თითქოს ჭრილობის უფსკრულიდან ამოიკვნესა
და სიკვდილს კვნესით შეეკითხა: – უკვე მოხვედი?!
მე კი მეგონა, სოფლის ბჭემდე მიმაცილებდი,
ნადირ-ფრინველის გასაჯიჯგნად არ გამწირავდი
ამ შუა ტყეში...
ქვასავით დადო თავი ქვაზე და საბოლოოდ
ამოიკვნესა – მწარე სულმა წაიღო იგი.

5. აკა თორღვაულის ბალადა

ავადობამ დახარჯა თორღვაული,
ავადობამ დაუფლითა სახე,
ავადობამ დაუბლაგვა ქორ-შევარდნის მზერა,
ავადობამ გააცოფა ბოლოს –
გველებადქცეულ ძარღვებს ვეღარ იმორჩილებდა,
ვერ აჩუმებდა გულისკართან მიჭრილ ტკივილებს
და ბოლოს... ბოლოს, სენისაგან გზაგადაჭრილმა
და მოსისინე გველებისგან ძილდაკარგულმა
სხვა გზა ვერ ნახა, აიღო და ტყვია დაიკრა.
ნუ ვიტყვით, თავი მოიკლაო! –
ტყვია საკუთარ თავს კი არა, იმ ჭირს ესროლა,
რომელიც აკას გულ-მუცელში გაბარჯღულიყო
და სხვისი მიწის დამპყრობივით ჩაედგა ტახტი –
შური იძია და სისხლის წილ სისხლი აიღო.
ხალხს ეგონა, რომ მხოლოდ აკას ვასაფლავებთო,
თუმცა ისინი ორნი იყვნენ, ორი მოქიშპე –
თვითონ აკა და აკასაგან მოკლული ჭირი.
ისინი გზაზე შეიყარნენ და შეერკინენ,
ფერი ფერს შეხვდა, გზა არ მისცეს ერთიმეორეს
და ამიტომაც ერთ საფლავში ჩაწვა ორივე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. მიფრინავს თეო ქედანივით

წითელი ფერი მზის გზაზეა, მზე დადის ამ გზით
შავ გზას კი შავი ღამეების მწკრივი მიჰყვება.
... აი, დაბერდა ლამაზების ლამაზი თეო,
ჩაინისლა და ჩაეძენძა წითელი კაბა,
სისხლიც გაჩუმდა – აღარ შხივის წითელი ღვინო –
აღარ ამოდის თეთრ სახეზე ყაყაჩოსავით.
მზე ჩაეფარა, გაიფოფრა შავი ყორანი
და ყორნისფერში დასამარდა წითელი კაბა.
... აი, დაბერდა ლამაზების ლამაზი თეო,
მაგრამ ის მაინც არ ნებდება სიბერის ყორანს
და ჰყვება, წითლად მოელვარე სიტყვებით ჰყვება –
როგორ მოვიდა მაყრიონი მის წასაყვანად,
როგორ ამოჭრეს ბახნიას ქედი სწრაფი ცხენებით
და ქარებივით შემოქროლდნენ სოფლის შარაგზით...
ჰყვება კი არა, ქედანივით მიფრინავს თეო,
ჩასულ მზეს ჩასდევს, უკვე ჩასულ მთვარეში დნება.
... იფრინე, თეო, ზოგჯერ მაინც ხომ შეიძლება,
სიბერის ციხის გაღება და გაფრენა ცაში!

7. აბრია გორისელის ბალადა

– ხატი დიდია, ძლიერია, მაგრამ ვერ ვიტყვი,
უერთმანეთოდ მე და ხატი ვერა ვძლებთ-მეთქი –
მითხრა აბრია გორისელმა და გააგრძელა, –
განსაკუთრებით ღრუბლიანში არ მახსოვს იგი.
ღრუბლიან დღეში, ნისლის ბანით დახურულ სახლში,
მე მარტო ვარ და ახლომახლო არ ჩანს არავინ.
ჩემს გზას მივყვები, ჩემს სამწყემსავს მიველალები,
კლდოვან ბილიკებს ჩემი ცხენის ნალი ანათებს
და ცოცხლებივით მიბრუნებენ ექოებს მთები;
მოწმენდილი ცა უფრო ცივი და საშიშია –
ღმერთი იქაა, მაგრამ იქვე ეშმაკიც ხოა!
იმ სივრცეებში, იმ უბედურ ცა-ვარსკვლავეთში
მე ვინ ამიხსნის, რა ძალები ფლეთენ ერთმანეთს
და ჩემს ახდილ ჭერს რა ძალები ემზირებიან?!
აგერ, ქადაგიც იმუქრება ახალი წარღვნით –
ეშმაკეული უსაქმურად ვერ გაჩერდება
და... ჩვენ ხო ვიცით, რას ეძახის ეშმაკი „საქმეს?!“ –
აი, ეს მითხრა გორისელმა და დოქს გადასწვდა, –
ყელი გამიშრა, თითო კიდევ ჩამოვასხათო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. გარაულთ გარას ბალადა

სიბერეს ჭერი ჩაუზნექია,
სიბერეს ღობე გაუტეხია...
სიბერემ დააჩლუნგა ცულები და ცელები,
სიბერეს არ სჭირდება ხარები და ცხენები,
სიბერის მზემ დააჭკნო იები და ვარდები,
ჩამოგლიჯეს ქარებმა მოქარგული ფარდები.
... ერთმანეთს შებმიან გარა და სიბერე,
სიბერე უფრო ხმამაღლობს და კისერს იღებს,
გარაული კი შემდრკალა და უკან იხევს.
სიბერე შემძვრალა მკლავებში და მუხლებში,
სიბერე შებმულა დამპყრობელთა უღელში;
უკან იხევენ წამლის ბოთლებიც –
ამაო ომში მეომარი ჯარისკაცები.
... წევს გარაული, მოიცალა დასკვნებისათვის:
– სიბერე სიკვდილის ნაწილი ყოფილაო;
– სიბერე გვაჩვევს სამუდამო სიბნელესაო;
– ცოტაც და ნახავთ, ყვითელი კაცი
სულაც განდევნის მწვანე კაცსაო...
კვნესაში ზოგჯერ გუდამაყრულ ხუმრობას ურევს:
– მივდივარ, მაგრამ თან იმედსაც ვეთამაშები,
რა იცი, იქნებ სამოთხესაც შევეწოდოო –
– წვერი მოვუშვი, მღვდელსა ვგავარ, რა იცი, იქნებ
იესე მღვდელში შევეშალო იესო ქრისტეს
და სამოთხეში შემაბრძანონ დიდის ამბითო...
... და ასეთებზე ისე ლაღად იცინის გარა,
იფიქრებ, აი, მოკვდება და გაცოცხლდებაო...

9. საიქიოში ჩასვლის ბალადა

ბუჩათ გუგუა ბოკვრიანმა დათვმა დატორა,
სამ დღე და ღამეს უგრძნობელი ესვენა ტახტზე,
სამ დღე და ღამეს მის მკურნალებს არ უძინიათ
და მკვდარი კაცი სიცოცხლისკენ გამოაბრუნეს.
ამ ამბის შემდეგ ხმა გავარდა: ბუჩათ გუგუა
საიქიოში ყოფილა და იქაურობა
სულ კუთხე-კუთხე, კუნჭულ-კუნჭულ მოუვლიაო.
ბუჩათ გუგუაც არ უარყოფს „იქ" ყოფნის ამბავს –
ხატობებსა და დღეობებში გაშლილ სუფრებზე
ეკითხებიან და გუგუაც ხალისით ჰყვება
საიქიოში ჩასვლისა და ამოსვლის ამბებს:
– თედოც ვნახე და თევდორეც ვნახე...
ინომ ეს მკითხა, ინოლამ ეს დამაბარაო...
– სულ პირველად კი თვალებჭრელი გიგი ვნახეო,
წინ სავსე დოქი და გაშლილი სუფრა უდგასო –
მიმიპატიჟა, ძალისური ღვინო დავლიეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანანებით თქვა: ხარ-გუთანი და
საქორის ჭალის ცივი წყარო მენატრებაო...
ძვლებზე ძაღლი რამ მოვიდა და გიგიმ მითხრა:
ძაღლი კი არა, ქურდი ჯაბრას სული არიო...
აეგრე დაძრწის რიჟრაჟიდან დაღამებამდე,
რომ მოსაპარავს მიაგნოს და მოიპაროსო.
... ამ სასწაულზე გაილაღა ხუმარა ხალხმა –
– მღვდელზე რას ამბობს იქაური ხელისუფლება? –
ამას ბობღია ეკითხება ეშმაკურ მზერით.
– მღვდელ იოკიმეს კაი თვალით ვერ უყურებენ,
ქვრივებს დასდევს და ლოცვისათვის ველარ იცლისო;
– სტალინი ნახე? – ეკითხება ისევ ბობღია
– შორიდან ვნახე, კოკარდიან ქუდზე ვიცანი,
ხელში ეჭირა კომბალივით მძიმე ჩიბუხი
და ხრუშჩოვს სცემდა...
– ქვრივი ტასია როგორაა? ალბათ, ნახავდი,
საიქიოდან შენ ისე არ წამოხვიდოდი!..
იცინის ბუჩათ გუგუა და იცინის ხალხი,
ასე მგონია, ქვესკნელამდე ჩადის სიცილი
და იქნებ მკვდრებიც იცინიან საიქიოში,
თუმც საქაო-საიქაო, აბა, ვინ გაყო? –
ერთად არიან, წუთისოფლის ერთ მამულს ხნავენ
და ჯერჯერობით ეტევიან – ზოგი მიწაში,
ზოგი – მიწაზე, ზოგიც კიდევ ზეცაში ადის...

10. თითქოს მიწიდან ამოვიდა

გულიც იღლება. ძვალიც ცვდება. რკინაც ილევა.
ქარიც ჩერდება. წვიმაც წყდება. ყინულიც დნება.
ვარსკვლავებიც ხომ იღლებიან – ცვივიან ციდან.
წყალიც იღლება და გელაზებს ვერ ატრიალებს.
ღმერთიც იღლება – იქანცება ეშმაკთან ბრძოლით.
... დაიღალა პატაშური ათილაც –
ოთხმოცდაორმა წელიწადმა გაიგო ფეხქვეშ
და გატყდა კაცი, დაიჩივლა – დავიღალეო,
სიკვდილის ფეხის ხმა მესმის და დავისვენებო...
ათილას, მართლაც, არასოდეს დაუსვენია,
მიწასთან იყო გადაბმული – ხნავდა, თესავდა,
მიწასთან იყო გადაბმული – მკიდა, თიბავდა,
თითქოს მიწიდან ამოვიდა მიწის შვილივით!
იხარშებოდა, იწვებოდა, იხარჯებოდა.
ხან თოფის ნიშანს გაჰყურებდა, ხან ცულს ლესავდა,
ხან ყანწის ლულას ეხვეოდნენ მისი თითები.
... დაიღალა. დაღლილობამ დაუმძიმა ტვირთი,
მაგრამ ის მაინც ფეხზემდგარი დაუხვდა სიკვდილს –
მიუძღვებოდა გზაზე ხარებს, შეშა მოჰქონდა
და უცაბედად ჩაიკეცა, გაჩუმდა გული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

... არ აუვიდა ლოგინის და წამლების სუნი! –
გზაზე დაეცა.
... მე გავიფიქრე – სიკვდილია, მაგრამ სიკვდილმაც
კაცის ღირსების დაფასება-დაზოგვა იცის!..

11. მწარია ძერძერაულის ბალადა

მწარიას სიკვდილს ვინც შეესწრო, ყველამ ერთი თქვა:
– მთვრალები იყვნენ, შარს ეძებდნენ ახალგაზრდები,
წაკამათდნენ და გაიელვეს მახვილებმაო.
დედამ კი სხვა თქვა, დედამ ასე იტირა შვილი:
– შენი ბრალია შენი სიკვდილი!
ფოლადნარევი თვალებისთვის დაგკაფეს, შვილო,
მყივარი ხმისთვის და გრძელ-გრძელი ნაბიჯებისთვის
დაგკაფეს ეგრე დაუნდობლად, ძერძერაულო!
შენი ნაგრილი ეცემოდათ და შეგიჯავრეს,
მზესაც კი თავს რომ არ უხრიდი, იმიტომ ჩაგჭრეს!
ახლა კი წადი, დედისერთავ, დედის მომკვლელო,
და მაშინ მოდი, ეშმაკისგან მოხნულ მიწაზე
ეშმაკს რომ ფეხის ჩასადგმელი აღარ ექნება!..
...
– მართლაც და მართლაც, გავიფიქრე, როდის დადგება
ის დრო და ჟამი, მოიტეხოს მაცდურმა ფეხი! –
ჩვენ ხომ ლოდინის შვილები ვართ, დაველოდებით...

12. ფადიაური ბაწას ბალადა

ერთ წელიწადში ორი შვილი დამარხა ბაწამ –
ერთს სამწყემსურში, გორმაღალზე მეხი დაეცა,
მეორე ბიჭი ხატში ნასროლ ბრმა ტყვიით მოკვდა
და ბაწაწუნამ ყმუილი მორთო.
გაყინულ ცას რომ გაჰყმუის და შეჰყმუის მგელი
ისე აყმუვლდა ბაწაწუნა ფადიაურიც
და მისი ყოფა ერთ გადაბმულ ყმუილად იქცა.
ყმუილით იგი, ალბათ, სიკვდილს ამუნათებდა –
თვალს რად მარიდებ, ამოდი და წამიყვანეო;
ყმუოდა იგი, ალბათ, უფალს ამუნათებდა –
რა უფალი ხარ, თუ გული ქვად გადაგექცაო?!
... ყმუილში მოკვდა – ბაწაწუნას მწარე შეკითხვებს
სიკვდილი ბოლოს... ბოლოს მაინც გაეპასუხა;
ღმერთი კი...
ღმერთი არ პასუხობს ამგვარ შეკითხვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. სიყვარულისა და მზის ბალადა

საორბის გადასავალთან მოკლეს –
ჩასაფრებული მკვლელის ტყვიამ ჩაუქრო შუქი.
ძირს ჩამოვარდნილს ცალი ფეხი უზანგში ჩარჩა,
იდგა ცხენი და მკვდარი კაცის გამოღვიძებას
ელოდა თითქოს.
ასე დაღამდა და გათენდა მეორე დილა
და... გადმოვიდა შხამით სავსე მზე ხეობაში.
ცოლის საყვარელს მოუკლავსო, – ამოჩურჩულდნენ...
და შეგვაჟრჟოლა სიყვარულის ვერაგი სენის
ამობორგებამ, ამოღვრამ და ამოშვავებამ...

14. ევას და თანდოს ბალადა

ასრულდა მოსე პატაშურის შენავედრები –
ლექსით მთვარეს რომ შეავედრა თანდო და ევა:
„მიწას ნუ შეაჭმევინებ, მთვარევ, შენ წაიყვანეო,
მიწის მაგიერ ჭრილობებს სინათლე დააფარეო“.
წუხელ მეც მთვარეს შევყურებდი და დავინახე,
ევა და თანდო მთვარის ველზე ჩამომსხდარიყვნენ,
გადმომყურებდნენ მთვარის თეთრი ყვავილეთიდან
და სევდიანი სიმღერებით მეუბნებოდნენ:
ვერ დაგვეწევა ჟამი ყოვლის დამჟამებელი,
მისი მიმინო ჩვენზე მაღლა ვერ აფრინდება;
მზის ამოსვლისას აღმოვხდებით ყვავილებივით,
მზის ჩასვლისას კი გავფრინდებით სიკვდილისაკენ
და სულ ვიცოცხლებთ მარადიულ ფრენა-ფრენაში.
... ევას და თანდოს სიყვარულსაც მეხი დაეცა –
აბესალომ და ეთერივით ერთად დამარხეს
და აი, მაშინ შეევედრა მთვარეს პოეტი:
„მიწას ნუ შეაჭმევინებ, მთვარევ, შენ წაიყვანეო,
მიწის მაგიერ ჭრილობებს სინათლე დააფარეო“.

15. ძველი სახლის ბალადა

ამ სახლს მკვდრის სუნი აუვიდა, გესმის, სალომე?
ხომ გცემს მკვდრის სუნი?!
ვინ იცის, მოკვდა ძველი სახლი და ახლა მისი
დამარხვის დროა?! –
მაშ, ასე რატომ გაუცხოვდა, გადასხვაფერდა,
რატომ გაჩუმდა? – ქარების და წვიმების ენით, –
იმ ძველი ენით რატომ აღარ გვესაუბრება?!
მის მიდამოში შეწუხებული მგლების ყმუილი
და ლეშისაკენ გაფრენილი ყორნის ხმა ისმის.
ცარიელია ეს ძველი სახლი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცარიელის ხმა ამოდის ძველი ქვევრიდან –
იმის ნიშნად, რომ გადაშენდნენ ღვინის მსმელები;
სიცარიელის კვნესა ისმის სახლის ერდოდან –
იმის ნიშნად, რომ ცეცხლი ჩაქრა, კერა გაცივდა,
სადღაა ძველი წითელი მზე და
მზით დაფერილი წითელი მთები?! –
მზე გადაიწვა, მთები? მთები ნისლს შეუერთდნენ,
სადღაა ის დრო (დროებითი რომ იყო, თურმე) –
თოვლის გედები რომ სხდებოდნენ ღვიის ტოტებზე
და ვარსკვლავები წკრიალებდნენ ღამეებს ზემოთ
და ჩვენი სახლი დაფრინავდა მოლაღურივით?..
სიზმარი ვნახე – დადიოდა მთვარე ძველ სახლში;
სიზმარი ვნახე – დაგვეძებდა ძველ სახლში მთვარე.

16. სიკვდილისა და ჩალხის ბალადა

კვდებოდა ჩალხი. ყელთან მომდგარ სულს აზიდვებდა.
გაღმა-გამოღმა სოფლებიდან მოგროვილიყვნენ,
რომ თავის წესით ჩაეგზავნათ კაცი შავეთში.
– სახლში არ უნდა დალიოს სული,
გამოვიყვანოთ, ცა-ვარსკვლავეთს შეეზიაროს, –
ეს თქვა ხუცესმა, – ჩაუდევით ხელში მახვილი,
რომ შავეთის გზა გაიკაფოს გალესილ რკინით,
გზის ჩამლობავი ავსულები მისჭრას-მოსჭრასო.
... გამოიყვანეს. დააწვინეს დერეფნის სიპზე,
მარჯვენა ხელში გალესილი დაშნა ჩაუდეს,
მარცხენა ხელით კელაპტარი დააჭერინეს.
ჩალხიმაც ირგვლივ შეკრებილნი არ ალოდინა –
ამოიგმინა და აგზავნა სული ცისაკენ.
ხუცესი: ვხედავ, ჩალხის სული არწივად იქცა!
ხუცესი: ვხედავ, მიფრინავს და ცას ეწვდებაო!
ისევ ხუცესი: ჩალხი დიდ ცას შეუერთდაო!
... რქა მოიტანეს, ჩამოასხეს სვილის არაყი
და შეავედრეს ჩალხის სული ცას უსასრულოს.
... მეტი არაა ჩემი მტერი, ვინმეს დაჰკრავდა
და გაჰკვეთავდა ჩალხაურის ულონო ხელი!
მაგრამ ესეც ვთქვათ, რომ სალაშქროდ გაცილება სჯობს
გულიდან თუნდაც მეწყერივით ამომსკდარ ტირილს.

17. იორამულის ქელეხი

დაასაფლავეს იორამული,
ხალხი ქელეხის სუფრასთან დაჯდა.
თქვეს გარდაცვლილის შესანდობარი:
– მაღალმა ღმერთმა მიიღოს და შეიწყალოსო...
– სოფლის მარჯვენა ხელი იყოო...
– ნათელი შუბლით მიაკითხავს წინაპრებსაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვეს... არ დააკლეს იორამულს ღვინო და სიტყვა,
... ჩემს გვერდით ბორათ მანასე იჯდა –
თავისი ენამწარეობით განთქმული კაცი.
– სენი სიტყვა აქვს მანასესო, – გაიგონებდით.
აქაც ვერ გაძლო მანასემ და იორამულზე
ჩაისისინა – ჩაიცინა თავისებურად:
– ერთი გამორჩათ საქებარში – ის დაავიწყდათ,
ალექსანდრემ რომ თავისი ძმის ქვრივთან შეუსწრო
და მჭრელი ნამგლით ცალი ყური ჩამოათალა!
... მართლაც, კრაზანას ისარს ჰგავდა მანასეს ენა.

18. ვედრების სიტყვა

ვერ ვიტყვი, რა ქნა!!!
ენასაც აქვს თავის საზღვარი! –
როდესაც სიტყვა ადუღებულ რკინად იქცევა
და სათქმელს პირი გარეთ ვეღარ გამოატარებს.
... ან თავი უნდა მოეკლა და ან წასულიყო –
ქარით წაღებულ ფოთოლივით დაკარგულიყო,
რომ ხეობიდან გაეტანა თავისი შმორი –
მაგრამ დარჩა და დაათრევდა გათხუპნილ სახელს.
... უფალო, აბა, სხვას ვის ვუთხრა, შენ გევედრები –
მიეც ასეთებს, თავის მოკვლის უნარი მიე,
გადაკარგვის და გადაქრობის უნარი მიე...

19. სიკვდილთან ცეკვა

სულ მარტო დარჩა იათამზე –
სახლშიც მარტო და სოფელშიც მარტო –
უპატრონო და მარტოხელა, ხოლო ერთ დროს კი
ციდან ჩამოსულ ვარსკვლავივით ლამაზი ქალი.
... სიცხის ბურანში მოეჩვენა – კარი გაიღო...
– ალბათ, მოვიდა! ვინ იქნება სიკვდილის მეტი?!
მართლაც, სანეფოდ მოკაზმული სიკვდილი იყო –
შემოანათა მთვარესავით და თეთრ ჩოხაზე
აუელვარდა მოვერცხლილი ქამარ-ხანჯარი;
მაღალ-მაღალი და ხმელ-ხმელი ბიჭია ნეფე,
ღიმილი თითქოს ნაჭრილობევ სახეს უნათებს.
– ეს ხომ ისაა! ის ბიჭია! – ერთხელ ქალებმა
იათამზე რომ ჩაახედეს ბედის სარკეში
და დაინახა – როგორც ელვას, შეასწრო თვალი...
საპატარძლოს შავი კაბა ჩააცვეს –
დღეს შავი უფრო გიხდებაო – თქვეს მომრთავებმა...
საცეკვაოდ გაიწვია იათამზე ნეფემ,
– პეპლების ცეკვა იცეკვეთო, – სთხოვეს მაყრებმა
და შავ პეპელას ჩაეხვია თეთრი პეპელა,
და თეთრ პეპელას ჩაეხვია შავი პეპელა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაშალეს ფრთები და გაფრინდნენ ვარსკვლავებისკენ...
და გაფრინდა იათამზე – მოჩვენებებს გაჰყვა
... და ქარებმა შემოტეხეს კარი.
... ის შემთხვევით ჩამოვლილმა მონადირემ ნახა –
დიდი ხნის მკვდარი, უპატრონო მიცვალებული –
საკუთარივე ქორწილიდან გაძევებული.

20. ბეგინა ბეგისთაველის ბალადა

ბევრი უთმინა უნდილაურს ბეგისთაველმა,
ხოლო როდესაც თავგასულმა უნდილაურმა
მთლად დააფოლა – ხორცის წვენი დაასხა თავზე,
მაშინ ბეგინას მოთმინება მშვილდივით დასხლტა –
აიღო ქვა და გაისროლა გამეტებულად...
ამოათეთრა წაქცეულმა შავი თვალები
და ყორანივით ჩაექანა შავეთის ნისლში.
... ცხრა წელი მისცეს ბეგისთაველს – საკუთარ თავის
განსასჯელად და განსაკითხავად.
ისიც იჯდა და შეჰღმუოდა ბეტონის კედლებს –
ჩადენილ ცოდვას მილიონჯერ შემოუარა
და ბოლოს მაინც ამ სიმართლით იმართლა თავი:
– ფეხებით შესდგა ჩემს ღირსებას და მოთმინებას
და სხვა რა მექნა?! ავიღე და მოვკალ ძაღლივით!..
არა და არ თქვა – კიდევ უნდა მომეთმინაო...

21. ... და ჩახდების მზე

... და ჩახდების მზე – ჩაიცლება, ჩავა, ჩაქრება,
ჩაინავლება, ჩანაცრდება, ჩაინისლება;
მზე – მიწისაგან ზეცისაკენ აწვდილი ხელი,
გადახმება და გადატყდება, ძირს დაეცემა;
შეიღებება მწვერვალები მზის ცივი სისხლით
და წაშლის ღამე, ღამის შავი საშლელი წაშლის:
ჩოხელთ ჩოხელას, ბიჩნიგაურს, თორღვაულს წაშლის,
ათილას, თეოს, იორამულს, გარაულს წაშლის...
... და ჩახდების მზე – ჩაილევა, ჩაცხრება, ჩავა,
რაც ააყვავა, გაახმობს და, რაც შექმნა, მოსპობს,
და ძველი სახლის ნანგრევები იღაღადებენ,
რომ ამაოა ყოველივე და ქარის დევნა...

2010

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სინანული

ცხრაასი წლის წინ ვყოფილიყავ
ცოცხალი, ნეტა,
როცა „რუსთველის" ფსევდონიმით
უფალი წერდა,

როცა სულ სხვა რამ ქართველთათვის
იყო მთავარი,
სიკვდილით დასჯას აუქმებდა
როცა თამარი!

მოვკვდები მაინც – რა აზრი აქვს
მკვდრისთვის, თუ იცი,
ცხრაასი წლის წინ მოკვდებოდა
თუ ცხრა წუთის წინ?..

ამადაც ვნანობ: ვყოფილიყავ
ამქვეყნად ნეტა,
როცა „რუსთველის" ფსევდონიმით
უფალი წერდა!..

ცისკარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ია სულამერიძე

●

წარმოვიდგინე სიგრძით და განით —
ერთ მშვენიერ დღეს, მშვენიერ სისხამს
ადგება ჩემი მსგავსი და მგვანი
და ჩემ მაგივრად დახვდება ცისკარს...

არაფერია ამაში ცუდი,
თუმცა, საჩქაროც არაფერია,
მე ბევრს ვუყვა რდი და ცოტას ვძულდი,
თუმცა, ეს სხვა დროს დასათვლელია...

მიგნებულია ფერები ზუსტი,
ოღონდ ფანქრები დასათლელია,
მე ბევრს ვუყვარდი და ცოტას ვძულდი,
თუმცა, ეს სხვაგან დასათვლელია...

არ მოითხოვო ზედმეტი წუთი,
მით უფრო, თუკი არსად გელიან,
მე ბევრს ვუყვარდი და ცოტას ვძულდი,
თუმცა, ეს კარგად დასათვლელია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძმო სასაფლაოზე

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში
დაღუპულ მებრძოლებს

მიტომ მოგვაბა უფალმა თავი,
კუნძზე დადება რომ შევძლოთ მისი!
ოღონდ ვერაა ყველა მოკვდავი
სამშობლოსათვის სიკვდილის ღირსი!..

ბოლმით დავყურებ საჯიშე ბიჭებს,
როგორც ურჯულოს აკაფულ ნარგავს...
თვითონ მამული სამსხვერპლოს ირჩევს–
არ ყველა კაცი სამსხვერპლოდ ვარგა!

თენგიზ არჩვაძეს

რომ მოეთხოვათ ერთადერთის,
დახატვა, კაცის,
ვისი პორტრეტიც სრულყოფილად
ასახავს რაინდს,
ვინ გამოასწრებს ათასებს და
დადგება თვალწინ,
ვის ავარჩევდი მრავალთაგან
მაინც და მაინც?

მე დავხატავდი გაშლილ შუბლს და
ქოჩორს, ტალღოვანს,
მოუბარ მზერას, მზესავით რომ
სითბოს ხარჯავდეს,
ჯიშიან კისერს შევუდგამდი
სხეულს, ახოვანს
და ამ ყველაფერს დავარქმევდი
თენგიზ არჩვაძეს!

შორეული ფანჯრიდან

ვირჯებოდი, აბა რა? –
კარგად მახსოვს, რა მრჯიდა...
ერთი ნატვრის ამარა
ცაში ფრენაც არ ჭირდა...

ნაგლეჯიღა გადარჩა
იმ მშვენიერ ფარჩიდან...
ყველაფერი კარგად ჩანს
შორეული ფანჯრიდან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკივილის შემდეგ

ცრემლი ჩემი მელანია,
სიყვარული — კალამი,
ბედი ფიცხი მერანია,
მე კი მივდევ ქალამნით...

ცრემლის მელნით ღებავს ფიქალს
პოეზიის ქურუმი,
სევდის სველი სახლი მიდგას –
წვიმით გადახურული.

სიხარული დამიძვირდა,
ჩემთვის აღარ მოცდება,
ვით საპალნე – დამიმძიმდა
სანუკვარი ოცნება.

სული როგორ გადარჩება? –
სულში გველი მოძვრება,
ვაი, როგორ არმად მრჩება
ძველი სწავლა-მოძღვრება!..

ბედისწერა ელამია –
სხვისკენ მიაქვს ალამი...
სული ჩემი მელანია,
გული – ჩემი კალამი...

ვით დამწვარზე – შენაბერი,
ფიქრი მოდის წამიდან:
რაც დამთავრდა, ყველაფერი
დაიწყება თავიდან...

გულისტკივილით

ვერ მივაღწიე ვერაფერს ისე,
ვიღაცას მაინც რომ არ სწყენოდა...
სულ სხვა მოტივის სიმღერებს ვისმენ,
სულ სხვა მოტივებს გული ელოდა...

გაცრეცილია ძველი ღიმილი
და ცხვირწინ მწარე სიმართლე მიდევს
და მეათასედ ამწყდარ ღილივით
ვიკერებ სულზე დაბზარულ იმედს

აღსარება

ვერაფრით შევძლებ, ისე რთულია
მუქი ფერების გაღიავება,
აღსარება ხომ **სინანულია**
და არა – ოდენ **აღიარება...**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხეულში ფიქრი დაიარება,
პირველი ცოდვის სადარად ძველი:
რა ადვილია აღიარება
და სინანული – რარიგად ძნელი!

მას, ვინც თაიგულს მომართმევს

მშვენივრად ვიფერებ
            როლს – არცთუ ტრაგიკულს,
რა გზა დამრჩენია მეტი?...
გამოგიტყდებით და –
            უთვალავ თაიგულს
გული მირჩევნია ერთი!

დრო მიაქვთ ტოლ-ტოლი
            ნიავს და ტაიფუნს,
მუდამ მეფერება ბედი...
რაღა დაგიმალოთ –
            უთვალავ თაიგულს
გული მირჩევნია ერთი!

სიყვარულს, ვიღაცის
            ნაღდ ფულზე გაყიდულს,
ვიღაცა დაეძებს დღემდი...
რა უხეირო ვარ! –
            უთვალავ თაიგულს
გული მირჩევნია ერთი!

გამგები ვინცაა, –
            ვამბობ და – გაიგოს,
არ ვტყუი, მოწმეა ღმერთი, –
ამქვეყნად რაცაა,
            სუყველა თაიგულს
გული მირჩევნია ერთი!
ხანდახან ქვაც გიყვარს,
            ხანდახან თავიც გძულს,
ხანდახან ფეთქდება დენთი...
ნუ მჩუქნით ყვავილებს! –
            უთვალავ თაიგულს
გული მირჩევნია ერთი!

სიკვდილს

შეუსვენებლად მოედინები,
რომ დააღამო ჩემი დილები,
ვაიმე, როგორ მეზარები და,
ვაიმე, როგორ მესიკვდილებიი?!...

მარი თინაშვილი

გაუჭმეგა

ეს ამბავი დაიწყო იმით, –
რომ ჩვენ
დავიჯერეთ ხის ტოტებზე შებმული ძონძების...
და იმის, რომ ნატვრებს აგვისრულებდნენ.
ვისხედით დიდხანს,
ვისხედით და ასე ველოდით...
რომ ვილაც
ჩვენს მაგივრად იოცნებებდა...
რომ ვილაც
ჩვენს მაგივრად იყვირებდა...
რომ ვილაც
ჩვენს მაგივრად შეიყვარებდა,
დაკარგავდა...
რომ ვილაც
ჩვენს მაგივრად იცხოვრებდა...
და რომ ვილაც
ჩვენს მაგივრად დაწერდა,
წაიქცეოდა ან წამოდგებოდა...
ჩვენ, უბრალოდ, უნდა გაგვეღიმა,
როცა გვეტყოდნენ,
და ჩაგვეცვა თეთრი პერანგები, –

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უზადოდ თეთრი პერანგები...
და ჩვენ შევეჩვიეთ ასე ყოფნას
და ჩვენ შევიყვარეთ ასე ყოფნა...
ცხოვრება კი
გადიოდა კინოკადრივით...
... ეს ამბავი დაიწყო მაშინ,
როცა დავიჯერეთ,
ხის ტოტებზე შებმულ ძონძებს
შეეძლოთ ჩვენი გადარჩენა...
და შევაჩეჩეთ ოცნებები,
როგორც გასაშვილებელი ბავშვები...
მერე ვისხედით და ველოდით,
რომ ვილაც ჩვენს მაგივრად მოკვდებოდა
და ასე მოვკვდით...

კითხვის ნიშნების ნაცვლად

გამახსენე, ამ საღამოს,
ვიდრე დავწვებით, გკითხო:
როცა თვალებში მიყურებ, მაშინ
აგებულებას ხედავ თვალისას
თუ ჩემს სულს?
გამახსენე, როცა ერთად ვართ,
როცა ხელებს გითბობ გაყინულს,
გკითხო:
– მართლა გცივა თუ
არ გინდა, ხელი გაგიშვა?!
როცა ყავას ვსვამთ
ანდაც, უბრალოდ,
სადმე ვსხედვართ
(დრო არ გვადარდებს),
როცა მუსიკას ჯაზი ერევა,
გამახსენე, გკითხო:
– რატომ იღიმი?!
ან რატომ მინდა, გულში ჩაგიკრა?!
ან რატომ არის ცივი ქალაქი,
თუ ამ ქალაქში ერთად დავდივართ?!
გამახსენე, ხვალ უთენია,
სანამ ბავშვები გაიღვიძებენ,
სანამ ფანჯრებში შემოვა დილა
და სანამ თოვლი დაბარდნის თბილისს...
გამახსენე,უნდა გკითხო:
– მართლა არსებობ თუ, უბრალოდ, გამოგიგონე?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯობა, საქართველო

გამარჯობა, საქართველო,
ამასწინათ შენკენ შემოვიარე,
არ დამხვდი სახლში.
მეზობელმაც არაფერი მითხრა,
უხეშად მიმიხურა კარი ცხვირწინ, შენზე რომ ვკითხე.
ასე ვიდექი კართან,
იქნებ მოვიდეს-თქო, ვფიქრობდი,
მერე ქუჩის ბავშვება მითხრეს,
რომ აქედან, დიდი ხანია, გადახვედი.
კიბეზე ჩამოვჯექი და ვფიქრობდი,
როგორ ვერ მოგისწარი,
როგორ ვმალავდი ამ სიყვარულს.
მას მერე დაგეძებ...
მთაშიც ვიყავი, ბარშიც. ყველგან მეუბნებიან,
რომ ერთი ნაბიჯით გამასწარი.
გზები გავცვითე ამდენ სიარულში,
ზოგჯერ მეშინია –
იქნებ, ხეტიალში სადმე გადაგაწყდი
და ვეღარ გიცანი,
ბოლოს ისეთი სუსტი იყავი,
ისეთი გაცრეცილი, მეგონა,
მზე ამოდიოდა შენი სხეულიდან.
არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს მომიწევს
შენი ძებნა,
სადმე ხომ მაინც გიპოვნი, რომელიმე ქუჩის კუთხეში,
მაგრად ჩაგიხუტებ და გეტყვი:
– მე შენ მიყვარხარ.

ჩვეულებრივი ამბავი

არსებობს დღეები, როცა შეგიძლია უყურო,
როგორ ნათდება ცა საახალწლო ფეიერვერკისაგან.
უყურო, როგორ ცდილობს მეზობლის ბიჭი,
ყველაზე მაღლა გაიშალოს მისი შუშხუნა,
და სწევს ხელებს ცისკენ...
დგება ფეხისწვერებზე,
გეშინია, ფიქრობ, „საცაა გაფრინდება“.
და ეს ყველაფერი
მხოლოდ იმიტომ, რომ წინა კორპუსში პატარა გოგო ცხოვრობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობს დღეები, როცა სუფრას უსხედხართ ბევრნი,
გირეკავენ...
ურეკავ...
იმეორებ ტექსტებს უცვლელად...
ბოლოს, დაღლილი, სადმე აგდებ, თიშავ მობილურს
და იხსენებ ყველას, ვინც კი ადრე გიყვარდა...
ხვდები, – ადვილია, ჩაანაცვლო სიცარიელე,
რომელიც მოდის, როცა ვიღაცას ვკარგავთ
და ადვილია, ჩაანაცვლო გული ქვით,
გრძნობა – გონებით,
სახლი – სასტუმროთი,
ღმერთი – პრეზიდენტით,
ბავშვობა – გაცრეცილი შავ-თეთრი ფოტოებით,
ხვდები, ადვილია და გეშინია.
არსებობს დღეები, როცა იცი,
ყველა მარტოა,
უკლებლივ ყველა მარტოობას
რაღაცით ებრძვის.
შენ ამ დროს დგები ფანჯარასთან და გახსენდება
მეზობლის ბიჭი, ისეთი სუფთა და ნამდვილი,
როგორც შიში მისი გაფრენის გაფიქრებისას.
გახსენდება და გეცოდება სიმარტოვისთვის...

ლეილა მესხი

HOTEL „karaian“

მოთხრობა

აპრილმა ერთბაშად გააფერადა სამყარო. ალუბლის ტოტები ვარდისფრად შემოსა, სურნელიც მოაძალა. განთიადს სქელი, დაძენძილი ნისლი შემოჰყვა. მთაწმინდიდან ქვემოთ, სოლოლაკისკენ დაეშვა. სახურავებს, ელექტრობოძებს, ფიჭვის და ნაძვის ტოტებს დაეფინა. ვეება სახლებს შორის მომწყვდეულ ბებერ, დაგრეხილ ალუბლის ხესაც მოედო. შემოსა.

მერე განქარდა ნისლი, გაქრა, გაფირფილდა. ჩიტუნები გამოჩდნენ. ვარდისფრად აყვავებულ ხეზე გვერდიგვერდ ჩამოსხდნენ. შორიდან მოფრენილები ჩანდნენ, ამ ქუჩაზე შემთხვევით აღმოჩენილები. ალუბლის ყვავილებს, მათ სურნელს მოეზიდა ისინი. თავდაპირველად ერთი მოფრინდა – შავი ტანით, გრძელი კუდით, მოკლე ნისკარტით და თეთრი ბაბთით. ფრაკი ემოსა, მუსიკოსს ჰგავდა... რომ წამოიწყო, აღარ ჩაამთავრა. იჟღურტულა, იგალობა, აიკლო იქაურობა. თავისკენ იწვევდა თანამოძმეთ. მერე ჩაჩუმდა. თითქოს სათქმელი მოათავა. საგალობელიც იგალობა. ჩაწყნარდა.

მისი ჩაჩუმება და... საიდან მოფრიდა ამდენი... მოუსვენრები, მარდები, გადამფრენ-გადმომფრენნი. ახლომახლო ხეებზე ჩამოსხდნენ; ერთმანეთზე ცელქები, ერთმანეთზე უდარდელები. მათაც შავი ფრაკები ეცვათ, თითქოს კონცერტისთვის ემზადებოდნენ... ახლად აფეთქებული ალუბლის ტოტები ჭკუიდან შლიდა მათ. ჭიკჭიკებდნენ, ჟღურტულებდნენ, გნიასობდნენ... იქაურობას იკლებდნენ.

ამ სასიამოვნო ხმებს გულისყურით უსმენდა ჯულია. ქალაქში გაზრდილი ქალი გახლდათ, სოფელში არასდროს ეცხოვრა. მართალია, მერცხალიც ენახა, შაშვიც, ბულბულიც, მაგრამ ამ ჩიტების ვერაფერი გაეგო. ვერც ჯიში ეცნო, ვერც სახეობა გაერკვია. მხოლოდ ხმებს უსმენდა... მათ საამო ჟღურტულს. არადა, ფანჯრის რაფაზე თავჩამოდებული ქალი ლამის დადნა. დატკბა და დაითენთა.

ძილი გაუტყდა. წამოდგომა დაეზარა. ქმარს მოუხმო...

– კარენ! – გასძახა – მოდი, უსმინე...

– ჰაჯან! – პასუხობს კაცი, მაგრამ არ მოდის.

– კარენ! გესმის რა ხმებია... უსმინე რა... დატკბი!

– ჰო... ჰო!

– ჰოდა და შავი ქვა შენ! – გაწყრა ქალი.

●

ორსართულიან სახლი უდგათ. ნათელი ფანჯრებით, ვეება კარებით, „ჰოტელ კარაიანი“ – იკითხება წარწერა. ვერცხლისფერ ფირფიტაზე ჩანგიც მოჩანს. მუსიკოსების ემბლემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე სართულზე, განაპირა ოთახში, საძინებელი მოიწყო ჯულიამ – სასტუმროს დიასახლისმა, მკერდსავსე, შავგვრემანმა, თმახუჭუჭა ქალმა. ტელევიზორით, ხავერდის ფარდებით, ხალიჩებით ამოავსო იქაურობა. ქმრის ხვრინვას ვერ ვუძლებო (იმართლებს თავს). ჩანს, თავად არ სურდა მამაკაცის გვერდით წოლა. ამიტომ გაჰყარა საწოლები, გაცალცალკევდნენ (ასე უფრო მშვიდად გრძნობდნენ თავს).

იქვე იყო კარენაც, გვერდით, ფართო, ვრცელ ოთახში (ოდესღაც მის მშობლებს რომ ეძინათ). თავადაც უყვარდა იქაურობა. ყურთბალიშებით, მუთაქებით ავსებულ ტახტზე გორაობაც მოსწონდა. ოთახს აივანი ახლდა, ყვავილებით, პალმებით, გეორგინებით ავსებული. ყოველ დილით კარენა რწყავდა. მზის პირველ სხივებს ბანჯგვლიანი მკერდის ქექვით ეგებებოდა... სასტუმროს მეპატრონე გახლდათ და ამიტომ იყო, თავმომწონე იერით რომ გადახედავდა ქუჩას, ქალაქს. ვარდისფერი ტუფით ნაშენ, ორსართულიან სახლსაც შეათვალიერებდა. ეს სახლი პაპის დანატოვარი გახლდათ. წინა საუკუნის ტიპური შენობა. ზუსტად ამ ადგილას ვიღაც თავმომწონე ქართველი თავადი ცხოვრობდა თურმე. სახლიც ედგა. ოთხმოთხო შენობა. კოვზით ზღვა დაილიაო და მისი ქონების დალევას რა უნდოდა. ბუმერაზი ქართველების ამბავი ხომ იცით, ბანკის ვალიო, კარტში წაგებული თანხაო, ახალი საქმის წამოწყებაო და... მოკლედ, კაპიკებად დათმო ის სახლი – თავისი მიწის ნაკვეთით.

აშოტა პაპას არც მიხვედრა აკლდა და არც საქმის წინასწარ განჭვრეტა. ადგილიც მოეწონა, სამომავლო გეგმებიც დაისახა. მოკლედ, არ უჭოჭმანია, არც საგონებელში ჩავარდნილა, სახლი დაშალა და (მოგვიანებით ტრაბახობდა, ერთი ცალი ფიცარიც არ გამომიყენებიაო, იმ ტარაბუცა ქართველის სახლიდან მისეულ უბარაქობას თუ ქესატობას ხომ არ დავიბედებდიო)... ადგილი მოასუფთავა (არქიტექტორიც თავისი ჰყავდა, მშენებელიც). სამი წელი აშენა. ავლაბრელი სომხები (ძველი ნაცნობები) სანახავად მოდიოდნენ! საშენი მასალაც არ აკლდა. სახლის ერთი ნახევარი საცხოვრებლად ისურვა, მეორე ნახევარი სასტუმროდ აქცია. ნომრებით. ლუქსით. სარკეებით, ფარდაგებით მორთო, მოკაზმა... აბრაც გაუკეთა. ის იყო, პირველი სტუმრის მისაღებად მოემზადა, რომ... აიწეწა ქვეყანა. რევოლუცია მოხდა. – მენშევიკები ბოლშევიკებმა შეცვალეს. რაც კი რამ ღირსეული გააჩნდა აშოტას, ჩამოართვეს. სახელმწიფო საკუთრებად აქციეს. კარაიანებს ვინ დაინდობდა, გაძევება ვერ გაუბედეს, სამი ოთახი ზედა სართულში დაუტოვეს, სამიც – ქვემოთ. სხვა დანარჩენი, თორმეტი ოთახი, მთავრობის წევრებმა დაინაწილეს. წყენამ ლამის გაგუდა ბერიკაცი. დროებით მიგვაქვს და მალე დაგიბრუნებთო, – უთხრეს, მაგრამ „დაპირებული რომ დავიწყებულს ეიმეხავს,“ კარგად იცოდა აშოტამ. ასეთ დროს ყველაზე მეტად სიჩუმე და დაშოშმინება მართებდა და ჩაჩუმდა კიდეც. ოღონდ, ეგ იყო, თითქოს ერთბაშად დაბერდა კაცი. დარდმა გაანახევრა. დიდხანს არ უცოცხლია... წავიდა და წართმეული სახლის დარდიც თან გაიყოლა .

გავიდა წლები. პაპის ანდერძი აღარც შვილს დავიწყნია და აღარც შვილიშვილს... მომაკვდავის ბოლო სიტყვები თაობიდან თაობას გადაეცა! „თუ რამ დოვლათი გამაჩნდა, ოქრო და ვერცხლი, ძვირფასი თვალი, ამ სახლს შევალიე, შევწირე (ძველსომხურად, ჰავლაბრულად უქცევდა). არ ვჭამე და არ ვსვი, კუჭის კიბო გავიჩინე. მერე მომადგნენ და წამართვეს. მკითხე, მამაძალო! რა დამიჯდა ამ სახლის მშენებლობა... ჩემი ახალგაზრდობა, სიყმაწვილე მაგას შევალიე. შენ კიდევ მოდიხარ და მიგაქვს...“ ბოლმით იძინებდა და ბოლმით იღვიძებდა ბერიკაცი. სიკვდილის წინ ფიცი მისცა შვილმა (კარენას მამამ): მე თუ არა, ჩემი შვილი დაიბრუნებსო. ნათქვამია, „ფიცი ჩამომავლობამდეო...“

რუსთაველის პროსპექტზე, ქსოვილების მაღაზიაში საწყობის გამგედ მუშაობდა კარენას მამა, იქ ჩალია თავისი ცხოვრების საუკეთესო დღეები. ფულიც საკმაოდ იშოვა. აგროვა კიდეც. შვილისთვის განათლების მიღებაზე იმდენი არ უფიქრია, რამდენიც ჩამორთმეული ოთახების უკან დაბრუნებაზე იზრუნა. თუმცა თორმეტი ოთახიდან მხოლოდ ოთხის დაბრუნება შეძლო. მაცხოვრებლებს თავად შეუძინა ბინა (სხვა ადგილას გადიყვანა), ზოგსაც ფული მისცა. ბოლომდე მაინც ვერ მოახერხა. კუჭის კიბო არ გასჩენია, მაგრამ, ფერმკრთალსა და გაცრეცილს (დღედაღამ უმზეო საწყობში გდებამ თავისი დამართა) – დაიღალა და ჩაეძინაო, – კოხტად დაკეცილ ქსოვილებში, ატლასის, აბრეშუმის, ჟორჟეტის თუ კრეპდეშინის თოფებს შორის ვრცელ დავთრებთან ერთად ჩაეძინა და აღარ გაუღვიძია.

პაპისადმი მიცებული ფიცის აღსრულება ახლა კარენამ იკისრა. უფრო მოხერხებული აღმოჩდა. დრომაც შეუწყო ხელი. ახალი კანონი გამოვიდა. ძალისძალად წართმეული ოთახები შეეძლო უკანვე დაებრუნებინა. რაღა შეაჩერებდა კარენას. ლამის მერიაში გადასახლდა. დილიდან საღამომდე იქ იყო. მისაღებში, მომლოდინეთა შორის იჯდა. მერის კაბინეტში რა შექონდა და რა გამოქონდა, არავინ იცოდა, არადა, თვალებში ამოუვიდათ ქალაქის მესვეურთ, რეტი დამართა, მისი დანახვა აღარ შეეძლოთ. ღიმილიანი, ალერსიანი, პირმოთნე კარენას დანახვა აგიჟებდათ უფროსებს. „ფონს რომ გახვიდე, მერე დაილოცეო“ – ნათქვამია. იმ თორმეტი ოთახიდან ოთხი მამამ დაიბრუნა, ექვსი კიდევ შვილიშვილმა. დარჩა ორი ოთახი! გაუძნელდა კარენას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვიანებით შეიტყო, სად იყო ძაღლის თავი დამარხული. იმ ორ ოთახში ქალაქის მერის ახლო ნათესავი ცხოვრობდა, მგონი, ცოლისძმა. მოკლედ, შეეშვა...

თუმცა, რაც დაიბრუნა, ისიც საკმაო აღმოჩდა. უშვილო ცოლ-ქმრის პირობაზე ამდენიც არ უნდოდათ, მაგრამ, „კაცის გული ხარბიაო", ნათქვამია. უპირველესად, პირველ სართულზე კაფე-ბარი გახსნა – „ცხელი ფუნთუშა. ყავა. კაკაო" – იტყობინებოდა წარწერა. ახლომახლო დაწესებულებებიდან მოდიოდნენ, სასწავლებლებიდან. კონსერვატორიის სტუდენტობა ხომ დღედაღამ კაფეში იჯდა. მათ თეატრალური ინსტიტუტიდან თუ სამხატვრო აკადემიიდან მოსული ახალგაზრდობა უერთდებოდა და, მოკლედ, იყო რუზრუზი. მხიარული გოგო-ბიჭები იყრიდნენ თავს. მღეროდნენ, კამათობდნენ. მუსიკაზე, ბალეტზე, ოპერაზე, მხატვრობაზე მსჯელობდნენ. ყავას წრუპავდნენ... ფუნთუშებს, კრემიან ნამცხვრებს მიირთმევდნენ.

გაჩაღდა ვაჭრობა!

●

ცოლ-ქმრის ურთიერთშეთანხმება, ერთსულად და ერთხორცად ყოფნა ვის უნდა გაკვირვებოდა ამქვეყნად. თუმცა მათ შორის ფარული ბრძოლა მიმდინარეობდა. მოკლედ, თუ ჯულიას ვაზის ფოთოლში გახვეული ტოლმა, დუმიანი ბადრიჯანი და ძველი ქალაქური (სომხური) სიმღერები უყვარდა, კარენას კლასიკაზე მისდიოდა სული. ოპერები. სიმფონიური ორკესტრები, ცნობილი კომპოზიტორები, დირიჟორები... „ჰოტელ-კარაიანი" შემთხვევით არ უწოდა თავის სასტუმროს, – თავის გვარზე მეტად მსოფლიო სახელის მქონე დირიჟორის – ჰერბერტ ფონ კარაიანის სახელით იწონებდა თავს, მკვიდრი ბიძაშვილიაო, ამბობდა. თუმცა თავადაც კარგად იცოდა, კარაიანი მაკედონელი ბერძენი იყო (ავსტრიაში აღზრდილი) და თბილისელ კარაიანებთან არაფერი ჰქონდა საერთო. სანამ ცოცხალი იყო დიდი დირიჟორი, კარენა თავს იწონებდა: ველოდები, უნდა ჩამოვიდეს, თბილისში კონცერტებს გამართავსო. ისე ცოცხლად იტყუებოდა, სიმართლე ეგონებოდა კაცს.

გარეგნულად დიდად თვალმისაზიდი ვერ იყო კარენა. მაღალი, ბეჭებდაშვებული, შავი თმით და შავი ულვაშით. ნათქვამია, „ყველა საქმე ქვეყანაზე რიგდება, ხოლო ცოლქმრის ზეცაშიო" – თუმცა მათ ცოლქმრობას ზეცაში გარიგებულის არაფერი უგავდათ. ავლაბარი უბანში, სონა ძალოს სასტუმრო ოთახში, კარტის თამაშსა და ყავის სმაში გარიგდა მათი ბედი... სამომავლოდ გამოეწყო.

ჯულია ბოსტანჯიანის ასული იყო. მის მშობლებს სამი ქალიშვილი ჰყავდათ (სამივე ეშხის პეპელა!). დებს სიმღერა, მხიარული თავყრილობა და მიეთმოეობა ეყვარდათ. სანამ... ჯულიამ კარენა არ გაიცნო.

ეგ კი არა, კონსერვატორიაში გამოცდებზე არ გაუშვა ქალი, სასიძოს ებრძანებინა, ოპერაში ნამღერებ-ნახტუნებ ქალს შინ არ შემოვუშვებო: თუ სიმღერა შეუძლია, ჩემთვის იმღეროსო... თან დაურთავს: ასეთები არ მეშლება, მუსიკოსი გახლავართო... საქსაფონზე უკრავდა კარენა; ძვირად ღირებულ, ვერცხლისფერ ინსტრუმენტზე (შალითაში გახვეული სასტუმრო ოთახში ჰკიდია ამჟამად. კედელზე სხვა ინსტრუმენტებიც მოჩანს – დოლი, დაირა, დუდუკი, ზურნა და სტვირი). უცხოელი სტუმრების წინაშე თავმოსაწონებლად გამოაწყო. კარგა ხნის წინათ, უცხო ენათა ინსტიტუტის ჯაზში უკრავდა კარენა. კონცერტებზეც გამოდიოდა. მერე რესტორნებში გადაინაცვლა. ბოლოს მობეზრდა სხვისი დაკვეთების აღსრულება, შაბაშების შეგროვება, ლოთბაზარა ხალხის ცქერა, მათი ხორხოცი... მიატოვა იქაურობა.

ასე ერთბაშად ცხოვრების წესის შეცვლა სიზმარში ხდება, მან კი ერთი მოგუნებებით უარყო. რა ხანია, საკრავს აღარ მიკარებია. სამუზეუმო ექსპონატივით კედელზე გამოფინა ისინი, რომ ალალბედად შემოხეტებულ სტუმარს ვინმე ვიგინდარა არ ჰგონებოდა... მუსიკოსი გახლავართო, ამით ამცნობდა. და კი არ აფრთხობდა მას, მოკრძალებას აჩვევდა, რაკი შემოდი, მესტუმრე, კეთილი ინებე და პატივით მომეპყარიო... ესეც ერთგვარი ბიზნესი იყო!

სასტუმროს „ჰოტელ კარაიანს" რომ დაარქმევ და ჩანგს დაახატავ, მაშასადამე, იქ მთავარ მასპინძლად მუსიკა გელოდება... ამიტომ იყო, კარზე ზარი გაიწკარუნებდა თუ არა, კლიენტი ხეირიანად შემოსვლას ვერ ასწრებდა, ერთბაშად კარენას დადგმულ სპექტაკლში აღმოჩდებოდა, მასში იღებდა მონაწილეობას. მუსიკა უკრავდა, კომპაქტურ დისკებზე ჩანაწერები ხმიანობდა – კარაიანის დირიჟორობით – რიჰარდ შტრაუსის „სალომეა," შარლ გუნოს – „ფაუსტი" და რიჰარდ ვაგნერის – „ტრისტანი და იზოლდა," – მუდამ ოპერის ნაწყვეტები ისმოდა...

●

ბოლო დროს უცნაური ფიქრი აეკვიატა ჯულიას. ეჩვენებოდა თუ მართლაც ასე იყო, კარენას კი არა, სახლს გაჰყვა ცოლად, ორსართულიან, ვარდისფერი ტუფით მოპირკეთებულ, ჩუქურთმიან შენობას (არ გაიკვირვო, მკითხველო, ასეთი რამეებიც ხდება ცხოვრებაში!). ახლა სისტემატური ყავის სმისგან, სიგარეტის ხშირი ბოლებისგან ხმის იოგები გაუხეშებოდა ქალს, უგუნებო გამხდარიყო. წინათ წკრიალა ხმა ჰქონდა, ოპერის მომღერლობაზე ოცნებობდა! –

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსერვატორიაში გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა. საბუთების შეტანის დღემაც მოაღწია, ბიცოლა გაიყოლა თან – რატომ არ დაიქცა ის დღე! ან ბიცოლას რად არ დაატყდა ფეხები?! მარტოდ წასვლა არ ისურვა, უფროს ქალთან ერთად იმედიანად ვიქნებიო... უკან დაბრუნებისას სხვა გზით ატარა ბიცოლამ: შენ რომ ყმაწვილს გირიგებენ, განახებ სად ცხოვრობსო, ჰოდა, დაანახა კიდეც. სასიძოს ნაცვლად, სახლი ანახა. მოეწონა... თავისი შესასვლელებით, ფანჯრებით, ვეება კარებით (ფანჯარაში შეჭვრეტაც მოასწრო). დაშვებული ფარდები, ჭაღი, დაწნული სკამები, სარკე. ყოველივე ერთი თვალის შევლებით შეამჩნია... მოქანავე სავარძელიც დაინახა... ამან დაღუპა ჯულია – რაც უნდა მაღლა აფრინდე, ბოლოს მაინც მიწაზე დაჯდებიო, – შეახსენა ბიცოლამ. მოკლედ, შეეშვი ოცნებებს, დაბლა დაეშვიო... უთხრა.

აღებ-მიცემობის, წინასწარი გათვლის და ანგარიშის ქალი იყო ბიცოლა (რაღა ის გამოიყოლა იმ ნავსიან დღეს !)... უიღბლო გამოდგა მათი ცოლქმრობა, – მემკვიდრე ვერ გაუჩინა კარენას. თავდაპირველად ვიღაც-ვიღაცებმა (ქმრის ნათესავებმა) წკიპურტი წაჰკრეს ქალს, უშვილობა შეუხსენეს. დიდად არ განაწყენებულა, არც თავის დაცვა უცდია – როდის იყო „ვოზდუხი“ მემკვიდრეს აჩენდაო... უმალ შეეშვნენ!

„ფული ფულთან მიდისო,“ ნათქვამია, კარენა თუ კაფე-ბარს უძღვებოდა, თვითონ სასტუმროს დიასახლისობდა. მოსწონდა ეს საქმე. რვა ოთახი – ზემოთ, რვა – ქვემოთ. სტუმრების მიღება-გასტუმრებაც მას ევალებოდა. გასაღებების რაჩხარუჩხით მიმოდიოდა. ღიმილი, „შენი ჭირიმე,“ „ცავატანემ“ – არასდროს შეშლია! არც მუშტარი აკლდა. ნაცნობ-უცნობები, რაიონიდან ჩამოსულები, ალაგ-ალაგ უცხოელებიც გამოჩნდებოდნენ. თანხის გადაუხდელობა, სახვალიოდ შეპირება – ასეთებიც მოდიოდა. ზოგჯერ ღამის კლიენტურაზე მეტი შუადღისა ჰყავდა... კარენას „ჰოტელში“ ყველაფერი მიღებული იყო.

თავდაპირველად ცხვირს აბზუებდა ჯულია, ზოგიერთ კლიენტს უარით ისტუმრებდა, ერთი ორჯერ ისეთმა ვინმემ შემოუღო კარი, უარი ვერ ჰკადრა. რატომღაც ღამის კლიენტურაზე მეტად შუადღის მოჭარბებოდა. შესვენებისას, თათბირ-სხდომების ჟამს, სადილობა-შესვენების საათებში, ნახევარსაათიან თავისუფლებაში თუ სამსახურებრივი რომანის მოუთმენლობაში აქვე ახლოს, სასტუმროს უკან, კუთხეში, მოფარებულ ადგილას მანქანას მოაყენებდნენ და ჰაიდა! ჯერ მამაკაცი შემოვიდოდა – დინჯი ნაბიჯით. გაზულუქებული პირისახით. კაბინეტიდან ჰარიჰარად გამომსხლტარი ვითომ აქვე იყო, არსად წასულა, პიჯაკიც საკიდზე ჰკიდია. დროებით მიეფარა თვალს... სასტუმრო ნომერი დაჯავშნილი აქვს, დამნახავი არავინაა, მოთვალთვალეც ნაკლებად ეგულება, მორჩა! კაცი რომ მიიმალება, მერე ქალი გამოჩნდება. მორცხვად?! როგორ გეკადრებათ, მხიარული და კისკისა, თვალთმაქცი, სიყვარულის, ალერსის მოტრფიალე... დარწმუნებულია ჯულია, ქალს არც თანამდებობა აკლდა და არც მაღალი ხელფასი. უეჭველად ქმარ-შვილიც ეყოლებოდა...

მოკლედ, მათი ვერაფერი გაეგო ჯულიას. ნაუცბათევი სიყვარულის ნიმფებს დაეჭვებულ მზერას გააყოლებდა. ეჩვენებოდა, თითქოს ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ, ჩაცმულობით, თმის ფერით, წამწამებით. „ქალი რომ შემოგეყაროს, აარიდოდე თვალიო, ნდობას ნუ შეატყობინებ, მოეწონება თავიო“. ამიტომ იყო, ცოლისგან განსხვავებით უმალ განზე გაიხედავდა კარენა, მამაკაცურ თავდაჭერილობას ინარჩუნებდა, თითქოს ვერ ამჩნევდა მათ. ესეც თავისებური ბიზნესი იყო. სხვის საქმეში არ ვერევიო, – ამბობდა მისი გამოხედვა. ასე უქნიათ, ერთმანეთი დაუხრავთ და დაუღეჭავთო... მაინც რა სიგიჟე შეჰყროდათ, თითქოს მოსწრებაზე იყვნენ!

„ნაქურდალის შემნახველი თვითონაც ქურდიაო“, ნათქვამია. ამგვარ ბინძურ საქმეში მონაწილეობა, ხელის შეწყობა დანაშაულის ტოლფასად მიაჩნდა ჯულიას. ამიტომ იყო, ერთბაშად გაუნაწყენდა ქმარს, საწოლები გაჰყარა, გვერდითა ოთახში გადავიდა დასაძინებლად. დიდად არ დაფეთებულა კარენა, პირიქით, მშობლების ოთახში თავის გემოზე მოეწყო, ხავერდის ფარდებით დაჩრდილა იქაურობა, კომპიუტერი დაიდგა და ინტერნეტი ჩართო... მოკლედ, გულის ჭია გაიხარა!

თუმცა, რაღა დასამალია და, „ქვეყანა წყალს მიქონდა და უდარდელა კაცი ბანზე ლეკურს უსვამდაო“ – ასე იყო კარენას საქმეც. გარეთ ქვეყანა იქცეოდა: მიტინგები, ლოზუნგები, ტრანსპარანტები. დაკარგული ტერიტორიები და დაღუპული ბიჭები. ქვეყანა ყალყზე შემდგარიყო... რუსთაველის პროსპექტზე დემოსტრაციას დემოსტრაცია ცვლიდა. მეგაფონების ხმები ისმოდა. ამ დროს მდიდრულად მორთულ ოთახში სასტუმროს მეპატრონე თანამდებობის პირებს (პარლამენტარებს, ბიზნესმენებს) იღებდა. ლხინი, ქალები, კისკისი, დუდუკები (რესტორნებში საქვეყნოდ გამოჩენას ეკრძალვოდნენ ისინი!). ხალხმრავალ ადგილებს გაურბოდნენ, მოფარებულ ადგილებს ირჩევდნენ. თრობის, სიგიჟის წუთები ედგათ. ჭაღი ქანაობდა, შამპანური ჩქეფდა...

თუმცა ბოლო დროს ქეიფები მინელდა...

●

არ ეძინა ჯულიას. უაზროდ შესჩერებოდა ჭერს, მალიმალ უბრუნდებოდა ფიქრს, რომ მისმა ეტლმა სადღაც გვერდზე გადუხვია, უცაბედად გადაიჩეხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ახლა დალეწილი უადგილო ადგილას დგას. ზოგჯერ მთელი ცხოვრება ერთი სულელური ნაბიჯის მსხვერპლი ხდება... რა ხანია, კარმენის არია აღარ ესმის (მთელი თავისი ახალგაზრდობა ესმოდა, თავადაც მღეროდა. გამოცდისთვის კარმენის არია შეარჩია. თუმცა სიმღერა არ დასცალდა!)... ყველაფერი განზე დარჩა. მიღმა. უსასრულობაში ჩაიკარგა. ამჟამად ერთადერთ სიამოვნებას ფულის დათვლა ჰგვრის: ორმოცდაათლარიანები – ცალკე, ასიანები – ცალკე. მათი შრიალი ყურთასმენას ატკბობს... „მთვარიან ღამით ძილი ჩემი მკრთალია, უსიყვარულოდ გული ჩემი მკვდარია...“ („ლუსნიაქ გიშერ ბოლორევინ ქუნ ჩუნემ“). ალაგ-ალაგ მღერის ლუჩია...

დაღამდება თუ არა, სასტუმროს მოვლა-პატრონობას ქმარს გადააბარებს – გული მაქვს ცუდათო... შეაცოდებს თავს, დამამშვიდებელ წვეთებს მიიღებს და დასაძინებლად გაეშურება. საძინებლის კარს ისე ჩაკეტავს, თითქოს ქმარი უპირებდეს შემოჭრას... ისემც რა ვუთხარ!

ძველი, ქალაქური მელოდიის შეხსენება უკვალოდ არ ჰქრება. სიმღერა გარდაცვლილ ბიძას აგონებს. მისი ხმა ესმის...

წარსული უმალ ცოცხლდება, დუდუკის სევდიანი კვნესაც ჩაესმის.

უცნაურად სევდიანი თვალები ჰქონდა ბიძას (სომხური ეშხ-ლაზათით იყო სავსე.) ტანმაღალი, ყელყარყარა ვაჟი დუდუკს, სტვირს თუ საზანდარს იმგვარი ეშხით აკვნესებდა (ჯადოსნურად აჟღერებდა), ძნელად შეედრებოდა ვინმე. „ავლაბრელ ყოჩებთან“ უკრავდა, „ქსოვრელებთანაც“. რესტორნებში ხომ ტაცება იყო მასზე. „არმენ-ჯიგარო!“ „არმენ-ცავატანემ!“ – მოუხმობდნენ. მანქანებით აკითხავდნენ, სიყვარულს ეფიცებოდნენ. თვითონ ვიღაც ქართველ ქალზე იყო შეყვარებული, „ვორონცოვზე,“ ხიდთან ახლოს ცხოვრობდა ის ქალი. მალიმალ სტუმრობდა იმ ქუჩას, უბანს, კუთხეს. დუდუკს აკვნესებდა. ცოტა გიჟიც იყო!!. (თავის თავის ასე უწოდებდა!). სად ნახა ის ქალი, როდის, არავინ იცოდა... უყვარდა და ეგ იყო! დალევაც უყვარდა ბიძას. დარდიანი მუსიკაც. ლექსებსაც თხზავდა. ყველაზე მეტად ღამეული სტუმრობები უყვარდა. შორიდან თვალთვალი. იმ ადგილებში „მტკვრის წამიერი შეჩქროლებაც მიყვარს,“ – დარდიანად იტყოდა – „ნიავის ქროლვაც“. შორიდან უვლიდა ქალს, ახლოს არ ეკარებოდა. თუმცა, „ქალ-ვაჟთა მდომიარეთა ხალხი ბრმა-ყრუი ჰგონია, ის არ იციან საწყალთა, კედელსაც თვალი ჰქონია“. რას გაიგებ სიყვარულის ამბავს. არადა, ქალის სიყვარულმა მთლიანად გარდაქმნა, ახლად დავიბადეო – ამბობდა. საკუთარ თავში სიმღერის, მუსიკის, ლექსის წერის ნიჭი აღმოვაჩინეო მის სიმღერებს ახლაც მღერიან თბილისის ქუჩებში, ღამღამობით ბიჭები სტვენენ...

მოულოდნელად გათხოვდა ის ქალი, ვიღაც თავმომწონე ახალგაზრდას გაჰყვა ცოლად. ერთმანეთს არ შეხვედრიან (ვერც სიყვარულის ახსნა მოასწრო), ისე წარსტაცეს... „მე მიღალატეს ძველმა რითმებმა, ძველ მეგობრებსაც ვამჩნევ მე ღალატს“. დარდმა მოკლა.

გავიდა წლები, ცხოვრებამ, როგორც მღვრიე მდინარემ, თან გაიყოლა მისი სევდიანი სიმღერები... უიღბლო სიყვარული. დარდიმანდი ბიძაც დაივიწყეს, თითქოს არც არსებულა... საყვარელი ქალის პორტრეტებიც დახატა... (ერთი მათგანი შემოსასვლელში უკიდია ჯულიას). ბიძას ნაკლებად მოსწონდა ეს სურათი: არ გამომივიდაო, ამბობდა, უფრო ლამაზიაო. მოგვიანებით ავთო ვარაზი და კოკა იგნატოვი ეძებდნენ ბიძის ნახატებს – თავისებური ხელწერა ჰქონდა, იმ წლებში ამგვარად არავინ ხატავდაო... მოკლედ, ასე იყო თუ ისე, უდროოდ გარდაცვლილი ბიძის მოგონება ყოველთვის სევდიან გუნებაზე აყენებს ქალს..

ბიძის დახატული სურათი, თმაგაშლილი ქალის მწყაზარი სახე... სანდომიანი მზერა, შემართული ყელი, აბორცვილი ბაგე (მხატვრის ფუნჯი თითქოს ეხება და არც ეხება ტილოს). განსაკუთრებით უყვარს ჯულიას, კარენას მთელ სიმდიდრეს ურჩევნია, მეტად უღირს...

●

ბოლო ჟამს არც კარენა იყო კარგ გუნებაზე. მსოფლიო სახელის მქონე დირიჟორის ჰერბერტ ფონ კარაიანის გარდაცვალებამ თავზარი დასცა... თავისი შექმნილი მითი, რომ ახლობელია, მკვიდრი ბიძაშვილი, რომ სულ მალე საქართველოში ჩამოვა და უეჭველად კარენას სასტუმროში შეჩერდება, ერთ ღამეს მაინც გაათევს, გაქარწყლდა. თავიდან ბოლომდე ბლეფი იყო, კლიენტების მოსაზიდად გამიზნული, მისი გამონაგონი. ამაში თავად კარენა მონაწილეობდა, ჭორს ავრცელებდა. სხვადასხვა განწყობილებებით ჰყვებოდა. მაგრამ ახლა, როცა დიდი ავტორიტეტი ხელიდან გამოეცალა, გუნება მოეშხამა კაცს. ამას დაერთო: იმ დღეებში კბილის პროთეზი გაუტყდა, მარჯვენა ფეხის კუნთი კიბეზე სიარულისას დაეჭიმა. ორ დღეში ლამის დაბერდა კაცი, მაგრამ კარენა სხვა ჯიშის და ჟინის კაცი იყო. ბედისწერას ასე ადვილად არ დამორჩილდებოდა. სულიერად მისი გატეხვა ძნელი იყო. უპირველესად, სასტუმროს აბრა შეცვალა (საკმაო თანხა გადაიხადა), საუკეთესო ოსტატს დაამზადებინა, იქაურობა გაანათა. ქუჩის ბოლოშიც კი იკითხებოდა – „ჰოტელ „კარაიან“.

შეაღებდი სასტუმროს კარებს და მაესტროს ვეება სურათი შემოგეგებებოდა. სურათზე, ჩანდა მაყურე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლით გაჭედილი დარბაზი, ავსტრიის სიმფონიური ორკესტრის წევრები და თავად კარაიანი – თვალდახუჭული, შემართული ტანით, ჰაერში გაფრენილი თითებით, დირიჟორის ჯოხით... სრულ ექსტაზში იყო. მუსიკის უკიდეგანობაში გატყორცნილი მაგის უბადლო სახე... დიდებული სანახავი იყო!

სურათი ადგილზე აშეშებდა მნახველს!

საიდან ჩაიგდო ეს სურათი ხელში, ვინ მისცა, როგორ მოიპოვა, არავინ იცოდა! თუ ვინმე ჰკითხავდა კარენას, პასუხიც მზად ჰქონდა: გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე, გამომიგზავნაო... მოგვიანებით ისიც იკადრა, ლიანა ისაკაძემ (ცნობილმა ქართველმა მევიოლინემ) ჩამომიტანა ავსტრიიდანო. რამდენად მართალი იყო, არავინ იცოდა. ლიანას ხომ ვერავინ ჰკითხავდა, ვერც შებედავდნენ. კარენასაც მეტი რა უნდოდა, თავისას უბერავდა! ცნობილი მუსიკოს შემსრულებლებთან ნაცნობობის სიგიჟე სჭირდა. მისი ჰობი იყო. ზოგჯერ ისეთ ტყუილს დააბრეხვებდა, გაოცებისგან პირდაღებული რჩებოდა ჯულია. წადი და უმტკიცე, ასეთი რამ ცხოვრებაში არ მომხდარაო... „ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო". ნლებმა თავისი გაიტანა, ქალიც შეეჩვია ქმრის ბაქიაობას, მის ხუშტურებს...

მოგვიანებით იმასაც მიხვდა კარენა, მარტო მაესტროს სურათი არ იყო საკმარისი მნახველზე შთაბეჭდილების მოსახდენად – კომპაქტური დისკები შეიძინა. უბრწყინვალესი ჩანაწერები. ამერიკაში, ინგლისში, გერმანიაში კარაიანის გასტროლების ჟამს ჩაწერილი შედევრები გამოიწერა.

ყოველი ბგერა სულის შემძვრელი ჩანდა...

●

ძილის წინ ღამეული შემოვლები უყვარდა კარენას. საკუთარ სახლს ისე შემოუვლიდა, გულდაგულ დახედავდა, შეამოწმებდა, როგორც ჭარმაგი გლეხი, მეურნე კაცი დაძინების წინ საკუთარ ადგილ-მამულს, ეზო-კარს დაათვალიერებს, საკეტს (ურდულს) მოსინჯავს, ჭიშკარს ჩაკეტავს.

– „რაკი შენია, მოუარე!" – ამგვარი იყო პაპის შეგონება.

ფულის გაცემა არ უყვარდა კარენას, ძუნწი იყო. ახლობლების დახმარება, ხელის გაწვდენა... ერთობ უძნელდებოდა. განსაკუთრებით, ცოლის ნათესავებს ვერ იტანდა, არადა, მრავლად იყვნენ! თუმცა იშვიათად სტუმრობდა მათ, უდროობას იმიზეზებდა. შორეულ მოკითხვებს ამჟობინებდა. არასდროს საყვედური არ უთქვამს ჯულიას, ქმრის ხასიათს შეჩვეოდა. თუმცა, როგორც კი საშუალება მიეცემოდა (საკუთარი ფული ყოველთვის ჰქონდა!), თავის სისხლსა და ხორცს თუ გაუჭირდებოდა უმალ წამოიფოფრებოდა ქალი (ქმარს არც გაუმხელდა!). საკმაო თანხას ისე ადვილად გასცემდა, გაოცდებოდი...

ჯულიას შუათანა და, ანაიდა ცნობილი მთარგმნელი იყო. მამის პროფესიის გამგრძელებელი, ქართულ-სომხური ენების მცოდნე, თანამედროვე მწერლებს თარგმნიდა და მათ ნაწარმოებებს სომხურ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა. იგი ადრიანად დაქვრივდა და... დისშვილებზე ჯულიაც ზრუნავდა.

ხოლო მესამე დის, ყველაზე უმცროსის მომზადება, მასწავლებლის ფული, ინსტრუმენტის შეძენა, კონსერვატორიაში ჩარიცხვა, ყველაფერი თავად იკისრა ჯულიამ (თითქოს საკუთარ ოცნებას შეასხა ფრთები!). ხარჯს არ დაერიდა... საუკეთესო ხმა აღმოაჩნდა დას. მსუყე, ხავერდოვანი სოპრანო. მასალა კარგი იყო, ვარჯიში სჭირდებოდა. უკან არ დაუხევია ჯულიას... ბოლომდე მიჰყვა. კონსერვატორიაში დის ჩარიცხვამ ისე გაახარა, თითქოს თავად ესახელებინოს თავი. თავიან-ფეხებიანად გამოაწყო, მორთო და მოკაზმა, ქალიშვილი სასტუდენტოდ შეამზადა. არც იმას შეურცხვენია თავი, ბეჯითი და მონდომებული აღმოჩდა. კონცერტებში იღებდა მონაწილეობას, ჯულიაც ესწრებოდა... დაამთავრა კონსერვატორია და თბილისის საოპერო დასში ჩაირიცხა. ერევანში გადასვლის საშუალებაც ჰქონდა (მიიწვიეს კიდეც), მაგრამ თავად არ ინდომა, მშობლიურ ქალაქს გაცლოდა.

●

ამ თემაზე ლაპარაკი არ უყვარდა ჯულიას (განსაკუთრებით ქმართან). სიმართლე მაინც სიმართლე იყო! საკუთარი თავი ნახევრად ქართველად მიაჩნდა. მის ძარღვებში იმერელი ჩხეიძეების სისხლი ჩქეფდა. დიდი ბებიის სისხლი. სრულიად ახალგაზრდა ქალი უმცროსი ვაჟის დაბადებას გადაჰყვა. ქუთაისში, ჯაჭვის ხიდთან ცხოვრობდნენ იმერელი ნათესავები. რამდენჯერაც ჩამოაკითხეს ბავშვებს, წაყვანა დააპირეს, იმდენჯერ უარი მიიღეს. გაუთხოვარი მამიდები ზრდიდნენ ბიჭებს. ავი, ქონქორა სომხის ქალები. ჩვენი სისხლიაო და ნახვა აუკრძალეს იმერლებს. ოღონდ, როგორც კი წამოიზარდნენ ძმები (ყველასგან მალულად), ერთი მოგუნებებით, ქუთაისს ესტუმრნენ. ყვავილებით მოხატულ ეზოს, იზაბელას ხეივანს, ბზასა და სუროში ჩაკარგულ, წაბლის ხისგან ნაშენ ოდა-სახლს, კარგა ხანს შორიდან უჭვრიტეს, მერე ჩავიდნენ...

იგრძნო ჯულიამ, რაღაც არეულად აზროვნებდა... ვერც იმას მიმხვდარიყო, რამ აუშალა ფიქრი, სული აუწეწა.

სასტუმროს პირველ სართულზე, ნახევრად ბნელ ოთახში (შედარებით დაბალ ფასში) შემთხვევით შემოხეტებულ მუშტარს ათავსებდა ჯულია. სახლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან გამოქცეულებს თუ პროვინციიდან ალალბედად ჩამოხეტებულ კლიენტებს. გასამრჯელოსაც ნაკლებს იღებდა. „თუ ღარიბი არ ყოფილხარ, ღარიბი სტუმარი მაინც გეყოლებოდაო“, ნათქვამია. თუმცა ეძვირებოდათ, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდათ. თავისი ხარჯი ჰქონდა სასტუმროს: ცხელი წყალი, სუფთა თეთრეული, რბილი საწოლები. ციდან კი არ იყრებოდა! ამას ემატებოდა გაზის, ელექტრონის, წყლის გადასახადი. თუ დამხმარე არ ეყოლა, მარტო ჯულია ვერ აუდის საქმეს. სარეცხის დარეცხვა, ოთახების დასუფთავება, აბაზანა-ტუალეტის დახეხვა... თორმეტ ოთახს კი არა, ზოგიერთი ერთსაც ვერ უვლის...

იმ დღეებში ახალ დამხმარეს ელოდა ჯულია, ნაცნობებს დაურეკა, ვინმე გამომიგზავნეთო, აღდგომა მოდის, ფანჯრები და იატაკი მაქვს დასახეხიო. ფული გადაეხადა და საქმეს დროულად მორჩენოდა, ერჩივნა...

●

შუადღისას ჭრელკოფთიანმა გამხდარმა ქალმა შემოუღო კარი (გამოგზავნილი ეგონა!). ფერმკრთალი და გაცრეცილი ჩანდა, უგუნებო. ოცდაათ წლამდე იქნებოდა. სასტუმროს ნომერი ითხოვა, რაიონიდან ჩამოვედიო უთხრა, თითქოს თავს იმართლებდა. ერთხელაც არ შემოხედა თვალებში, თითქოს რაღაცას უმალავდა. პირველი სართულის უმზეო ოთახი შესთავაზა. წინააღმდეგობა არ გაუწევია სტუმარს, ჩანდა, ყველაფერი სულერთი იყო. არც თანხაზე შედავებია, დროული მოსვენება სურდა.

არადა, ღმერთო! მოეჩვენა თუ მართლა, ეს ქალი სადღაც ენახა!.. წლების წინ – ლაღი და მხიარული... ახლა რა მოუვიდა?! თითქოს ტრაქტორმა გადაუარა... ჩაცვენილი უპეები, სიგამხდრისგან გამდნარი სხეული. ყველაზე გასაოცარი ის იყო, შემოვიდა თუ არა, ხეირიანად არც დალაპარაკებია ჯულიას, უპირველესად, შემოსასვლელში დაკიდებულ სურათისკენ გაექცა მზერა (ბიძის ნახატისკენ). ბრმა ბუზივით მიასკდა ზედ, დაფეთებით, გაოცებით. რასაც ხედავდა, არ სჯეროდა...

– ეს სურათი აქ საიდან? – იკითხა.

– იცნობთ?

საწყალობლად ჩაეღიმა...

– დედაა ჩემი...

– დედა?! – გაოცებით იკითხა ჯულიამ.

– თქვენთან საიდან მოხვდა ეს სურათი?.. – გაოცებით იკითხა უცნობმა. – ასეთივე პორტრეტი... მცირედი ცვლილებით, ჩვენც გვაქვს.

– გამოდის რომ...

– ოდესღაც დედას გამოუგზავნეს.

– ვინ?!

– არ ვიცი.

– ავტორს იცნობდით?

– ჩვენ არა. შეიძლება, დედა იცნობდა. მოგვიანებით მე და ჩემი ძმა ვეძებდით მხატვარს, ვერსად ვერ მივაკვლიეთ... ვერც ვინაობა გავიგეთ.

– ღმერთო, საიდან სადაო... დედა ცოცხალია?!

– დიახ. ჩემს ძმასთან და რძალთან ცხოვრობს პეტერბურგში. ვალების გამო სახლი გაყიდეს და იქ გადავიდნენ. დედა თან წაიყვანეს.

სტუმრის უძალო სხეულს, ჩალურჯებულ ქვედა ბაგეს (გულის უკმარისობის უდავო ნიშანს) ეჭვით შესჩერებოდა ჯულია. ეცნო და ვერც ეცნო... მსგავსნი მრავლად უნახავს – ოჯახებიდან გამოქცეულები, თავისიანებს გარიდებულები...

ოთახამდე მიაცილა სტუმარი, ვარდისფერი პირსახოცი მიაწოდა. რბილი, ფუმფულა. აბაზანაში ონკანი მოუშვა. ხმაურით წამოვიდა ცხელი წყალი. ყვითელი შხეფები გაჰყარა (თითქოს გააფურთხა). „კაფეში თბილი ფუნთუშები, სურნელოვანი ყავა გვაქვს,“ – შესთავაზა ჯულიამ. ჩაიღიმა უცნობმა. მადლობა უთხრა, არც ყავით დაინტერესებულა და არც ფუნთუშებით...

ნახევარი საათის წინ გვერდითა ოთახში, „სამსახურებრივი რომანის“ ორი პერსონაჟი შეუშვა ჯულიამ. უცებ შემოირბინეს, ნაჩქარევად. დაფეთებით. თავის საქმეს მოილევენ, მერე ცალ-ცალკე გაიპარებიან. ჯერ ქალი გამოვა ოთახიდან დამორცხვებული მზერით, ღიმილით. „ციც! შე ეშმაკო!“ – ლამის უთხრას ჯულიამ; მერე კაცი გამოჩნდება – ამღვრეული, სუნთქვაადაგრული, საკუთარ ძალებში დაჯერებული. თავმომწონედ ჩაუვლის სასტუმროს დიასახლისს, თითქოს ეუბნება: „შემიძლია, თქვენც მოგემსახუროთ“. ავხორცი ხვადის ურცხვი მზერა ყველაზე მეტად აღიზიანებს ქალს..

– თფუ! – გააფურთხა ჯულიამ. სომხურ ენაზე შეიგინა...

„შური-მური“ გაემართათ ახლა. ისეთი ხმები გამოდიოდა, თითქოს კედელზე ადიოდნენ. ქალის უთავბოლო კისკისი ისმოდა. გასაღები მიუკაკუნა ჯულიამ. დაწყნარდითო, – ანიშნა. მიჩუმდნენ.

ცოტაც და, კიბეზე ღიღინით ჩამომავალი კარენა დაინახა. უმალ დაასაქმა ქმარი. „ყავა მოადუღე და ახალ მობინადრეს მიართვი!“ უხმოდ გაეცალა კარენა... მოეჩვენა, თითქოს პირველად დაინახა ქმრის შეღებილი თმა (ლურჯი ფერი დაჰკრავდა!). საღებავების ერთმანეთში არევამ იცის ამგვარი ფერი. კაცმა არ იცის, რას ითითხნის თავზე... თეთრი კბილების ელვარებით ჩაუარა... „მამალი საკუთარ ეზოში არ ვარგოდა და სხვაგან ყიოდა...“ მზერა აარიდა ქმარს. ყველაზე მეტად უცნობ ქალთან საუბარი, მიეთმოეთი, ძვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის შეხსენება სურდა. თავის ბიძაზე უამბობდა, მის უიღბლო სიყვარულზე... სიმღერებსაც გაიხსენებდა. სტუმარმა კარი შეხურა და მიიმალა. არავის ხილვა არ სურდა.

ბოლო დროს ქუჩაში ნაკლებად გადის ჯულია. სახლის ტყვე გახდა... სტუმრებთან მასლაათით ირთობს თავს, თავისდა უნებლიეთ ახალი მობინადრის ხმაში გამკრთალი ნაღვლიანი ჩქამი გაახსენდა, რაღაცას აეფორიაქებინა უცნობი. როგორც ვალის გამცემსა და ამღებს შორის ვერ აღმოფხვრი საჩოთირო დამოკიდებულებას, ფულის დაბრუნებას რომ ახლავს თან, ასე სტუმარსა და მასპინძელს შორის არსებული უცხოობის განცდა მათ სიახლოვეს, თბილ დამოკიდებულებას აძნელებდა. ერთმანეთთან მიახლოება უჭირდათ...

არადა, უკვე აღიდგინა ყოველი წუთი. ქალიც გაიხსენა... მხიარული... ბედნიერი. მისი თანმხლები ვაჟიც – ცისფერთვალა, მაღალი, ტანადი, ღიმილიანი. საამო ხმა ჰქონდა. ერთმანეთს შესციცინებდა ქალ-ვაჟი. არიებს უმღეროდა, ყველას თვალწინ, ყველას დასანახად ეალერსებოდა. კონსერვატორიის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები იყვნენ... გვარიც გაიხსენა. თემო კანდელაკი! ქალიშვილზე ამბობდნენ – უნიჭიერესი პიანისტიაო, მრავალ კონკურსში გაიმარჯვაო. მისი სახელი და გვარი ვერ გაიხსენა.

ახლა ის უსახელო თუ უგვარო ქალი მას სტუმრობდა... თავშესაფარს თხოვდა.

ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

არადა, კითხვები ცოცხალი არსებებივით შემოსეოდნენ ჯულიას. არ ასვენებდნენ. ბოლოს მოიაზრა და უმცროს დასთან დარეკა – სილვასთან (სომეხი პოეტი ქალის, სილვა კაპუტიკიანის საპატივცემულოდ დაარქვა მამამ). ოპერიდან ახალი დაბრუნებული აღმოჩნდა. კითხვა დასვა თუ არა, უმალ პასუხი მიიღო – „ესენი ხომ ესპანეთში არიან, თემო კანდელა (კანდელაკი) მადრიდის ოპერის თეატრში მღერის. დიდი წარმატებები აქვს“.

– ცოლი სად არის?!

– თან ახლავს... ასე რატომ დაინტერესდი?

– ისე... რომ მოხვალ, გეტყვი.

– ცუდად ხომ არ ხარ?

– არა. მოგვიანებით გადმომირეკე.

ღამით დას არ დაურეკავს, დამამშვიდებლები მიიღო და დაიძინა ჯულიამ. თავისდა გასაოცრად, სიზმარში რიონის პირას გაშენებული ქალაქი იხილა. ქუთაისი. მწვანე ეზო და წაბლის ხისგან ნაშენი ოდასახლი... ადამიანები არ ჩანდნენ. მხოლოდ ხმები ისმოდა... დიდი ბებიას მშობლიური კუთხე-სამყოფელი რამ გაახსენა?!

●

დილით სავარძელში დახვდა ჯულია. სიგარეტის კოლოფი გაუხსნელი იდო მაგიდაზე. ყავას მიირთმევდა. თავდახრით წრუპავდა. სტუმარი ქალი გამოჩნდა. არც სალამი, არ ქალამი... მიირთვიო და ყავის ჭიქა გაუჩოჩა. უარი არ უთქვამს, ფეხზე მდგომელამ დალია. ოდნავ შეცოცხლდა...

– ვფიქრობდი, სად მინახავს ეგ ქალი-თქო, ახლა გამახსენდა... ჩვენთან, კაფეში შემოდიოდით... ლამაზი წყვილი იყავით. ის ცისფერთვალება ვაჟი სად არის? მახსოვს, „რიგოლეტოდან“ ჰერცოგის არიას მღეროდა. შენ გიმღეროდა... „სერცე კრასავიცი...“ კარგი ხმა ჰქონდა ჯულიას, ოდნავ წაუმღერა.

უსიამოდ ჩაეცინა სტუმარს თითები უკანკალებდა, მაგიდიდან სიგარეტის კოლოფი აიღო. გამეტებით მოქაჩა. ხველება აუტყდა, ლამის დაიხრჩო...

– რა მოგივიდა? – წამოვარდა ჯულია.

წყალი მიაწოდა. დივანზე დასვა. კარგა ხანს ჩუმად ისხდნენ, ერთმანეთისკენ გახედვას ეკრძალვოდნენ. ოთახის კუთხეში მოწყენილი იდგა როიალი. კარენას საამაყო ინსტრუმენტი... რა ხანია, არავინ მიკარებია.

– მიდი, დაუკარი... – შესთავაზა ჯულიამ.

– მე?! არა...

– შენ ხომ პიანისტი ხარ... თანაც ცნობილი.

– ოთხი წელია, ინსტრუმენტს არ მივკარებივარ...– მზერა მოარიდა ქალმა.

– რატომ?! ოთხი წელი დიდი დროა... ასე როგორ შეიძლება?! მაშ, რას აკეთებდი?!

– მამაკაცის საცვლებს ვკერავდი.

– საცვლებს?! – ჩაეცინა ჯულიას – მეხუმრები... მიდი დაუკარი, შენ ხომ ცნობილი პიანისტი ხარ

– პიანისტი, რომელიც ოთხი წელი აღარ მიეკარება ისტრუმენტს, აღარ არის პიანისტი. იგი არარაობაა...

– ასე არ შეიძლება. იმედი არ უნდა დაკარგო!

– იმედი რას გიშველის, როცა ცხოვრება ზურგს გაქცევს. მეგობრებსაც დაავიწყდი... – თვალები ცრემლით ავსებოდა სტუმარს.

– ბიძაჩემზე მინდოდა მეამბნა...

– ახლა არა. ერთ ოჯახში უნდა მივიდე და ჩემი ნივთები წამოვიღო. წიგნები. ტანსაცმელი. არადა, იქ მისვლას სიკვდილი მირჩევნია.

ერთხანს თავდახრილი იდგა, მერე კარი გამოაღო და ქუჩაში გავიდა.

საუბარი არ შედგა, თითქოს გაექცა იგი, ვერაფერი გაარკვია. ხელახლა დაურეკა დას... ტაქსში ვზივარ, ოპერაში მივდივარ. ყველაფერს გავარკვევ და გადმოვრეკავო – უპასუხა. მოგვიანებით შეეხმიანა – „თემო კანდელას ესპანელი ქალი, მადრიდის ოპერის პრიმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალერინა შეურთავს ცოლად. მგონი, შვილიც ჰყავთ".

– ცოლი ხომ ჰყავდა?!

– კი, უნიჭიერესი პიანისტი ქალი... ნანა ქუთათელაძე. ერთად ვსწავლობდით კონსერვატორიაში. ვენაში გრან-პრი მიიღო...

– ახლა სად არის?!

– არ ვიცი.

„სამაგიეროდ, მე ვიცი", გაუელვა ჯულიას. ინანა, რომ ნახევრად ბნელ ოთახში შეუშვა სტუმარი. იძუნწა და ფული წინასწარ გადაახდევინა. როგორც კი დაბრუნდება, ნათელ ოთახში გადაიყვანს...

ზარმა გაიწკრიალა. კვლავ სილვა იყო.

– ეს ქალი ოთხი წლით ციხეში ჩასვეს...

– რატომ?!

– არ ვიცი.

მეორე სართულზე სტუმრის აყვანას აზრი არ ჰქონდა.!

კიბის თავზე კარენას საყვარელი სურათი მოჩანდა. ფეხშიშველა ბალერინას პორტრეტი. გოგონა ცამეტ-თოთხმეტი წლისა იქნებოდა. ფეხისგულები დასწითლებოდა, იქვე პუანტები ეყარა... მოზარდის ქორფა სხეული სინათლეს ირეკლავდა. ფანჯრიდან შემოსული შუქი გოგონას ყელსა და მხრებს აჩენდა. ნახევრად შიშველი გოგონას პორტრეტის თვალსაჩინო ადგილას გამოფენას, მასზე მალიმალ თვალის შევლებას, ბებერი მუსუსის მსუნაგობად თვლიდა ჯულია. კვლავ გახედა ბალერინას, წამით მოეჩვენა, გოგონა მხატვრის წინაშე სახეს კი არ მალავდა, პირიქით... თვალთმაქცობდა. მიწაზე დაშვებული მკლავებით, ნახევრად გადაკუზული, ზრდასრული ქალივით ურცხვი და ავხორცი ჩანდა...

●

შუა დღეა. სასადილო მაგიდას უსხედან, ცხელ კერძს მიირთმევენ. ფორთოხლის წვენს მაცივარში ინახავს კარენა. ხარბად სვამს.

– ის ქალი იცანი?!

– რომელი?!

– ახალი სტუმარი, პიანისტი ყოფილა. ვენის ფესტივალზე გრან-პრი მიუღია.

– რომელი ქალი? – დაფეთდა კაცი (ასეთებზე ჭკუა ეკეტებოდა).– შენ საიდან იცი?!

– სილვამ მითხრა. ერთად სწავლობდნენ კონსერვატორიაში.

შეწუხდა კარენა, აწრიალდა. ამქვეყნად ყველაზე დიდ პატივს მუსიკოს-შემსრულებლებს სცემს. ნიჭიერ ხალხს... ვისაც კარგი სმენა აქვს, ვაი-მუსიკოსებს ვერ იტანს. „ნოტებიდან ავტომატურად რომ გადააქვს ნაწარმოები. გული უნდა ჩადო შიგ..."

– უკვე წავიდა? – კითხულობს.

– არა. ნივთები აქ დატოვა... მოვა, ალბათ.

– ფული გადაიხადა?

– წინასწარ მომცა...

კარენასთვის ფული იყო მთავარი. ახლაც სავარძელში უდარდელად გადათხლაშული გაზეთის კითხვას განაგრძობს. გასართობი ამბები იზიდავს.

– ნახე, რა წერია... – ქოთქოთებს. – 1936 წელს თბილისში სტუმრად ნობელის პრემიის ლაურეატი ანდრე ჟიდი ჩამოსულა, პაოლო იაშვილმა და ტიცინ ტაბიძემ მთელი საქართველო მოატარეს... თელავის სასტუმროში, ღამით საწოლში, წითელმა მწერებმა დაკბინეს ფრანგი მწერალი. დილამდე არ დააძინეს. დილით რამდენიმე ეგზემპლარი ქაღალდში გაახვია და საფრანგეთში წაიღო. რა მწერები იყო, გარკვევა სურდა..

– ბაღლინჯოები იქნებოდა ან რწყილები...

– რწყილები შავებია.

– ძველმა ნივთებმა იცის... პაპაშენის ქონებას ახლდა....

– შეეშვი პაპაჩემს!..

მრგვალი მაგიდა, მელნის დასაშრობი დაფა, ვერცხლის საფერფლე. ოქროსფერი შანდლები, სიგარების მოჩუქურთმებული კოლოფი, მწვანე მაუდგადაკრული დივანი, მარმარილოს „სამი ნიმფა". ყველა ეს ნივთი პაპამისის შენაძენი იყო. ყოველ მათგანს განსაკუთრებით უფრთხილდებოდა კარენა. ძველი ნივთები მისი ჰობი იყო. სასტუმრო ოთახში, როიალზე, შანდლები უწყვია. – შავად დაკუნთულ ეთიოპიელებს ხელში სასანთლე უჭირავთ – ტანი შავად უბზინავთ. ეს შანდლები მთელ სიმდიდრედ მიაჩნია კარენას. თავს იწონებს.

მსუყე სადილმა თუ ქმრის უდარდელმა ხმამ დაძაბულობა მოუხსნა ქალს. სავარძელი ფანჯარასთან მიაჩოჩა, ფარდა გასწია და ქუჩას გახედა... სტუმარ ქალს მოელოდა, მასთან საუბარი სურდა... ძველის და ახლის შეხსენება ეწადა. არ ჩანდა ქალი.

რა ხანია, მზე ჩავიდა, მწუხრი ჩამოწვა. ხმაური მინელდა.

უცებ სასტუმროს წინ ყვითელი ტაქსი გაჩერდა. მძღოლმა, გამხდარმა, ცხვირკეხიანმა კაცმა, ბარგის გადმოზიდვა იწყო. ჩემოდნები, ჩანთები, წიგნების შეკვრა. ყველაფერი სასტუმროში შემოიტანა. ის ქალიც შემოჰყვა. ჯიბიდან ოცლარიანების შეკვრა ამოიღო, ერთი ცალი მძღოლს გაუწოდა. გაოცებით დახედა კაცმა, ამდენი არ მეკუთვნისო, ხელი აუქნია ქალმა. ეტყობოდა, ფულს დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა. მძღოლი წავიდა.

– კარგია, რომ დაბრუნდი. კლიენტები არ ჩანან... მომწყინდა – დაამთქნარა ჯულიამ. – გინდა, კარტი ვითამაშოთ? – გაუღიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაწითლებული თვალები უჩანდა ქალს, ნამტირალევს ჰგავდა.

– უკვე ვითამაშე... – სიმწრით გაუღიმა.

მიხვდა, მასთან საუბარი, მხიარული მიეთმოეთი გაუძნელდებოდა.

– მაშინ ნარდი! – ახალი გასართობი იპოვა.

– უკვე წავაგე... – იყო პასუხი.

– სამაგიეროდ, სიყვარულში მოიგებ... – უდარდელად პასუხობს ჯულია, თავისკენ ითრევს, სურს, დაძაბულობა მოუხსნას.

– სიყვარულში კი... – მზერა აემღვრა სტუმარს.

– მოიცა, შენ რაღაც დარდიანი ხარ, რაიმე ხომ არ გიჭირს? – წამოიწია ჯულია. მიუახლოვდა, სახეში ჩააცქერდა.

– არაფერი... – თავი დახარა, მზერა დაუმალა. შემეშვიო, არ უთქვამს, მაგრამ არც არაფერი დაკლებია.

– თქვი! – არ მოეშვა.

სიტყვა ვერ დასძრა სტუმარმა, ცრემლის ბურთი გაჩროდა ყელში. თაფლისფერ თვალებში ცრემლის ტბა ედგა, კამკამა ტბა...

– დაწყნარდი... – მიუალერსა ჯულიამ – ყველაფერს ეშველება... – მხრებზე ხელი მოხვია...

– რა, არ შეიძლება? – უაზროდ ჰკითხა ქალმა... და ერთბაშად ატირდა. ერთი მოგუნებებით. სულის მოთქმით, გულის ამოგლეჯით და თან ამოტანებით. თითქოს მთელი ეს წლები რაც რამ საწუხარი ჰქონდა, რაც ცრემლი დაგუბებოდა, ახლა სადინარი ეპოვა... ერთბაშად ამოხეთქა.

შეწუხდა მასპინძელი. აწრიალდა, დაიბნა, საშველი ვერ გამონახა. ამგვარ გაუგებრობაში არასდროს ჩავარდნილა...

– დაწყნარდი რა... ნუ ტირი. ვაიმე, გამისკდა გული. გევედრები. კარენ! კარენ! – გასძახა ქმარს. მშველელად იხმო – კარენ! შე სასიკვდილევ! სად წადი?!–აუწია ხმას.

არსად ჩანდა კარენა. კაფეში ოფიციანტებთან ლაქლაქებს, ალბათ. როცა საჭიროა, არასდროს შინ არ არის. თავადვე მოეგო გონს. წელზე ხელი მოხვია ქალს. საძინებლისკენ წაიყვანა. წყალი ასვა, დამამშვიდებელი წვეთები მისცა, სასთუმალთან ჩამოუჯდა. უხმოდ და უენოდ მოქმედებდა.

გაუხსნელი ჩემოდნები, ჩანთები, წიგნები ხელუხლებლად ეწყო. ეტყობა, ბარგი გადმოიტანა. საიდან?! როგორც შემოიტანა მძღოლმა და დატოვა, ისევე ეწყო.

მგონი, ჩათვლიმაო გაიფიქრა და შეუმჩნევლად გაიპარა ოთახიდან.

კარი ღრიჭოდ დატოვა.

არ გაუგია, რა დრო გავიდა. მიხურულ კარს იქით მობილურის ზარმა გაიწკრიალა. მილეული ხმით უპასუხა უცნობმა... „გისმენთ, ჰო, დედა! მე ვარ... გთხოვ, ნუ ტირი. მენატრები...“ ოდნავ ჩაითქვა სული. „ნუ გეშინია, ახლა კარგად ვარ!“ ეტყობა საუბარში მამაკაცი ჩაერთო (ალბათ ძმა) – „გისმენ, გერა! კი, თავისუფალი ვარ! გუშინგამომიშვეს. ახლა სად ვარ?! სასტუმროში. კონსერვატორიასთან ახლოს. კერძო სასტუმროა... მშვიდათ ვიყვე?! ყველაფერი თავიდან დავიწყო?! ეს ცხოვრება აღმა-დაღმა სვლაა... ამბობ. ყველაფერს შევეგუო... როგორ?!“ – ატირდა.

ყოველი სიტყვა ესმოდა ჯულიას, თითოეული ფრაზა. თავადაც კანკალებდა.

წყლის შხაპუნი მოესმა. მგონი, ონკანი მოუშვა. წყალმა იფეთქა – ცხელმა, გოგირდოვანმა. სუნმა კედლებში გამოატანა. „ბანაობს,“ – გაუელვა. „თბილი წყალი წყენას მოუხსნის, სულსაც დაუამებს, დაამშვიდებს...“

არა და არ დაეძინა, კარენამაც არ აღირსა დაბრუნება. ამგვარი დაგვიანებები ჩვეოდა. თბილისის ქუჩებში გვიანი სეირნობები უყვარდა. ახლო ნათესავებში, ნაცნობებში გავლა-გამოვლა. ერთ ოჯახში წავიდოდა და მეორესთან აღმოჩნდებოდა. საუბრები, კარტის თამაში, ცრუ ბაქიაობა არასდროს დაუკლია. გვიან დაბრუნდება. გასაღებს ისე გადაატრიალებს, მცირედი ჩხაკუნიც არ ისმის. უხმაუროდ შემოვა.

ფანჯარა გამოაღო ჯულიამ. ქუჩას გახედა. თავისდა უნებლიეთ პირველ სართულს ჩახედა. უცნობი ქალის საძინებელში შუქი ენთო, აბაზანაშიც... არ ეძინა. „ალბათ, ბანაობს?“ვერ მიმხვდარიყო, რატომ გასჩენოდა მის მიმართ ლტოლვა, ინტერესი. მის ყოველ ნაბიჯს იძიებდა. რატომ?! რა მიზეზით? ჯერაც ვერ მიმხვდარიყო. არადა, უსიამოს უგრძნობდა გული...

რაღაცამ გაიჟღრიალა. კედლის საათი აღმოჩნდა. კარენას ავლადიდება ზამბარებით, ჯაჭვებით. საუკუნეა, ერთგულად მუშაობს... წამებს, წუთებს, საათებს ითვლის...

ღამის პირველი საათი იყო.

კვლავ გადაიხედა. შუქი ენთო ქალს. არადა, ერთ ამბავს ასტეხს კარენა. თითოეულ კილოვატს უფრთხილდება. „ამდენ ხარჯს ვინ გაუძლებს...“ „ფულს კი არ ვხვეტავ“. „ჩააქრეთ შუქი!“ – აუყვირდება ცოლს. ჩაეცინა ჯულიას. „ძუნწს მეტი ხარჯი აქვსო“, მასზეა ნათქვამი. რამდენადაც ფრთხილობს, გაწამაწიაშია, უფრო მეტი ხარჯი აქვს. ორმა ნათურამ რა უნდა დაწვას ისეთი, ეგებ სიბნელის ეშინია იმ ქალს. მარტო ყოფნა აფრთხობს... ამიტომ დატოვა. აცალეთ სულის მოთქმა!

– გაქრი, კარენ, ჩემი ჩაკეტისთვის, ვირთხასავით სათაგურში გამომწყვდევისთვის... – სიმღერა ხომ აუკრძალა, სწავლის უფლებაც არ მისცა. გამოცდებზე მაინც გასულიყო, საკუთარი თავი გამოეცადა. მოესმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა იმ ხალხს, რა შეეძლო და როგორ... ეგებ აღფრთოვანებულიყვნენ, საუკეთესო ხმა, სმენა აღმოეჩინათ... ქალი სახლში უნდა იჯდესო. ჰოდა, ზის ახლა... როცა უნდა, ადგება, როცა უნდა, დაწვება, ტელევიზორს ჩართავს, ტელეფონზე ლაქლაქს გააბამს. მთელი ქალაქის ჭორი იცის, აქაური და იქაური. როდის ჩაეძინა, არ გაუგია. არც კარენას დაბრუნება შეუტყვია. კარის ჭრიალი, ნაბიჯების ხმა.

უკვე ხვრინავდა კაცი, – ეტყობა, დალია.

ფანჯარა გამოაღო. ქვემოთ გადაიხედა. კვლავ შუქი ენთო. „აბაზანაში მაინც ჩაექრო," გაუელვა ფიქრმა. დაბლა ჩასვლა დაეზარა. ამდენმა გამოღვიძებამ და ჩაძინებამ მოღალა ქალი. ახლაც ძილს ისე შეაფარა თავი, როგორც თავშესაფარს, სხვაგან წავიდა, სხვა სამყოფელში გადაინაცვლა.

ერთბაშად გამოეღვიძა. ვიღაც ეძახდა. დაფეთებით, ღრიალით. (ღმერთო! რა ღამეა!) თვალი შეხსნა... გათენებულიყო... ფანჯარაში მზის სხივები ციმციმებდნენ. ლურჯ ხალათს მისწვდა მზერა. როგორ არ უყვარს, როცა ქმარი მის ხალათს იცვამს... მაინც რა ჩვევა აქვს ამ კაცს?!. ქამარს შემოიჭერს და... არ ეტევა, ვიწრო აქვს. ფეხშიშველა, ნიფხვით, მუცელგამოვარდნილი. კიბეზე ჩასვლისას კინაღამ ზღართანი მოადინა.

– გამაგებინე, რა მოხდა?! – უკივის ჯულია.

– ჩამოდი! ჩამოდი!..

– მოვდივარ! რა მოხდა?

– ამ დილით, ადრიანად მივაკითხე, ვიფიქრე, ვეტყვი, ნათურა გამორთე, ზედმეტ შუქს ნუ დაწვავ-მეთქი...

– ჰო, მერე!.. გამაგებინე! – ხმას აუწია ქალმა.

– პოლიციას უნდა გამოვუძახოთ! – ხმა ჩაუწყდა კაცს. იქვე ჩამოჯდა.

– პოლიციას? რატომ?! ცუდად არის?! მაშინ სასწრაფოს.

– ჰო... სასწრაფოსაც... ორივეს.

შუა კიბეზე უაზროდ იდგა ჯულია. ვერ მიმხვდარიყო, რა მოხდა... რამ გადარია კაცი. უკვე ტელეფონს ახმაურებს კარენა. ვიღაცას ურეკავს. მისამართი ჩააწერინა, სახლი, ქუჩა. გვარიც უთხრა. ტელეფონის ნომერიც.

მისი თითოეული სიტყვა დანის ჩხვლეტასავით აჩნდება ქალის გულს... უკვე ცუდად ხდება...

●

პოლიციელები შემოვიდნენ. სამნი იყვნენ. მხარბეჭიანები. რაციებით, იარაღით. შემოსვლამდე დარეკეს, შეამოწმეს, ხუთ წუთში აქ იყვნენ... ოთახებში მიმოდიან. ათვალიერებენ. სასწრაფო დახმარების მანქანაც გამოიძახეს, ექსპერტებიც მოიწვიეს. მათმა გამოჩენამ დააფრთხო ცოლ-ქმარი. უცნობი ქალის გარდაცვალება მათ ბრალდებოდათ, მათ უსულგულობას, უმაქნისობას თუ უდარდელ ყოფას. ყოველივე აბნევდა ცოლ-ქმარს. ერთმანეთისკენ გახედვა არ უნდოდათ. გაბეცებული მზერით შესჩერებოდნენ მომსვლელთ. ცნობისმოყვარენი არ აკლდათ, უცებ მოგროვდნენ. კაფეს ოფიციანტები, მზარეული. სილვაც მოვიდა. აცახცახებული ჩაეკრა დას.

– რა მოხდა?

– არ ვიცი...

– როგორ დამენანა... საბრალო...

გაორებული იჯდა ჯულია. ფიქრი ასწეწოდა. რატომღაც ყველაზე მეტად უცნობ ქალთან შეწყვეტილი საუბარი ადარდებდა. ბიძის შესახებ სურდა ეამბნა, მხატვრობაზე, სიმღერებზე. არ დასცალდა... პროკურატურის თანამშრომლები მოვიდნენ. ნაცრისფერპიჯაკიანი, მაღალი, აწონილი კაცი თავის თანაშემწესთან ერთად. უხმოდ მიმოდიოდნენ, ყოველ კუნჭულს ჩხრეკდნენ. ყველაზე მეტხანს აბაზანაში დარჩნენ...

პოლიციამ ყველა დეტალი შეისწავლა. ჩემოდანიც გახსნეს, ნივთები აღწერეს, ხელჩანთა გაჩხრიკეს. მგონი, პირადობის მოწმობას ეძებდნენ. მოწმობის ნაცვლად ცნობა იპოვეს – საპატიმროდან ახალი განთავისუფლებული აღმოჩნდა, შეწყალების კომისიის დასკვნა თან ჰქონდა.

– როდის მოვიდა?! – იკითხა გამომძიებელმა.

– გუშინწინ. საღამო ჟამს.

– მარტო იყო?!

– დიახ.

– ვინმემ მოაკითხა?!

– არა. დილით სადღაც წავიდა... ტაქსით დაბრუნდა. ჩემოდნები, წიგნები მოიტანა. უგუნებოდ იყო. სახეწაშლილი. ვერ ვიცანი, გაუბედურებული მეჩვენა.

– სად იყო, ვისთან?!

– არ ვიცი...

– ასეთი შემთხვევები ხშირად ხდება...

– როგორი?! – ჩაეძია კარენა.

– ციხიდან ახალი გამოსულები... განსაკუთრებით ქალები... როცა არსად მიესვლებათ. ვერავისთან საერთოს ვერ პოულობენ, სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებენ...

სულშეძრული ჩანდა ჭაღარა გამომძიებელი, აშკარად ჩანდა, გარდაცვლილს იცნობდა. მობილური მოიმარჯვა, სადღაც დარეკა, ვიღაცის ნომერი დააზუსტა. „რა პატარაა თბილისი," – გაუელვა ჯულიას – „ყველა ყველას იცნობს".

ახალგაზრდა გამომძიებელმა სათითაოდ დაკითხა მოწმეები – კარენა, ჯულია, ოფიციანტი გოგონები... სილვაც. შესასვლელი ჭრელი ლენტით შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღობეს. მოახლოების უფლება არავის მისცეს. მკაცრი კონტროლი დააწესეს. პოლიციელები შემოსასვლელში ჩადგნენ. ფოტოაპარატიანი, ტანდაბალი კაცი შემოვიდა. ფოტორეპორტიორი აღმოჩნდა, ყოველი დეტალი დააფიქსირა. სასტუმროს აბრაც კი გადაიღო. ყველაზე დიდხანს აბაზანას უტრიალა (ერთხელაც არ შესულა ჯულია, არც აბაზანაში ჩაწოლილი შიშველი ქალი უნახავს. მუშამბაგადაფარებულ საკაცეზე გადაიტანეს მიცვალებული, ზემოდან თეთრი ზეწარი გადააფარეს, სიშიშვლე დაუფარეს საბრალოს.

სიკვდილის მიზეზი, სამედიცინო დასკვნა, ყოველივე ქაღალდზე გადაჰქონდა ექიმს. თეთრხალათიანი, ტანსავსე ქალი იყო, მშვიდი მზერა ჰქონდა, თეთრ ფურცელზე ასოებს აწიკწიკებდა, თავისი საქმე იცოდა... არაფერი უკვირდა, არც აღელვებდა.

კარენა, ჯულია, სილვა – სამივენი დამნაშავეებივით გვერდიგვერდ რბილ სავარძელში ისხდნენ. არ იძვროდნენ, არც ხმას იღებდნენ... ყველაზე მეტად ფოტოაპარატის ჩხაკაჩხუკი აღიზიანებდა ჯულიას. ნერვებს უწეწდა. ეჩვენებოდა, ქალის თვითმკვლელობაში მათ ედებოდათ ბრალი. მისმა უყურადღებობამ იმსხვერპლა იგი. რამდენად მართალი იყო, ჯერაც ვერ გაერკვია. შეცბუნებულსა და უგერგილოს ერთხელაც არ გაუხედავს მიცვალებულისკენ. მხოლოდ ერთხელ წაჰკრა თვალი – აბაზანა სისხლიანი წყლით იყო სავსე. სამართებელი („ბრიტვა“) გამოიტანა გამომძიებელმა. მარცხენა ხელის კუნთი გადაეხსნა საბრალოს. წყალს სისხლი შერეოდა...

– ახლობლებს შევატყობინოთ! – ბრძანა უფროსმა გამომძიებელმა, სიტუაციას იგი მართავდა, სიკვდილის მიზეზსაც ირკვევდა. აშკარად ღელავდა. გამხდარ ყელზე ხორხი აუდ-ჩაუდიოდა. ყოველ დეტალს სიზუსტით არკვევდა. არა, მიცვალებულს ნამდვილად იცნობდა, მის შესახებ რაღაც-რაღაცები სმენოდა...

წუთისოფლის მაცდურობაზე, ცხოვრებისგან დაგებულ მახეზე მსჯელობდა კარენა. „ღმერთი მხოლოდ იმას ეხმარება ვისაც საკუთარი თავის იმედი აქვს, შეეჭვდები და დამთავრებულია...“ – ვითომ რიხიანი ხმით ლაპარაკობდა, სინამდვილეში მარჯვენა ხელი მკერდზე წაევლო... გული ჩხვლეტდა, ტკივილი აწუხებდა.

წამით გარდაცვლილის მობილურმა გაინკრიალა, – სხვა ნივთებთან ერთად მაგიდაზე იდო... უსიამოდ გაიჟღრიალა.

– აიღეთ! – ბრძანა გამომძიებელმა – უპასუხეთ!

– გისმენთ! – ჯულია დაწვდა.

– ნანა, დაიკო! – ჩაესმა ხმა – გერა ვარ. გადავწყვიტე, ჩამოვიდე და წამოგიყვანო. სასტუმროს მისამართი მითხარი. დილით მოვფრინავ.

– ძმა ბრძანდებით? – ჩაჰკითხა ჯულიამ.

– დიახ? თქვენ ვინ ხართ?! სად არის ნანა?! თხოვეთ!

ენა დაება ქალს, სიტყვის დაძვრა გაუჭირდა.

– მე. მე სასტუმროს დიასახლისი ვარ...

– მოხდა რამე?!

მობილური უფროსმა გამომძიებელმა გამოართვა. კიდევ უფრო მოხრილიყო ბეჭებში. კედელს აეკრა. ყრუ, დაბალი ხმით პასუხობდა. სინამდვილე ამცნო...

– მათ ოჯახს ვიცნობდი. მამა ცნობილი ქიმიკოსი ჰყავდათ. დედა – ულამაზესი ქალბატონი. გამორჩეული ოჯახი ჰქონდათ. – ლაპარაკი უჭირდა გამომძიებელს, – როგორ დამენანა... უაზროდ დაკარგული ტალანტი... დასანანია.

– რა ჯანდაბამ დამაძინა... არადა, მიგრძნო გულმა... – ატირდა ჯულია, – როგორ მინდოდა მასთან საუბარი. რამდენი რამ მქონდა სათქმელი...

– დაწყნარდი. ვერაფერს უშველი, – გულში ჩაიკრა დამ. – ოპერაში თქვეს... ქმრის დანაშაული თავად დაიბრალა, მის ნაცვლად ჩაჯდა ციხეშიო... ხუთი წელი მიუსაჯეს. ყველაზე საჭირო მოწმე არ დაუკითხავთო...

– რომელი მოწმე?! – იკითხა გამომძიებელმა.

– ჩვენი ერთი თანამშრომელი ავარიის დროს იქ მდგარა. ქუჩის მეორე მხარეს. მანქანის საჭეს მამაკაცი მართავდაო...

– ვინ არის ის თანამშრომელი?

– სცენის მუშაა...

ხელახლა აწკრიალდა მობილური. „რა მოუვიდა ამ ხალხს. თითქოს იგრძნეს, რომ პატრონი აღარ არის ცოცხალი, აწრიალდნენ... განუწყვეტლივ რეკავენ... ნეტავ, ამდენ ხანს ეზრუნათ,“ – გაუელვა ჯულიას.

– გისმენთ! – პასუხობს.

– Отель Караян? – უცნობი ქალის ხმა იყო. მკვეთრი ხმით ეკითხება.

– Да.

– Где эта гостиница,. На каком улице?

ჯულიამ განუმარტა.

– Ах!.. знаю!.. знаю!

ზუსტად ამ დროს საძინებლის კარი გაიღო და თეთრხალათიანების ჯგუფმა საკაცით მიცვალებული გამოიყვანა. თეთრ ზეწარზე გარკვევით ჩანდა ქალის დაგრძელებული კიდურები, წამახული მხრები და გამხდარი სხეული. წამით ქსოვილი გასრიალდა, დაცოცდა. მაღალი შუბლი, ოქროსფრად შეღებილი თმა გამოუჩდა, მძინარეს ჰგავდა. თეთრი, ფიქალივით სახე უჩანდა...

სავარძელში ჩაკარგული კარენა და ჯულია ფეხზე წამოცვივდნენ. გაშეშებული შესჩერებოდნენ მიცვალებულს. წამით მოეჩვენათ, საკუთარ თავზე ხელის აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართვით, სიცოცხლის გამეტებით იგი ყოველ მათგანს სჯიდა. უსულგულობას აყვედრიდა.

უსიამო წუთები იდგა.

უცებ, სასტუმროს კარი გაიღო და ოთახში მაღალი ქალი შემოვიდა. პოლიციელებთან კამათი არ შეუწყვეტია, ისე შემოაბიჯა. ვიღაცაზე განაწყენებული ჩანდა. არადა, ლამის ერთმანეთს შეეჯახნენ – საკაცეზე დასვენებული, ზეწარგადაფარებული ახალგაზრდა ქალის უსულო სხეული და ცისფერშარფიანი, მაღალი ქალი. ამას ისიც დაემატა, რომ მიცვალებულის სხეულზე გადაფარებული ქსოვილი ერთბაშად მოსრიალდა, ფეხებისკენ დაცურდა და ძირს დაეცა. მიცვალებულის სველი თმა, მოწითალო ბუჩქი, მერცხლის ფრთასავით გაშლილი წარბები და, რაც მთავარია, წყენისგან თუ ტკივილისგან ჩაკვნეტილი ქვედა ბაგე... გარკვევით გამოჩნდა.

უცნობი ქალი გრძელი ქოლგით, ვერცხლისფერი ლაბადით და ტყავის ხელჩანთით თავმომწონედ შემოვიდა... ნეტავ, არ შემოსულიყო! შეჯახება აშკარა გახდა. ერთ მხარეს – პოლიციელები, მედიცინის მუშაკები, გამომძიებლები, სასტუმროს მეპატრონე თავისი ცოლით და ცოლისდით. ხოლო მეორე მხარეს – უცნობი ქალი... ამაყი და თავმომწონე. შუაში კი... მიცვალებული. პროცესია შეჩერდა. სანიტარი ვაჟები ერთ ადგილზე გაშეშდნენ, ყველანი ახლად შემოსულს შესჩერებოდნენ...

– Кто меня звонил?.. – იკითხა ქალმა.

– Как ваша фамилия?

– Канделаки. Берта Казимировна ...

– Я следователь, Гегешидзе.

– Что случилось? – იკითხა ქალმა. ზეწარგადაფარებულ სხეულს ისე დააცქერდა, თითქოს რასაც ხედავდა, არ სჯეროდა. უპირველესად, ხელჩანთიდან სათვალე და რაღაც აბი ამოიღო.

– Я так плохо себя чувствую... – მიჩუმდა. – Боже мой, в конце-концов скажите... – თითქოს ვერ ხედავდა მიცვალებულს.

– Самоубийство... – მიჩუმდა კაცი. მკვეთრი ნაბიჯით მიუახლოვდა და მიცვალებულს სახეზე ქსოვილი წააფარა.

– Узнали ее?!

– вчера она у меня была... Несчастная девочка... как мне жаль... Свой вещи взяла, она же моя... невеста была. бывшая. У Темико, моего сына (он в Мадриде живет), жена балерина. Испанка. У них двухлетнй сын. – მიჩუმდა ქალი. თეთრი, ქათქათა ცხირსახოცი გაშალა და თვალებზე მიიფარა. შემოჩერებულ თვალებს, მათ დაძაბულ მზერას გაერიდა. უხმოდ იდგნენ სანიტრები. ერჩიათ, დროულად გაეტანათ გვამი. მანქანაში მოეთავსებინათ, ქალი კი ყურადღებდათ, იცრემლებოდა...

ჯულიას გაახსენდა, ეს ქალი პირველ მუსიკალურ სასწავლებელში ფორტეპიანოს ასწავლიდა. ყველაზე მკაცრ პედაგოგად ითვლებოდა. სახელიც გაიხსენა – Берта Казимировна, მეუღლე ქართველი ჰყავდა. თუმცა არც ერთი ქართული სიტყვა არ იცოდა. თვითონ, ჯულია – თბილისში გაზრდილი სომხის ქალი, ქართულად უფრო ხშირად ლაპარაკობს, ვიდრე თავის მშობლიურ ენაზე. დაქალებიც ქართველები ჰყავს... თუმცა ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

– Она у вас жила? – ჩაკითხა გამომძიებელმა.

– Как жила?! Она в тюрьме сидела...

– Зачем?! – ვითომ არაფერი იცოდა კაცმა.

– Несчастный случай... думали, год лишения дадут... пять лет тюрьми... слишком жестоко... Я сама ходила, везде была — и в суде... и в больнице, пострадавшему... деньги оставила. – თითქოს თავს იმართლებდა.

– ქალი უმიზეზოდ იჯდა ციხეში. სხვის ნაცვლად... – თანაშემწე ჩაერთო.

– Я ничего не знаю...

–ხელახლა დავკითხავთ მოწმეებს. – მკვეთრი, მომთხოვნი ხმა ჰქონდა ახალგაზრდა გამომძიებელს.

– Почему не во время... чего ждали?!.

– სიმართლის აღიარება მოგიწევთ.

_ Кто вам дал право оскорблять меня! – იწივლა ქალმა. – В этом ужасном месте. – Не отеле, а борделе... – ხმაურით გაიხურა კარი.

რა ხანია წავიდნენ პოლიციელები. სასწრაფო დახმარების მანქანაც მიეფარა თვალს. წასვლის წინ ნომერი დალუქეს, ყვითელი ლენტით შემოსაზღვრეს. უცნობი ქალის ავმა სიტყვამ ყველაზე მეტად კარენას ატკინა გული. თითქოს შეძრა... ამიტომ იყო, უპირველესად, ხელსაწყოები მოიძია. კარი გამოაღო და სასტუმროს შემოსასვლელში წარწერა ჩამოხსნა.

„Не отель, а бордель...“ შიგ გულში დაჭრეს კაცი.

ქმრის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებდა ჯულია. არც თავად იყო უკეთეს დღეში. „უხეირო ფრინველი დაჯდომის დროს აფრინდებაო,“ – სიჩუმეს მიელტვოდა ქალი.

ვერცხლისფრად მოსირმულ მთვარეს გაენათებინა ქუჩა, სახლები. ჩამიჩუმი არ ისმოდა. წამით ხმაური ჩაესმა ჯულიას – წაქცევის თუ სკამის გაჩოჩების ხმა. „Не отель, а бордель,“ თითქოს სილა გააწნეს კაცს, შეურაცხყოფა მიაყენეს. „რას აკეთებს?!“ გაუელვა ჯულიას. შიშმა შეიპყრო.

მთვარე იმგვარი გზნებით ანათებდა, ისე გამომწვევად და გამაღიზიანებლად, შეიძლება ყველაზე უსიამო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშიში ფიქრი გწვეოდა. წამით ჭაღზე დაკიდებული თოკი მოელანდა, სკამზე აბობღებული კაცის სავსე სხეულიც გარკვევით დაინახა... ფეხის გაკვრაღა აკლდა. ცოტა და... უძალოდ დაიწყებს რხევას.

კარი შეაღო, ფანჯრიდან დაქროლილი ჰაერი, აწეწილი ფარდები და სივრცეში გალანდული კაცი შეამჩნია. ხმა ჩაესმა... მგონი საქსოფონის. რამდენი ხანია, აღარ მიკარებია... არადა, კვნესოდა საკრავი, თითქოს ვიღაცას დასტიროდა... მელოდია ეცნო. ძველისძველი ჰანგი იყო, სიყვარულზე მღეროდა. ეამა ჯულიას. ჩატკბა და ჩაითენთა. მონატრებოდა.

ტკბილად უკრავდა, საამოდ. არც იცოდა, ეს სიმღერა თუ ახსოვდა კარენას. „მეუბნებიან, რაზედ გამხდარხარ და სევდიანი დაიარები, სატრფომ კარები გამომიხურა...“ ქმრის საწოლზე ჩამოჯდა. დაკვრა დაამთავრა კაცმა, შემობრუნდა.

– ჯული, შენ ხარ?! – ჰკითხა. – ამბობენ, თვითმკვლელთა სულები ზეციურ სამყაროს ნაკლებად სტუმრობენო, დედამიწაზე რჩებიანო... რამდენად მართალია, არ ვიცი. არ დაგეძინა?!.

– ჰო. გინდა, აქ შემოვიტან საწოლს. შენს გვერდით დავწვები...

– ახლა გვიანაა... ხვალ. მეც მოგეხმარები.

– კარგი.

ე ს მოხდა მ ა ნ ა მ დ ე... ხოლო შემდგომ თანდათან რომ განათდა სივრცე, მთვარე გაივსო და გალიცლიცდა, მოულოდნელად ზარმა გაიწკრიალა... (მისდა სატანჯველად დაუტოვეს). გამომძიებელსაც არ გაახსენდა, როგორც ნივთიერი მტკიცება, მობილური თან წაეღო (თავადვე ჩააბარებს!)

წკრიალებდა ზარი. იქაურობას იკლებდა...

– ზახრუმა! – დაწვდა. – გისმენთ...

– მაპატიეთ... მგონი ნომერი შემეშალა... – ვაჟის ხმა იყო.

– ვინ გნებავთ?

– ნანა, შენ ხარ?

– არა.

– ეს ნომერი ჩამაწერინეს...

– ვინ ჩაგაწერინა?

– ერთმა მეგობარმა...

– საიდან რეკავთ?

– მადრიდიდან... თემო ვარ, კანდელაკი.

დაიძაბა ჯულია. ერთიანად აკანკალდა. „კარგ დროს გაახსენდა...“ უმალ მოერია თავს.

– დაიგვიანეთ! – პირდაპირ აჯახა.

– რას ნიშნავს, დავიგვიანე?! ამიხსენით, ქალბატონო! რამდენი ხანია, დავკავშირებოდი, მინდოდა. ვის არ ვთხოვე. როგორც იქნა, ნომერი მომცეს.

– ხომ გითხარით, დაიგვიანეთ-მეთქი! – ხმას აუწია ჯულიამ, ვაჟთან საუბარი არ სურდა. „ვახ! ბალაბანი“

– დავიგვიანე?! რატომ?!

– გარდაიცვალა.

– როგორ?! – დაჯერება არ სურდა.

– თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე. ვენები გადაიჭრა. ახლა ხომ გაიგეთ?!.

გათიშა.

– მიდი ახლა და აწკაპუნე... შენი დედაც... – შეაგინა ჯულიამ. გაავებული ჩანდა ქალი.

ერთხანს ფანჯარასთან იდგა. უაზროდ შესჩერებოდა ქუჩას, აყვავებულ ალუბალს... სახლს. უცხოელი სტუმრების მიღება სურდა კარენას. ოპერის მომღერლების, სიმფონიური ორკესტრის წევრების. მათთვის უნდოდა ემასპინძლა. ახლოსაც არ გააკარეს. ქალაქში მაფია ბატონობს. თვითმფრინავებიდან ჩამოსულები არ არიან სტუმრები, უკვე იციან, რომელ სასტუმროში უნდა გაჩერდნენ... დღევანდელმა ბიზნესმენებმა ფულის მოხვეტის ახალი საშუალება გამონახეს. ყველა ვიგინდარა სასტუმროს აშენებს, რომელი ფულებით, რა საშუალებებით, არავინ კითხულობს. „კარაიანის სასტუმრომდე“ ვინ მოუშვებს მათ.

კვლავ ახმიანდა ზარი. კვლავ ეძახდნენ, „გიჟია, ვიღაცაა...“

– გისმენთ!

– მაპატიეთ, ქალბატონო! ვერ მოვისვენე... გავწვალდი... – გახშირებულ სუნთქვაზე ეტყობოდა, ნასვამი იყო..

– გასაგებია...

– თქვენი სახელი, ქალბატონო!

– ჯულია!

– ქალბატონო ჯულია! – მგონი ჭიქა ეჭირა ხელში, წამდაუწუმ პირთან მიქონდა, – რაც თქვით, სიმართლეა?!

– დიახ.

– გამაგებინეთ, რა მოხდა?

– ციხიდან ამნისტიით გაათავისუფლეს. ღამე ჩვენთან, სასტუმროში გაათია – ოდნავ მიყუჩდა ჯულია, – რომ შემოვიდა, მაშინვე ვიცანი... ორთავენი ჩვენი კაფეს ხშირი სტუმრები იყავით. ულამაზესი წყვილი...

– დიახ... (მიხვდა, შიგ გულში დაჭრა ვაჟი).

კარგა ხანს სდუმდა.

– უგუნებოდ იყო. ნამტირალევი... მერე სადღაც წავიდა და ბარგი მოიტანა.

– გასაგებია... ალბათ, ჩემიანებთან... დედაჩემთან.

– დიახ. ნამტირალევი ჩანდა. გასაცოდავებული. ნომერში ჩაიკეტა. მეგონა, ბანაობდა...– თავს იმართლებდა ჯულია. – საკუთარი თავისთვის ვერ მიპატიებია, როგორ არ შევაკითხე.

სდუმდა ვაჟი, მისი ხმამაღალი სუნთქვა ისმოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ძმა ჩამოვიდა? – გაძნელებით იკითხა. – გერა...

– დიახ. კონსერვატორიაში დაასვენეს. თბილისის მუსიკალური საზოგადოება შეიკრიბა. ყველანი მოვიდნენ. ჩვენც ვიყავით, მე და ჩემი მეუღლე.

სიჩუმე იყო.

– ისეთ გუნებაზე ვარ... სიცოცხლე არ მინდა...– ჩაილაპარაკა ვაჟმა.

– გასაგებია...

– მთელი ეს ოთხი წელი...

ვიტანჯებოდიო, იტყვის, – გაიფიქრა ჯულიამ.

– ისეთი წუთებიც მქონდა, თავის მოკვლა მინდოდა... მადრიდის გრანდ-ოტელში... უგონოდ ნასვამმა... ხომ შეიძლება კაცმა სასმელით მოიკლას თავი.

მიხვდა, ვაჟის აღსარების მოსმენა მოუწევდა.

– დამშვიდდით!

– როგორ დამშვიდდე?! – ხმას აუწია – რანაირად?! გავწირე ქალი... მივატოვე. ყვავილივით გავსრისე... უნებისყოფო აღმოვჩნდი. ჩვარი... ადამიანურად გამიგეთ... უკან დაბრუნება არ შემეძლო! ციხეში მოხვედრა ვერ წარმომედგინა. ყველაფერი ვიკადრე. მართლმსაჯულებას გავექეცი, დავიმალე. ამას ახლა ვამბობ... თქვენთან. უცნობ ადამიანთან. მაგრამ გამიგეთ, ქალმა მაჯობა, სუსტმა... ნაზმა. ყოველთვის მჯობდა... ნიჭით, უნარით. ერთგულებით. გასაოცარი სმენა ჰქონდა. ჩემზე ძლიერი იყო. ვირტუოზი შემსრულებელი... თქვენ არ მოგისმენიათ... როგორ უკრავდა მოცარტს... შოპენს. – აღგზნებული ჩანდა ვაჟი. ჭკუიდანგადასულს ჰგავდა – ადრიანად მომიხდა გამგზავრება. ნანა ერთი კვირის შემდეგ ჩამოვიდოდა, საელჩოში ვიზა დაუგვიანეს. ვჩქარობდი. რაღაც იღბლად, პასპორტი შინ დამრჩა. აეროპორტიდან მანქანით წამოვედი, ნანა მგზავრების რიგში დავტოვე... პასპორტი ვიპოვე და უკან დავბრუნდი... ვჩქარობდი, წუთები აკლდა თვითმფრინავის გაფრენას. მთვრალი მამაკაცი არ დამინახავს. არადა, ვიგრძენი, რომ დავარტყი... შორს მოვისროლე... არ შევჩერებულვარ, უაზროდ მივიწევდი წინ. ვერც ნანას გავუმხილე, რეგისტრაცია გავიარე და თვითმფრინავში ავედი.

რატომღაც მოსმენა არ სურდა ჯულიას. ვაჟი განაგრძობდა.

– იმ ღამესვე გადმოვრეკე, ნანასთვის არ გამიმხელია, რაც შემემთხვა. გავაფრთხილე, „მანქანა არ გამოიყვანო, გარაჟში იდგეს-მეთქი." „ეგებ არავის დავუნახივარ-მეთქი", – გავიფიქრე, რამდენი ასეთი დანაშაული მიჩქმალულა თბილისში... დამნაშავის ასავალ-დასავალი ვერ გაუგიათ. ეგებ მეც, გამოვძვრე-მეთქი.

ლაპარაკის საღერღელი აშლოდა ვაჟს. უსასრულო სივრცეში გადაკარგული ბოლო მონოლოგს წარმოთქვამდა, გასამხელს ამხელდა...

– იღბალი უნდა ყველაფერს, დილით პოლიცია დაადგა თავზე, ნანა დააპატიმრეს. ყველაფერი თავის თავზე აიღო! არ გამცა... არ გამწირა... საჭეს მე ვუჯექიო...

– საბრალო გოგო, როგორ მენანება... – წაუტირა ჯულიამ.

– მეც...

– „აფერისტ! თავის თავზე ფიქრობს," – გაუელვა ჯულიას. საუბრის შეწყვეტა სურდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. უცებ, მოეყურა თუ მართლა ვიღაც ტიროდა, უფრო მღეროდა...

– მღერით?!

– ეს ოპერაა „არლელი ქალი..." ფედერიკოს პარტია.

– ოპერა?!.

– დიახ, ცნობილი არიაა... ფედერიკოს ტირილი... ჩემს ამჟამინდელ სულიერ მდგომარეობას შეეფერება.

– „თვალთმაქცობს," – გაუელვა ჯულიას. – „უდანაშაულო ქალი ციხეში გამომამწყვდია, თვითონ ახალ ცოლ-შვილში ნებივრობს... რა დაუნდობლები არიან ადამიანები!!"

მეტის მოსმენა არ სურდა, განაწყენებულმა აპარატი გამორთო. თაროზე მოისროლა. წამოდგა. ფანჯარა გამოაღო. გრილმა ჰაერმა შემოიქროლა. ალუბლის ვარდისფერი ფურცლები თოვლის ფანტელივით ცვიოდა მიწაზე... საამო სურნელი იდგა. თენდებოდა. დაინახა! თეთრბაბთიანმა ჩიტუნამ როგორ დაიბერტყა ფრთები (ფრაკიან მუსიკოსს ჰგავდა...), განთიადის პირველ სხივებთან შესაგებებლად მოემზადა. ტკბილად გალობდა, ხმას არაკრაკებდა...

– „გაქრი შენა!" – ჩაეღიმა ჯულიას.

მეწყვილეს უხმობდა ჩიტუნა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადამიანები ზევით!

ყველა შესავალი და გამოსავალი დავიწყებულია

მასწავლე,
როგორ მიდიან ერთმანეთისგან ადამიანები,
როგორ ტოვებენ ნამცეც-ნამცეც შეგროვებულ
და წლებზე გადანაწილებულ
პურს და წყალს.
რა ამოხაპავს სმენის კრამიტებში შემოსულ ავდარს,
როცა თვალები ადგნენ და უბოდიშოდ გადასახლდნენ
ზევით.
მასწავლე, როდის მიგატოვო,
რომ არ დამჭირდეს მიწის ღილივით მოწყვეტა და
გადაკერება სხვა სიზმრის ცაზე.
მაშინ ხომ არა,
ქურაზე შემოდგმული და დავიწყებული სადილი
დესანტივით რომ გადამისვრის გამოსავალთან:
დამწვრის სუნი, კვამლი, ხანძარი...
ვერ შეგელიე,
როგორც მიწას ფეხისგული.
ღამის ჩახუთულ სიბრმავეში გეყრდნობი და
ისე ვიძინებ.
ნეტავი, როგორ ეჩვევიან ასე ერთმანეთს,
როცა უკვე დაცლილია ზამთრის მარაგი

ცისკარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამთა დოლიძე

და აღარ დარჩა
აღარც ერთი გრამი სათქმელი,
არც ერთი ქვა – გაუსროლელი,
არც ერთი ხმა – ჩაუწყვეტელი.
ან ეს პირთამდე სავსე ჭიქა როგორ ვატარო,
რომ არ დამექცეს შენი წყურვილი
და არ დაგახრჩო საკუთარ შხამში,
საფეთქლებიდან გამოჟონილ სასოწარკვეთაში,
შენივე ავდრის ნიაღვარში,
სუნთქვის ღვარცოფში...

გთხოვ, მითხარი!
რა ჩანს შენი თვალების სიმაღლიდან,
რა ჩანს ზემოდან,
როცა ასეთი უსუსური სიყვარულით გვიყვარს ერთმანეთი.
მითხარი, რომ არსებობს სიტყვა, რომელიც
ყველაფერს ახსნის. თორემ
ჩემი ფარჩა ჩრჩილმა შეჭამა,
ატლასი მზეზე დამრჩა გაკიდული, გამიხუნდა,
შემოვბრუნდი და შენი საწოლი დანასავით ალესილი
დამხვდა, მაგრამ
ყოველ ღამე ძილი მჯობნის,
გიბრუნდები და
შენს წყურვილში ფორთოხალივით ვიწურები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი უსისხლო, მაგრამ აშკარა ბრძოლის ფონზე
ეს მხოლოდ წამიერი კადრია – წარმავალი,
მაგრამ ყველაზე ხშირად ამ კადრში ვკვდები:
თითქოს თოკებზე გამობმული
ხიდიდან ვხტები:
შიში,
ექსტერმი,
ადრენალინი...
და ყველა ამ თოკს (უცაბედად)
ჰაერი მიჭრის.

გამოგიჭირე,
როგორც ქურდის მაჯისცემა გულის ჯიბეში,
და შენმა სუნთქვამ,
ამ ბარგივით შეკრულ სხეულში
ისე ხმამაღლა გაიჭრიალა,
თითქოს კუბოს ახადეს თავი.
იქ კი მე ვწევარ,
თითქმის მკვდარი, უმატლო მიწაში –
შენს ატლასში, შენს ფარჩაში,
შენს ხელებში, თითებში, მხრებში
და ეს საწოლი
პირდაღებული უფსკრულია
ჩემი სიმშვიდის.

ჰალუცინაცია 1: სისხლი

გადავწყვიტე,
რომ ცხვირიდან არასდროს წამსკდე!
საფეთქელთანაც ნუ მაწვები ასე ჯიუტად –
მაგ კარიდან ვერ გაიქცევი.
ნუ ელოდები ხსნას
ყელთან დანასავით მობჯენილი ხელებიდან,
ისინი ვერასდროს გაბედავენ,
რადგან გრძნობენ (ყოველთვის გრძნობენ)
შენს ნერვულ ბოლთისცემას
ძარღვების რბილ ნიადაგზე,
შენი მდინარის ადიდებას და ჩანჩქერს
გულის მწვერვალიდან.
როგორც ლომს ღრიალი – გალიაში
შენც მეტი რაღა დაგრჩენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპილარების,
რკინის ძაფების გარსის გადაღრღნა
კანზე პატარა წერტილია და
სხვა არაფერი.

გადავწყვიტე,
რომ მაჯიდან არასდროს წამსკდე!
სამაჯურივით ჩამოვიცვი
შენი სუნთქვა
და ყველა კაბას, ყველა სეზონს
ამინდს ვუხამებ.
ზაფხულიც ზუსტად ისე მიჭერს,
როგორც ეს სუნთქვა.
მთავარია, რომ გადავწყვიტე!
და ახლა შენი მოძრაობის ტრაექტორია
ჩანჩქერის მთიდან მაჯის ზღვამდე
ჩემი გემის კაიუტაში
მგზავრივით მიზის.

ჰალუცინაცია 2: ტუჩები

გვალვამ მოგვისწრო!
ბზარი ბზარზე –
ბელტებივით ვაბრუნებ სიტყვებს.
არადა,
მხოლოდ ზედაპირზე იწვის ხეები,
სიღრმეში ფესვებს ეყინებათ
ფეხის თითები.
მომეცი
შენი ერთი წვეთი მოსვლის წყურვილი
და მე დავიწყებ
კუთხეების ხანმოკლე წვიმით გაგრილებას.
მერე რა, რომ მხოლოდ ნამია ცხელ ქვიშაზე და,
სანამ შენამდე მოაღწევს,
ქრება.
გამოაღე ჩემკენ ხელები!
შეიძლება, გაიჭრიალოს, გაჯიუტდეს, მაგრამ
უთხარი,
რომ ყველა ზამთარი გამოვაშრეთ და
ჩირებივით შემოგვეჭამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთხარი,
რომ სუნთქვა გიჭირს
და გჭირდება ერთი ყლუპი
ჩემი ფილტვები.
რომ
აღარ მოდის ჩემი ჩალმიანი მოგზაური
ქვიშის ქარებისგან დაბრმავებულ
ამინდებში.
რომ
აღარ ვცხოვრობ მის ჩალმაში, მის კარავში,
მისი ტუჩიდან წამსკდარ სიყვარულში.
უთხარი,
რომ მისი მხრები კედელივით ჩამოიშალა,
ჩემი ჩრდილის ხარაჩო როცა
გამოაცალე.

ვცეკვავთ

ჩემს სამშობლოში
სხეულებს შორის ჭრიან სანგრებს
და დაუღლელად გვკარნახობენ
დავიწყებულ ზომიერებას.
გვახსენებენ
კაბის ნაოჭში მძივებივით ჩაბნეულ სირცხვილს,
გვიმიზნებენ დუმილის წესებს,
ზავის კანონებს.
აქ თმასაც ვერ ააფრიალებ ისე თამამად,
როგორც ღია ზღვაში გასვლისას –
იქ ადვილია,
იქ ქარია ამის მიზეზი:
ჩვენი გემების შეჯახების,
ერთად სიკვდილის.
ჩემს სამშობლოში
ან სიტყვა მოგკლავს,
ან ეს ზონარშემოხსნილი მანძილები,
ვიღაც ძლიერის ძარღვიან ხელში
მათრახად რომ ქცეულა და
სხვადასხვა მხარეს მიგვაჭენებს.
გაუხედნავი ილეთია ყველა ტკივილი.
მიწა გვიკვდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ხავსივით ვედებით,
ვმარხავთ.

მოდი, სისხლივით გადავისხათ
ერთმანეთის მარტოჩრდილები
და მერე ჩვენი მახრჩობელა სიყვარული
სასიკვდილო განაჩენივით
მოვიშინაუროთ.
დღეს, ალბათ, ვეღარ გადავრჩებით
(დანის პირზე დიდხანს ვიარეთ).
თმასავით მცვივა კაბის სიგრძე
და შენს ტანს ისე ვეჭიდები,
თითქოს უფსკრულის პირას ვიდგე
და უცებ წასვლა გადავიფიქრო.

ჩემს სამშობლოში „ვიცეკვოთ“ ნიშნავს:
შორს დაიჭირო,
იუარო,
ყელში ნერწყვივით გაიჩხირო,
იხრჩობოდე,
მაინც არ გათქვა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სცენა „ფაუსტი"

სამუშაო ოთახი

ფაუსტი, მეფისტოფელი.

ფაუსტი

მომეცი ხელი!
თუ წამს მიმავალს როდისმე ვეტყვი:
„შეყოვნდი, წამო, ხარ მშვენიერი!"
დამდე ბორკილი, დამეც შენს ფერხთით,
ჩამასვე ჭანგი ქვესკნელიერი!
განთავისუფლდე იმავ წამიდან,
რა მსახურებაც გაქვს ნაკისრები,
შედგეს საათი – ჟამი წავიდა! –
ძირს ჩამოცვივდეს მისი ისრები.

მეფისტოფელი

კარგად მოზომე! შენს ყოველ სიტყვას
დავიმახსოვრებთ.

ფაუსტი

სწორიც იქნები.
ნუ გეგონება, რაც ახლა ითქვა,

I-II ნაწილი იხ. „ცისკარი" №10, 2010. №1, 2011

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ტრაბახით ითქვა, დაუფიქრებლივ.
რაწამს მიხილავ დატბორებულს, არსაით მავალს,
შენი თუ ვისიც, არ ვკითხულობ, მარადი ყმა ვარ.

მეფისტოფელი

დოქტორულ ნადიმს ვემსახუროთ, დამდგარა ჟამი,
გარდავისახოთ, დრო მოსულა, ერთგულ მსახურად,
მაგრამ ჯერ, სანამ საბოლოოდ გარდავსახულვარ,
უნდა სტრიქონი წამიფხაჭნო ორი თუ სამი.

ფაუსტი

პედანტი ნახე! თამასუქს ითხოვს!
სურს ხელწერილის ახლავ დადება!
ზეპირ ნათქვამი სხვა იყოს თითქოს,
თუ დავწერთ, აღარ ეღალატება!
ლპება ეტრატი, იწვის ფურცელი,
კაცური სიტყვა რჩება უცვლელი.
ეს ერთგულება, რა გესმის უბირს,
კაცის სულსა და გულში წერია,
მსხვერპლსაც გაიღებს, მაგადაც უღირს,
აღასრულებს და ბედნიერია.
პერგამენტი კი რა არის? ჩრდილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჩრდილთა ჩრდილი, რაც აბარია!
კალმის წვერზევე სიტყვა მკვდარია,
დგას მეუფება ტყავის და ცვილის.
კარგი, დავწეროთ, ბნელო სულო, არ გაცილობლებ.
არადა, რაზე? რითი რაზე? რას დასჯერდები?
ქაღალდზე? ტყავზე? ბრინჯაოზე? მარმარილოზე?
კალმად – კალამი? თუ გრიფელი? თუ საჭრეთელი?

მეფისტოფელი

ცხარობ, რიტორო, ძალზე ცხარობ, შორს გაიჭერი,
ეს რამოდენა ქვა-ლოდები მოჯერ-მიჯერი.
საკმარისია სულ უბრალო ფურცლის ნახევი,
ზედ ოღონდ სისხლით მიაწერე შენი სახელი.

ფაუსტი

გნებავს და იყოს! ესეც ასე! რას გეზრახები...
ხუმრობთ, ეტყობა. ვიშ, წესები დაგიდგენიათ!

მეფისტოფელი

ო, არა, სისხლი სხვა რამეა, სულ სხვა წვენია.

ფაუსტი

ტყუილად ფიქრობ, რომ აღთქმას გავტეხ,
ეგ ვარ, მაგასღა ველი და ველტვი,
რისი პირობაც აქ ახლა დავდე,
სულ ეგ ვარ, ხელიც ავაპყრო ცამდე,
შენი ფარდი ვარ, არაფრით მეტი.
ზიზღით უარმყო სულმა მაღალმა,
ბუნებამ ცხვირწინ დამიხშო კარი.
ცნობადის მძებნი, მორჩა, აღარ ვარ,
მომძაგდა ცოდნა, ურგი და მკვდარი.
აწ მთელი სილრმით ვეძლევი გრძნობადს,
ვნებებს, ცეცხლოვან წადილთა ცხრობას.
ხდომილებათა მივყვები ღვართქაფს,
სადაც დრო მისრბის, ცხოვრება ღელავს.
ჯადო-გრძნებები იხმიე, რაც გაქვს,
დე, სასწაული მზად იყოს ყველა!
ქვეყნის ტრიალში ერთმანეთს ებას
ძლევა და მარცხი, შვება და ვება,
სიტკბო-სიმწარე ყველა ნაჯერთა, –
ვერ ცხრება კაცი, რასამ დაჯერდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფისტოფელი

მერედა, მისდექ, ვინ გივლებს ზღუდეს,
ახარე გული, რამდენიც გსურდეს!
ტრიალ-ბზრიალში წყვიტე და კრიფე,
რაც ხელში მოგყვეს, მკვახე თუ მწიფე,
სწვდი, არ დაზოგო, მიიხვენი მთელი მარაგი!

ფაუსტი

მიხვდი, არ არის სიხარულზე აქ ლაპარაკი.
ტკივილეული ნეტარება, რაც მეშურნება,
თრობა, მძულვარე სიყვარული, მარცხით კურნება.
ცნობადზე ბორგვის მძიმე სენით ნაავადარი
ყოველგვარ ტკივილს გადაეხსნას, გული მზად არი!
მინდა ვიცხოვრო მარტოოდენ ჩემად კი არა,
სხვებადაც, კაცთა ყველა ხვედრის თანაზიარად.
ყველა სიღრმემდე ჩავაღწიო სულით განხმულით,
ყველა იდუმალ შეგრძნებამდე, ყველა ზრახვამდე,
სრულად, სავსებით, ყველა არსში ვიქმნა დანთქმული,
ყველა „ნეტარ“ და ყველა „ვაჰმე“ გულზე დახვავდეს.
მოვისიამო ყველაფერი და მოვიგვემო,
ბოლოს დავიმსხვრე კაცის წესზე, ეგეც ვიგემო.

მეფისტოფელი

ენდე, ლოღნიდა ვინც ათასწლობით
ყოფიერების გამომხმარ ყუას,
რომ ვერა კაცი, მუცლით ნაშობი,
ვერ გამოცოხნის, იმედი ნუ აქვს.
ნათელი მხოლოდ ღმერთისთვის ქმნილა,
იქ დაიმკვიდრა ზესთა ზეობა,
ჩვენ უკუნეთი გვარგუნა წილად,
თქვენ — დღედაღამის მონაცვლეობა.

ფაუსტი

თუკი მწადია!

მეფისტოფელი

თავს ვუხრი წადილს.
ხამს, გამოიღოს ეშმაკმა ხელი!
ერთი მაფიქრებს, — სიმცირე ვადის:
ხანი მოკლეა, ამბავი გრძელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯობია, მგოსანს შეზრახდი ვისმე,
თავს დაგაბერტყოს ყველა სიქველე!
არ გაზოზინებს, აგიხდენს მყისვე,
რასაც კი ნატვრად ამოიხველებ.
დაგენათლება მწყობრი სიტყვებით
ლომისამც გული, ირმისამც რება,
თან სამხრეთული სისხლი ფიცხელი,
თან ჩრდილოური უტეხი ნება;
ბუნება სათნო, ნირი მზაკვრული,
მიამიტობა ღრმად ეშმაკური;
სახმილებად და ტრფობის ალებად
გამოგეგმილი აბრიალება.
მოკლედ, იმგვარად მიგმოს-მოგმოსავს,
გიხილავთ ბატონ მიკროკოსმოსად.

ფაუსტი

თუ ვერ ვეწიე გვირგვინს მიწიერს,
ერთ აწვდენაზეც ვერ ავიწიე,
თქვი, რა ვარ მაშინ?

მეფისტოფელი

რაცა ხარ, ის ხარ.
პარიკზე რაგინდ კულული ისხა,
ქუსლებზე შედგე რაგინდ მაღალზე,
რაცა ხარ, ის ხარ, თავს ვერ აღაზევ.

ფაუსტი

კაცობრიული ცოდნის საუნჯე
ამაოდ მოვჩხიბ-მოვიბღაუჭე.
რასაც არ ავწვდი, ქვემომისხლიტა,
ვერ მივეახლე უზღვრელს და ქმედითს,
არა ვარ ახლოს ერთი მისხლითაც,
თმის ერთი ბეწვით არა ვარ მეტი.

მეფისტოფელი

ჩემო კეთილო, შენც იმას იბრძვი,
რაზეც დაცურდნენ სხვანი და სხვანი.
მიმოვიცხოვროთ იოლი სიბრძნით,
სანამ წასულა იშტა და ჯანი.
შენი ტან-ფეხი, თავიც და ტ---იც,
გერგო და, ბასტა, ზედ გამშვენია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ასედაც შევხედოთ საკითხს, –
რაც ჩვენით ვირგეთ, ნაკლებ ჩვენია?
თუ ექვსი ცხენის ვზღე საფასური,
ძალ-ღონეც ვირგე სწორედ იმხელა,
კოფოზე ვზივარ კაცი კაცური
და ოცდაოთხი ფლოქვით მივგელავ.
ჰოდა, აზრებით ნუ თავი გიხურს,
შიგ ცხოვრებაში შევგელდეთ ჯიქურ.
ვინც განყენებულ საკითხებს წვალავს,
ჯოგივით ხელობს დაუმცხრალივით,
წრეზე რომ დარბის ბღავილ-ბღავილით,
გარს კი ხასხასი გაუდის ბალახს.

ფაუსტი

რითი დავიწყოთ?

მეფისტოფელი

წავიდეთ ფიცხლავ!
ამ სატანჯველში გულს ნუღარ იწყლავ.
რა ცხოვრებაა, მოწყენა გჭამეს,
უმნიფარ ბალღებს უცრიდე ქატოს,
გადააბარე, ნუ ფიქრობ ამდენს,
მეზობელს შენსას, ბაღლინჯო-ბატონს.
ცოდნასაც მისწვდე, მაღალს ათასჯერ,
რა ჭკუით გინდა ღლაპებს გადასცე!
ერთი მათგანი, ხსენებაზე, ტკეპნის მანდ პარმაღს.

ფაუსტი

ვეტყვი, წავიდეს, მაგის თავი აქ ახლა არ მაქვს.

მეფისტოფელი

საწყალი ბიჭი, რა ხანია, ყურყუტებს კარზე,
ცოდოა, ისე გავისტუმროთ, ნუგეში არ ვცეთ.
მოდი, მე მომეც შენი ფლასები,
ცოტა ხნით სწავლულს დავემსგავსები.
რჩევები გავცე შეუსადარი!
(მოირგებს ფაუსტის ქუდსა და მოსასხამს.)
ათიოდ წუთი კმარა სავსებით,
ამასობაში შენც დაიჭერ გზისთვის თადარიგს.
(ფაუსტი გადის.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფისტოფელი, *ფაუსტად გადაცმული*

ჰო, დაგმე, დაგმე გონებაც და ყოველი ცოდნაც,
რაც გააჩნია კაცის მოდგმას უზენაესი,
წვდომას, განჭვრეტას საჩხიბავთა არჩიე ფხოტნა,
ყველა სატყუარს გული მიეც, ისე დაეცი!
სიცრუის სულთა შემოიწან ყელზე ხლართები
და, აღსრულდება, სამუდამოდ მე ჩამბარდები.
წინ მოსწრაფეა! ვეღარ იცლის ვერა სხვათათვის!
ყველა მიწიერ სიხარულზე ოთხით გადადის.
ჩავითრევ, სადაც მღელვარეა ცხოვრების დენა,
ფუჭ წვრილმანებში, უსარგებლო გნიასში ჩავრთავ,
ამიფართხალდეს, გამირეტდეს, დაძალოს ქვენამ,
ხშირ-ხშირად ვეღარ განმარტოვდეს საკუთარ თავთან.
წყურვილით დამსკდარ ბაგეებთან მივუტან სასმელს,
მაგრამ ვერ შესვამს! დარწყულება არ ეღირსება!
თავად ეშმასაც არ აეღო უფლება მასზე,
ქვესკნელის კერძი იქნებოდა ალბათ ისედაც.

(შემოდის მოწაფე.)

მოწაფე

აქ ახალი ვარ, შორით მოსული,
მაღალ მოძღვართან სწავლის მოსური.
ყველგან, სად ვისაც მივეახელი,
კრძალვით ითქმოდა თქვენი სახელი.

მეფისტოფელი

გშვენით ზრდილობა. საქებარია.
გარნა ჩემდარნი ბევრნი არიან...
იცით, რას ეძებთ, მიახლოებით?

მოწაფე

დამდეთ ამაგი, გთხოვთ სასოებით!
მცირე რამ თანხა მომყვება შინით,
სიყრმე და კიდევ განსწავლის ჟინი.
არ ვეთმობოდი დედას ადვილად,
მაგრამ დამძლია ცოდნის წადილმა.

მეფისტოფელი

ჰოდა, მოსულხართ, საცა გწყუროდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაფე

ცოტა კი მაფრთხობს აქაურობა,
ეს ჩახუთული ყრუ სენაკები,
რუხი კედლები, მძიმედ ნაგები...
არც ხეა სადმე, ბუჩქი თუ მოლი,
არსად სიმწვანის პატარა ზოლი.
შავი მერხები... მწკრივი და მწკრივი...
თვალთ მიბნელდება, ყურები ჟივის...

მეფისტოფლი

ეგ ნუ შეგაკრთობთ, ასეა მუდამ.
ჩვევის საქმეა, არც ღირს სათქმელად.
დედის ძუძუსაც მიჩვევა უნდა,
ხანი სჭირდება, სანამ გატკბება.
სიბრძნის ძუძუთა რა ნახავთ გემოს,
მენდეთ, შეიტკბობთ დედის რძესავით.

მონაფე

მაგისთვის გეძებთ, ბატონო ჩემო,
ვერ მივდგომივარ, საქმეც ეს არის.

მეფისტოფელი

ჯერ შევათანხმოთ, რას ვყაბულდებით.
რა დარგი გნებავთ, რა ფაკულტეტი?

მოსწავლე

მინდა შევიქნა ბრძენი თქვენდარი,
ვინც ყველაფერი გამოწვლით იცის,
ცის სიმაღლენი, სიღრმენი მიწის...
არა დამრჩეს რა გაუგებარი...

მეფისტოფელი

ოღონდ ჯერ თავსაც თუ მოსდებთ ლაგამს.
გული არ უნდა გარბოდეს სხვაგან.

მონაფე

მეც, დიახ, დიახ, ეგ მაქვს ჩათქმული...
მაგრამ გართობაც... უკეთ სწავლისთვის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არდადეგები თუნდაც ზაფხულის,
ჟამი სილაღის და სიხალისის...

მეფისტოფელი

უნდა ისწავლოთ დროის მოგება,
თუ წესრიგია, დროც იზოგება.
ამიტომ გონის საწვრთნელ-საწრთობად,
ჯერ „კოლეგიუმ ლოგიკუმს“ გირჩევთ,
ვეღარ იფიქროს აზრმა გასხლტომა,
არ იფარფატოს ძველებურ ნირზე.
უნდა ესპანურ ჩექმაში ჩავსვათ,
რომ გასაქანი არ ჰქონდეს არსად.
რაც თავისთავად გამოგდიოდათ,
დღიური საქმე, ვთქვათ, სმა და ჭამა,
უნდა განმსჯელდეს, იქცეს ტრიადად,
მწყობრ სილოგიზმთა ნაწევრად სამად.
თუ შემთხვევიხართ ფეიქრის დაზგას,
აზრთა ფაბრიკაც სავსებით მას ჰგავს.
ბიძგი და, უცებ, დგიმზე გაბმული
ამოძრავდება ათასი ძაფი,
მიმორბის მასრა, ბრუნავს საბრუნი,
ირწყმიან თვლები უჩინრად სწრაფი.
აქ, ნოტა ბენე, შემოდის მყისვე,
ფილოსოფოსი და იწყებს ახსნას,
პირველი ასე, მეორე ისე,
მესამე წყებას მეოთხე მისდევს, –
ჩამონუსხავს და პუნქტებად დასხამს.
ანუ ოსტატის გონება ბასრი
საგანს დაშლის და აშენებს საზრისს.
შეგირდნი თუმცა აქებენ ხოროდ,
მაგრამ დაშლილი ვეღარ იწყობა,
რამეთუ კარგავს კავშირს თვითმყოფადს,
ხელთ ნაწილები გვიპყრია მხოლოდ,
სიცოცხლის არ ჩანს არც ნატამალი,
ხოლო ქიმია ამგვარ ანალიზს,
თითქოს დასცინის საკუთარ საქმეს,
„ენხეირეზინ ნატურეს“ არქმევს.

მონაფე

უნდა გამოვტყდე, მიჭირს გაგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფისტოფელი

შეჯერდეს, რაც რას ესადაგება,
რედუცირდეს და შემდგომ ამისა
კლასიფიცირდეს შესაბამისად.

მოწაფე

ვატყობ, სულ ვკარგავ მიხვედრის უნარს,
თავში წისქვილის დოლაბი ბრუნავს.

მეფისტოფელი

თანდათანობით ვართულებთ სქემებს,
მეტაფიზიკას დავუთმობთ სემესტრს,
ანუ ღრმა განსჯის საგნად იქცევა,
რაც კაცის ტვინში არ შეიღწევა.
მაგრამ რას ვაქნევთ, შევა-ვერშევა,
მანდ სახელს უნდა რიხით შერჩევა,
ფილოსოფოსის უსაზმო ბუქნა
ხამს გადაფაროს ტერმინთა ბუქმა.
ოღონდ ჯერ უნდა შევერწყათ რეჟიმს,
თავს, წამი რაა, წამს არ ვპარავდეთ.
განრიგი – ხუთი საათი დღეში,
დასწრება – სრული, ზარით ზარამდე.
ყველა გაკვეთილს მოიტანთ ნასწავლს,
ძნელ პარაგრაფებს გაივლით ზუთხვით,
თორემ იქ, წიგნში ნათქვამის ნაცვლად,
რას ემგვანება, ზღაპარი თუ თქვით.
თან ისე უნდა ხმარობდეთ კალამს,
ჰგავდეს, გკარნახობთ ზეგარდმო ძალა.

მოწაფე

ეგ უკეთესი, მეტს რასაც დავწერთ
და თვალი ნახავს ნაშრომ-ნაღვაწარს.
როცა თან მიგაქვს ფურცლები სავსე,
შინ, ესე იგი, მიგაქვს რაღაცა.

მეფისტოფელი

მოკლედ, რას ვირჩევთ? სამართალზე რა აზრისა ხართ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწაფე

ვეჭვობ, შევეწყო... მთავარ საქმედ ნუ დავისახავთ...

მეფისტოფელი

ვერ გაგამტყუნებთ, მე თვითონვე ცერად ვუცქერი.
კანონ-წესები, ის, რომელიც გვაქვს დღესდღეობით,
ავადმყოფობას მოგვაგონებს მემკვიდრეობითს,
მოდგმით მოდგმაზე რომ გადადის ნირშეუცვლელი.
არადა, ყველგან სხვადასხვაა, ჭრიან ზოდებად,
რაგინდრა ჩხრიკო, ვერ უნახავ საერთო ფუძეს:
რაც აქ მადლია, იქ წყევლაა და შეცოდება,
რაც აქ სიბრძნეა, იქ სასტიკი სასჯელი უწევს.
ბრმად განაგრძობენ თაობები კანონქვეშ ფართხალს,
საყოველთაო უფლებებზე საკითხიც არ დგას.

მოწაფე

თუ ცოტა ეჭვი კიდევ მქონდა, გაქრა სრულებით.
ბედნიერია, ვისაც მოძღვრად თქვენ ეგულებით!
თეოლოგიით შემოვფარგლავ, ალბათ, არჩევანს...

მეფისტოფელი

ვშიშობ, მოცდებით, შრომა უქმად დაიხარჯება!
ეს გახლავთ ბნელში სიარულის მეცნიერება,
ისეთი ღრეა, ზოგჯერ კვალი მეც კი მერევა.
შიგ ბევრი შხამი იფარება, არ გვავნოს ლესვამ,
ნაცვლად წამლისა, ერთიც ვნახოთ, საწამლავს შესვამ.
შეყრილა ყველა ბნელმეტყველი, თავისას ხლართავს,
უნდა ერთს მიჰყვე რომელიმეს, რომ არ გაცეტდე,
გამოუცხადო სრული ნდობა მის ტყუილ-მართალს
და ტვინი ბევრიც არ იჭყლიტო ისეთ-ასეთზე.
მანდ სიტყვას უნდა შეეფარო, მჟღერსა და ლიტონს.

მოწაფე

მაგრამ სიტყვაში რაღაც აზრიც ხომ უნდა იდოს!

მეფისტოფელი

ანუ, თქვენ ამბობთ, არ გავთიშოთ სიტყვა და ცნება.
უცნებო სიტყვა არ გვსმენია? რამდენიც გნებავთ!
იქ, სადაც აზრი არ ჭიატებს, სიტყვები გვშველის,
შიშველი სიტყვით სისტემები იქმნება მთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუსმენთ და რწმენა გვეუფლება, ციდან ცვიოდა,
უნდა გაფრთხილდე, არ გაგისხლტეს ერთი იოტაც.

მოწაფე

თუ გაგაბეზრეთ, დიდ ბოდიშს გიხდით,
მაგრამ დასკვნისაც ჭირს გამოტანა.
იქნებ მაგ ბასრი, ტევადი სიტყვით
მედიცინაზეც მითხრათ ცოტა რამ.
ირგვლივ სამკალი გაშლილა ვრცელი,
დრო კი მცირეა, სამიოდ წელი,
კაცმა უაზროდ არ ნაყოს წყალი,
გეზი სჭირდება, ოსტატის ხელი.

მეფისტოფელი, *თავისთვის*

მომბეზრდა ტონი დუნე და მშრალი,
დროა, ეშმაკმაც გამოყოს ბრჭყალი.
(ხმამაღლა.)
მანდ ადვილია არსის გაგება,
გზა ნურც ძალიან გეზიგზაგებათ,
ჯერ მიკროწრეში, ხვალ მაკროწრეში
უნდა მოსინჯოთ ალღო და გეში.
ვისაც მანდ ცოდნით თავი უქია,
ნუ გჯერათ, სრული ბაქიბუქია.
იმას ისწავლით, რაც ისწავლება,
მეტს ვერა, გინდაც თავზემოთ ახტით.
თუ მარჯვედ შეძლებთ წამის ჩავლებას,
მედიცინაში კაცი ხართ ნაღდი.
კეთილაღნაგი სიმრთელე გშვენით,
ჩანს, გაბედულიც მოგდევთ ბუნება,
თქვენივე თავის აღივსეთ რწმენით
და უსათუოდ სხვაც გერწმუნებათ.
ნიშნად სიბრძნისა, მეტისგან მეტის,
სახელს შეიმკობთ ტიტულატურით,
და, სადაც ყველა კრძალულად შედის,
ამაყად შეხვალთ, კაცი ნატრული.
თან, რასაც მართლა ოქროს ფასი აქვს,
მიესადაგეთ ქალის ხასიათს,
მათ გამუდმებულ „ოხებს“ და „ახებს“.
როგორც იქნება, სწორად თუ ბრუნდად,
ერთი პუნქტიდან განკურნოთ უნდა,
ეს კლიტე ყველა საკლიტურს აღებს.
პულსს გავუსინჯავთ, თვალებს ავაზევთ,
ვითომ ყოყმანით აზრს რასამ ვიქმნით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ხომ არ უჭერს თეძო-გავაზე,
ხელს შევაცურებთ კორსეტის შიგნით...

მოწაფე

ჩინებულს ამბობთ... მაგრამ ცოდნა, გნებავთ, წყურვილი...
რა როგორ არის, საით მიდის, რა იყო ძველად...

მეფისტოფელი

თეორიები, ჩემო კარგო, ფშუტეა ყველა,
მწვანედ ხასხასებს ცხოვრების ხე ოქროცურვილი.

მოწაფე

ასე მგონია, ბურანში ვარ... დაგეთხოვებით...
აზრი მერევა... თუ დაგტოვებთ, მხოლოდ დროებით...
მალევე მოვალ, მაღალ სიბრძნეს რომ დამაწაფოთ.

მეფისტოფელი

როგორც გენებოთ. არაფერი გახლავთ სასწრაფო.

მოწაფე

მაგრამ წასვლამდე აქ, ამ წიგნში, რჩევისდა გვარად,
გთხოვთ, ორი სიტყვა ჩამიწეროთ...

მეფისტოფელი, *უწერს*

რატომაც არა.

მოწაფე, *კითხულობს*

Eritis sicut eus, scientes bonum et malum.
იყვნეთ, ვითარცა ღმერთი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა.
(კრძალვით ხურავს წიგნს და თავისდაკვრით გადის.)

მეფისტოფელი

მიჰყევ მაგ მცნებას, გველმა გარქვათ, პაპიდაჩემმა.
ვინძლო დაწყევლო უფლის ხატად შენი გაჩენა.

შემოდის ფაუსტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაუსტი

საით მივდივართ?

მეფისტოფელი

რა მხარესაც გული გაგვიწევს,
ჯერ დაბალ წრეში, ხვალ მაღალში, მთელ გასაგისზე.
რა სწავლის კურსი გელოდება, რა-რა დარგები!
ხალისით სავსე და სულისთვის რაზომ სარგები!

ფაუსტი

არადა, ჩემი გრძელი წვერებით
მაგ თამაშს ცუდად შევეფერები.
გასვლა-გამოსვლას, ხალხში ყოფნას არ ვარ ჩვეული,
შენმა წვრთნამ, დიდად მეეჭვება, რამე მიშველოს,
უცხოთა შორის ყმაწვილივით ვარ დაბნეული,
თავი მგონია პატარა და სულ უმნიშვნელო.

მეფისტოფელი

უსაგნო ეჭვებს შეუპყრიხარ, ჩემო კეთილო,
ყველაფერს უცებ აითვისებ, უგაკვეთილოდ.

ფაუსტი

რითი ვიმგზავრებთ? ნუთუ ფეხით ვაპირებთ ჩანჩალს?
არც ეტლი გვიცდის, შეკაზმული ცხენებიც არ ჩანს.

მეფისტოფელი

ეს მოსასხამი რისთვის არის, მიწაზე გავშლით
და გავფრინდებით! საცა ვეტყვით, გაგვაჩენს წამში!
დიდი ხელბარგით, იმედია, არ დამძიმდები,
მსუბუქად წავალთ, წასაღებიც რა გვაქვს იმდენი.
ცოტა რამ ალი, ცოტაც ზექარი
ამოვაქშინოთ და სულ ეგ არი.
თან გზასაც მოვილევთ, თან თვალიც გაძღება.
გილოცავ ახალი ცხოვრების დაწყებას!

გერმანულიდან თარგმნა
დავით წერედიანმა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამერიკელი მწერალი შერვუდ ანდერსონი დაიბადა 1876 წლის 13 სექტემბერს ოჰაიოს შტატის ქალაქ ქემდენში, გარდაიცვალა 64 წლის ასაკში, 1941 წლის 8 მარტს. მისი შემოქმედებიდან ყველაზე პოპულარულია მოთხრობების ციკლი „უაინსბურგი, ოჰაიო". ანდერსონმა გავლენა იქონია ისეთ თანამედროვე ამერიკელ ავტორებზე, როგორებიც იყვნენ ერნესტ ჰემინგუეი, უილიამ ფოლკნერი, ჯონ სტაინბეკი, ჯერომ სელინჯერი...

ერთხელ – იმ პერიოდში, როცა ახალ ორლეანში ხშირად ვსეირნობდით და ვსაუბრობდით ან უფრო ანდერსონი ლაპარაკობდა, მე კი ვუსმენდი, – დავინახე, როგორ იჯდა მერხზე, ჯექსონ-სკვერში და რაღაცაზე იცინოდა. მომეჩვენა, რომ უკვე კარგახანს ზის ასე და იცინის. ეს არ იყო ჩვენი შეხვედრის ადგილი. უფრო სწორად, შეხვედრის ადგილი საერთოდ არ გვქონია. მოედნის მახლობლად ცხოვრობდა და შუადღის წახემსების შემდეგ, როცა ისიც ნასადილები იქნებოდა, ყოველგვარი შეთანხმების გარეშე მისი სახლისკენ მივდიოდი. თუ გზაში არ შემხვდებოდა, ტროტუარის კიდეზე ჩამოვჯდებოდი – იქიდან მისი სადარბაზოს შესასვლელი მოჩანდა – და ველოდი, როდის გამოვიდოდა თავის მყვირალა, ნახევრად მხედრულ თუ ნახევრად ბოჰემურ კოსტიუმში გამოწყობილი.

იმ დღეს მერხზე მარტო იჯდა და იცინოდა. მაშინვე მომიყვა, რა განიცადა. ღამით დასიზმრებია, თითქოს სოფლის შარაზე მიაბიჯებს, ლაგამამოდებული ცხენი მიჰყავს და ამ ცხენის ღამის ძილზე გაცვლას ცდილობს – უბრალო ლოგინზე კი არა, სწორედ ღამის ძილზე გაცვლას. მსმენელი რომ მოიხელთა, თხრობა განაგრძო და დეტალებით ისე შეავსო და განავითარა ამბავი, რომ მონათხრობი ნამდვილ ხელოვნების ნიმუშად იქცა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს, უბრალოდ, არც იცოდა, ამბავი როგორ უნდა მოეყოლა, სინამდვილეში კი ისეთი გულმოდგინებით და გამწარებით ეძებდა საჭირო სიტყვებს, ისეთი დაჟინებული რუდუნებით, როგორითაც ყველა თავის ნაწარმოებზე სჩვეოდა მუშაობა. ვუსმენდი და არც ერთი მისი სიტყვისა არ მჯეროდა. ყოველ შემთხვევაში, არ მჯეროდა, რომ ყოველივე მართლაც ესიზმრა. არ მჯეროდა, რადგან ვიცოდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ ყოველივე შეთხზა და მოიგონა. სწორედ მაშინ, როცა მის გვერდით ვიჯექი და ვუსმენდი, მოიგონა და გააფორმა მთელი სიზმარი ან, ყოველ შემთხვევაში, მისი უდიდესი ნაწილი მაინც. ვფიქრობ, თავადაც არ ესმოდა, რაში დასჭირდა ჩემი დარწმუნება, რომ მონათხრობი მართლა სიზმარი იყო და, საერთოდ, რატომ იყო აუცილებელი ამ ამბის სიზმრად ქცევა და მასთან დაკავშირება. ვხვდებოდი, ვიცოდი, რომ თავისი ცხოვრება რაღაც ამბავში ან არაკში ჩართო და ცხენი, რომელიც თავიდან ბედაური იყო, მისთვის უკვე მუშა და მხვნელ ცხენად იქცა, ჯიშით არგამორჩეულ, თუმცა ჯანმრთელ, ღონიერ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უილიამ ფოლკნერი

შერვუდ ანდერსონის შესახებ

საჭირო ცხოველად, რაც მის თვალში მისისიპის ველის მდიდარ, სისხლსავსე და თვალუწვდენელ სივრცეს ასახიერებდა, მის ამერიკას ასახიერებდა. ახლა ეს ამბავი თავისი ხასხასა, ღია ცისფერი ჟოკეის პერანგითა და უინძორის წითელწინწკლებიანი ბოჰემური ჰალსტუხით მას ღიმილითა და მორჩილი რუდუნებით – უფრო სწორად კი, მხოლოდ მორჩილი რუდუნებით – სისუფთავესა და სრულყოფილებაზე ოცნებაზე უნდოდა გაეცვალა, მუდმივ და მუყაით შრომაზე, რომლის განსახიერებად უკვე იქცა მისი „უაინსბურგი, ოჰაიო“ და „კვერცხის ტრიუმფი“.

ამას თვითონ არ იტყოდა, არ აღიარებდა და სიტყვით არ გამოთქვამდა. იქნებ, ვერც გაეგო, თუ მიხვედრებას შევეცდებოდი. ყველაფერს გადაჭრით უარყოფდა და არა იმიტომ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, მართალი იყო თუ არა, მე არ დამიჯერებდა. მისთვის არც ამას ექნებოდა მნიშვნელობა და მაინც ყველაფერს უარყოფდა მასში ჩაბუდებული უდიდესი ტრაგედიის გამო, რომელიც მისი ხასიათის არსს წარმოადგენდა. ის მუდამ ეჭვობდა, რომ ადამიანები დასცინოდნენ და მასხრად იგდებდნენ. მიიჩნევდა, რომ ისინიც კი, რომლებიც მას მდგომარეობით, ტვინით ან ღირსებებით ვერ შეედრებიან, მზად არიან, სასაცილო მდგომარეობაში ჩააგდონ.

ამის გამო ყოველივე მძიმე, მტანჯველი და დაუღლელი შრომის ფასად გამოსდიოდა. ისე მუშაობდა, თითქოს საკუთარ თავს ერთხელ და სამუდამოდ უბრძანა: „ამჯერად ყველაფერი უნდა გამოვიდეს, უნაკლოდ გამოვა“. წერდა არა დიდების დაუოკებელი და ყოვლისმომცველი წყურვილის გამო, რომლისთვისაც ნებისმიერი ხელოვანი მზადაა, გაწიროს საკუთარი დედა, არამედ იმისთვის, რაც მისთვის უფრო აუცილებელი, არსებითი და პირველხარისხოვანი იყო; და არა მხოლოდ სიმართლის, არამედ უნაკლო სიწმინდის გამო. მისთვის არც პაპის – მელვილის – დამახასიათებელი სიმძლავრე და შეტევა იყო, არც მამის – ტვენის – სიცოცხლისადმი მგზნებარე ლტოლვა და არც დრაიზერის – უფროსი ძმის – სიმძიმე და ნიუანსების უგულებელყოფა. გუმანით ეძიებდა სრულყოფილების გზას, ზუსტ სიტყვებს და წუნდაუდებელ ფრაზებს, საკუთარი ლექსიკიდან გაუსვლელად, და იმისთვის, რომ საგნების არსს ჩაწვდომოდა, ყოველივეს უკვე ფეტიშის ზღვარზე მყოფ სიმარტივეს უმორჩილებდა. იმდენად ერთგულად მუშაობდა სტილზე, რომ შედე-

გად მხოლოდ სტილს იღებდა, ანუ მისთვის საშუალება მიზნად იქცეოდა. მალე თვითონაც ირწმუნა, რომ, თუ შეინარჩუნებს ამ სუფთა, უმწიკვლო და წუნდაუდებელ სტილს, ყოველივე დანარჩენი, რაც ამ სტილს მიღმაა, და თვითონაც, მოწოდების სიმაღლეზე დარჩებიან.

თავისი ცხოვრების იმ ეტაპზე ეს რწმენა უნდა ჰქონოდა. დედამისი მოახლე იყო, მამა – მედღეური მუშა. სოციალური გარემო არწმუნებდა, რომ მატერიალური დამოუკიდებლობა – ეს ცხოვრების არსია. მიუხედავად ამისა, მან უარი თქვა ასეთ რწმენაზე, თუმცა ამ დასკვნამდე იმ ადამიანებამდე გაცილებით გვიან მივიდა, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ საკუთარი ცხოვრება ხელოვნებისა და მწერლური შრომისთვის მიეძღვნათ. თუმცა, როცა ამ გადაწყვეტილებამდე მივიდა, აღმოაჩინა, რომ ის უკვე ერთი ან ორი წიგნის ავტორია და მაშინ დაარწმუნა თავი, რომ, თუ ამ სტილის სისუფთავის შენარჩუნებას შეძლებს, ყოველივე, რაც ამ სტილის მიღმა დარჩა, უმწიკვლო და სრულყოფილი იქნება. ამიტომაც გახდა იძულებული, დაეცვა საკუთარი სტილი. ამიტომ ჩემზე მეტად გააბრაზა ჰემინგუეის „გაზაფხულმა“ {1}, რადგან ჩემი დანაშაული იმ პატარა, კერძო წიგნის გამოცემაში მდგომარეობდა, რომლის არსებობის შესახებ ახალი ორლეანის იქით არავინ უწყოდა; გააბრაზა სპრეტლინგის კარიკატურების წიგნმა, რომელსაც ჩვენ „შერვუდ ანდერსონი და სხვა ცნობილი კრეოლები“ დავარქვით და რომლისთვისაც მე მცირე წინათქმა იმავე შერვუდ ანდერსონის გამარტივებული სტილით დავწერე {2}. ვერც ჰემინგუეი და ვერც მე ვერასდროს გავბედავდით მისი შემოქმედების დაცინვას. ჩვენ მხოლოდ შევეცადეთ, რომ მისი სტილი უაზრო და სასაცილო გამოსულიყო; იმ დროს კი, „მუქი სიცილის“ შემდეგ, როცა ის უკანასკნელ ზღვრამდე იყო მისული და, ალბათ, მწერლობაზე უარი უნდა ეთქვა, სხვა არაფერი დარჩენოდა, თუ არა ის, რომ საკუთარი სტილი დაეცვა ნებისმიერ ფასად, რადგან იმ დროს თავადაც უნდა ეღიარებინა, – თუნდაც გულის სიღრმეში, – რომ მეტი აღარაფერი დარჩენოდა.

ჭეშმარიტი სისუფთავე თუ სუფთა ჭეშმარიტება – ორივე ერთნაირად სწორია. ადამიანების მიმართ სანტიმენტალური იყო და მათში ხშირად ცდებოდა. სჯეროდა ადამიანების, თუმცა თითქოს მხოლოდ თეორიაში. მათგან უფრო ცუდს ელოდა და ნებისმიერ დროს გულგატეხილობისა და ტანჯვისთვის იყო მზად ისე, თითქოს ასეთი რამ ადრე არასდროს მოსვლია და თითქოს ადამიანები, ვისთან ურთიერთობაც შეიძლება ჰქონოდა და ვისი რწმენაც შეეძლო, მის მიერ გამოგონილი – მის დანისლულ სიზმრებში ამოტივტივებული სახეები და სიმბოლოები იყვნენ. ზოგჯერ სანტიმენტალურად წერდა (მაგრამ ასე ხომ ზოგჯერ შექსპირიც წერდა), თუმცა ამ შემთხვევაშიც სტილის სისუფთავის ერთგულება არ ღალატობდა. არასოდეს და არაფერს ამარტივებდა, სიყალბეში არ გადადიოდა, ადვილ გზას არ ეძებდა; მწერლობა მისთვის მუდამ თვინიერი, თითქმის რელიგიური რწმენის და მორჩილი ერთგულების წყარო იყო, რომელსაც მთელი არსებით ეძლეოდა და მასში თავდავიწყებას ცდილობდა. მისთვის მრავალსიტყვაობა უცხო, აჩქარებულობა კი სიყალბის ტოლფასი იყო. ერთხელ მითხრა: „ნიჭიერი ხარ. სხვადასხვანაირად წერა შეგიძლია, ყველაფერი ადვილად გამოგდის, მაგრამ, თუ ძალიან არ შეეცდები, მართლა ღირებულს ვერაფერს დაწერ“.

იმ დროს, როცა ქალაქის ძველ უბნებში ერთად ვსეირნობდით და მე ვუსმენდი, ის კი მელაპარაკებოდა ან უცნობებს ესაუბრებოდა – სად და ვინც უნდა ყოფილიყო, ადამიანებს, რომლებიც ქუჩაში ან გემსაშენ დოკებში გვხვდებოდნენ, ან როცა სადმე ვსვამდით, ჩემი უმნიშვნელო დახმარებით მან კიდევ რამდენიმე ფანტასტიკური სახე შექმნა, ცხენით მიმავალი ადამიანის და სიზმრის მსგავსი. ერთ-ერთი მათგანი შალმეტის ბრძოლის შემდეგ ლუიზიანის ჭაობებში მიტოვებული ენდრიუ ჯეკსონის შთამომავალი იყო {3}; თავიდან, დასაწყისში, ეს ადამიან-ცხენი თუ ადამიან-ალიგატორი კი არ იყო, არამედ ნახევრად ადამიანი და ნახევრად ცხვარი, შემდეგ კი ნახევრად ზვიგენი, რაც, როგორც მთელი არაკი, საბოლოოდ ისეთი უმართავი და სასაცილო გახდა, რომ გადავწყვიტეთ, ყოველივე ჩაგვეწერა და ამ ჩანაწერებისთვის ზოოლოგიური ექსპედიციის ორი, დროებით ერთმანეთისგან დაშორებული მონაწილის წერილებისგან შედგენილი მოთხრობის სახე მიგვეცა. ჩემი ვარიანტი მივუტანე. წაიკითხა და მკითხა:

„მოგწონს?“

„რას გულისხმობთ, ბატონო?“

„რაც დაწერე. მოგწონს?“

„დიახ. რაშია საქმე? ყოველივე, რაც ამ წერილებში არ შევიდა, შემდეგში შევა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ მივხვდი, რომ ჩემმა სიტყვებმა გააბრაზა. ძალიან მოკლედ და მკვახედ მიპასუხა:

„ან ამას გადაყრი და შევწყვეტთ მუშაობას, ან დაწერილს წაიღებ და გადააკეთებ“.

ასეც მოვიქეცი. სამი დღე ვმუშაობდი და ბოლოს ნაწერი მივუტანე. წაიკითხა, ძალიან ნელა, როგორც ჩვეოდა და მკითხა:

„ახლა მოგწონს?“

„არა, ბატონო, – ვუპასუხე, – მაგრამ ჯერჯერობით უკეთესად ვერ გამომივიდა“.

„ივარგებს“, – მიპასუხა მან და ნაწერი ჯიბეში ჩაიდო; ხმა დაუთბა, დაურბილდა და მასში ისევ ამოვიკითხე სიცილი და ტანჯვისთვის მზადყოფნა.

ამ გაკვეთილმა ბევრი მასწავლა, თუმცა მის რჩევას ყოველთვის როდი მივდევდი. ერთხელაც მივხვდი, იმისთვის, რომ მწერალი გახდე, პირველ რიგში ის უნდა იყო, რაც ხარ და რისთვისაც დაიბადე; იმისთვის, რომ ამერიკელი იყო და მწერალი, სულაც არ არის აუცილებელი, გაუთავებლად ტრადიციული ამერიკული სახეები აღწერო, ისეთები, მაგალითად, როგორიც დრაიზერის ინდიანაა {4} ან თავად ანდერსონის ოჰაიო, აიოვას სიმინდის ყანები, სენდბერგის {5} საყასბოები ან ტვენის ბაყაყი {6}. მუდამ უნდა გახსოვდეს, რა ხარ სინამდვილეში.

„უნდა იცოდე, რითი დაიწყო და მაშინ სწავლას იწყებ, – მითხრა ერთხელ. – მნიშვნელობა არა აქვს, რა არის ეს. უბრალოდ, ეს უნდა გახსოვდეს და ამის არ უნდა გრცხვენოდეს. რითიც არ უნდა დაიწყო, მთავარია, რომ გქონდეს ის, საიდანაც დაიწყებ. სოფლელი ახალგაზრდა ხარ, ერთადერთი, რაც იცი, მისისიპის მიწის ის პატარა ნაგლეჯია, სადაც დაიბადე. ესეც საკმარისია. ესეც ამერიკაა: თუნდაც მისი ყველაზე მცირე და უცნობი კუთხე, მაგრამ, თუ ამ აგურს კედლიდან ამოიღებ, კედელი დაინგრევა“.

„ცხადია, თუ ეს კედელი დაცემენტებული და ბათქაშით დაფარული არ არის,“ – შევეწინააღმდეგე მე.

„ჰო, მაგრამ ამერიკა ჯერ დაცემენტებული და ბათქაშით დაფარული არაა. მისი შენობა ჯერ იგება და, ვის ძარღვებშიც მელანი ჩქეფს და არა სისხლი, მარტო კი არ შეუძლია, არამედ ვალდებულიც არის, მუდამ მთელ ქვეყანაში იაროს, ხალხთან ურთიერთობა ჰქონდეს, მოისმინოს, დაინახოს და ისწავლოს. ამიტომაც მე და შენნაირ გაუთლელ და უსწავლელ ბიჭებს არა მხოლოდ საშუალება გვაქვს, ვწეროთ, არამედ ვალდებულნიც ვართ. ერთადერთი, რასაც ამერიკა მოითხოვს, ის არის, რომ უყურო, მოისმინო და შეძლებისამებრ გაიგო. თუმცა გაგებაც არაა იმდენად მთავარი და მნიშვნელოვანი: რწმენაა საქმე, მაშინაც კი, თუ ყველაფერი არ გესმის, შემდეგ კი დაწერა უნდა სცადო. არასოდეს გამოდის, როგორც შენ გინდა, მაგრამ ხელმეორედ ცდა ყოველთვის შეიძლება, მელანი და ქაღალდი მუდამ მოინახება, ყველაფერი დანარჩენიც, რომ შეეცადო, გაიგო და ამის შესახებ მოყვე. თავიდან ძალიან კარგად არ გამოვა. – კიდევ ერთი შესაძლებლობა მუდამ რჩება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ხვალ ამერიკა განსხვავებული იქნება, მასში ბევრი ისეთი გაჩნდება, რისი ცქერა, მოსმენა და გაგებაც ღირს და, თუ ვერ გაიგებ, ირწმუნებ მაინც. უნდა ირწმუნო, ირწმუნო სიწმინდის ღირებულება და გაცილებით მეტიც. მხოლოდ მნიშვნელოვნება და ღირებულება კი არ უნდა ირწმუნო, არამედ პატიოსნების ურღვეობა და გარდუვალობა; ბედნიერია ის, ვინც მოწოდებით არის ხელოვანი და თავისი დანიშნულების ერთგული, რადგან ხელოვანი ჯილდოს დილის ფოსტასავით არ ელის“.

ყველაფერი უკიდურესობამდე მიყავდა. ერთი შეხედვით, ეს ადამიანს შეუძლებლადაც შეიძლება მოეჩვენოს. იმას ვგულისხმობ, რომ ასაკთან ერთად, ალბათ, საკუთარ თავსაც გამოუტყდა, რომ სტილის მეტი, რაზეც ასე ბევრს, გულმოდგინედ და თავგანწირვით მუშაობდა. არაფერი დარჩა. ზოგჯერ გეგონებოდა, ის თავის სტილზე უფრო მნიშვნელოვანია და მასზე მაღლა მდგარი. კეთილი და მხიარული კაცი იყო, უყვარდა სიცილი და არასოდეს დაწვრილმანდებოდა, მხოლოდ შინაგანი მთლიანობისა შურდა, რადგან ეს თვისება სრულიად აუცილებელია იმისთვის, ვისაც მისი შემოქმედების გაგება მოუნდება; მზად იყო ნებისმიერი ადამიანის წინაშე, გულახდილი ყოფილიყო, თუ დარწმუნდებოდა, რომ ის ხელოვნებას მასავით მოკრძალებით რუდუნებით ეპყრობა. იმ რამდენიმე დღისა და კვირის განმავლობაში, ახალ ორლეანში რომ გავატარეთ, თანდათან გავიაზრე – ჩემს გვერდით არის ადამიანი, რომელიც ყოველ დილას განმარტოებაში ატარებს – მუშაობს. შუადღით გამოჩნდებოდა. ქალაქში ვსეირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობდით და ვსაუბრობდით. საღამოს კვლავ ვხვდებოდით თითო ჭიქის გადასაკრავად და ლაპარაკი უკვე თავისუფლად შეგვეძლო; ჩრდილიან ეზოებში გვიყვარდა ყოფნა, სადაც გამოკვეთილად ისმოდა ბოთლზე შემთხვევით მიჭახუნებული სასმისის ხმა, ხოლო ოდნავშესამჩნევი ნიავი კი პალმის ფოთლებს მშრალ ქვიშასავით აშრიალებდა. ისეთ წამებს განვიცდიდით, რომლებიც მთელ სამყაროს დაიტევდა. დგებოდა დილა. ის კვლავ განმარტოვდებოდა და მუშაობდა. იმ დროს, ერთხელ, ჩემ თავს ვუთხარი: „თუ სულ ეს არის საჭირო, რომ მწერალი გახდე, ასეთი ცხოვრება ჩემზეა გამოჭრილი“.

ასე დავიწყე „ჯარისკაცის ჯილდოს“ წერა. ქალბატონ ანდერსონს მანამდე ვიცნობდი, სანამ შერვუდს გავიცნობდი. ერთხელ ქუჩაში შევხვდი, საკმაოდ დიდი ხანი გასულიყო, რაც მათთან არ მივსულვარ. მისაყვედურა, რომ იშვიათად ვსტუმრობდი. ვუთხარი, რომანს ვწერ-მეთქი. მკითხა, ხომ არ მინდოდა შერვუდისთვის რომანის ჩვენება. ზუსტად არ მახსოვს, რა ვუპასუხე, მაგრამ ჩემი სიტყვების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ წინააღმდეგი არ ვიქნებოდი, ცხადია, თუ რომანის ნახვას თავადაც ისურვებდა. მითხრა, როგორც კი მორჩები, რომანი მოიტანეო და ორი თვის მერე ასეც მოვიქეცი. რამდენიმე დღეში დამიბარა და მითხრა: „შერვუდი ამბობს, გარიგებას გთავაზობო. თუ რომანის წაკითხვა არ დამჭირდება, ლაივრაითს ვთხოვ (ჰორას ლაივრაითი იმ დროს მისი გამომცემელი იყო) რომანი გამოაქვეყნოსო“.

კარგი-მეთქი, ვუთხარი და ყველაფერი ამით დამთავრდა. ლაივრაითმა წიგნი გამოსცა, მაგრამ ამის შემდეგ ანდერსონი მხოლოდ ერთხელ ვნახე, რადგან ამასობაში სწორედ ის, კარიკატურებთან დაკავშირებული ამბავი მოხდა, რომლის გამოც რამდენიმე წელი ჩემთან შეხვედრა არ უნდოდა, სანამ ერთხელაც ნიუ-იორკში კოქტეილზე არ შევხვდით; მაშინ წამით კვლავ თავის დაწერილზე მეტად მნიშვნელოვანი მეჩვენა, თუმცა მერე „უაინსბურგი, ოჰაიო“, „კვერცხის ტრიუმფი“ და რამდენიმე მოთხრობა კრებულიდან „ცხენები და ადამიანები“ გამახსენდა და მივხვდი, რომ დედამიწაზე, რომელზეც ბევრი, ძალიან ბევრი ქონდრისკაცი ცხოვრობს, გოლიათს ვუმზერ, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ მან მხოლოდ ერთი, ორი ან სამი გოლიათური მოძრაობის გაკეთება მოახერხა.

1953

კომენტარები

1. „გაზაფხული“ (1926) ჰემინგუეის მოთხრობის სათაურია, რომელშიც პაროდირებულია შერვუდ ანდერსონის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი რომანი „ბნელი სიცილი“ (1925) და ჰერტრუდა სტაინის სტილი მისი წიგნიდან „ამერიკელების ქმნილება“ (1925).

2. „შერვუდ ანდერსონი და სხვა ცნობილი კრეოლები“ – 1926 წლის დეკემბერში გამოვიდა ახალ ორლეანში. უილიამ სფრეთლინგის ნახატების წიგნი „შერვუდ ანდერსონი და სხვა ცნობილი კრეოლები: თანამედროვე ახალი ორლეანის პანორამა“ ფოლკნერის წინათქმით, სადაც იგი აკეთებს შერვუდ ანდერსონის სტილის პაროდიას, რამაც მათი ურთიერთობა დაძაბა.

3. შელმეთის ბრძოლა – 1615 წლის 6 იანვარს ახალი ორლეანის მახლობლად ამერიკელმა გენერალმა ენდრიუ ჯექსონმა (1767-1845), რომელიც შემდგომში აშშ-ის პრეზიდენტი გახდა (1829-1837), დაამარცხა ინგლისის ჯარი. 1907 წელს ამ ბრძოლის ადგილზე გაიხსნა შელმეთის ეროვნულ-ისტორიული პარკი.

4. დრაიზერის ინდიანა – იგულისხმება თეოდორ დრაიზერის წიგნი „ინდიანელის არდადეგები“ (1916).

5. სენდბერგის საყასბოები – იგულისხმება კარლ სენდბერგის პირველი პოეტური კრებული „ჩიკაგური ლექსები“ (1916).

6. ტვენის ბაყაყი – იგულისხმება მარკ ტვენის მოთხრობა „სახელგანთქმული კალავერასელი მოხტუნავე ბაყაყი“ (1865).

ინგლისურიდან თარგმნა და
კომენტარები დაურთო
გია სართანიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანატოლ ფრანსი

ლილითის ასული

*ჟან პსიქარის**

პარიზი გასული დღის საღამოს დავტოვე. გრძელი, მდუმარე და თოვლიანი ღამე ვაგონის კუთხეში გავატარე. ნაშუადღევს, ექვსსაათიანი მოსაწყენი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, X-ში ვიშოვე სოფლის ორთვალა, რომელიც არტიგამდე მიმიყვანდა. გზის ორივე მხარეს ნაოჭებით დასერილი ველი იყო გადაშლილი. ადრე ეს ველი მინახავს მოკაშკაშე მზის სხივებისგან გაღიმებული, ახლა კი იგი თოვლის სქელი საფარით დაფარულიყო, რომელზედაც დაგრეხილი შავი ვაზი იყო ჩამწკრივებული.

მეეტლე ზანტად მიერეკებოდა თავის ჯაგლაგს. მივდიოდით დაუსრულებელ სიჩუმეში. დროდადრო მას ფრინველის განწირული კივილი არღვევდა. სევდამოწოლილი გულში ვლოცულობდი: „კეთილმოწყალეო უფალო, მიხსენ უიმედობისაგან და ეგზომ ცოდვილს, ნუ ჩამადენინებ იმ ცოდვას, რომელსაც არ პატიობ“. და უცებ ჰორიზონტზე ჩამავალი მზე დავინახე: წითელი, უსხივო, როგორც გასისხლიანებული ჰოსტია*. გამახსენდა გოლგოთას გამოსასყიდი მსხვერპლი და ვიგრძენი, რომ ჩემს სულს იმედი მიეცა.

ბორბლების ქვეშ თოვლის ხრაშუნი ერთხანს კიდევ გაგრძელდა. ბოლოს, როგორც იქნა, მეეტლემ შოლტის წვერით არტიგის სამრეკლო მაჩვენა, რომლის სილუეტიც მოწითალო ბურუსში გამოჩნდა.

— ეე! ესე იგი, მღვდლის სახლთან ჩამოხვალთ? — მითხრა ამ კაცმა. — იცნობთ ბატონ კიურეს?

— ბავშვობიდან ვიცნობ. სკოლაში ჩემი მასწავლებელი იყო.

— ძალიან გაწაფულია წიგნებში, არა?

— მეგობარო, კიურე საფრაკი იმდენადვე განსწავლულია, რამდენადაც უბიწო ადამიანიც.

— კი. ამას ამბობენ. თუმცა სხვა რამესაც ამბობენ.

— რას?

— რასაც უნდათ, იმას. მე ამაში არ ვერევი. რაც უნდათ, ისა თქვან.

— მაინც რას?

— ისეთებიც არიან, ვისაც სჯერა, რომ მსიე კიურე კუდიანია და გათვალვა შეუძლია.

— რა სისულელეა!

— მე, ჩემო ბატონო, არაფერს ვამბობ. მაგრამ, თუკი ბ-ნი საფრაკი კუდიანი არ არის და გათვალვა არ შეუძლია, მაშინ წიგნებს რატომ კითხულობს?

ორთვალა მღვდლის სახლთან გაჩერდა.

დავშორდი ამ ბრიყვს და კიურეს მოახლეს გავყევი. მან მასპინძელთან მიმიყვანა. ოთახში სუფრა უკვე გაშლილი იყო. სამი წლის განმავლობაში, რაც ბ-ნი საფრაკი არ მენახა, იგი საგრძნობლად გამოიცვალა. მაღალი

---

*ჟან პსიქარი (Jean Psichari) *(1854 – 1881) – ფრანგი მწერალი და ფილოლოგი, ახალი ბერძნული ენის სპეციალისტი.*

***ჰოსტია – 1. მსხვერპლი; 2. სეფისკვერი კათოლიკურ ეკლესიაში.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი წელში მოხრილიყო და მეტისმეტად გამხდარიყო. ჩამომხმარ სახეზე ორი გამგმირავი თვალი უბრწყინავდა. თითქოს გაზრდილი ცხვირი დაწვრილებული პირისკენ დაწეულიყო. ჩავეხუტე და ტირილი ამივარდა:

— მამაო, მამაო, ცოდვილი თქვენთან მოველ. ჩემო ძველო მოძღვარო, თქვენი ღრმა და გამოუცნობი სიბრძნე აფრთხობდა ჩემს გონებას, მაგრამ მიმხნევებდა სულს და მაგრძნობინებდა დედობრივ სიყვარულს. იხსენით უფსკრულის პირას მდგარი შვილი. ო, ჩემო ერთადერთო მეგობარო, მიხსენით, გამანათლეთ, ჩემო ერთადერთო სინათლევ!

იგი მომეხვია, გამიღიმა იმ მომაჯადოებელი ღიმილით, რომლის სიკეთეშიც ჩემს ახალგაზრდობაში არაერთხელ დავრწმუნებულვარ. შემდეგ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, თითქოს იმისთვის, რომ უკეთ დავენახე და:

— ღმერთი თქვენკენ, — მომესალმა იგი თავისი კუთხის წესისამებრ. ბ-ნი საფრაკი დაიბადა გარონის ნაპირებზე, იმ სანაქებო ღვინოების მხარეში, რომლებიც თითქოს მისი გულუხვი და კეთილი სულის დასტური იყო.

თავის დროზე, როდესაც მან დაასრულა ფილოსოფიის პროფესორის ბრწყინვალე მოღვაწეობა ბორდოში, პუატიესა და პარიზში, თავისთვის ითხოვა ერთადერთი შეღავათი – ღარიბი სამწყსო იმ კუთხეში, სადაც დაიბადა და სადაც სურდა მომკვდარიყო. უკვე ექვსი წელია, რაც არტიგის კიურე ამ დაკარგულ სოფელში მორჩილ ღვთისმოსაობასა და უმაღლეს განსწავლულობას განასახიერებდა.

— ღმერთი თქვენკენ! შვილო ჩემო, — გაიმეორა მან. — ჩამოსვლის შესახებ რომ მომწერეთ, წერილმა ძლიერ ამაღელვა. ესე იგი, არ დაგვიწყნიათ მოხუცი მასწავლებელი?

მინდოდა, ფეხებში ჩავვარდნოდი. ,,მიხსენით, მიხსენით," — ვლუღლუღებდი განუწყვეტლივ. მან შემაჩერა მბრძანებლური, თუმცა თბილი ჟესტით.

— არი, თქვენ სათქმელს ხვალ მეტყვით. ახლა კი, ჯერ გათბით. შემდეგ ვივახშმოთ. უეჭველად გცივათ და ძალიან გშიათ!

მოახლემ მაგიდაზე დადგა საწვნე, რომელსაც სურნელოვანი ოხშივარი ასდიოდა. მოხუც ქალს თმა შავი თავსაბურავით ჰქონდა დაფარული. დანაოჭებულ სახეზე უცნაურად იყო შეზავებული ბუნებრივი სილამაზე და დაჩაჩანაკების სიმახინჯე. ძლიერ აღელვებული ვიყავი, მაგრამ ამ წმინდა კერის სიმშვიდემ, ბუხარში მოგიზგიზე წალამმა, თეთრმა, ქათქათა სუფრამ, ჭიქებში დასხმულმა ღვინომ და ცხელმა კერძებმა თანდათანობით დამამშვიდა. ჭამის დროს თითქმის დამავიწყდა, რომ მღვდლის სავანეში სინდისის საშინელი ქენჯნისგან გასათავისუფლებად მოვედი. ბ-მა საფრაკმა მომაგონა ის შორეული წარსული, როდესაც გვაერთიანებდა ერთი სასწავლებლის კედლები, რომელშიც იგი ფილოსოფიას ასწავლიდა.

— არი, — მითხრა მან, — საუკეთესო მოწაფე იყავით. თქვენი ცოცხალი ჭკუა-გონება ყოველთვის წინ უსწრებდა მასწავლებლის აზრს, რითიც იმთავითვე მიიპყარით ჩემი ყურადღება. თქვენში მომწონს ქრისტიანის შეუპოვრობა. არ შეიძლება, რწმენა იყოს მოკრძალებული, როდესაც დაუოკებელი უღმერთობა უტიფრად გიტევს. დღეს ეკლესიას კრავებიღა შემორჩა, მას კი ლომები სჭირდება. ვინ დაგვიბრუნებს მამებსა და სწავლულებს, რომელთა ხედვა ყველა მეცნიერებას სწვდებოდა? ჭეშმარიტება მზესავით არის: მის დასანახად არწივის თვალია საჭირო.

— ო, ბატონო საფრაკ, თქვენ, მხოლოდ თქვენ, ყველაფერს ხედავდით არწივის გაბედული თვალით. მას ვერაფერი დააბრმავებდა. მაგონდება, რომ თქვენი ზოგიერთი მსჯელობა აფრთხობდა იმ თქვენ თანამოაზრეებსაც, თქვენი ცხოვრების სიწმინდე რომ აღაფრთოვანებდა. არ გაშინებდათ სიახლე. მაგალითად, დასაშვებად მიგაჩნდათ დასახლებული სამყაროების სიმრავლე.

კიურეს თვალები გაუბრწყინდა.

— ნეტავ, რას იტყვიან გაუბედავნი, ჩემ წიგნს რომ წაიკითხავენ? არი, ამ მშვენიერი ცის ქვეშ, ქვეყანაში, რომელიც ღმერთმა განსაკუთრებული სიყვარულით შექმნა, ვფიქრობდი და ვშრომობდი. მოგეხსენებათ, საკმაოდ კარგად ვფლობ ებრაულს, არაბულს, სპარსულსა და ინდოეთის რამდენიმე დიალექტს. ალბათ, ისიც იცით, რომ აქ ჩამოვიტანე ძველი ხელნაწერებით მდიდარი ბიბლიოთეკა. საფუძვლიანად შევისწავლე ძველი აღმოსავლეთის ენები, მითები და გადმოცემები. გაწეული უზარმაზარი და მძიმე შრომა, ღვთის მადლით, უნაყოფოდ არ დარჩენილა. ეს-ეს არის დავასრულე წიგნი – „სათავეები". იგი აღადგენს და ეთანხმება იმ რელიგიურ ეგზაგეზას, რომელსაც მკრეხელური მეცნიერება გარდუვალ მარცხს უწინასწარმეტყველებდა. არი, უფალმა კეთილმოწყალებით ინება, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ბოლოს და ბოლოს შეთანხმებულიყვნენ. ამ შეთანხმების საწყის იდეად ავიღე შემდეგი: ბიბლია, სულიწმინდით შთაგონებული, მოგვითხრობს მხოლოდ სიმართლეს, თუმცა, იგი არ გვეუბნება მთელ სიმართლეს. ან კი როგორ უნდა თქვას: მისი ერთადერთი მიზანია, გვასწავლოს, როგორ მოვიპოვოთ მარადიული ხსნა. ამ უმაღლესი მიზნის გარდა მისთვის სხვა არ არსებობს. მისი ზრახვა იმდენადვე მარტივია, რამდენადაც ამოუწურავი. იგი მოიცავს შეცოდებას და მონანიებასაც. ეს ადამიანის ღვთიური ისტორიაა, ყოვლისმომცველიც და შეზღუდულიც. მასში ისეთი არაფერია, ამქვეყნიურ ცნობისმოყვარეობას რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკმაყოფილებდეს. მაგრამ არ არის საჭირო, უღმერთო მეცნიერება ღვთის დუმილზე მეტ ხანს ბატონობდეს. დროა ითქვას: „არა, ბიბლია არ ცრუობს, მაგრამ არც ყველაფერს ამბობს". აი ამ ჭეშმარიტებას ვაცხადებ გოლგოთაზე, პრეისტორიულ არქეოლოგიაზე, აღმოსავლურ კოსმოგონიაზე, ხეთურ და შუმერულ ძეგლებზე, ქალდეურ და ბაბილონურ თქმულებებსა და თალმუდში დაცულ უძველეს ლეგენდებზე დაყრდნობით. მე დავამტკიცე პრეადამიტების არსებობა, რომელთა შესახებ „შესაქმის" შთაგონებული ავტორი არაფერს ამბობს მხოლოდ იმ ერთი მიზეზის გამო, რომ მათი არსებობა არავითარ კავშირშია ადამის შვილთა მორალურ ხსნასთან. უფრო მეტიც, „შესაქმის" პირველი თავების გულდასმით შესწავლამ თვალნათლივ დამანახა, რომ ერთმანეთისგან მრავალი საუკუნის დაშორებით სამყარო ორჯერ შეიქმნა. ამათაგან მეორე, ასე ვთქვათ, სხვა არაფერია თუ არა დედამიწის ერთი მხარის მისადაგება ადამისა და მისი შთამომავლობის საჭიროებებისთვის.

იგი ერთი წამით შეჩერდა და შემდეგ ჭეშმარიტად ეკლესიური დიდებულებით განაგრძო:

— მე, მარციალ საფრაკი, უღირსი მწყემსი, თეოლოგიის დოქტორი, პატარა ბავშვივით მორჩილი ჩვენი წმინდა დედა ეკლესიისა, ურყევი შეუვალობით ვამტკიცებ, — თუ კი ამაზე წმინდა მამის, — მისი უწმინდესობა პაპის, — და საეკლესიო კრებების ნებაც იქნება, — რომ ადამს, შექმნილს ღვთის დარად, ორი ცოლი ჰყავდა, რომელთაგან ევა იყო მეორე.

ამ საკვირველმა სიტყვებმა ნელ-ნელა ჩემს ფიქრებს მომწყვიტა და მათ მიმართ უცნაური ინტერესი გამიჩნდა. თითქოს გულიც დამწყდა, როდესაც კიურემ იდაყვები მაგიდაზე დააყრდნო და თქვა:

— კარგი, ამჯერად ამაზე საუბარი შევწყვიტოთ. როდესმე თუ ჩემ წიგნს წაიკითხავთ, იგი ყველაფერს აგიხსნით. ახლა კი ვალდებული ვიყავი, დავმორჩილებოდი უმკაცრეს წესს და ნაშრომი არქიეპისკოპოსისთვის წარმედგინა მისი დასტურის მისაღებად. ამჟამად ხელნაწერი მის კანცელარიაშია და წუთი წუთზე პასუხს ველი. ჩემი აზრით, იგი კეთილგანწყობილი უნდა იყოს. შვილო, მიირთვით აქაური ტყეების სოკო, დააჭაშნიკეთ ჩვენი კუთხის ღვინო და თქვით, განა ეს არ არის მეორე აღქმული მიწა, პირველი კი ხატი და წინასწარმეტყველება იყო.

ამ წუთიდან მოყოლებული გულთბილი საუბრისას ბევრი რამ მოვიგონეთ.

— დიახ, შვილო ჩემო, — მითხრა მსიე* საფრაკმა. — გამორჩეული მოწაფე იყავით. ღმერთი არ კრძალავს გამორჩევას, თუკი ის სამართლიანობაზეა დაფუძნებული. თქვენში უცებ დავინახე ნამდვილი ადამიანისა და ქრისტიანის ჩანასახი. ამავე დროს დიდი ნაკლიც გაგიჩნდათ: იყავით მერყევი, გაუბედავი. ადვილად შეიძლებოდა თქვენი შეცბუნება. თქვენს სულში მწიფდებოდა ჯერ კიდევ უხილავი სიფიცხე. მიყვარდით მოუსვენრობისთვის ისევე, როგორც მიყვარდა მეორე ჩემი მოწაფე საპირისპირო თვისებებისთვის. მე ვაფასებდი პოლ დ'ევრის გონებისა და გულის ურყევი სიმტკიცისთვის.

ამ სახელის გაგონებაზე გავწითლდი, გავთეთრდი, ძლივს შევიკავე ყვირილი და, როდესაც პასუხის გაცემა დავაპირე, აღმოჩნდა, რომ ლაპარაკი არ შემეძლო. მასპინძელს თითქოს არც კი შეუმჩნევია ჩემი აღელვება:

— თუ მეხსიერება არ მღალატობს, თქვენი საუკეთესო ამხანაგი იყო, – თქვა მან.

— ხომ წინანდებურად ახლობლები ხართ? ვიცი, დიპლომატიურ ასპარეზზეა. კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ძალიან მინდა, უკეთესი დრო დადგეს და იგი ვატიკანში გაამწესონ. მისი სახით ერთგული და სანდო მეგობარი გყავთ.

— მამაო, პოლ დ'ევრისა და კიდევ ერთი ადამიანის შესახებ ხვალ დაგელაპარაკებით.

მსიე საფრაკმა ხელი ჩამომართვა. ერთმანეთს დავშორდით. მე ჩემთვის გამზადებულ ოთახში წავედი. ლავანდის სურნელოვან ლოგინში მძინარეს დამესიზმრა, რომ ბავშვი ვარ და სასწავლებლის ეგუტერში დაჩოქილი ვტკბები უბიწო, გასხივოსნებული ქალებით, რომელთაც შეევსოთ ამბიონი. უეცრად მომესმა ღრუბლებიდან მოვლენილი ხმა: „არი, შენ გგონია, რომ ისინი შეიყვარე ღმერთში, სინამდვილეში კი ღმერთი შეიყვარე მათში!"

დილით გაღვიძებულმა ლოგინის თავთან მსიე საფრაკი დავინახე.

— არი, — მითხრა მან, — დაესწარით მესას, რომელსაც დღეს თქვენთვის აღვასრულებ. მესის დამთავრების შემდეგ მზად ვიქნები, მოგისმინოთ.

არტიგის ეკლესია იმ რომანული სტილის პატარა სალოცავია, რომელიც აკვიტანიაში ყვაოდა ჯერ კიდევ XII საუკუნეში. ოცი წლის წინათ აღდგენილს მიემატა სამრეკლო, რომლის აგება პირვანდელი გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა. სიღარიბის გამო ეკლესიამ სუფთად შემოინახა თავისი შიშველი კედლები. მე იმდენად შევუერთდი კიურეს ლოცვებს, რამდენადაც ამის შესაძლებლობა მომცა ჩემმა ფიქრებმა. შინ დაბრუნებისას პურითა და რძით ვისაუზმეთ და შევედით მსიე საფრაკის ოთახში. მან სკამი მისწია ბუხართან, რომლის თავზე დაკიდებული იყო ჯვარცმა. მანიშნა, დავმჯდარიყავი მის გვერდით და მითხრა მოყოლა დაიწყეო. გარეთ თოვდა.

— მამაო, — დავიწყე მე, — უკვე ათი წელია, რაც თქვენი მზრუნველობიდან გამოვედი და საზოგადოებაში გავერიე, შევინარჩუნე რწმენა, მაგრამ აფსუს, რომ ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევინარჩუნე სისპეტაკე. ვფიქრობ, არ ღირს განვლილი ცხოვრების გადმოცემა, თქვენ მას იცნობთ, ჩემო სულიერო მოძღვარო, ჩემი გონების ერთადერთო წარმმართველო. თანაც ვჩქარობ, მივუახლოვდე იმ ამბის თხრობას, რომელმაც შეძრა ჩემი ცხოვრება.

შარშან ოჯახმა ჩემი დაქორწინება გადაწყვიტა, რასაც სიამოვნებით დავეთანხმე. საცოლედ შერჩეული ქალიშვილი პასუხობდა ყველა მოთხოვნას, რომელიც, ჩვეულებრივად, მშობლებს შეიძლება ჰქონდეთ. მეტიც, ლამაზი იყო და მომწონდა. ამდენად, გარიგებით ქორწინების ნაცვლად ცოლს გულის კარნახით ვირთავდი. ჩემი წინადადება მიღებულ იქნა. ნიშნობაც შედგა. ბედნიერება და მშვიდი ცხოვრება უზრუნველყოფილად მიმაჩნდა, როდესაც მივიღე პოლ დ'ევრის წერილი. იგი კონსტანტინეპოლიდან პარიზში დაბრუნებას მატყობინებდა და ჩემი ნახვის დიდ სურვილს გამოთქვამდა. უცებ გავქანდი მასთან და ჩემი ქორწილის ამბავი ვაუწყე. გულწრფელად მომილოცა.

— ძალიან მიხარია, ჩემო ძმაო, შენი გაბედნიერება, — მითხრა მან.

ვთხოვე, ჩემი მხრიდან მოწმე ყოფილიყო, რაც ძალიან მინდოდა. სიამოვნებით დამთანხმდა. ქორწინების დღედ დაინიშნა თხუთმეტი მაისი. პოლი სამსახურს ივნისის პირველ რიცხვებში უნდა დაბრუნებოდა.

— ძალიან კარგი. ახლა კი მითხარი, თავად როგორ ხარ?

— ოჰ, — მიპასუხა მან ერთდროულად მხიარული და ნაღვლიანი ღიმილით. — მე ყველაფერი ამერია!.. გავგიჟდი... ქალი... არი, ან ძალიან ბედნიერი ვარ, ან ძალიან უბედური! რა შეიძლება ეწოდოს უკეთური საქციელით მოპოვებულ ბედნიერებას? მე ვუღალატე საუკეთესო მეგობარს, გული ვატკინე... იქ, კონსტანტინეპოლში, ცოლი წავართვი...

— შვილო ჩემო, — შემაწყვეტინა ბ-მა საფრაკმა, — თხრობიდან ამოაგდეთ სხვისი ცოდვები და სახელები. — დავპირდი და გავაგრძელე: — პოლს არც კი ჰქონდა სიტყვა დამთავრებული, როდესაც ოთახში ქალი შემოვიდა. უთუოდ ის უნდა ყოფილიყო. ეცვა გრძელი ცისფერი პენუარი და თავს საკუთარ სახლში გრძნობდა. მხოლოდ ერთი სიტყვით გამოვხატავ საშინელ შთაბეჭდილებას, რომელიც დამეუფლა: ქალი არაბუნებრივ არსებად მომეჩვენა. მესმის, რაოდენ არაზუსტია ეს განმარტება და როგორ დაცილებულია იგი ჩემს აზრს. თუმცა, შეიძლება, თხრობის გაგრძელებამ ნათელი მოჰფინოს ყველაფერს. მართალი გითხრათ, მისი ოქროსფერი თვალების გამოხედვაში, დროდადრო ნაპერწკლების კონებს რომ ისროდა, მისი უცნაური პირის მრუდში, ერთდროულად მოშავო და ნათელი სხეულის კანში, ტანის მკვეთრი, მაგრამ ჰარმონიული ნაკვთების რხევაში, ნამოჯების მაროვნებაში, შიშველ მკლავებში, რომლებზეც თითქოს უხილავი ფრთები იყო გამობმული და, ბოლოს, მის ვნებიან და მოუხელთებელ არსებაში ვიგრძენი ადამიანის ბუნებისთვის სრულიად უცხო რამ. არ ვიცი, იგი ნაკლებად თუ მეტად დახვეწილი იყო იმ ქალზე, ღმერთმა თავისი მკაცრი სიკეთით თანამგზავრად რომ შეგვიქმნადედმიწაზე ჩვენი გადასახლებისას. იმ წამიდან, როგორც კი დავინახე,მთლიანად დამეუფლა ერთი გრძნობა: ამ ქალის გარდა ყველაფრის მიმართ უსაზღვრო სიძულვილი გამიჩნდა.

მისი შემოსვლისთანავე პოლს წარბები შეეჭმუხნა, თუმცა მალევე გამოერკვია და გაღიმებაც სცადა.

— ლეილა, მინდა წარმოგიდგინოთ ჩემი საუკეთესო მეგობარი.

— მე ვიცნობ ბატონ არის, — თქვა მან.

ნათქვამი ერთობ უცნაურად ჟღერდა, რადგან ერთმანეთი ნამდვილად არასდროს გვენახა, ხოლო ტონი, რომლითაც ეს სიტყვები ითქვა, კიდევ უფრო უცნაური იყო. ბროლს რომ აზროვნების უნარი ჰქონოდა, იგი უთუოდ ამგვარად ილაპარაკებდა.

— ჩემი მეგობარი არი, — განაგრძო პოლმა, – ექვს კვირაში ცოლს ირთავს.

ამის გამგონე ლეილამ შემომხედა და ნათლად დავინახე, რომ მისმა თვალებმა თქვა „არა".

ძალიან დაბნეულმა დავტოვე პოლი, რომელსაც არც კი უცდია ჩემი დაკავება. გულდაცარიელებული და გაოგნებული მთელი დღე უაზროდ დავეხეტებოდი ქუჩებში. იმავე საღამოს შემთხვევით აღმოვჩნდი ბულვარზე, ყვავილების მაღაზიასთან. გამახსენდა საცოლე, შევედი მაღაზიაში თეთრი იასამნის საყიდლად. როგორც კი ყვავილი ავიღე, იგი ერთმა პატარა ხელმა გამომგლიჯა. დავინახე ლეილა, რომელიც სიცილით ტოვებდა მაღაზიას. მოკლე ნაცრისფერი კაბა და ასევე ნაცრისფერი ქურთუკი ეცვა. პატარა მრგვალი ქუდი ეხურა. საყიდლებზე გამოსული პარიზელი ქალის ეს ჩვეულებრივი სამოსი, უნდა გითხრათ, სულ არ უხდებოდა ამ ქმნილების ზღაპრულ სილამაზეს. იგი უფრო სამასკარადო კოსტუმს ჰგავდა და მაინც, როცა ლეილა ამ ტანსაცმელში გამოწყობილი ვნახე, ვიგრძენი, რომ დაუცხრომელი სიყვარულით მიყვარდა. მინდოდა, დავწეოდი, მაგრამ იგი გამვლელებსა და მანქანებს შორის გაუჩინარდა.

აქედან მოყოლებული აღარ ვცხოვრობდი. რამდენჯერმე პოლს ვესტუმრე, მაგრამ ლეილა ვერ ვნახე. პოლი თბილად მხვდებოდა, ოღონდ ლეილაზე სიტყვაც არ დასცდენია. ერთმანეთთან სალაპარაკო კი არაფერი გვქონდა და დაღონებული ვტოვებდი მას. ბოლოს, ერთ დღეს, როგორც იქნა, მსახურმა მითხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბატონი შინ არ გახლავთ. იქნებ მსიეს ქალბატონთან სურს საუბარი?

— დიახ! — ვუპასუხე. — ოოჰ, მამაო, ამ სიტყვას, ამ პატარა სიტყვას ვერც ერთი სისხლიანი ცრემლი ვერ გამოისყიდის! შევედი. იგი სასტუმრო ოთახში ტახტზე ნახევრად მიწოლილიყო. ტანთ ოქროსავით ყვითელი კაბა ეცვა, ფეხები მოკეცილი ჰქონდა. დავინახე იგი... თუმცა არა, საერთოდ ვეღარაფერს ვხედავდი, უცებ ყელი გამიშრა, ვერ ვლაპარაკობდი. მას მურისა და გუნდრუკის სურნელი ასდიოდა, რომელმაც დამათრო და ვნებით ამავსო: თითქოს ჩემს მთრთოლავ ნესტოებს ერთბაშად იდუმალი აღმოსავლეთის მთელი სურნელება დაეუფლა. ჭეშმარიტად, იგი არ იყო ბუნებრივი ქალი, ადამიანური არაფერი ეტყობოდა. მისი სახე არ გამოხატავდა რაიმე გრძნობას: არც კეთილსა და არც ბოროტს, მხოლოდ ავხორცობას, ერთდროულად მგრძნობიარესა და ციურს. მან აშკარად შენიშნა ჩემი აღელვება, რადგან მკითხა ტყის მორაკრაკე წყაროზე უფრო ტკბილი ხმით:

— რა გემართებათ?

ფეხებში ჩავუვარდი და აცრემლებულმა წამოვიყვირე:

— უგონოდ მიყვარხართ!

მან ხელები გაშალა და ავხორციანი, ხალასი მზერა მომაპყრო.

— რატომ ადრე არ მითხარით, მეგობარო?

სიტყვით გამოუთქმელი წამები! ლეილას მაგრად ვიხუტებდი. მეჩვენებოდა, ორივენი ცისკენ მივისწრაფოდით და მთლიანად ვავსებდით მას. თავი ღმერთთან გატოლებული მეგონა. ვგრძნობდი, თითქოს ჩემს სულში დაიბუდა სამყაროს მთელმა მშვენიერებამ, ბუნების სრულმა ჰარმონიამ, მნათობებმა, ყვავილებმა, მომღერალმა ტყეებმა, მდინარეებმა, ზღვების სიღრმემ. კოცნაში მარადიულობა ჩავაქსოვე...

ამ სიტყვებზე ბ-ნი საფრაკი, რომელიც რამდენიმე წამს აშკარა მოუთმენლობით მისმენდა, წამოდგა, ზურგი შეაქცია ბუხარს, ფეხების გასათბობად ანაფორას კალთები მუხლებამდე აიწია და მკაცრად, ერთგვარი ზიზღითაც კი მითხრა:

— უბედური ღვთისმგმობი ხართ. არ გძულთ თქვენი ცოდვები, აღსარებას ამპარტავნობითა და საკუთარი თავით ტკბობით მეუბნებით. მეტს აღარ გიგდებთ ყურს.

ცრემლით ავივსე, პატიება ვთხოვე. მან ჩემი სინანულის გულწრფელობა იგრძნო და ნება დამრთო, გამეგრძელებინა აღსარება იმ პირობით, რომ საკუთარი თავის მიმართ დაუნდობელი ვიქნებოდი.

კვლავ შევუდექი ამბის მოყოლას. ვცდილობდი, როგორც თავად დარწმუნდებით, საკმაოდ შემემოკლებინა იგი:

— მამაო, ლეილა მივატოვე. სინდისის ქენჯნა არ მაძლევენებდა. მაგრამ მეორე დღეს იგი თავად მოვიდა ჩემთან და განცხრომითა და ტანჯვით სავსე ცხოვრება დამეწყო. ვეჭვიანობდი პოლზე, რომელსაც ვუღალატე. საშინლად ვიტანჯებოდი. არა მგონია, რომ სიცოცხლეში ეჭვიანობაზე უფრო დამამცირებელი დარდი არსებობდეს, სულს რომ ყველაზე საძაგელი სურათებით ავსებს. ლეილას კი არც უცდია ეცრუა, რომ ჩემი ტანჯვა შეემსუბუქებინა. მისი ქცევაც გაუგებარი იყო. ვიცი, ვის ველაპარაკები და თავს უფლებას არ მივცემ, შეურაცხვყო ყველაზე ღირსეული მწყემსის ყურთასმენა. ერთს ვიტყვი მხოლოდ, რომ მეჩვენებოდა, თითქოს ლეილა სრულიად გულცივი იყო იმ სიყვარულის მიმართ, რომელსაც მისგან ვიღებდი. თუმცა მთელი ჩემი არსება ავხორცობის შხამით აავსო. მის გარეშე ცხოვრება არ შემეძლო და მისი დაკარგვისაც მეშინოდა. მისთვის აბსოლუტურად უცხო იყო ის, რასაც ჩვენ ზნეობას ვუწოდებთ. არ იფიქროთ, რომ ბოროტი ან ულმობელი იყო. პირიქით, იყო მშვიდი და შემბრალებელი. არ იყო უგუნური, ოღონდ მისი გონება ჩვენსას არ ჰგავდა. ცოტას ლაპარაკობდა. თავის წარსულზე დასმულ შეკითხვებს არ პასუხობდა. მან არ იცოდა ის, რაც ჩვენ ვიცით. სამაგიეროდ, ბევრი რამ იცოდა, რაც ჩვენთვის უცნობია. აღმოსავლეთში გაზრდილს ახსოვდა უამრავი ინდური და სპარსული ლეგენდა, რომელთაც მონოტონურად, მაგრამ უსაზღვრო გრაციით ყვებოდა. როდესაც ვუსმენდი მის თხრობას წუთისოფლის მშვენიერ აისზე, ვფიქრობდი, რომ იგი სამყაროს სიყრმის თანამედროვეა. ერთხელ ამის შესახებ ვუთხარი კიდევაც. გამიღიმა და მიპასუხა:

— მართალია, ბებერი ვარ.

მსიე საფრაკი ისევ ბუხართან იდგა, მაგრამ უკვე ჩემკენ გადმოხრილიყო. დიდი გულისყურით მისმენდა.

— განაგრძეთ, — მითხრა მან.

რამდენჯერმე ლეილას ვკითხე მისი სარწმუნოების თაობაზე. მიპასუხა, რომ მას რწმენა არა აქვს და არც სჭირდება. მითხრა, რომ მისი დედა და დები უფლის ასულები იყვნენ, მაგრამ მასთან არანაირი სარწმუნოებით დაკავშირებულნი არ ყოფილან. კისერზე მედალიონი ეკიდა, წითელი მიწით სავსე, რომელსაც, მისი თქმით, დედის მოკრძალებული სიყვარულით ინახავდა.

ის-ის იყო მოყოლა დავასრულე, რომ გაფითრებული და აკანკალებული ბ-ნი საფრაკი წამოხტა, ხელი ჩამჭიდა და მომახალა:

— იგი მართალს ამბობდა! ვიცი, ახლა კი ვიცი, ვინ იყო ეს არსება. არი, თქვენს ალღოს შეცდომაში არ შეუყვანიხართ. ეს არ იყო ქალი. განაგრძეთ, დაასრულეთ, ძალიან გთხოვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათქმელი თითქმის აღარ დამრჩა. ვაი, რომ ამ სიყვარულის გამო ჩემი ქორწინებაც ჩაიშალა და საუკეთესო მეგობარსაც ვუღალატე. შეურაცხყავი ღმერთი. პოლი ლეილას ღალატის გამო ჭკუიდან გადადგა, მოკვლითაც დაემუქრა. მან კი მშვიდად უპასუხა:

— სცადეთ, მეგობარო. მინდა მოვკვდე, მაგრამ არ შემიძლია.

ექვსი თვე იყო ჩემთან. შემდეგ კი, ერთ დილას, გამომიცხადა, რომ სპარსეთში ბრუნდებოდა და მეტს ვეღარ მნახავდა. ვტიროდი, ვკვნესოდი, მოვთქვამდი:

— არასდროს გყვარებივარ.

მშვიდად მიპასუხა:

— მართალია, არ მიყვარდით, მეგობარო, მაგრამ რამდენ ქალს, რომელთაც ყვარებიხართ, თქვენთვის მოუცია ის, რაც ჩემგან მიიღეთ? ჩემი მადლიერი უნდა იყოთ. მშვიდობით.

ორი დღის განმავლობაში ხან გააფთრებული, ხან კი გამოთაყვანებული ვიყავი. შემდეგ კი ჩემი სულის ხსნისთვის თქვენკენ გამოვეშურე, მამაო! და აი, თქვენს წინაშე ვარ. განმწმინდეთ, დამმოძღვრეთ, ძალა შემმატეთ! მე იგი დღესაც მიყვარს!

მოყოლა დავასრულე. ბ-ნი საფრაკი ჩაფიქრებული იყო, შუბლი ხელებში ჩაერგო. სიჩუმე მან პირველმა დაარღვია:

— შვილო ჩემო, აი ის, რაც ჩემს უდიდეს აღმოჩენებს ადასტურებს. ეს თუ დააოკებს თანამედროვე სკეპტიკოსების ქედმაღლობას. მომისმინეთ. ჩვენ ვცხოვრობთ სასწაულების ხანაში, როგორც ადამიანთა მოდგმის პირმშოები. მომისმინეთ, მომისმინეთ! უკვე გითხარით, რომ ადამს ჰყავდა პირველი ცოლი, რომლის შესახებ ბიბლია არაფერს ამბობს, მაგრამ ამას გვამცნობს თალმუდი. მას ერქვა ლილით. იგი შექმნილი იყო არა მისი ერთ-ერთი ნეკნის, არამედ წითელი თიხისგან, რომლისგანაც თავად ადამი იყო გამოძერწილი და, არ იყო იგი ხორცი მის ხორცთაგანი. ლილითი მას ნებით დაშორდა. ადამი ჯერ კიდევ უცოდველი იყო, როდესაც ქალმა მიატოვა და წავიდა იმ მხარეში, სადაც დიდი დროის შემდეგ სპარსელები დასახლდნენ. მანამდე კი იქ პრეადამიტები ცხოვრობდნენ, ადამიანებზე ბევრად გონიერნი და მშვენიერნი. ამდენად, იგი არ ყოფილა ჩვენი პირველი მამის პირველი ცოდვის თანამონაწილე და მას არ მისცხებია პირველცოდვის ლაქა. ამიტომ მასზე არ გავრცელებულა ევასა და მისი თესლის დაწყევლა. იგი თავისუფალია ტკივილისა და სიკვდილისგან. მას არა აქვს სული, რომელიც უნდა ცხონდეს. მან არ იცის, რა არის კეთილი და რა არის ბოროტი. რასაც აკეთებს, არც კარგია და არც ცუდი. მისი ქალწულები, რომლებიც იშვნენ საიდუმლო ქორწინებაში, მასსავით უკვდავნი და თავისუფალნი არიან ქცევასა და ფიქრებში, რადგან არ ძალუძთ, დაიმსახურონ უფლის წყალობა ან რისხვა. მაშ ასე, შვილო ჩემო, ზოგიერთი უცილობელი ნიშნით მე ვიცანი არსება — თქვენი ზნეობრივი დაცემის მიზეზი. ლეილა ლილითის ასული იყო. ილოცეთ, ხვალ თქვენ აღსარებას მოვისმენ.

ერთ წამს ჩაფიქრდა, შემდეგ ჯიბიდან ქაღალდის ფურცელი ამოიღო და განაგრძო:

— წუხელ, როდესაც ძილი ნებისა გისურვეთ, ფოსტალიონმა, დიდთოვლობამ რომ შეაგვიანა, ფრიად უსიამოვნო წერილი მომიტანა. ბატონი პირველი ვიკარიუსი მწერს, რომ ჩემმა წიგნმა ძლიერ დაანაღვლიანა და კარმელიტების დღესასწაული ჩაუმწარა. ამ თხზულებაში, — წერს იგი, — ჭარბადა არის ისეთი კადნიერი მსჯელობა და აზრები, რომელნიც წმინდა მამებმა დაგმეს. მისი უწმინდესობა ვერ დაეთანხმება ამგვარ მავნე მონაჩმახებს. ხომ ხედავთ, რასა მწერენ. მაგრამ მე მოვუყვები მის უწმინდესობას თქვენს ამბავს. იგი მას დაუმტკიცებს ლეილას არსებობას და იმასაც, რომ ეს ჩემი სიზმარი არ არის.

მასპინძელს ვთხოვე, კიდევ ერთი წუთი მოესმინა ჩემთვის.

— მამაო, წასვლისას ლეილამ კვიპაროსის ქერქის ნაფოტი დამიტოვა, რომელზეც სტილუსის წვერით ასოებია ამოკაწრული. მათი წაკითხვა ვერ შევძელი. აი ეს უცნაური ავგაროზი...

მსიე საფრაკმა თხელი ნაფოტი გამომართვა, ყურადღებით დააკვირდა და თქვა:

— ეს დაწერილია აყვავების ხანის სპარსულ ენაზე და ასე ითარგმნება:

ლილითის ასულის ლეილას ლოცვა

უფალო, მომივლინე სიკვდილი, რათა სიცოცხლე ვიგემო. უფალო, მომანიჭე სინანული, რათა სიამოვნება ვიგრძნო. უფალო ჩემო, მაქციე ევას ასულთა მსგავსად!

შენიშვნები:

ფრანგულიდან თარგმნა
გიორგი ანთელავამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია ჯალიაშვილი

თხრობის ტკბილი და სევდიანი სურნელი

XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში გამორჩეულია ჯემალ ქარჩხაძის პროზის სტილი, რასაც სწორედ თხრობის გარკვეული მანერა ქმნის. მის მონათხრობში ოსტატურად სინთეზირდება ისტორიული თუ გამოგონილი ამბები. ავტორის საინტერესოდ მიგნებულ ნიღბებს მკითხველი მოთხრობილი ამბების შუაგულში შეჰყავთ და მას ფიქციური თამაშების აქტიურ მონაწილედ აქცევენ.

მწერალი, არსებითად, ლიტერატურულ მითებს გადაათამაშებს მოთხრობაშიც სახელწოდებით „ანტონიო და დავითი". ნაწარმოებში გამოიკვეთება თხრობითი დისკურსის სამი ძირითადი პლანი. ერთს წარმართავს ბართოლომეო – მთავარი მთხრობელი, მეორეს – ანტონიო, მესამეს – დავითი. მოთხრობის სამოქმედო არეალი ზეისტორიულია. ავტორის ჩანაფიქრით, აღწერილი დრამა ნებისმიერ დრო-სივრცულ არეალში, ნებისმიერ სცენაზე შეიძლება გათამაშდეს. უფრო მეტიც, ეს პირობითი დრო-სივრცეა, რადგან, რეალურად, წარმოჩენილია მოგზაურობა სულის ლაბირინთებში. ადამიანური ვნება-განცდანი მატერიალიზებულია, ხორცშესხმულია, რომ თხრობამ მიმზიდველობა არ დაკარგოს.

მწერალი იყენებს კლასიკური ყაიდის თხრობით სტრატეგიებს, მაგრამ მათ თავისებური, განუმეორებელი ელფერით მოსავს. მათ შორის, შეიძლება გამოვყოთ: 1. სადა, მაგრამ საინტერესო სიუჟეტი; 2. უცხოელის თვალით აღწერილი საქართველოს ზნე-ჩვეულებანი; 3. ზომიერად ჩართული დეტექტიური ელემენტები, რომლებიც ამაღლებს მკითხველის მოლოდინის დაძაბულობის ხარისხს; 4. მარადიულად აქტუალური რელიგიური თემატიკა – სულისა და ხორცის ჭიდილი; 5. სხარტი, „სოკრატესეული" დიალოგები, რომელთაც, ერთი მხრივ, ახალი თვალსაზრისის შექმნა და, მეორე მხრივ, ამბის განვითარება მოსდევს. 6. ბუნებრივად, არათვალშისაცემად მოხმობილი ტროპები, უპირველესად: მეტაფორები, შედარებები, ეპითეტები; 7. ლაღი, გაშლილი, ექსპრესიული, მსუბუქი თხრობა. 8. ინტელექტუალიზმის ნიშნით აღბეჭდილი მსჯელობანი.

თხრობის ტონის მისაცემად უმნიშვნელოვანესია სათაურის შერჩევა და მისი ესთეტიკა. ჯემალ ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩხაძის სათაურები ყოველთვის კონცეპტუალურია, არა განწყობილებისა თუ ზედაპირული ემოციურობის, არამედ მოთხრობის კონტექსტის ღრმა შინაგანი არსის გამომხატველი. „ანტონიო და დავითი" იმგვარ სათაურთა რიგს განეკუთვნება, სამყაროულ წინააღმდეგობებს რომ წარმოაჩენს. ეს არის სინათლისა და სიბნელის, სიკეთისა და ბოროტების, ცოდვა-მადლისა და სხვა ამ რიგის მოვლენების დაპირისპირება. თუმცა, სათაური ორმაგად არის კოდირებული. ერთი მხრივ, ზემოთ ნათქვამი შინაარსია ჩადებული, მეორე მხრივ, ეს არის წინააღმდეგობრივ ძალთა შერწყმა-სინთეზირების პროცესის ამსახველი, ე.ი. ბოროტების სიკეთედ გარდაქმნა ხდება გარკვეული მსხვერპლშეწირვის გზით.

მოთხრობაში ანტონიოსა და დავითის „ხმები" აბსოლუტურად განსხვავდება. შეიძლება თუ არა მათი მორიგება და რა გზით? ეს აინტერესებს მწერალს და მკითხველსაც. ავტორი სიბნელის სინათლედ გარდაქმნის თავისებურ მხატვრულ ვერსიას გვთავაზობს. მოთხრობის რთული რელიგიურ-ფილოსოფიური პრობლემატიკა ნათლად და გამჭვირვალედ მიეწოდება მკითხველს. როგორ ახერხებს ამას მწერალი? მას ტექსტი კარგად მოფიქრებული სტრუქტურით აქვს შექმნილი, სადაც ყოველ დეტალს, ზედაპირულსა თუ სიღრმისეულს, თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. ჯემალ ქარჩხაძე ფიქრობდა, რომ შემოქმედებით პროცესში ორივე საწყისი მონაწილეობს – ცნობიერიც და არაცნობიერიც. მისი აზრით, ხელოვნება დიდი სულიერი რხევის შუა წელშია, იქ, სადაც რელიგია და ფილოსოფია ერთმანეთში გადადის: „სრული ჰარმონია – პოლუსების წონასწორობა და დოზების თანაფარდობა – ცენტრშია და პირადად მე სწორედ ეს მგონია შემოქმედისთვის საუკეთესო ადგილი" *(ზნეობის ეკოლოგია (ფრაგმენტები დიალოგებიდან).* ჟურნალი „არილი", №16, თბილისი: 2000). ჯემალ ქარჩხაძე ინტუიციისა და ალღოს წყალობით შესანიშნავად ახერხებს ამ „ოქროს შუალედის" მოძებნას და ქმნის თხრობის მწყობრ სისტემას. თვითონ მწერალი იმასაც არ მალავდა, რომ მასში ცნობიერი ჭარბობდა არაცნობიერს, თუმცა ნიჭისა და ოსტატობის წყალობით ხელოვნურობის კვალი მოთხრობას არ ატყვია.

მნიშვნელოვანია ნაწარმოების დასაწყისი, – თუ ვის ან რას გვაცნობს მწერალი, რა მხატვრულ ინფორმაციას გვაწვდის იმისთვის, რომ შემდგომი მოვლენები არსებითად გავიაზროთ. მიხეილ ჯავახიშვილი წერილში – „როგორ ვმუშაობ" წერს: *„ყველაზე უფრო ძნელი მოთხრობის დაწყებაა. დასაწყისი მთელ მოთხრობას აძლევს რიტმს, კოლორიტს, სტილს. უნდილად დაწყებული ამბავი უნდილადვე წავა. ძნელია შემდეგში ცეცხლის გაღვივება. სტილისა და რიტმის შეცვლა ძნელიც არის და სახიფათოც, ამიტომ მე დიდხანს ვეძებ ხოლმე დასაწყისს. რუსები ამბობენ, მოზვერს ერთბაშად სტაცე ხელი რქებშიო. მეც კარგახანს ვუტრიალებ მოზვერს და როცა დროს ვიხელთებ, ვცდილობ უცბად დავწვდე რქებში და აღარ მოვადუნო. დასასრული სიძნელის მხრივ დასაწყისს არ ჩამოუვარდება. ადვილი არ არის უკანასკნელი წერტილის დასმა. ეს ლურსმანი ყველაზე უფრო ღრმად უნდა იქნეს ჩარჭობილი. ავტორი ყველა მკითხველზე უფრო ულმობელი და ჟინიანი მკითხველია და ამიტომ ის თვითონვე უნდა იყოს დასასრულით კმაყოფილი".*

ამ თვალსაზრისით, „ანტონიო და დავითის" დასაწყისიცა და დასასრულიც ოსტატურადაა შექმნილი. დასაწყისშივე იქმნება გარკვეული სტილი და რიტმი, რომელიც შემდეგ ვარიაციულად ვითარდება, მოწოდებული მხატვრული ინფორმაციის შესაბამისად. მთავარმა მთხრობელმა ერთი გულისშემძვრელი ამბავი დაასრულა და ახლა მეორესთვის, მესამესთვის და ა.შ. უსასრულო თხრობისთვის არის მზად, რადგან ეს ამბები მისი ცხოვრებაა, თვითონ არის თანამონაწილე ამ დრამატული მოვლენებისა. ამგვარი ტიპის მონათხრობისთვის ერთ-ერთი ყველაზე შესაფერისი მოგზაურობის ჟანრი იქნებოდა და მწერალს ალღომ არც ამჯერად უღალატა. მთავარი მთხრობელი მოგზაურია. მწერალი იცავს ამ ჟანრისთვის დამახასიათებელ წეს-კანონებს. დაწვრილებით, დეტალურად იხსენებს ნანახ-გაგონილს, ოღონდ, რა თქმა უნდა, საამბობელ მასალას საგანგებოდ არჩევს. ამბების ჯაჭვი ემოციურად და აზრობრივად მწყობრი ლოგიკით არის წარმოდგენილი. დროის სტრუქტურული მოდელი კლასიკურია, ყოველივე ეს მკითხველისგან არანაირ ძალისხმევას არ მოითხოვს, რომ ჩაერთოს მწერლისგან ინსპირირებულ ფიქრის მდინარებაში.

ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობაში, რა თქმა უნდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის გადაძახილი მოგზაურობის ჟანრის ცნობილ ლიტერატურულსა თუ ფილოსოფიურ-რელიგიურ ტექსტებთან, მაგრამ დისკურსის სტილი სავსებით რეალისტურია, თუმცა, ალბათ, იყო ცდუნება და თემატიკაც იძლეოდა იმის საშუალებას, რომ მწერალს ერთგვარი დისტანცია შეექმნა მკითხველთან, მოდერნისტული ან პოსტმოდერნისტული თხრობითი დისკურსის ელემენტები შემოეტანა (ამგვარი რამ შეიმჩნევა არა მხოლოდ ჯემალ ქარჩხაძის, არამედ XX საუკუნის მეორე ნახევრის, განსაკუთრებით, 70-იანი და 80-იანი წლების ბევრი ქართველი მწერლის შემოქმედებაში). მწერალმა ძველი, ტრადიციული, გამოცდილი გზა აირჩია, რათა გაეიოლებინა მკითხველის იდენტიფიკაცია პერსონაჟებთან. რთული, ეგზისტენციური საკითხები კი ზემოთ ნახსენები „სოკრატისეული" დიალოგური ფორმით შედარებით იოლად აღსაქმელი გახადა. ნიშანდობლივი აღმოჩნდა ის, რომ მწერალს თურმე განსაკუთრებით ჰყვარებია პლატონის კითხვა. *„ვინც მოგზაურობის წიგნსა წერს, უეჭველად უნდა გაითვალისწინოს ადამიანთა ნაირნაირი მიდრეკილება და ჭრელი გემოვნება... მოგზაურობის წიგნი ისე უნდა დაიწეროს, რა ჯურისა და ყაიდის კაცმაც არ უნდა გადაშალოს, რაღაც ჰპოვოს შიგ საინტერესო – ან საგულისხმო, ან თავშესაქცევი. მე სწორედ ამ წესის დაცვას ვცდილობ... დღეს ანტონიოსა და დავითის ამბავს აღვწერ და ვინც წაიკითხავს, თუ ისევე დანაღვლიანდება და ჩაფიქრდება, როგორც წუხელ ჩემი სტუმრები დანაღვლიანდნენ და ჩაფიქრდნენ, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ საქმისთვის თავი რიგიანად გამირთვია".* ამგვარი თხრობითი დისკურსი ილიასეულია ან მისას ჰგავს, „კაცია-ადამიანში" რომ წერს: *„მე მინდა, რომ მკითხველმა იმიტომ კი არ მოიწყინოს, რომ გასართველი არ არი, არამედ იმიტომ, რომ ჩამაფიქრებელია. თუ ამოდენა იხერხა და შესძლო ამ უხეირო წერილმა, მე ამის მეტი არა მინდა-რა და არც მდომებია".*

უმბერტო ეკო ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვას ადარებს გარკვეულ თამაშში მონაწილეობას, რომელიც მკითხველს საშუალებას აძლევს, გაიაზროს მოვლენათა უსასრულო მრავალფეროვნება, რომელიც მოხდა, ხდება ან მოხდება რეალურ სამყაროში.

ყურადღებას იქცევს, რა თქმა უნდა, მთავარი მთხრობელის, ბართოლომეოს დისკურსი. მჭევრმეტყველების ბეჭდით აღბეჭდილი, თანვე ორნამენტულობას მოკლებული. მჭევრმეტყველებას აზროვნების ფართო დიაპაზონი, განსჯის სიღრმე, მოვლენების მისეული ორიგინალური აღქმისა და ანალიზის უნარი განაპირობებს. ბართოლომეოს მრავალი ქვეყანა მოუვლია, მრავალი ენაც შეუსწავლია, ასაკში შესული კი განმარტოებულა და ნანახის აღსაწერად მომზადებულა. მის სახლში იმდენი ოთახია, რამდენი ქვეყანაც მოუვლია. *„თითო ოთახი თითო უცხო ქვეყანას განასახიერებს, იქაურ წესზეა მოწყობილი და იქაური ნივთებითაა მორთული".*

მრავალქვეყანაშემოვლილ პერსონაჟებს კარგად იცნობს მკითხველი. ბართოლომეო ჰგავს და განსხვავდება კიდევაც მათგან. მას კალამი არ გაურბის უცხო ქვეყნებში ნანახ-გაგონილის დაწვრილებით აღწერაზე, რაც სავსებით მოსალოდნელი და ბუნებრივი იქნებოდა, არამედ აინტერესებს ერთი ამბავი, თანაც კოლხეთში, საქართველოში მომხდარი. მწერალი ბართოლომეოს სწორედ საქართველოში ამოგზაურებს და ამ გზით, უცხოს თვალით, ხატავს ქართველთა ზნე-ჩვეულებებს. არც ამგვარი ხერხია ლიტერატურისთვის უცხო, მაგრამ ჯემალ ქარჩხაძე ახერხებს, არავის მიებაძოს და იყოს თავისებური.

მწერალი მთავარ მთხრობელ-მოგზაურს თავიდანვე მოუპოვებს მკითხველის კეთილგანწყობას. მართალია, ის პირველ პირში ჰყვება ამბავს, მაგრამ საკუთარი თავის განსჯისას არ არის ნარცისული და ყოველგვარი მიკერძოების გარეშე წარმოაჩენს ნაკლსა და ღირსებას. რატომ წერს მოგზაურობის წიგნს? პირველ რიგში, მას არ უნდა, ცოდნა-გამოცდილება სხვათათვის გაუზიარებელი დარჩეს, სახელი და დიდება კი არად მიაჩნია: *„წიგნის დაწერა მხოლოდ მოვალეობაა, რადგან ადრეც მწამდა და ახლაც მწამს, თუ კაცმა რამე ცოდნა შეიძინა, იგი ვინმეს უნდა დაუტოვოს, თან თუ წაიღო, ცოდვად ჩაეთვლება და იმ ქვეყნად მოეკითხება".*

მწერალს კარგად მოეხსენება, რა ძალა აქვს უცხოს თვალს, მშობლიურის უცხოსეულ შეფასებას, ამიტომაც მთავარ მთხრობელად სწორედ უცხოს ირჩევს, იტალიური ჟღერადობის სახელით. თუმცა მის ქვეყანას არ აკონკრეტებს, მიანიშნებს ევროპაზე. რატომ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპირველესად, ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენში კარგად იცნობენ იტალიელ მოგზაურებს: ქრისტეფორე კასტელის, არქანჯელო ლამბერტის, იოსაფატ ბარბაროს, ჯოვანი არიო ანჯიოლელოს, ჯაკობო გასტალდის, ავიტაბილე პიეტროს, რომელთაც საქართველო მართლაც აღწერეს თავიანთ წიგნებში და, მეორეც, უცხოელის მიუკერძოებელი თვალით დანახული ქართველთა ზნეობის ღირსება-ნაკლოვანებათა შეფასება უფრო უმტკივნეულოდ აღსაქმელი, დამაფიქრებელი და საგულისხმო იქნებოდა.

ქართველთა ზნეობის შესახებ არაერთ ქართველსა თუ უცხოელს – მწერლებს, მოგზაურებსა თუ მეცნიერებს – დაუწერიათ. ქარჩხაძისეული შეფასებები გაგვახსენებს იმ დისკუსიას, რომელიც გურამ ასათიანის წიგნის „სათავეების" გამოქვეყნებას მოჰყვა. მაშინ ამ წიგნს აკაკი ბაქრაძე „მკვახე შეძახილით" გამოეხმაურა და საყურადღებო დასკვნები შემოგვთავაზა. ჯემალ ქარჩხაძის მოგზაურს ჯერ კიდევ მანამდე მოეწონება და შეუყვარდება საქართველო, სანამ იქ აღმოჩნდება. მისი აზრით, ქართულ სახელებს *„ტკბილი და სევდიანი სურნელი ასდით"*. საქართველოში წამოსვლამდე ბართოლომეომ იმ ორიოდე ქართველის გაცნობა გადაწყვიტა, მის ქვეყანაში რომ გადახვეწილიყვნენ. მწერლისთვის ეს „გაცნობა" საშუალებაა, თანამოძმეთა ღირსება-ნაკლი დაგვანახვოს. ქართველებს მაღალი თანამდებობები უჭირავთ, მაგრამ საკუთარი წარმომავლობის გამხელას უფრთხიან, ეშინიათ თანამდებობა არ დაკარგონ. ამ თვალსაზრისით, უფრო გულღია აღმოჩნდა მეკუბოვე, რომელმაც ენაც კი შეასწავლა ბართოლომეოს. საგულისხმოა, რომ ეს კაცი სულ საქართველოში დაბრუნებაზე ლაპარაკობს და ოცნებობს, სამშობლოს გახსენებაზე ცრემლებსაც აღვარღვარებს, მაგრამ დაბრუნებას მაინც ვერ „ახერხებს". საქართველოში ჩამოსული ბართოლომეო ყურადღებას ამახვილებს ქართველთა თვალტანადობაზე, ქალების სილამაზეზე, განსაკუთრებით ბავშვების ანგელოზურ მშვენიერ სახეებზე. შეუნიშნავი არ დარჩება ქართველთა ხელმოკლეობა. თვალში მოხვდება ის, რომ აქ უცხოელებს რაღაც განსაკუთრებული მოწიწებით უყურებენ – ერთი უცხოელის აზრს მეტ ფასს სდებენ, ვიდრე ასი თავისიანისას, თუნდაც ასივე ბრძენი და საქმეში კარგად ჩახედული იყოს. რაც ყველაზე საოცრად მიაჩნია, ის არის, რომ ქართველნი ამგვარად სწორედ ისეთ საკითხებში იქცევიან, რაც მათ აშკარად უკეთ იციან. ბართოლომეომ ისიც შეამჩნია, აქ განსაცვიფრებლად მღერიან და ისე არიან გაწაფული მელექსეობაში, მგონი თვით ჰომეროსსაც ტოლს არ დაუდებენო. ქართველი მთავარი გულახდილად უყვება ბართოლომეოს თანამემამულეთა გაუტანლობაზე: *„შიშიანობამ სიძულვილი მოიტანა თან, გაუტანლები და დაუნდობლები გავხდით, ძმა არ ვიცით და ნათესავი, ყოველი კაცი იმას ფიქრობს, ოღონდ მე გადავრჩე და თუნდ ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო... ერთმანეთსა ვჭამთ"*. საგულისხმოა მისი ეს დაკვირვებაც: *„ამ ხალხში რაღაც გაუგებარ ძალას ერთ მუშტში უჭირავს ისეთი საპირისპირო თვისებები, როგორიცაა ღალატი და თავდადება, სიძულვილი და სიყვარული, ლაჩრობა და სიმამაცე, ბოროტება და სიკეთე"*.

მწერალი, რა თქმა უნდა, თანამედროეობას ეხმიანება. სხვადასხვა დიალოგში ის დაუფარავად საუბრობს საქართველოს კრიზისულ „ზნეობრივ ეკოლოგიაზე:" *„ჩვენი განთქმული პატრიოტიზმი ფარსად იქცა, ჩვენი ცნობილი თავმომწონეობა – თვალთმაქცობად, ჩვენი მომხიბლავი არტისტიზმი – ტაკიმასხრობად, ჩვენი ღირსეული სიამაყე – ბაქიაობად. ჩვენ კვლავ მივადექით პროვინციალიზმის ჭაობს, საიდანაც მეცხრამეტე საუკუნის ტიტანური მეცადინეობის წყალობით ამოვედით. ჩვენმა ცრუმხატვრულობამ, ცრუპათეტიკამ, ცრუერუდიციულობამ, ცრუპუბლიცისტიკამ, ცრუმორალმა ჩვენვე წაგვლეკა"*. ეს ციტატა თავისი ტონალობითა და რიტორიკით ძალიან ჰგავს ბართოლომეოს დისკურსს – ასე რომ, ეს პერსონაჟი მწერლის ალტერ ეგოა.

განსაკუთრებით საგულისხმოა მოთხრობის ერთი დეტალი. სოფელში, რომელთა მცხოვრებნი ავაზაკ დავითს შიშით მონურად ემორჩილებიან, არ მღერიან, არადა, ქართველებს სიმღერა უყვართ ჭირსა და ლხინში. მაშ, რა ხდება? რისთვის დასჭირდა თხრობაში ამგვარი დეტალის შემოტანა ავტორს? აი, აქ გამოჩნდა მისი ორიგინალურობა. მისი აზრით, *„დანაშაულის გრძნობა ლოდივით აწვათ და სინდისი ქენჯნიდათ. ეს ხალხი ყველგან და ყოველთვის მღერის, დამარცხებულიც მღერის, მშიერ-მწყურვალიც*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღერის, შიშველ-ტიტველიც მღერის, ობოლ-ოხერიც მღერის, სიკვდილმისჯილიც კი მღერის. მხოლოდ ის ვერ მღერის, ვისაც სინდისი სუფთა არა აქვს". მაგრამ, როდესაც ტყუილი ხმა გავრცელდა დავითის სიკვდილისა და სოფელმა შვება იგრძნო, სიმღერაც მაშინვე გაისმა.

მოთხრობაში, აღწერილი მოვლენების შესაბამისად, გაბნეულია ბართოლომეოს დაკვირვებანი. იგი არა მხოლოდ ქვეყნის ზნე-ჩვეულებებით ინტერესდება, არამედ, უპირველესად, ადამიანის სულის ბნელი ხვეულებით: *„ადამიანის არსებობის ღრმა ფენებში, როგორც ფარული წყაროები მიწის გულში, ისეა ჩაბუდებული იმედის ამოუწურავი მარაგი, რომელიც იმითაც ჰგავს მიწისქვეშა წყაროებს, რომ არავინ იცის, როდის სად გაიჩენს სადინარს და როდის სად ამოხეთქავს გვალვისაგან გადახრუკულ უდაბნოში".* მიუხედავად იმისა, რომ ბართოლომეოს და, უპირატესად, ანტონიოს განსჯანი ინტელექტუალიზმით არის აღბეჭდილი, ეს არანაირად არ ანელებს თხრობის საოცრად დინამიკურ რიტმს იმიტომ, რომ მწერლის ენა ნებისმიერ თემაზე საუბრისას ცხადი და გამჭვირვალეა. ის თავის პერსონაჟებს მკითხველის წინაშე არ აკეკლუცებს ცოდნითა თუ გამოცდილებით, პირიქით, ცდილობს, სისადავე და სინათლე არ მოაკლოს ნებისმიერ ეპიზოდს. ამიტომაც შეიძლება ვისაუბროთ ჯემალ ქარჩხაძის პროზის განსაკუთრებულ რიტმზე, რომელიც ამ მოთხრობაშიც შთამბეჭდავია და რომლესაც ყოველი მხატვრული კომპონენტის აუხსნელი ერთობლიობა ქმნის.

დასაწყისშივე მწერალი მიათითებს თავის მიერვე შექმნილ ლიტერატურულ მითზე. ეს არის მისტიფიკაცია წიგნისა, შეიძლება ითქვას, რომ მითისა. ეს იმიტომ, რომ მხოლოდ მოთხრობის დრო-სივრცეში არსებობს და, უპირველესად, დამაჯერებლობის ხარისხის გაზრდის ფუნქცია აკისრია. დოკუმენტალობის ილუზია მნიშვნელოვანია მკითხველის გულისყურის დასაპყრობად. ეს არის ვითომ ნაწყვეტი მთავარი მთხრობელის მიერ დაწერილი წიგნიდან, რომელსაც ჰქვია: *„ისტორიები და ზნეჩვეულებანი, ანუ აღწერა ქვეყნებისა, რომლებიც ღვთის შეწევნით მშვიდობიანად მოიარა მოგზაურმა და ვაჭარმა ბართოლომეო დ' ანიტიმ, მოთხრობილი ხსენებული დ'ანიტის მიერ დაწვრილებით და შეულამაზებლად".*

ეს შეიძლება, სიმბოლურად მიანიშნებდეს ჯემალ ქარჩხაძის მთელ შემოქმედებაზე, რომლის გაცნობის და მთლიანად წაკითხვა-შეცნობის წადილი მკითხველს სწორედ ამ ნაწყვეტის წაკითხვამ უნდა გაუჩინოს. ეს არის ერთი ამბავი იმ უამრავ სხვა ამბავთაგან, რომლებიც მის შემოქმედებაშია გაბნეული. სხვაგან სხვა პერსონაჟები და სხვა დრო-სივრცული გარემო იქნება, მაგრამ მთხრობელი იქნება იგივე, ოღონდ სხვა სახელით. მთავარია, რომ ასახვის მანერა იგივე იქნება, იქაც ნანახ-გაგონილს შეხვდება მკითხველი და მწერალს მინდობილი აღარაფერში დაეჭვდება. ეს დაუეჭვებლობა აუცილებელია იმისთვის, რომ მკითხველმა გულში დაიმარხოს და დაიცვას ხშირად საკამათოდ ქცეული ან აბუჩად აგდებული ზნეობრივი ღირებულებები: *„ამქვეყნად ცოდვილს ისე არ დევნიან, როგორც უცოდველს".*

ჯემალ ქარჩხაძე როგორც მთხრობელი, ჩანს, თვითონვე ტკბება მონაყოლით, ე. ი. მოსწონს, რომ ჰყვება – როგორც მარკესი წერდა, იცხოვრო, რათა მოჰყვე. ეს ქართველი მწერლისთვისაც მნიშვნელოვანია, მაგრამ, ამავე დროს, მუდმივად ახსოვს, რომ მწერლობა ადამიანს უნდა შეეწიოს. ამ თვალსაზრისით, მხატვრული ლიტერატურა ადამიანური სულის გადამრჩენის, მისი მხსნელის როლში გამოდის. აქ თითქოს მართლაც იკვეთება ლიტერატურისა და რელიგიის გზები, მაგრამ მწერალს არასოდეს ღალატობს ალღო, ზომიერების გრძნობა, „ახსოვს" თავისი ვინაობა და არ ირგებს მქადაგებლის როლს. ფოლკნერი წერდა: *„მწერლობის დანიშნულებაა, შეეწიოს ადამიანს, გული გაუმაგროს, კვლავაც მოაგონებდეს სიმამაცეს, პატიოსნებას, იმედს, სიამაყეს, თანაგრძნობას, ლმობიერებას, თავგანწირვას... მწერლის ხმა უსარგებლოდ არ უნდა იხარჯებოდეს, საყრდენად, ბურჯად უნდა ედგეს ადამიანს, შეეშველოს და გააძლებინოს".*

ჯემალ ქარჩხაძის ხმა ამ მოთხრობაში, მართლაც, ფუჭად არ იხარჯება და მწერალი მოთხრობილი ამბებით ადამიანს მოაგონებს ყოველივე იმას, რისთვისაც თავგანწირვა ღირს, ჩააგონებს სიმამაცეს: *„სიცოცხლე იმად არ ღირს, მისი გულისთვის კაცი შიშს მონად გაუხდე".*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობაში ხშირად ჩნდებოდა საშიშროება დიდაქტიკური ტონის მომძლავრებისა, რომელსაც შეეძლო სისადავე და სიმსუბუქე, მხატვრულობა დაეჩრდილა, მაგრამ მწერალი იოლად გადალახავდა ამ ბარიერებს, თანაც ისე, რომ მსხვერპლად არ მიჰქონდა სწორედაც რომ მქადაგებლური ინტონაციებით სავსე მონოლოგები. განსაკუთრებით ეს ითქმის ანტონიოზე, რომელმაც არა გონების, არამედ გულის ძალით და უჩინარის (ღმერთი იგულისხმება, რა თქმა უნდა) შეწევნით ავაზაკი დავითის „მოქცევა" გადაწყვიტა. მაგალითად: *„გგონია, რომ თუ შენს საცოდავ შიშს ზემოდან სხვათა სიცოცხლე დააყარე, სხვათა ტანჯვაში, სხვათა ცრემლებში, სხვათა შეურაცხყოფაში, სხვათა უბედურებაში გაახვიე, რაკი ველარ დაინახავ, თავსაც მოიტყუებ, ვითომ აღარც არსებობს. მაგრამ შენი მცდელობა მხოლოდ შენს უსუსურობას ადასტურებს. შენ ხომ არაფერი ისეთი არ ჩაგიდენია, რასაც შეგიძლია სიმამაცე უწოდო! შენ ხომ მხოლოდ იმას ჩაგრავდი, იმას ძარცვავდი და იმას კლავდი, ვისი დაჩაგვრაც, ვისი გაძარცვაც და ვისი მოკვლაც ადვილი იყო!.. შენზე უფრო ძლიერს რომ გადაეყარო, ხომ მაშინვე სამალავს დაუწყებ ძებნას! შენი შიში ცოცხალია!" „მე ჩემი ბუნებით მორალისტი ვარ და ამას არაფერი ეშველებაო,"* – ამბობს მწერალი ერთ დიალოგში და იმასაც დასძენს, რომ ხელოვნებას აღმზრდელობითი დანიშნულება არა აქვს, ასე რომ ყოფილიყო, კაცობრიობას მარტო სერვანტესიც ეყოფოდაო. იგი აღიარებს ხელოვნების ჰუმანისტურობას – როცა მკითხველი კარგ ნაწარმოებს კითხულობს, მას კათარზისის შეგრძნება უჩნდება და მის სულში სამუდამოდ აღიბეჭდება ზნეობრივი ღირებულებები.

მოთხრობაში ამგვარი „ჰუმანისტური მისიის" აღმსრულებელი ანტონიოა. იგი თავიდანვე განმარტობული, ჩაკეტილი, იდუმალი პიროვნების შთაბეჭდილებას ახდენს. მთხრობელი მის ლაბირინთულ ბუნებაში თანდათან გზას მიგვიკვალავს და ნელ-ნელა ხსნის მისი დუმილისა და უღიმილობის ფარულ მოტივებს. საინტერესო ადგილია შერჩეული ბართოლომეოსა და ანტონიოს შესახვედრად და გასაცნობად. ეს არის გემი (ერთგვარი ჩაკეტილი სივრცე), რომელიც გაშლილ (ღია სივრცეში) ზღვაში მიცურავს. ეს ფონი კარგად წარმოაჩენს პერსონაჟთა გულის ჭიდილს, განსაკუთრებით ანტონიოსს, რომელიც სწორედ ხომალდივით ებრძვის ცხოვრების ტალღებს და ცდილობს ინდივიდუალურობის შენარჩუნებას. სწორედ აქედან იბადება მისი პროტესტი საეკლესიო დოგმების მიმართ. მას სწამს სახარებისეული ცოდნისა, მაგრამ ეჭვი ეპარება ზოგიერთი რიტუალის ღირებულებაში, ამ თვალსაზრისით, ის მეამბოხე ლუთერს წააგავს, პაპის წინააღმდეგ ამხედრებულს. ანტონიოს ეშმაკეულად მიიჩნევენ და ინკვიზიციას გადასცემენ. ჯემალ ქარჩხაძეს მიაჩნდა, რომ *„სწორედ პიროვნული თავისუფლებაა მთელი, ხოლო ეროვნული თავისუფლება – ნაწილი და ამის არგუმენტად საკმარისია ითქვას, რომ თავისუფალი ადამიანი ღვთის ნებაა. პიროვნული თავისუფლებაა ის სხივი, რომლითაც ადამიანი ღმერთს შეიგრძნობს".* მოთხრობაში გმირის ცხოვრების ყოველი ეპიზოდი იმგვარად არის შერჩეული, რომ მაქსიმალური დრამატიზმით წარმოჩნდეს სულისა და ხორცის ჭიდილი. ანტონიო ახლობელთა დახმარებით გადაურჩება დასჯას, მაგრამ სინდისი ტანჯავს, რადგან მისი სამი მეგობარი ჩამოახრჩეს. ამიტომაც, როდესაც კვლავ დადგება იმგვარივე საფრთხის წინაშე და ახლა მის მიერ „მოქცეული" დავითი დაუპირებს გადარჩენას, მისჯილ საწამლავს დალევს და ამგვარად გამოისყიდის ადრე ჩადენილ შეცდომას.

მწერალი ანტონიოსა და დავითის სახით ერთმანეთს ორ დიდ ძალას შეახვედრებს, ოღონდ ერთი სიკეთეა, მეორე ბოროტება. კვლავაც გადათამაშდება პარადიგმად ქცეული *„ბოროტსა სძლია კეთილმან,"* ოღონდ ოდნავ განსხვავებულად. ბოროტი არ კვდება, ის სიკეთედ იქცევა და სინათლის სამსახურში დგება. ეს მეტყველებს მწერლის ჰუმანიზმზე – მას სჯეროდა დაცემული ადამიანის აღდგენისა და სწორედ ამ რწმენას გამოხატავდა ამ მოთხრობითაც.

ნაწარმოების თხრობითი დისკურსის თავისებურებაა აფორისტული გამონათქვამები. სენტენციებით გაჯერებულია, საზოგადოდ, ქარჩხაძის პროზა, ეს მისი თხრობითი დისკურსის ერთი ასპექტია და მეტყველებს მწერლის სხარტ გონებაზე, რომელსაც შეეძლო გაცვეთილსა და შაბლონურ აზრებს მიღმა რაღაც ორიგინალურისთვის მიეგნო და ასევე მოსხლეტილად, აფორისტული ფორმით შეეთავაზებინა მკითხველისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სენტენციებით გაჯერებულია, საზოგადოდ, ქარ-ჩხაძის პროზა. ეს მისი თხრობითი დისკურსის ერთი ასპექტია. ეს მეტყველებს მწერლის სხარტ გონ-ებაზე, რომელსაც შეეძლო გაცვეთილსა და შაბლონურ აზრებს მიღმა რაღაც ორიგინალურისთვის მიეგნო და ასევე მოსხლეტილად, აფორისტული ფორმით შეეთა-ვაზებინა მკითხველისთვის. მაგალითად *„კაცი კაცს მხოლოდ იმიტომ სჭრის ყელს, რომ ეშინია,“ „ბორო-ტებას ბოროტი კაციც ისევე თვლის უსამართლობად, როგორც კეთილი,“ „ლაჩარი და ბოროტი ერთი და იგივეა,“ „თანდაყოლილი შიში სიკვდილის შიშია და ვინც შიშს ბატონად გაიხდის, მას ყველაზე მოსაფრ-თხილებელი ამქვეყნად თავისი სიცოცხლე ჰგონია,“ „სიძულვილი უფრო ადვილია, ვიდრე სიყვარული,“ „პოლიტიკა უანგარობასა და წმინდა კაცთმოყვარეო-ბას არ ცნობს,“ „სახელმწიფოსთვის მთავარია საკუ-თარი სარგებლობა,“ „სანამ ბოროტებას სიძულვილი არ განელებია, მანამ სიკეთე ცოცხალია,“ „ქვეყანა მაშინ იღუპება, როცა იქ ტანჯვის უნარი აღარავის შერჩება,“ „სიმართლეც ისევე მოითხოვს სისხლს, როგორც უსამართლობა,“ „ავისა და კარგის გარჩევა ადვილია, არჩევაა ძნელი,“ „იმის მიხედვით, გულში რა გვიდევს, უფალი სჯის, მართლმსაჯულება კი იმის მიხედვით სჯის, თუ რას ჩავდივართ...“*

მოთხრობაში ყურადღებას იქცევს, როგორც ზე-მოთ აღვნიშნეთ, „სოკრატესეული“ სტილის დიალო-გები, როდესაც დიალოგში მონაწილე ერთი მხარე, ანტონიო ცდილობს მეორე მხარის – დავითის გან-ვითარებას და ამას ახერხებს მსუბუქი დიალოგით, სიტყვა-პასუხით. „მოსწავლე“ ნაბიჯ-ნაბიჯ იკვალავს გზას, მოძღვარი მას ჭეშმარიტების მიგნებაში ეხმარე-ბა გონებამახვილური კითხვებით. ეს დიალოგი იმდე-ნად ექსპრესიული და შთამბეჭდავია, რომ მასში შესა-ნიშნავად იხატება ანტონიოს ჭკუა-გონების სიღრმე, იმავდროულად, თანდათან, მისდა უნებურად იბზარე-ბა და იმსხვრევა დავითის თავდაჯერებულობა, რო-მელსაც თან მიჰყვება ქედმაღლობა, ამპარტავნობა და ამ ჯურის სხვა ვნებანი, მისი სულის საფრთხედ რომ ქცეულან. დავითი დაცინვით ეკითხება ანტო-ნიოს, მითხარი, სული რა ადგილას მაქვსო. ანტონიო კითხვით უპასუხებს, სახელი ხომ გაქვს, მითხარი რა ადგილას, იქნებ მაჩვენოო? ვიცი, რისი თქმაც გინდაო, დავითმა. მაშინ ისიც გეცოდინება, ცოდნა რა ადგი-ლას გაქვსო. სითამამეს გიქებო, დავითმა. მაგრამ ის აღარ იცი, სითამამე რა ადგილას მაქვსო. ასეთი გო-ნებამახვილობით დაჯაბნა ანტონიომ დავითის ქედ-მაღლური უგუნურება და ურწმუნოება, თუმცა, – ეს მხოლოდ საუბრით. ანტონიოსა და დავითის მეორედ შეხვედრისას ამ თემაზე დიალოგი ისევ გაგრძელდა, ამჯერად დავითის ინიციატივით:

„– ცოდნა რა ადგილას მაქვს?

– გონებაში, – წყნარად მიუგო ანტონიომ.

– გონება?

– სულში.

– სული?

– ღმერთში.

– ღმერთი სადღაა?

– ღმერთია ყველაფერი, რაც არის და რაც არ არის“.

ანტონიომ თავისი სიმამაცით დავითის ნდობა მოი-პოვა, შემდეგ კი შეძლო ამ ავაზაკის სულიერი გარ-დაქმნა და შინ დაბრუნებულ *„უძღებ შვილად აქცია“.* ადამიანის სიკეთისკენ მოქცევის რწმენით არის ეს მოთხრობა გაჟღენთილი.

მწერალი კონტრასტებს ხშირად იყენებს, გან-საკუთრებით პერსონაჟთა ხორციელი და სულიერი პორტრეტების ხატვისას. ის არ გამოედევნება ტრა-დიციულ სახე-ნიშნებს, რომელთაც გარკვეული მნიშ-ვნელობები აქვთ და ხელს უწყობენ ერთ რომელიმე ინტერპრეტაციას. მაგალითად, დავითი მომნუსხვე-ლად ლამაზია, გამორჩეულად ჯიშიანნაკვთიანი (სი-ლამაზით „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს ჰგავს), თეთრ ცხენზე ზის, ერთი შეხედვით წმინდა გიორგის გვახსენებს, სინამდვილეში მისი ანტიპოდია. წმინდა გიორგის სახე ბუნებრივად ჩნდება, რადგან რელი-გიური თემატიკა მოთხრობაში მძლავრი და წარმმარ-თველია. თუმცა სადღაც მაინც უკრთის მკითხველს იმედი, რომ რაღაც წმინდაგიორგისეული მაინც ბუ-ტავს ამ ავაზაკში. მწერალი, ბართოლომეოს ნიღაბს ამოფარებული, რა თქმა უნდა, საგანგებოდ ქმნის ამ მოლოდინს და ამგვარად ამბავს მეტ ექსპრესიულო-ბას ანიჭებს.

თხრობითი დისკურსის ნაირგვარობას თემატიკა თავის დაღს ასვამს. ამჯერადაც, შესაფერის-შესაბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისია მთხრობელის ტონი და პერსონაჟთა საუბრის ფარული თუ ზედაპირული მოდულაციები. განსაკუთრებით საინტერესოა ჩართული ამბები, რომელიც დროში ჩაღრმავების გზით არის წარმოჩენილი.

მწერალი საფიქრელად ირჩევს თემას: რა განცდას წარმოშობს პატიება, ოღონდ არა მპატიებელში, არამედ იმაში, ვისაც აპატიეს. ეს შედარებით ნაკლებად დამუშავებული თემაა და ამიტომაც საგულისხმოა მწერლისეული განსჯანი. საერთოდ, ქარჩხაძის ფიქრი მუდმივად სიღრმისკენ მიემართება და ყოველთვის ფილოსოფიურად განზოგადდება. ასეა ამ მოთხრობაშიც.

თხრობითი დისკურსის თავისებურებას ქმნის პეიზაჟები, რომლებიც საგანგებოდ არ არის აქცენტირებული, მაგრამ ზუსტი და ხატოვანი შტრიხებით მოხატული იქცევს მკითხველის ყურადღებას. მაგალითად *„მზე ჯერ უფსკრულიდან არ ამოსულიყო, მაგრამ თვალი უკვე გახელილი ჰქონდა. ცა ძალიან მოწითალო იყო და მიწა ცოტა მოწითალო“.* აქ სისადავე და ხატოვანება ზომიერად არის შერწყმული, არც ერთი არ გადასწონის და იქმნება ზედმიწევნით ცოცხალი განცდა გათენებისა, სუფთა ჰაერით იჟღინთება ყოველივე. ბუნების ამ „სისუფთავეს“ კი მოჰყვება ანტონიოსა და დავითის შეხვედრა და საუბარი, რომელიც იწვევს დავითის განწმენდას, მის კათარზისს. ასევე, საინტერესოა შედარებები, რომლებიც გამოირჩევა სისადავითა და ბუნებრიობით. მაგალითად, ეკლესიაში მოულოდნელად გამოჩენილ დავითზე მწერალი ამბობს: *„ქამანდის ბოლო შუაგულ ეკლესიაში მარჯვენა ხელით ეჭირა მხედარს, რომელიც სპარსულ მინიატურაზე გამოსახულ ნახატს ჰგავდა“.* ყურადღებას იქცევს ერთი ვრცელი შედარება, – როდესაც დავითის სახეზე აღბეჭდილ გრძნობათა ცვალებადობაზე წერს, შესადარებლად მოიხმობს ხალიჩას, რომელზეც მაყურებლის მზერის შესაბამისად გამოიკვეთება ესა თუ ის ფერი.

საინტერესოა ერთი ამგვარ ვიზუალურ ეფექტზე გათვლილი დეტალი. მწერალს უნდა, წარმოაჩინოს შეშინებული მღვდელი. ამას ამგვარად ახერხებს: *„ხელი, რომელშიც ზეაღმართული ჯვარი ეჭირა, ისე უცახცახებდა, რომ რამდენიმე ხელი და რამდენიმე ჯვარი მოჩანდა“.*

თხრობითი დისკურსის საინტერესო სახეა ერთი ამბის ორი პერსონაჟისეული მონათხრობის ვერსია. რამდენიმე ადამიანის მიერ სხვადასხვაგვარად მოყოლილი ერთი ამბის წარმატებული ნიმუშია აკუტაგავა რიუნოსკეს „უსიერ ტყეში“. მაგრამ ამჯერად ორი პერსონაჟი ერთსა და იმავე ამბავს ჰყვება დინამიკაში, ანუ ისე, რომ თან ამბავი ვითარდება. ჩვენ არ ვისმენთ ერთი ამბის ორ განსხვავებულ ვერსიას, არამედ განსხვავებული ემოციებით, გრძნობითა და განსჯით აღქმულ ერთ ამბავს გვთავაზობენ. მწერალი ამ მონაკვეთში დავითსა და ანტონიოს მოათხრობინებს მათივე შეხვედრის ამბავს ამგვარი, ცალკე გამოყოფილი მინიშნებებით: *„დავითმა თქვა,“ „ანტონიომ თქვა“* და ამას იმეორებს. ამ გამეორებულ *„თქმას“* რაღაც დიდი ძალა დაჰყვება თან. ორივეს ნათქვამი თითქოს მათივე სისხლით არის დაბეჭდილი და, ამდენად, უეჭველია.

ასევე, მნიშვნელოვანია, როგორ შემოჰყავს ცალკეული პერსონაჟი, მათი სხეულისა თუ სულის რომელ ნიუანსებს გამოკვეთს. საგულისხმოა, რომ მოთხრობის ყველა პერსონაჟი, მთავარიცა და მეორეხარისხოვანიც, სახიერად გამოიკვეთება.

ასე რომ, ამ მოთხრობაში შესანიშნავად წარმოჩნდა ჯემალ ქარჩხაძის, როგორც მთხრობელის ოსტატობა. იგი ტრადიციულ, კლასიკურ ხერხებს ინდივიდუალიზმის ნიშნით აღბეჭდავს და ქმნის თხრობის ფერადოვან პალიტრას, ზუსტად მოძებნილი თხრობის რიტმის წყალობით კი მკითხველს ატყვევებს და წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტ ქეცმაია

ახალი ეტაპი ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის შესწავლის დარგში

ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის სისტემატური შესწავლის გზაზე პირველი ნაბიჯები დიდმა ქართველმა ფილოსოფოსმა შალვა ნუცუბიძემ გადადგა, რომელმაც გასული საუკუნის შუა წლებში გამოაქვეყნა ქართული ფილოსოფიის ისტორიის ორტომეული. ამ გამოცემას ფუნდამენტური მნიშვნელობა ჰქონდა, რის შემდეგაც დღის წესრიგში დადგა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის შემდგომი, უფრო დეტალური ანალიზი, სისტემატიზაცია და ერთ მთლიანობაში წარმოდგენა, რადგან ამ მუშაობის ჩატარების გარეშე ქართული ფილოსოფიური აზრის მნიშვნელობა ჯერ კიდევ გარკვეულ შეკითხვებს ბადებდა. ამ ამოცანის გადასაჭრელად 1986 წლის 30 იანვარს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეულის მომზადებისა და გამოცემის შესახებ. ცნობილმა სპეციალისტებმა იმთავითვე დაიწყეს ამ მიმართულებით მუშაობა და უკვე 1996 წელს ამ გამოცემის პირველი ტომი გამოქვეყნდა (მთავარი რედაქტორი შალვა ხიდაშელი, რედაქტორი მიხეილ მახარაძე). შემდგომი სამი ტომი შალვა ხიდაშელის გარდაცვალების შემდეგ მომზადდა და დაიბეჭდა – მეორე ტომის მთავარი რედაქტორია მ. მახარაძე, რედაქტორი – ს. ავალიანი; მესამე ტომის მთავარი რედაქტორია გ. თევზაძე, რედაქტორები – ს. ავალიანი და მ. მახარაძე, ხოლო მეოთხე ტომის მთავარი რედაქტორია გ. თევზაძე, რედაქტორი კი მ. მახარაძე. ქართული ფილოსოფიის ისტორიის ოთხტომეულის გამოცემა გასულ – 2010 წელს დასრულდა. იგი მოიცავს ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიას IV საუკუნიდან XX საუკუნის ჩათვლით.

ქართული ფილოსოფიის ისტორიის ოთხტომეული მომზადდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტების ა. აფაქიძისა და გ. თევზაძის მხარდაჭერითა და ხელშეწყობით; მესამე და მეოთხე ტომების გამოცემას უშუალოდ ხელმძღვანელობდა გ. თევზაძე. ამ საქმეს დიდი ამაგი დასდო აწ განს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენებულმა შალვა ხიდაშელმა, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, პირველი ტომის მთავარი რედაქტორი იყო. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ღვაწლი, რაც ოთხტომეულის გამოცემის საქმეში შეიტანა მიხეილ მახარაძემ – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა. სწორედ მიხეილ მახარაძე იყო ოთხტომეულზე მუშაობის მთავარი ორგანიზატორი. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერი წამითაც არ მოწყვეტია იმ საქმეს, რომელიც მისგან თავაუღებელ საკვლევ მუშაობას მოითხოვდა, იგი იმავდროულად, მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში რუდუნებით დატრიალებდა თავს ოთხტომეულის გამოცემის საშვილიშვილო საქმეს და, უპირველესად, სწორედ მისი შრომის შედეგია ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის მთელი კორპუსის გამოსაცემად მომზადება-დასტამბვა.

ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეული, რომლის ცალკეული ნაწილების მომზადებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველ ფილოსოფოსთა დიდი ჯგუფი, ნათელსა და სისტემატურ წარმოდგენას აძლევს მკითხველს ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის შესახებ, იმის შესახებ თუ როგორ ახერხებდნენ ქართველი მოაზროვნეები ძნელბედობის პირობებში ურთულესი ფილოსოფიური პრობლემების კვლევას. ოთხტომეულში მოძიებული, შეფასებული და გაანალიზებულია მანამდე ჯერ კიდევ უცნობი ფილოსოფიურ-ისტორიული მასალა და, ბოლოს, IV ტომში პირველად არის შესწავლილი XX საუკუნის მდიდარი და ურთულესი ფილოსოფიური პრობლემებით აღსავსე ქართული ფილოსოფიური აზრი და მისი კავშირი დასავლეთის ფილოსოფიასთან, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილიც თავად არის, ეს კი სრულიად ახალი სიტყვაა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის კვლევის საქმეში.

ძნელია, გადაჭარბებით შეფასდეს ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეულის მნიშვნელობა ქართველი ერის კულტურული ცხოვრების ისტორიის შესწავლის საქმეში. მომავალ მკვლევარებს, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობას განაგრძობენ, შესაძლებლობა ექნებათ, კიდევ უფრო დეტალურად შეისწავლონ ოთხტომეულში წარმოდგენილი თითოეული მოაზროვნე, თითოეული იდეა და კიდევ უფრო გაამდიდრონ ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია.

ამ მცირე მოცულობის სტატიაში ძნელია, მთელი სისრულით წარმოაჩინო ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეულის მნიშვნელობა და ის დიდი ღვაწლი, რას მისმა შემდგენლებმა თუ რედაქტორებმა გაიღეს. ეს კია, დარწმუნებული ვარ, რაც მეტი დრო გავა, მით უკეთ წარმოჩნდება ამ გამოცემის დიდი მნიშვნელობა. მომავალი თაობა, – მეცნიერებით დაინტერესებული ახალგაზრდობა, – თვალნათლივ დაინახავს, რომ ამ ოთხტომეულზე შალვა ნუცუბიძის საქმის ღირსეული მიმდევრები მუშაობდნენ, თავად გამოცემა კი, დიახაც, ღირსეული მემკვიდრეა იმ დიდი ეროვნული საქმისა, რომლის ფუძემდებელიც არის შალვა ნუცუბიძის „ქართული ფილოსოფიის ისტორია“.

პედრო ალმადოვარი

„გკოცნი ვნებიანად“

„მე პატი დიფუსა ვარ და ისეთი ტიპის ქალებს მივეკუთვნები, თავის თავში რომ განასახიერებენ იმ ეპოქას, რომელშიც ცხოვრობენ. ჩემი პროფესია? საერთაშორისო სექსსიმბოლო, გნებავთ, საერთაშორისო პორნოვარსკვლავი. მიწოდეთ, რაც გაგიხარდებათ. ჩემი ფოტორომანები და ფილმები წარმატებით სარგებლობს ისეთ ეგზოტიკურ ქვეყნებში, როგორებიცაა აფრიკა, პორტუგალია, ტოკიო, მადრიდი... კინომცოდნეების აზრით, ჩემეული ეროტიკის ინტერპრეტაცია უჩვეულოდ განსხვავებულია, რაც მე უნიკალურს მხდის,“– ასე იწყება პედრო ალმადოვარის წიგნი „პატი დიფუსა და სხვა ტექსტები,“ სადაც შესულია ნარკვევები, ნოველები, ფსევდოინტერვიუები, ჩანახატები და მასალები ალმოდოვარის სვეტიდან, რომელიც პატი დიფუსას ხელმოწერით ძალიან ხშირად იბეჭდებოდა მადრიდის წამყვან ჟურნალებში. („თუმცა არასდროს ვიყავი დარწმუნებული, რომ მომდევნო თავს დავწერდი,“ – იგონებს შემდგომ ალმადოვარი). სამოცდაათიანი წლების ბოლოსა და ოთხმოციანი წლების დასაწყისში ერთობ დაწინაურდა ჟურნალი „ლა ლუნა.“ ეს იყო პერიოდი, როდესაც არაოფიციალურმა მადრიდმა გადაიტანა ის, რაც ათი წლით ადრე ნიუ-იორკის ბოჰემამ. მთელი დღე სატელეფონო კომპანიაში კლერის სამუშაოს დამთავრების შემდეგ ალმადოვარი ხმაურიან კლუბებს სტუმრობდა, მონაწილეობდა თეატრალურ დადგმებში, ქმნიდა პატარა ჟურნალებს; ამ დროს გადაიღო თავისი პირველი ფილმები „პეპი, ლუსი, ბობი“ და „ვნებების ლაბირინთი“. მისი ფოტორომანები უმეტესად პორნოგრაფიული ხასიათისა იყო. ამავე დროს ალმადოვარი მინიკაბაში, აჟურულ კოლგოტსა და ქუსლიან ფეხსაცმელში გამოწყობილი მღეროდა როკჯგუფთან ერთად, რომელსაც „ალმადოვარი და მაკჰამარა“ ერქვა. „მაშინ არც სახლი გვქონდა და არც ფული, მაგრამ ბევრი რამ საინტერესო ხდებოდა ჩვენს გარშემო. ჩემთვის ოთხმოციანი წლების დასაწყისი ყოველთვის დარჩება იმ მრავალფეროვან წლებად, როდესაც დრო ყველაფრისთვის გვყოფნიდა,“– იგონებს ალმადოვარი.

„ასე მსუბუქი ნაბიჯებით, მაღალ ქუსლებზე მდგომი შევიდა ხელოვნებაში სიმსუქნისკენ მიდრეკილი ალმადოვარი,“ – წერს კინოკრიტიკოსი ანდრეი პლახოვი. რამდენიმე ხნის შემდეგ გამომცემლობა Anagrama-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეფმა ხორხე ეპალდემ პატის ჩანაწერების ცალკე წიგნად გამოცემა შესთავაზა და 1985 წელს წიგნი „პატი დიფუსა“ დღის სინათლეზე გამოვიდა ისევე, როგორც ცნობილი კინოექსცენტრიკოსის, ვუდი ალენის ტექსტები. ბოლო წლებში პატის თავგადასავლებმა დიდი დაინტერესება გამოიწვია არა მარტო როგორც ბონუსმა ფილმებისთვის, არამედ როგორც ლიტერატურულმა ნაწარმოებმა; ეს თავგადასავლები, რა თქმა უნდა, ძალიან ჰგავს ალმადოვარის ფილმებს. ეს არის ცეცხლოვან-ტემპერამენტული, ზოგჯერ დაუდევარი და ამავე დროს ვირტუალური მახვილგონიერებით გამორჩეული ნაწარმოები. ქალალდზე პედრო ძალდაუტანებლად, ხანდახან ვირტუოზულადაც აღწერს პერსონაჟების ფსიქოლოგიურ აღგზნებულობასა თუ ავადმყოფურ კომპლექსებს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მთელ დროს ახმარენ მასტურბაციას, გუნდურ გაუპატიურებებს, ასევე სჩადიან საშინელ მკვლელობებს, მაინც ყოველთვის ადამიანებად რჩებიან, – მგრძნობიარე, სასაცილო, გულუბრყვილო ადამიანებად. ალმადოვარს პატისთან რთული, აწეწილი ურთიერთობა აკავშირებს. ერთი მხრივ, კრიტიკოსები ერთხმად ამტკიცებენ, რომ პედროს თავისუფლად შეუძლია თქვას: „პატი დიფუსა – C'est moi," ეს ნიღაბიც კი არ არის, არამედ უფრო ფსევდონიმია. თავად რეჟისორიც გვიმხელს: „პატი ჩემი გრძნობების ზუსტი ანარეკლია. ჩემს მიერ შექმნილ სახეებს შორის პატი ჩემთვის ყველაზე საყვარელია.“ ეს არის გოგონა იმხელა სიცოცხლის სურვილით, რომ ღამეები არ სძინავს; გულუბრყვილო, ნაზი და გროტესკული გოგონა, ყველას მეგობარი და ყველანაირი სიამოვნების მოყვარული. იგი ყოველთვის მზად არის, დაინახოს ამა თუ იმ მოვლენის მხოლოდ ნათელი მხარე; რაც უფრო ბევრს ფიქრობს ადამიანი, მით უფრო ზედაპირულად აღიქვამს ნებისმიერ სიტუაციას და ბოლოს და ბოლოს იწყებს ფიქრს იმაზე, როგორ მიიღოს მისგან მხოლოდ საუკეთესო. პატი გამუდმებით მარტოობას და საკუთარ თავს გაურბის, რასაც იუმორითა და საღი აზრით აკეთებს (რამდენად ზუსტად აღწერს ალმადოვარი საყვარელ პერსონაჟს, დარწმუნდებით, თუ წაიკითხავთ მის მოთხრობას „ბი“), თუმცა ერთ მშვენიერ დღეს პატი ისევე მოულოდნელად გაქრა ჟურნალ „ლა ლუნა“-ს ფურცლებიდან, როგორც ალმადოვარის ცხოვრებიდან. რეჟისორის ოფიციალური საიტი club-cultura.com. გვაუწყებს, რომ 1995 წელს ალმადოვარი პატის დაუბრუნდა და მისი სახელით დაწერა წიგნი, რომელსაც უწოდა „პატი დიფუსა და სხვა ტექსტები“. წიგნი დღეისთვის საერთაშორისო ინტელექტუალურ ბესტსელერად იქცა და მისი თარგმნის უფლება უკვე ოცმა ქვეყანამ იყიდა.

წიგნის ნაწილი, სახელწოდებით „სხვა ტექსტები“ – ეს არის შენიშვნები, ფრაგმენტები სამუშაო დღიურიდან, ის, რაც ძირითადად კინოს ეხება, ხელოვანი კაცის აზრების ერთგვარი გამოაშკარავება. ნაწყვეტი „თვითინტერვიუდან“: „მიუხედავად იმისა, რომ „თვითინტერვიუ“ 1984 წელს დავბეჭდე, ახლაც სიამოვნებით დავწერდი იმავეს. ნეტავ, შემეძლოს იმ უშაბაშო დროის დაბრუნება“. და დასძენს: „მინდა გთხოვოთ, ეს წიგნი ისევე ძალდაუტანებლად წაიკითხოთ, როგორაც მე მას ვწერდი“.

„მოკლედ, შენ მიაღწიე იმას, რისკენაც მიისწრაფოდი. ამ წუთიდან მოგიწევს, ყველაფერში თავად გაერკვე (ძია ალმადოვარის გარეშე). მართალია, ჯიბეები გამოფხეკილი გაქვს, მაგრამ სამაგიეროდ შენს თვალწინ საოცრად მშფოთვარე და საინტერესო ცხოვრება იშლება და შენ აპირებ, მთელი სიმძაფრით გადაეშვა მასში. ჩავლილი ოცდაათი წლის განმავლობაში მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა მოგიწია, რამაც საკუთარი თავიც თითქმის გადაგავიწყა. მართალია, თავს ძალიან მარტო გრძნობ, მაგრამ ამასთან დაკავშირებით რჩევას მე ნუ მთხოვ, რადგან ვერაფრით დაგეხმარები. როგორმე შენ თვითონ მოძებნე გამოსავალი და, თუ რაიმე არსებითი იპოვე, გთხოვ, მეც გამიზიარე, რადგან მეც შენსავით მარტო ვარ. გკოცნი ვნებიანად. მშვიდობით“.

კინოკრიტიკოსმა ანდრეი პლახოვმა გადაწყვიტა კინემატოგრაფის ლეგენდას, პედრო ალმადოვარს დაკავშირებოდა, მაგრამ მისმა აგენტმა უპასუხა, რომ მაესტრო ახალ სცენარზე სამუშაოდ მკაცრად გასაიდუმლოებულ ადგილას განმარტოვდა და თითქმის ორი თვის განმავლობაში ამ ხმაურიანი სამყაროსთვის მიუწვდომელი იქნება. სამაგიეროდ, გამომცემლობა Anagrama-მ გვაცნობა, რომ „პატი დიფუსა“ და მისი მემკვიდრე „პატი დიფუსა და სხვა ტექსტები“ შეუჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებლივ იბეჭდება და იყიდება უკვე ოცი წელია ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ესპანეთი, იტალია, ინგლისი, რუსეთი, კორეა, იაპონია (გამომცემლებს განსაკუთრებით იაპონია ახარებთ, რადგან იქ მკითხველმყიდველები თითქოს ერთიანად ჭკუიდან შეიშალნენ).

ორი შეკითხვა „პატი დიფუსას" რუსულად მთარგმნელს, კირილ კორკონოსენკოს:

– თქვენ თარგმნეთ მარიო ვარგას ლიოსა და, საერთოდ, იმასთან შედარებით, რაც გითარგმნიათ, როგორია ალმადოვარის თარგმნა?

– ტექსტზე მუშაობა ადვილი იყო. მრავალფეროვანი ესპანური ენა, მსუბუქი იუმორი თუ საინტერესოდ განვითარებული მოვლენები იმაზე მეტყველებს, რომ წერის დროს ალმადოვარი დიდ სიამოვნებას იღებდა და მინდა გითხრათ, მეც არანაკლები სიამოვნება განვიცადე. არანორმატიული ლექსიკა, რასაც უხვად ხმარობს ალმადოვარი, უფრო თავშეკავებით გადმოვეცი, თუმცა, თუ შეიძლება ასე ითქვას, იქ, სადაც აშკარა დედის გინებაა, შეუცვლელად დავტოვე, ასე რომ, იმედია, თარგმანი ადეკვატური გამოვიდა. ის მსუბუქად შოკისმომგვრელია იმათთვის, ვისი შოკირებაც ჯერ კიდევ შესაძლებელია.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად საინტერესოა ალმადოვარის წიგნი მხატვრული ლიტერატურის თვალსაზრისით? თუ ეს მხოლოდ ოსტატის ხუმრობაა და ილუსტრაცია მისი ფილმებისთვის?

ალმადოვარი მრავალმხრივ დაჯილდოებული ადამიანია: მან მიიღო „ოსკარი," ხელმძღვანელობს როკჯგუფს და სცენარებსაც თვითონ წერს. ყველა სფეროში შეუდარებელი ალმადოვარის ნაწერებიც უნდა შეფასდეს, როგორც სერიოზული ლიტერატურული ნაწარმოებები. მართალია, შიგადაშიგ რაღაც დეტალები წყდება და, ამდენად, შეიძლება ავტორის ერთგვარ უპასუხისმგებლობაში გამოჭერა, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა გამოგვეჭირა სერვანტესი ან ტოლსტოი. ალმადოვარი კინოკრიტიკოსების, მკითხველისა თუ მაყურებლის მიმართ ყოველთვის სიმშვიდეს ინარჩუნებდა. „ძალიან კარგად მესმის, რომ ჩემი შეხედულება თუ ჩანაფიქრი შეიძლება გაუგებარი იყოს მაყურებლისთვის, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ეს ჩემთვის სულერთია, რადგანაც მე თვითონაც ხშირად ვერ ვაცნობიერებ ჩემი არჩევანის მნიშვნელობას". მან ჰიჩკოკისეული პრინციპი აირჩია: დაწეროს თუ გადაიღოს სასიყვარულო სცენები ისე, თითქოს სულ სხვა რამეში იყოს საქმე. თავის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს რომ აღნიშნავს, ეს სულაც არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ალმადოვარი გაჩერებას აპირებს. სინამდვილეში მას მხოლოდ ერთი რამ აღელვებს — ის, რაც აკავშირებს ადამიანებს ერთმანეთთან: იქნება ეს სექსუალური ლტოლვა, სურვილი, მიუძღვნას თავი თუ აჩუქოს ვინმეს ახალი სიცოცხლე.

მოამზადა ნინო ნაჭყებიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პოეზიის 365 დღე“ — 2011



თუ პოეზიის კალენდრის თითოეულ გვერდს შევეხებით, თავისუფლად შეიძლება 365 მიზეზი ჩამოვთვალოთ იმის დასასაბუთებლად, მაინც რატომ არის მოსაწონი პროექტი: „პოეზიის 365 დღე“. შეუძლებელია ნებისმიერ გვერდზე ან ლექსი არ მოგეწონოს ადამიანს, ან ფოტო, ან ახალი სახელის გამოჩენა, ან დავიწყებული განწყობის მოტივები, მოკლედ, რაღაც უსათუოდ იქნება ხელჩასაჭიდი.

მაგრამ, თუ 365 მიზეზს არ გამოვეკიდებით, სამს თვალისდახამხამებაში მოგახსენებთ.

ჩემი კეთილგანწყობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მეტად მოკრძალებული მიდგომით დაწყებული საქმე სერიოზულ მასშტაბებს იძენს, თავდაპირველად გოგონები რაღაც კალენდრის შექმნას აპირებდნენ და განწყობისთვის ლექსები მოიძიეს. მაშინ, ანუ შარშან ეს ლექსები ძირითადად უბის წიგნაკიდან გადმოწერილი ლექსები იყო, მაგრამ წლეულს უკვე პოეზიის ანთოლოგიის შექმნის მცდელობა იგრძნობა და მინდა ეს მიდგომა წავაქეზოთ.

პოეზიის ყოველწლიური ანთოლოგიების შექმნის იდეა, ბუნებრივია, ლიტერატურულ წრეებში არსებობს და კიდევაც იქმნება პერიოდულად, მაგრამ ეს იმდენად არაკომერციული წამოწყებაა, რომ ერთი მხრივ, მუდმივ დოტაციას მოითხოვს და, მეორე მხრივ, მკითხველი აუდიტორიის პოვნაც უჭირს, რადგან ლექსების წიგნის ხელში აღება ბევრისთვის საოხუნჯო თემაა. დიახ-დიახ, ადრე საქართველოს „მგოსნების მხარე“ ერქვა და ლამის ყველა ქართველი თავს პოეტად თვლიდა, მაგრამ დღეს პრაგმატულ და კაპიტალისტურ საქართველოს ვაშენებთ და ლირიკისთვის არავის ცხელა, უკიდურესად დაპატარავდა პოეზიის მოყვარული და მკითხველი აუდიტორია. ამიტომაც პროექტის ყველაზე დიდ წარმატებად სწორედ იმას მივიჩნევ, რომ ნიჰილისტი – ცინიკოსების მიუღებლობის ბარიკადების გადალახვა შეძლო კალენდრის სახით შეთავაზებულმა ლექსების კრებულმა და დიდად გააფართოვა ლექსების წამკითხველთა წრე. ანუ კითხვას გადაჩვეულ ადამიანს ძალდაუტანებლად 365 ლექსს ვაკითხებთ. განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროექტი წიგნიერების, ლიტერატურის, პოეზიის პოპულარიზებას ემსახურება?! განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი წამოწყება კვლავაც უნდა გავაგრძელოთ?!

ინტერნეტსივრცის წყალობით პროექტი იმითაც არის საინტერესო, რომ წლიდან წლამდე იზრდება მის ავტორთა წრე, გულშემატკივართა რაოდენობა. ერთია, რომ კონკრეტულად ლექსის და ფოტოს ავტორთა წრეა მეტად ვრცელი და მეორე, რომ შემოქმედებითი კოლექტივი დინამიურად, მოქნილად, ბოლო წუთამდე მუშაობს კალენდრის ყოველი ნიუანსის დახვეწაზე, მათ ხომ სოციალურ ქსელში ათასგვარ, მეტად საინტერესო გააზრებას სთავაზობენ სრულიად უცნობი ადამიანები კონკრეტულ დღესთან და თარიღთან დაკავშირებით. მკითხველისთვის ბევრი ასეთი ქვეტექსტი და წიაღსვლა იქნებ არც იკითხებოდეს, მაგრამ ასეთი შინაგანი მუხტით იბადება ის უტყუარი ემოციური განწყობა, რომელიც პოეზიის კალენდარმა შექმნა.

და მესამე, განწყობის ფიქსირებას დიდად უწყობს ხელს გამოცემის ფუნქციური, მიგნებული დიზაინი და პოლიგრაფიული ხარისხი. ეს ის პოლიგრაფიული პროდუქტია, რომელიც სიცოცხლეს უხანგრძლივებს დინოზავრივით გადაშენების გზაზე დამდგარ საქმეს. ეს ის პროდუქტია, რომელსაც სიამოვნებით იჩუქებ კაცი და კიდევაც იყიდი, რამე რომ იყოს.

ვულოცავ იდეის ავტორს ნონა მამისეიშვილს, პროექტის ხელმძღვანელს თამარ ბოდოკიას, დიზაინერ მაკა ცომაიას და სტამბა „სეზანს“ ჩვენს ყოველდღიურობაში პოეზიით ზეაწეული განწყობის დამკვიდრებას.

მანანა კარტოზია

„2011 წლის საუკეთესო ევროპული მოთხრობები“



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შედგა პრეზენტაცია წიგნისა „2011 წლის საუკეთესო ევროპული მოთხრობები,“ რომელიც ამერიკაში გამოიცა. კრებული პოპულარული საუკეთესო მოთხრობების ანთოლოგიის სერიიდან არის; ამ სერიით ერთ-ერთი წამყვანი ამერიკული გამომცემლობა Dalkey Archive Press ყოველწლიურად სტამბავს ორმოცამდე ევროპული ქვეყნის ლიტერატურიდან შერჩეულ საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებებს. აღნიშნულ კრებულში წელს პირველად მოხვდა ქართული ნაწარმოები. ზურაბ ლეჟავას მოთხრობამ „მაცივარი სექსის წილ“ ამერიკული გამომცემლობის მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა და „2011 წლის საუკეთესო ევროპული მოთხრობები-ს“ ანთოლოგიაში დაიბეჭდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

•

სამ დეკემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა აკაკი წერეთლის დაბადებიდან ას სამოცდამეათე წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნის „აკაკი წერეთლის უცნობი პუბლიცისტიკა“ – პრეზენტაცია.

წიგნი შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურულმა ინსტიტუტმა გამოსცა. კრებულში თავი მოიყარა ბოლო ათწლეულების განმავლობაში დასტამბულმა აკაკი წერეთლის ათეულობით პირადმა თუ პუბლიცისტურმა წერილმა, რომელიც ბოლო დრომდე საზოგადოებისთვის უცნობი იყო.

•

შვეიცარიაში (ციურიხის არქივებში) აღმოაჩინეს ფრანც კაფკას ხელნაწერები, რომელთა მფლობელობაზეც პრეტენზიას აცხადებს ისრაელის ეროვნული ბიბლიოთეკა და ამ ქვეყნის მოქალაქე ორი ქალბატონი. გერმანელმა ლიტერატურათმცოდნეებმა უკვე დაიწყეს არქივის გამოკვლევა, რომელიც მოიცავს გამოუქვეყნებელ ხელნაწერებს, წერილებს, ნახატებს და ბარათებს.

•

იუნესკომ ირლანდიის დედაქალაქს „ლიტერატურის ქალაქის“ წოდება მიანიჭა. დუბლინი მეოთხე ქალაქია, რომელიც ამ სახელის მფლობელი გახდა ედინბურგის, მელბურნის და აიოვასითის შემდეგ.

•

შოტლანდიის ეროვნულ არქივში აღმოაჩინეს წერილი, რომელიც რობერტ ბერნსის ცხოვრების უკანასკნელ დღეებს ეხება და იმ კაცის დაწერილია, ვინც ბერნსს სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე შეხვდა და პოეტს სამუშაო მისცა.

•

გასულ წელს შესრულდა მე-100-ე წელი ლევ ტოლსტოის გარდაცვალებიდან. ამასთან დაკავშირებით ნოემბერში ნიუ-იორკში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი „ტოლსტოი XXI საუკუნეში“. ეს ღონისძიება ორგანიზებული იყო უნივერსიტეტის „ახალი სკოლის“ მიერ და მასში მონაწილეობდნენ ფილოსოფოსები, პოლიტოლოგები, ლიტერატურათმცოდნეები, მწერლები და ჟურნალისტები რუსეთიდან, აშშ-დან, კანადიდან, ინგლისიდან, ისრაელიდან და სხვა ქვეყნებიდან.

•

ბარსელონაში პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის „პლანეტა“ (ფულადი ჯილდო 846 ათასი დოლარი) ლაურეატი გახდა ესპანელი მწერალი ედუარდო მენდოსა, ავტორი რომანისა „კატების ომი, მადრიდი 1936“.

•

გასული წლის 20 ივნისს ლისაბონში მიწას მიაბარეს თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი ჟოზე სარამაგო, რომლის სავიზიტო ბარათებად ქცეული რომანები „სიბრმავე“ „იესოს სახარება“ და „მოგონებები მონასტერზე“ მთელს მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მწერალი 87 წლისა აღესრულა. მისი ცხედარი დასვენებული იყო დედაქალაქის რატუშაში. ოცდაათი ათასამდე ლისაბონელმა გააცილა იგი ბოლო გზაზე და თითქმის ყველას მისი წიგნი ეკავა ხელში. როდესაც მწერალი მიწას მიაბარეს, ადამიანებს თავს ზემოთ ათასობით წიგნი აღიმართა... პორტუგალიის ხელისუფლებას არ უყვარდა სარამაგო და არცთუ უსაფუძვლოდ – ის იყო კომუნისტი გუშინდელ ფაშისტურ სახელმწიფოში; ის იყო ათეისტი უაღრესად კათოლიკურ ქვეყანაში. პორტუგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიის პრეზიდენტმა უარი განაცხადა, უკანასკნელი პატივი მიეგო დიდი შემოქმედისთვის. სარამაგო მთელი ცხოვრება ცდილობდა, გაეგებინა პორტუგალიელებისთვის, რა არის... პორტუგალია და, თუ წითელი მიხაკების რევოლუციის მიხედვით ვიმსჯელებთ, წარმატებით მოახერხა ეს.

•



გასულ წელს გერმანულმა გამომცემლობამ „შტეიდლ" გამოსცა ნობელის პრემიის ლაურეატის, გიუნტერ გრასის ბიოგრაფიული რომანი „გრიმების სიტყვა, სიყვარულის ახსნა". რომანი ეძღვნება ძმები მეზღაპრეების ცხოვრებას, მათ მოღვაწეობას; შეიცავს ცნობებს მათ თანამედროვეებზე, რომელთა შორის იყვნენ როგორც თაყვანისმცემლები, ისე არაკეთილმოსურნეებიც. გრასი უკვე საკმაოდ ასაკოვანია და ნობელიანტი ავტორი არ გამორიცხავს, რომ ეს წიგნი მისთვის, შესაძლოა, უკანასკნელი აღმოჩნდეს: „ის, ვინც 83 წლისაა, რეალურად უნდა აფასებდეს მოვლენებს," – წერს იგი.



• გასულ წელს მოსკოვში გამოიცა ჯოზეფ მაქსველ კუტზეეს რომანი „ცხოვრება და დრო მიხეილ კ-სი". კუტზეემ 2003 წელს მიიღო ნობელის პრემია, ორჯერ გახდა მეორე ასევე პრესტიჟული პრემიის „ბუკერის" ლაურეატი, თუმცა დაჯილდოების ცერემონიალზე არც ერთხელ არ გამოცხადდა. პირველი „ბუკერი" მას სწორედ რომანმა „ცხოვრება და დრო მიხეილ კ-სი მოუტანა 1983 წელს. წიგნი მოგვითხრობს პიროვნების არარაობაზე ისტორიის წიაღში, გმირის ქარტეხილებით სავსე ცხოვრებაზე, მაგრამ აღმოჩნდება, რომ, მიუხედავად ათასგვარი ძნელბედობისა, ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც სულიერი სიმშვიდე და შინაგანი თავისუფლება ყოფილა...

•

რელიგიური პოეზიის მეხოტბე რუსი პოეტი, ოლგა სედაკოვა 2010 წლის იტალიური პრემიის Camposampiero-ს გამარჯვებული გახდა. კრიტიკოსების თქმით, ის გამუდმებით ეძიებს ადამიანში ღვთიურ საწყისებს და ეს ძიება მის პოეზიას გაცილებით მიმზიდველს და საინტერესოს ხდის. აღსანიშნავია, რომ იტალიური პრემია, რომელიც უკვე ორმოცი წელია არსებობს, არასდროს მიუღია არაიტალიელს და ამ მხრივ რუსი პოეტი ქალი, შეიძლება ითქვას, პირველი მერცხალია.



•

გამომცემლობა «ინტელექტმა» სერიით 100 ლექსი რენე კალანდიას «100 ლექსი» გამოსცა. წიგნში პოეტის რჩეული ლექსები შევიდა, მათ შორის ბევრი აქამდე გამოუქვეყნებელი.

ახალი კრებულის შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორია ივანე ამირხანაშვილი.

რენე კალანდიას «100 ლექსის» პრეზენტაცია 5 თებერვალს გაიმართა გამომცემლობა ,,ინტელექტში''.



•

,,ახალი ქართული პროზის'' სერიით გამოიცა მიხო მოსულიშვილის ცნობილი რომანი ,,ფრენა უკასროდ''. როგორც თავად ავტორი უწოდებს, ამ ,,თაღლითურ რომანში'' ასახულია თანამედროვე ქართველი ემიგრანტების ცხოვრება გერმანულ ,,ლაგერებში''.

მოამზადეს ნინო ნაჭყებიამ და ნინო კობაიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

LB
ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

PSP №1

ფასი სახელშეკრულებო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლექციები

ია ჯინჭარაძე

რენე კალანდია

მამუკა წიკლაური

ია სულაბერიძე

მარი თინაშვილი

თამთა დოლიძე

ანოტაცია

ირაკლი სამსონაძე

გურამ დოჩანაშვილი

ლეილა მესხი

ახალი თარგმანები

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

თარგმნა **დავით წერედიანმა**

უილიამ ფოლკნერი

თარგმნა **გია სართანიამ**

ანატოლ ფრანსი

თარგმნა **გიორგი ანთელავამ**

წერილები

მაია ჯალიაშვილი

კახა ქეცბაია

პედრო ალმადოვარი

ლიტერატურული სასტენი

ISSN 0132-6023

9 770132 602007

ხელმომწერთა საყურადღებოდ!!!

ხელმოწერების გასაფორმებლად დაუკავშირდით ქვემოთ ჩამოთვლილ გამავრცელებლებს მითითებულ ტელეფონის ნომრებზე:

„პრესექსპრესი“-962 311; „მაცნე"-341 070; „საქპრესა"-518 518; 515 905

ინდივიდუალური ხელმოწერის გაფორმება ასევე შესაძლებელია უშუალოდ „ცისკრის„ რედაქციაში მისამართზე: თბილისი, ათონელის (ხიდის) ქ. 29/1
დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვირეკეთ რედაქციაში: 98-36-43; 899188093